

სამოქალაქო განათლება



B1+

სახელმძღვანელო

2017



ქვეყნის
სკოლა

სამოქალაქო განათლება

სახელმძღვანელო

B1+

თბილისი
2017

„სამოქალაქო განათლება“ B1+ სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
თამარ შარაბიძე

ავტორები:
**დავით გოცირიძე
ინგა სანიკიძე
გიორგი უგულავა
თამარ შარაბიძე
თაია ცხადაია**

რედაქტორები:
**ინგა სანიკიძე
თამარ შარაბიძე
თაია ცხადაია**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფი“



ყაზბეგის 24გ, ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-079-6

I თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

კონსტიტუცია

- საქართველოს კონსტიტუციის ისტორია5
- სახელმწიფოს მმართველობის ფორმები.....11
- საქართველოს კონსტიტუცია17

II თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

საქართველოს პარლამენტი

- საქართველოს პარლამენტი და მისი სტრუქტურა26
- საკანონმდებლო პროცესი33
- პარლამენტის არჩევნები და მისი დათხოვნა.
- იმპიჩმენტი, რეფერენდუმი38

III თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა

- საქართველოს პრეზიდენტი46
- საქართველოს მთავრობა51
- ადგილობრივი თვითმმართველობა56

IV თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი

ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

- შემაჯამებელი გაკვეთილი.....63
- შუალედური შემოწმების ტესტი67

V თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

დემოკრატია. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში

- დემოკრატია68
- აქტიური მოქალაქე – დემოკრატიის გარანტი74
- პოლიტიკური კულტურის ტიპები.....80

VI თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

- სამართლებრივი უფლებები87
- სიტყვის, აზრის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება92
- საკუთრება და საკუთრების უფლება96

VII თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო და არასასამართლო მექანიზმები

სასამართლო ხელისუფლება.....	104
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	110
ადამიანის უფლებათა დაცვის არასასამართლო მექანიზმები	115

VIII თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი

ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში. ქართული ენა და სამოქალაქო განათლება

შემაჯამებელი გაკვეთილი.....	123
შუალედური შემოწმების ტესტი	128

IX თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

სახელმწიფო სამსახური

საჯარო სამსახური	129
მოხელის თანამდებობაზე მიღება.....	135
მოხელის შრომითი უფლებები.....	138

X თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა

ნატო - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია	
ეუთო - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია	146
გაერო და იუნესკო	151
ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.....	155

XI თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

ცალკეულ ჯგუფთა უფლებების დაცვა

დევნილთა (ლტოლვილთა) უფლებები.....	163
ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები	169
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	173

XII თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი

ვიზალიბერალიზაცია


შემაჯამებელი გაკვეთილი	
უვიზო მიმოსვლა – გზა ევროკავშირისაკენ	180
შუალედური შემოწმების ტესტი	184

მოსასმენი დიალოგები	185
შუალედური შემოწმების ტესტები	208
გრამატიკა	223

I ტაპი კონსტიტუცია

I ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის ისტორია

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. რა გახსენდებათ სიტყვაზე „კონსტიტუცია“?
3. თქვენი აზრით, რას ნიშნავს სიტყვა „კონსტიტუცია“?

1.2. ტექსტი:

მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო იყო. მას ბევრი მტერი ჰყავდა. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთმა დაიპყრო. ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყო. მას დაპყრობილი ქვეყნებისათვის აღარ ეცალა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის აქტი, ხელისუფლება გადაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს.

საქართველოს მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობას სამართლებრივი საფუძველი, ანუ **ლეგიტიმაცია**, სჭირდებოდა. ამისათვის აუცილებელი იყო კონსტიტუციის შემუშავება.

კონსტიტუციის მისაღებად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი – საკონსტიტუციო კომისია. კონსტიტუციაზე მუშაობა თითქმის სამი თვე გრძელდებოდა. ტექსტის შედგენაში მონაწილეობდნენ ცნობილი ადამიანები. მათ დაწერეს ცალკეული თავები; დაიწყო ამ თავების **მუხლობრივი** განხილვაც, რასაც დიდი დრო დასჭირდა. 1921 წლის 15 თებერვალს საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია. ამ მოვლენების გამო 1921 წლის 21 თებერვალს საგანგებო სხდომაზე დაჩქარებულად მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელმაც მხოლოდ 4 დღე იმოქმედა. ის იმ დროისათვის ერთ-ერთი პროგრესული კონსტიტუცია იყო ევროპაში.

1991 წელს **რეფერენდუმის** საფუძველზე საქართველო გამოვიდა **საბჭოთა** კავშირიდან, ხოლო 1995 წლის 24 აგვისტოს დამოუკიდებელმა საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო.

მაგ.,

გუშინ ახალი დადგენილება მივიღეთ.
ქართულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვანი
გადაწყვეტილება მიიღო.

მაგ.,

ამ კანონის შედგენა ერთი წელი გრძელდება.
ამ კანონის შედგენა ერთი წელი გაგრძელდება.

1.3. ლექსიკა:

დაბყრობა – ძალით დამორჩილება.

სამოქალაქო ომი – სახელმწიფოში ძალაუფლებისათვის ბრძოლა მოქალაქეებს შორის.

საბჭო – ადგილი, სადაც თათბირობენ, იღებენ გადაწყვეტილებას.

დეკლარაცია – განაცხადის, აქტის, დოკუმენტის ერთ-ერთი ფორმა.

გამოაქვეყნებს – გაასაჯაროებს, ყველასთვის ხელმისაწვდომს გახდის.

[სამართლებრივი] აქტი – ხელისუფლების ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული დოკუმენტის ერთ-ერთი ფორმა.

ლეგიტიმაცია – რაიმე ქმედების ან ფაქტის კანონიერების იურიდიული აღიარება.

შემუშავება – მუშაობის შედეგად რაიმეს შექმნა.

მუხლი – იურიდიული დოკუმენტის მცირე ნაწილი.

მუხლობრივი – მუხლების მიხედვით.

შემოჭრა – შემოსვლა ძალის გამოყენებით.

რეფერენდუმი – საყოველთაო გამოკითხვა.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა მოხდა საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში?
2. როდის გამოაცხადა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობა?
3. რისთვის იყო საჭირო კონსტიტუციის მიღება?
4. რამდენი დრო დასჭირდა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებას?
5. როდის მიიღო საქართველომ პირველი კონსტიტუცია?
6. რამდენი დღე იმოქმედა საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ?
7. რა მოვლენამ დააჩქარა მისი მიღება?
8. როდის მიიღო დამოუკიდებელმა საქართველომ ახალი (მეორე) კონსტიტუცია?

სინონიმები	ანტონიმები
მრავალი – ბევრი დამოუკიდებელი – თავისუფალი გამოაქვეყნა – გამოსცა საფუძველი – საძირკველი სპეციალური – საგანგებო პროგრესული – განვითარებული აუცილებელი – სავალდებულო ომი – ბრძოლა იმოქმედა – იმოშავა	დამოუკიდებელი – დამოკიდებული თავისუფალი – დამონებული მტერი – მოყვარე დასაწყისი – დასასრული ომი – მშვიდობა ცნობილი – უცნობი



სამართლებრივი საფუძველი სახლის საძირკველი
პროგრესული აზრი განვითარებული ქვეყანა
მაგ., ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას სამართლებრივი საფუძველი სჭირდება.
ამ სახლის საძირკველი ძალიან ძველია.
საგანგებო სპეციალური
მაგ., გუშინ წყალდიდობა იყო, ამიტომ ჩვენს ქალაქში საგანგებო სიტუაცია გამოაცხადეს.
სპეციალური სხდომა უნდა მოვიწვიო, ასეა საჭირო!

ა.

მრავლობითი რიცხვი

ნათ. საბჭო~~თა~~ = საბჭო~~ე~~ბის
მოქმედ კანონ~~თა~~ = მოქმედი კანონ~~ე~~ბის



დაიმახსოვრეთ!



-~~თა~~ნიანი მრავლობითი დღეს ძირითადად ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით გამოიყენება.
მაგ., ცნობილ ადამიან~~თა~~ გადაწყვეტილებით; დრო~~თა~~ განმავლობაში; აზრ~~თა~~ სხვადასხვაობა...

ბ.



დაიმახსოვრეთ!

რა?
დამოუკიდებლ~~თა~~
ხელისუფლ~~ე~~ბა

1.5.წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ!

შვილი: მამა, საქართველო ყოველთვის დამოუკიდებელი იყო?

მამა: არა, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი.

შვილი: როდის გათავისუფლდა?

მამა: ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მაშინ რუსეთს ჩვენთვის არ ეცალა.

შვილი: რატომ?

მამა: რუსეთში სამოქალაქო ომი იყო. ერთმანეთს ებრძოდნენ წითლები და თეთრები.

შვილი: ვინ მოიგო?

მამა: წითლებმა.

შვილი: ბოლოს ჩვენთვისაც მოიცალეს?

მამა:

1.6. უპასუხეთ კითხვებს; პასუხებში გამოიყენეთ წყვილები:

დამოუკიდებლობის დეკლარაცია	სამოქალაქო ომი
ჩატარებული რეფერენდუმი	სამართლებრივი საფუძველი

1. რა აფერხებს ქვეყნის განვითარებას?
2. რომელი დოკუმენტი საჭირო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის?
3. რა სჭირდება ქვეყანას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ?
4. რა იყო საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის საფუძველი?

1.7. წაიკითხეთ დიალოგი და მთავარი ტექსტის მიხედვით დაასრულეთ!

ვაჟა: ვინ იღებს კონსტიტუციას?

ილია: რა თქმა უნდა, ხელისუფლება, კონსტიტუციის ტექსტის განხილვის შემდგომ.

ვაჟა: როგორ განიხილავენ კონსტიტუციის ტექსტს?

ილია: მუხლობრივად – მსჯელობენ თითოეულ მუხლზე.

ვაჟა: შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციის დაჩქარებულად მიღება?

ილია: კი, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაც ხომ დაჩქარებულად მიიღეს!

ვაჟა: ყოველთვის შეიძლება დაჩქარებულად მიღება?

ილია: არა, მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში.

ვაჟა: რა საგანგებო სიტუაცია იყო 1921 წელს?

ილია:

1.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

მუხლობრივი	დეკლარაცია	
რეფერენდუმი	ლეგიტიმაცია	აქტი

ა. საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიების _____ არ მომხდარა.

ბ. ევროკავშირში შესვლა ხალხმა _____ საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს.

გ. კორუფციის დასამარცხებლად აუცილებელია თანამდებობის პირებმა შეავსონ ქონებრივი _____.

დ. კონსტიტუციის მისაღებად თავები _____ უნდა განიხილონ.

ე. კონსტიტუცია არის სამართლებრივი _____, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ.

1.9. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	გააუქმა	აუქმებს	გააუქმებს
2	დაკარგა	კარგავს	დაკარგავს
3	ისარგებლა	სარგებლობს	ისარგებლებს
4	გამოაქვეყნა	აქვეყნებს	გამოაქვეყნებს



1.10 მოსმენა

დიალოგი: საუბარი ოჯახში

ენციკლოპედია ხარ — ბევრი იცო

1.11. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები!

რატომ დააგვიანდა ნინოს სახლში მოსვლა?

- ა. სკოლიდან მეგობართან წავიდა.
- ბ. დამრიგებელმა ბავშვები სკოლაში დატოვა, რომ ახალი ამბავი ეთქვა.
- გ. ნინო ცუდად იყო და დამრიგებელმა არ გამოუშვა, სანამ კარგად არ გახდა.

სად გაიმართა დიალოგი?

- ა. სკოლაში.
- ბ. სახლში.
- გ. სკოლის ეზოში.

ვის ეხება საქართველოს კონსტიტუცია?

- ა. ნინოს.
- ბ. ნინოსა და ნინოს მამას.
- გ. საქართველოს ყველა მოქალაქეს.

რამდენი ხანი იმოქმედა საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ?

- ა. 4 თვე.
- ბ. 4 დღე.
- გ. 4 წელი.

1.12. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!


ა. არა, დედა, იქ ზოგადი განათლებიდანაც იქნება კითხვები. სკოლის საგნების გარდა სპეციალური საკითხია შემოტანილი – _____.

– სად შეიძლება _____?

ბ. კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი _____

გ. კონსტიტუცია იცავს _____

1.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი!



რამდენ ხანს?	მასწავლებელმა ცოტა ხანს დაგვტოვა. დიდხანს არ ვიცოდი, როგორ გადაწყვეტილებას მივიღებდი.
--------------	--

1.14. საპრეზენტაციო თემა

რატომ უნდა ვიცოდეთ კონსტიტუცია?

1.15. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე – რა ვიცი ჩემი ქვეყნის კონსტიტუციის შესახებ

1.16. ეს საინტერესოა!



„კონსტიტუციო“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაწესებას, დადგენას. მას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა ადრე თანამედროვე გაგებით არ გამოიყენებოდა. რომში იგი ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტების სახელწოდება იყო. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში არისტოტელე განასხვავებდა სახელმწიფოს ძირითად და ჩვეულებრივ კანონებს. „კონსტიტუციამ“, როგორც განსაკუთრებულმა დოკუმენტმა, თანამედროვე მნიშვნელობა XVII საუკუნეში შეიძინა, იმ დროიდან, როცა თომას ჰობსმა მას „სახელმწიფოს ძირითადი კანონი“ უწოდა.

II ნაწილი

სახელმწიფოს მმართველობის ფორმები

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. ვინ არის მმართველი I ილუსტრაციის მიხედვით?
3. ვინ არის მმართველი II ილუსტრაციის მიხედვით?

2.2. ტექსტი:

სახელმწიფოს მმართველობის ძირითადი ფორმებია – **რესპუბლიკა** და **მონარქია**. მონარქიის დროს ხელისუფლება **მემკვიდრეობით** გადაეცემა მომავალ მონარქს, ხოლო რესპუბლიკური მმართველობის დროს ხელისუფლებას ირჩევს ხალხი. არსებობს მონარქიის ორი **ტიპი**: კონსტიტუციური მონარქია, რომლის დროსაც მონარქის ძალაუფლება **შეზღუდულია** კონსტიტუციით, და აბსოლუტური მონარქია, რომლის დროსაც მონარქის ძალაუფლება შეუზღუდავია. რესპუბლიკა მმართველობის ფორმის მიხედვით ორი სახისაა: საპარლამენტო და საპრეზიდენტო. გვხვდება შერეული მმართველობის მოდელებიც.

საპრეზიდენტო მმართველობის შემთხვევაში პრეზიდენტი არჩეულია ხალხის მიერ საყოველთაო სახალხო **კენჭისყრის** გზით. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს და აგრეთვე მთავრობის მეთაური. იგი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს **საკუთარი გადაწყვეტილებით**. მინისტრთა კაბინეტი, ანუ მთავრობა, პრეზიდენტის სათაბირო ორგანოა. პარლამენტს არ აქვს მთავრობის წევრის თანამდებობიდან გადაყენების უფლება, პრეზიდენტს კი არ შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი. ის სარგებლობს ვეტოს უფლებით.

საპარლამენტო მმართველობის დროს პარლამენტს აქვს **უპირატესობა**. პარლამენტი ქმნის

მთავრობას, ირჩევს მთავრობის მეთაურს — პრემიერ-მინისტრს. მთავრობა **პასუხისმგებელია** პარლამენტის წინაშე. მთავრობა იმ ვადით აირჩევა, რა ვადაც აქვს პარლამენტს. პრეზიდენტი ფორმალურად მონაწილეობს მთავრობის ფორმირებაში. იგი არის სახელმწიფოს მეთაური და მართავს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასეთი ფორმით სახელმწიფო უზრუნველყოფს სტაბილურობას ქვეყანაში.

2.3. ლექსიკა:

რესპუბლიკა — მმართველობის ის ფორმა, რომელშიც ხელისუფლებას ხალხი ირჩევს.

მონარქია — მონარქის, ანუ მეფის, მმართველობა.

მემკვიდრეობა — ძალაუფლების ან ქონების გადაცემა მშობლიდან შვილზე.

[მმართველობის] ტიპი — [მმართველობის] ერთ-ერთი სახე, სახეობა.

ძალაუფლება — აქ: ქვეყნის მართვის დროს სამართლებრივი ძალის ქონა.

შეზღუდული — წესებისა და საზღვრების მქონე.

შეუზღუდავი — წესებისა და საზღვრების გარეშე, ყველანაირი უფლების მქონე.

კენჭისყრა — ხმის მიცემა.

[სახელმწიფო] ორგანო — სახელმწიფო დაწესებულება, რომლის საშუალებითაც მართავენ ქვეყანას.

ვეტო — სახელმწიფოს მეთაურის უფლება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს რაიმე გადაწყვეტილება.

უპირატესობა — განსაკუთრებული უფლება, პრივილეგია.

პასუხისმგებლობა — ვალდებულება ვინმეს, რამის წინაშე.

მქონე — ის, ვისაც ან რასაც აქვს

არმქონე — ის, ვისაც ან რასაც არა აქვს

2.4. ტექსტის გააზრება:

1. სახელმწიფოს მმართველობის რა ძირითადი ფორმები არსებობს?
2. მონარქიის დროს ვის ეკუთვნის ძალაუფლება?
3. მონარქიის რა და რა ტიპი არსებობს?
4. რესპუბლიკური მმართველობის დროს ვინ ირჩევს ხელისუფლებას?
5. რესპუბლიკური მმართველობის რომელი ფორმები არსებობს?
6. რა ნიშნები აქვს საპრეზიდენტო მმართველობას?
7. რით ხასიათდება საპარლამენტო მმართველობა?

სინონიმები	ანტონიმები
ძირითადი — მთავარი მონარქი — მეფე აბსოლუტური — სრული ვადა — პერიოდი ფორმირება — ჩამოყალიბება	შეზღუდული — შეუზღუდავი დროებითი — მუდმივი ფორმალურად — არაფორმალურად

ა.

სახ.	საკუთარი	გადაწყვეტილება
მოთხრ.	საკუთარ მა	გადაწყვეტილება მ
მიც.	საკუთარ	გადაწყვეტილება ს და სხვ.
მაგ.,	ის საკუთარ გადაწყვეტილება ს ვერ შეაფასებს.	

ბ.

ახლანდელი			
მე	უზრუნველყოფ	ჩვენ	უზრუნველყოფთ
შენ	უზრუნველყოფ	თქვენ	უზრუნველყოფთ
ის	უზრუნველყოფს	ისინი	უზრუნველყოფენ
ნარსული			
მე	უზრუნველყავი	ჩვენ	უზრუნველყავით
შენ	უზრუნველყავი	თქვენ	უზრუნველყავით
მან	უზრუნველყო	მათ	უზრუნველყვეს

რას შვრება?	უზრუნველყოფს
რა?	უზრუნველყოფა

ასეთივე ზმნაბია:
ცხადყოფს – გაარკვევს
ნათელყოფს – ნათელს გახდის

გ.

მე	ავირჩიე	ჩვენ	ავირჩიეთ
შენ	აირჩიე	თქვენ	აირჩიეთ
[მან]	აირჩია	[მათ]	აირჩიეს

მაგ., ხალხ**მა** ახალი პრეზიდენტი აირჩია.
 ჩვენმა ქვეყანა**მ** მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.
 პარლამენტ**მა** კანონის მიღება შეაჩერა.
 ახალმა ხელისუფლება**მ** საგარეო პოლიტიკა არ შეცვალა.

2.5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვას:

- მმართველობის რომელ ფორმაზეა საუბარი დაკითხვის ოქმში?

1832 წელს საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით მოხდა შეთქმულება (საიდუმლო შეთანხმება). ამ ფაქტის შესახებ რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს, გარდა შეთქმულთა დაკითხვის ოქმებისა. ერთ-ერთ ოქმში წერია: „საკუთარი მეფეც გვეყოლება, პარლამენტიც გვექნება და ყველანი იმას დაემორჩილებიანო.“

2.6. შეარჩიეთ და გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

ძალაუფლება ვეტოს	აბსოლუტური კენჭისყრა	მემკვიდრეობით მონარქია	მმართველობის
---------------------	-------------------------	---------------------------	--------------

- ა. მმართველობის ძირითადი ფორმებია რესპუბლიკა და _____.
- ბ. მონარქიის დროს _____ ერთი ადამიანის, მეფის, ხელშია.
- გ. თავდაპირველად მეფეს ირჩევდა ხალხი, მოგვიანებით მეფეებმა თავიანთი ძალაუფლება _____ გადასცეს უფროს ვაჟს.
- დ. ძველად იყო _____ მონარქია, შემდგომში მონარქია ახალი დროის ფორმაა.
- ე. _____ დემოკრატიული არჩევნების ფორმაა.
- ვ. ათენის დემოკრატია დღესაც _____ საუკეთესო მაგალითია.
- ზ. პრეზიდენტს აქვს პარლამენტის მუშაობაზე _____ დადების უფლება.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	აირჩია	ირჩევს	აირჩევს
2	გაათავისუფლა	ათავისუფლებს	გაათავისუფლებს
3	შექმნა	ქმნის	შექმნის
4	აწარმოა	აწარმოებს	აწარმოებს



2.8. მოსმენა

საყმაწვილო გადაცემა „ცოდნა“

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია.	
1917 წელს რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, დაიწყო სამოქალაქო ომი.	
1921 წლის 15 თებერვალს დაიქარებულად მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.	
ვეტოს უფლებით შეუძლია ისარგებლოს როგორც პრეზიდენტმა, ასევე – პარლამენტმა.	

2.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. როგორი მმართველობაა საქართველოში?
2. მონარქიული მმართველობის რა ფორმებს იცნობთ?
3. რას ნიშნავს ვეტოს დადება და ვის აქვს ვეტოს დადების უფლება?
4. რას ნიშნავს სამოქალაქო ომი?
5. როდის და სად მოხდა სამოქალაქო ომი?

2. 11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.12. საპრეზენტაციო თემა

**როგორი მმართველობის ფორმას ისურვებდით
თქვენს ქვეყანაში და რატომ?**

ა.

გაიხსენეთ! ის ქვეყანა, რომელიც....	ისწავლეთ! ის ქვეყნები, რომლებიც
---	--

მრავლობითი	
სახ.	რომლებიც
მოთხრ.	რომლებმაც
მიც.	რომლებსაც
და სხვ.	

ბ.

დაიმახსოვრეთ სიტყვები!



სამწუხაროდ
საბედნიეროდ
მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა თქვენ მიერ
 ნათქვამი წუხილს ან დადებით ემოციას იწვევს.
 წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით!

ბ.

დაიმეხსოვრეთ!



შესახებ გამოიყენება მაშინ, როცა მოქმედება იმ საგანს შეეხება, რომელსაც დაერთვის.

გამო გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა რაიმე მიზეზი აღინიშნება.

მაგ., შენ შესახებ მინისტრს მოვასხენე.

თქვენ გამო მეც დამიბარეს.

ჩემ	შესახებ	ჩვენ	შესახებ
შენ	შესახებ	თქვენ	შესახებ
[ი]მის	შესახებ	[ი]მათ	შესახებ
მაგრამ: გამოკითხვის შესახებ....			

ჩემ	გამო	ჩვენ	გამო
შენ	გამო	თქვენ	გამო
[ი]მის	გამო	[ი]მათ	გამო
მაგრამ: მმართველობის გამო....			

2.13. წერა:

იმჯელეთ საკითხზე - მოგწონთ თუ არა საქართველოს მმართველობის ფორმა და რატომ?

2.14.

ეს საინტერესოა!



„თეოკრატია“ „ღმერთის მმართველობას“ ნიშნავს. თეოკრატიული მმართველობის დროს ძალაუფლება ღმერთისგან მომდინარეობს. მას სასულიერო პირი ადასრულებს. ამგვარი მმართველის პროტოტიპია მოსე. თანამედროვე მსოფლიოში თეოკრატიული სახელმწიფოებია: ქრისტიანულ სამყაროში – ვატიკანი, ისლამურ სამყაროში – საუდის არაბეთი და ირანი.

უპასუხეთ კითხვას:

- რა არის თეოკრატია?

III ნაწილი

საქართველოს კონსტიტუცია

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. რატომ დებს პრეზიდენტი ფიცს კონსტიტუციაზე?
3. თქვენი აზრით, რა ვალდებულებას იღებს პრეზიდენტი ამ ფიცით?

3.2. ტექსტი

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს **უზენაესი** კანონია. არცერთი კანონი და აქტი, რომლებსაც იღებენ საქართველოში, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნის სახელწოდებას, მმართველობის ფორმას, მთავრობისა და პრეზიდენტის ფუნქციებს. კონსტიტუცია ასევე ადგენს ადამიანის **უფლებებსა** და მოვალეობებს.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური **წყობილებაა დემოკრატიული** რესპუბლიკა. დემოკრატიის პრინციპი ნიშნავს, რომ საზოგადოებაში დასაშვებია აზრთა სხვადასხვაობა. 1995 წლის კონსტიტუცია აღიარებს პოლიტიკურ **პლურალიზმს**, პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას, მაგრამ აქვე აწესებს მის ჩარჩოებს. დემოკრატიულ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები არის **საჯარო** და გამჭვირვალე, საზოგადოება ჩართულია ქვეყნის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. სახელმწიფო იცავს **მოქალაქებს** და ანაწილებს ქვეყნის **ბიუჯეტს**. სამართლებრივ სახელმწიფოში უზენაესია კანონი. კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი **წარმომადგენლობითი ორგანოა**, რომელიც იღებს კანონებს, ირჩევს მთავრობას და აკონტროლებს მის საქმიანობას. საქართველოს პარლამენტი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში. პარლამენტი ირჩევა 4 წლის ვადით. **პროპორციული სისტემით** ირჩევენ 77 წევრს და **მაჟორიტარული სისტემით** – 73 პარლამენტარს.

3.3. ლექსიკა:

უზენაესი – ყველაფერზე მაღლა მდგომი.

უფლება – მოქმედების, რაიმეს კეთების შესაძლებლობა.

წყობილება – სახელმწიფოებრივი მმართველობის წესი.

დემოკრატია – სახელმწიფოს მართვის ფორმა, როდესაც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

პლურალიზმი – აქ: აზრთა სხვადასხვაობა.

საჯარო – ყველასათვის ხელმისაწვდომი, დაუფარავი.

მოქალაქე – პიროვნება, რომლის უფლებებს იცავს სახელმწიფო, რომელშიც ცხოვრობს.

ბიუჯეტი – შემოსავლებისა და გასავლების ერთობლიობა. აქ: ფინანსური საშუალებები.


წარმომადგენლობითი ორგანო – ორგანიზაცია, რომელშიც ხალხს თავისი წარმომადგენლები ჰყავს (უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა პარლამენტი, ადგილობრივი კი – საკრებულო).

პროპორციული სისტემა – სისტემა, რომელიც არჩევნებში პარტიათა მიერ მიღებული ხმების პროცენტით ადგენს პარლამენტართა რაოდენობას.

მაჟორიტარული სისტემა – სისტემა, რომელიც გულისხმობს არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის გამარჯვებას. მან ხმების 50%-ზე მეტი უნდა მიიღოს.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა ეწოდება საქართველოს უზენაეს კანონს?
2. რას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია?
3. რა არის საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილება?
4. რას ნიშნავს დემოკრატიის პრინციპი?
5. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რომელი ორგანო იღებს კანონებს და ირჩევს მთავრობას?
6. რა და რა სისტემით ირჩევენ პარლამენტარებს?



ა.



დაიმახსოვრეთ!

რა?	როგორი?
სამართალი [კანონის] მუხლი	სამართლებრივი სახელმწიფო მუხლობრივი განხილვა



ასეთივე სიტყვებია:

რა?	როგორი?	რა?	როგორი?
ადგილი → ადგილობრივი		ბუნება → ბუნებრივი	
დარგი → დარგობრივი		გონება → გონებრივი	
დედა → დედობრივი		დანაშაული → დანაშაულებრივი	
ენა → ენობრივი		საზოგადოება → საზოგადოებრივი	
მასა → მასობრივი		სარწმუნოება → სარწმუნოებრივი	
რასა → რასობრივი		უფლება → უფლებრივი	
მიზანი → მიზნობრივი		სახელმწიფო → სახელმწიფოებრივი	
ფაქტი → ფაქტობრივი		ქონება → ქონებრივი	

3.5. გამოყავით ზმნები; გადაიყვანეთ ტექსტი ახლანდელ დროში!

ნიკო ბავშვობიდანვე პარლამენტარივით იქცეოდა. კლასის კანონებს ადგენდა, უცებ იღებდა გადაწყვეტილებას, აწესებდა მორიგეობას, ჭკვიან მოსწავლეს ნიშნავდა სუსტის დამხმარედ, იცავდა დაჩაგრულს, ადგენდა თამაშის წესებს. ყველა მას უკერებდა. ნიკო არასდროს ცელქობდა ჩვენსაკენ.



დაიმახსოვრეთ!

-**ვით** გამოხატავს მსგავსებას. ის გამოიყენება სახელობითთან და მიცემითთან: მაგ., ეს წესი კანონ**ივით** მოქმედებს.
დანია საქართველოს**სავით** პატარა ქვეყანაა.
ისიც ჩემ**სავით** ფიქრობს.



ჩემ სავით	ჩვენ სავით
შენ სავით	თქვენ სავით
მას სავით	მათ სავით

3.6. ჩასვით დიალოგში გამოთვებული ზმნები:

მეტყვი	გავდივართ
გვკითხავს	ჩავაბაროთ
ეწინააღმდეგებოდეს	

ვაჟა: რა უნდა _____ დღეს სემინარზე?

ილია: საქართველოს კონსტიტუციას _____, კითხვებიც იქიდან იქნება.

ვაჟა: ძირითად საკითხებს ხომ ვერ _____?

ილია: მმართველობის ფორმები, მთავრობისა და პრეზიდენტის ფუნქციები, ადამიანის უფლებები და მოვალეობები. რა ვიცი, კიდევ უამრავი საკითხია.

ვაჟა: დემოკრატიის პრინციპებზე არაფერს _____?

ილია: როგორ არა, ესეც ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ვაჟა: ამდენ საკითხს რა ისწავლის?

ილია: მთავარი ერთია, კონსტიტუციას არაფერი არ უნდა _____.

3.7. ა) წაიკითხეთ დიალოგი!

შვილი: მამა, რას ნიშნავს პროპორციული სისტემა?

მამა: გამარჯვებული დეპუტატები პარტიული სიით, ანუ პროპორციული სისტემით, არიან არჩეულნი.

შვილი: აბა, მაჟორიტარული სისტემა რაღას ნიშნავს?

მამა: მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში კანდიდატი არჩევნებში დამოუკიდებლად იყრის კენჭს.

შვილი: მგონი, ყველაფერი გავიგე.

მამა: კარგია, რომ გაინტერესებს, მალე 18 წლის ხდები!

ბ) დაასრულეთ წინადადებები [1-4] მათთან აზრობრივად დაკავშირებული კონტექსტებით [ა-დ]:

1. პროპორციული სისტემის მიხედვით
2. მაჟორიტარული სისტემის მიხედვით
3. არჩევნებში მონაწილეობენ
4. არჩევნებში მონაწილეობის უფლება

ა. პარტიული სიით დარეგისტრირებული და დამოუკიდებელი კანდიდატები.

ბ. დეპუტატები პარლამენტში პარტიული სიით ხვდებიან.

გ. კანდიდატები არჩევნებში დამოუკიდებლად იყრიან კენჭს.

დ. მოქალაქეს 18 წლიდან აქვს.

3.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეეწინააღმდეგა	ეწინააღმდეგება	შეეწინააღმდეგება
2	განსაზღვრა	[გან]საზღვრავს	განსაზღვრავს
3	დაადგინა	ადგენს	დაადგენს
4	დანიშნა	ნიშნავს	დანიშნავს



3.9. მოსმენა

საუბარი თემაზე: ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

ხელშეუვალი – იგივეა, რაც ხელშეუხებელი

3.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ნინომ წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე: ადამიანის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები.	
აკბალულია თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.	
მოქალაქეს აქვს უფლება, ზოგ შემთხვევაში სხვის პირად ცხოვრებაში ჩაერიოს.	
სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა.	

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. ბავშვების აზრით, რომელი საკითხებია მნიშვნელოვანი კონსტიტუციაში?
2. გიორგის პასუხის მიხედვით, რა გზას ადგას თანამედროვე მსოფლიო?
3. რატომ არის ნინოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კონფიდენციალობის საკითხი?
4. დამრიგებლის აზრით, რას უწყობს ხელს კონსტიტუციის ცოდნა?

3.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და მოსმენილი დიალოგის მიხედვით ააგეთ ახალი დიალოგი!

3.14. საპრეზენტაციო თემა

კონსტიტუციის რომელი მუხლი არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?

ა.

[ის] იცავდეს [ისინი] იცავდნენ



დაიმახსოვრეთ!

ასეთი ფორმები ხშირად გამოიყენება **უნდა** და **შეიძლება** ზმნებთან ერთად.

მაგ., მან უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის კონსტიტუცია.

ეს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თქვენს აზრს.

ბ.

ხელს შეუწყობს – დაეხმარება, დახმარებას გაუწევს.



ხელი შეუშალა – წინააღმდეგობა გაუწია რაიმე საქმეში, დაბრკოლება შეუქმნა.

ხელი შეუწყო – დაეხმარა, დახმარება გაუწია.

ხელი გაუმართა – მატერიალურად დაეხმარა, ფინანსური დახმარება გაუწია.

ხელში ჩაიგდო – მოიპოვა, დაეუფლა, დაისაკუთრა, დაიპყრო.



დააკვირდით!

როცა მეორე პირს ზრდილობიანად მიმართავთ, მაშინ გამოიყენეთ შემდეგი ფორმები:

- ხელი შეგიშალეთ, ბატონო?!
- ხელი შეგიწყვეთ და მაინც უსამართლოდ მექცევით.
- მე ხომ ხელი გაგიმართეთ, უკმაყოფილო რატომ ხართ?!

3.15. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **მე და ჩემი ქვეყნის კონსტიტუცია**

3. 16. თემატური გამონათქვამი:

„კონსტიტუცია არის საბრძოლო იარაღი და კარაქი“
/ფერდინანდ ლასალი/.

უპასუხეთ კითხვას:

- როგორ გესმით ეს გამონათქვამი?

3.17. სახალისო გამონათქვამები:

ა. კონსტიტუცია ბავშვებს ბაღის ასაკიდანვე უნდა წაუკითხო, ეს ხომ ყველაზე კეთილი ზღაპარია!

ბ. ჩვენი კონსტიტუცია უნივერსალურია, გამოდგება დემოკრატიისთვისაც და დიქტატურისთვისაც.

უპასუხეთ კითხვას:

- როგორ გესმით მოცემული გამონათქვამები?

ლექსიკა

ბიუჯეტი — შემოსავლებისა და გასავლების ერთობლიობა; აქ: ფინანსური საშუალებები.

დაპყრობა — ხელში ჩაგდება, დასაკუთრება.

დეკლარაცია — განაცხადის, აქტის, დოკუმენტის ერთ-ერთი ფორმა.

დემოკრატია — სახელმწიფოს მართვის ფორმა, როდესაც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

ვეტო — სახელმწიფოს მეთაურის უფლება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს კანონის მიღება ან რაიმე ინიციატივა.

კენჭისყრა — არჩევნებში ხმის მიცემა.

ლეგიტიმაცია — რაიმე ქმედების ან ფაქტის კანონიერების იურიდიული აღიარება.

მაჟორიტარული სისტემა — არჩევნების დროს მოქმედი სისტემა, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელი კანდიდატის გამარჯვებას. მან ხმების 50%-ზე მეტი უნდა მიიღოს.

მემკვიდრეობა — ძალაუფლების ან ქონების გადაცემა მშობლიდან შვილზე.

მონარქია — მონარქის, ანუ მეფის, მმართველობა.

მუხლი — იურიდიული დოკუმენტის მცირე ნაწილი.

მუხლობრივი — მუხლების მიხედვით.

პასუხისმგებლობა – ვალდებულება ვინმეს, რამის წინაშე.

პლურალიზმი – აზრთა სხვადასხვაობა.

პროპორციული სისტემა – არჩევნების დროს მოქმედი სისტემა, რომელიც პარტიათა მიერ მიღებული ხმების პროცენტით ადგენს პარლამენტართა რაოდენობას.

რესპუბლიკა – სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომელშიც ხელისუფლებას ხალხი ირჩევს.

რეფერენდუმი – საყოველთაო გამოკითხვა.

საბჭო – ადგილი, სადაც თათბირობენ, იღებენ გადაწყვეტილებას.

[სამართლებრივი] აქტი – ხელისუფლების ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული დოკუმენტის ერთ-ერთი ფორმა.

სამოქალაქო ომი – სახელმწიფოში ძალაუფლებისათვის ბრძოლა მოქალაქეებს შორის.

[სახელმწიფო] ორგანო – სახელმწიფო დაწესებულება, რომლის საშუალებითაც მართავენ ქვეყანას.

საჯარო – ყველასათვის ხელმისაწვდომი, დაუფარავი.

ტიპი – იგივეა, რაც სახე, სახეობა.

უზენაესი – ყველაფერზე მაღლა მდგომი.

უპირატესობა – განსაკუთრებული უფლება, პრივილეგია.

უფლება – მოქმედების, რაიმეს კეთების შესაძლებლობა.

შეზღუდული – წესებისა და საზღვრების მქონე.

შემოჭრა – შემოსვლა ძალის გამოყენებით.

შემუშავება – მუშაობის შედეგად რაიმეს შექმნა.

შეზღუდავი – ჩარჩოებისა და საზღვრების გარეშე, ყველანაირი უფლების მქონე.

ძალაუფლება – ქვეყნის მართვის დროს უფლების, სამართლებრივი ძალის ქონა.

წარმომადგენლობითი ორგანო – საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესების გამომხატველი სტრუქტურა (უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა პარლამენტი, ადგილობრივი კი – საკრებულო).

წყობილება – სახელმწიფოებრივი მმართველობის წესი.

ზმნები

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი+ უნდა	თურმობითი	საწყისი
	რას შერება?	რას შერებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	ადგენს	ადგენდა	დაადგინა	დაადგენს	დაადგინოს	დაუდგენია	დადგენა
2	ათავისუფლებს	ათავისუფლებდა	გაათავისუფლა	გაათავისუფლებს	გაათავისუფლოს	გაუთავისუფლებია	გათავისუფლება
3	აუქმებს	აუქმებდა	გააუქმა	გააუქმებს	გააუქმოს	გაუუქმებია	გაუქმება
4	აქვეყნებს	აქვეყნებდა	გამოაქვეყნა	გამოაქვეყნებს	გამოაქვეყნოს	გამოუქვეყნებია	გამოქვეყნება
5	აწარმოებს	აწარმოებდა	აწარმოა	აწარმოებს	აწარმოოს	უწარმოებია	წარმოება
6	აწესებს	აწესებდა	დააწესა	დააწესებს	დააწესოს	დაუწესებია	დაწესება
7	[გან]საზღვრავს	[გან]საზღვრავდა	განსაზღვრა	განსაზღვრავს	განსაზღვროს	განუსაზღვრავს	განსაზღვრა
8	ეწინააღმდეგება	ეწინააღმდეგებოდა	შეეწინააღმდეგა	შეეწინააღმდეგება	შეეწინააღმდეგოს	შესწინააღმდეგებია	შეწინააღმდეგება
9	იპყრობს	იპყრობდა	დაიპყრო	დაიპყრობს	დაიპყროს	დაუპყრია	დაპყრობა
10	ირჩევს	ირჩევდა	აირჩია	აირჩევს	აირჩიოს	აურჩევია	არჩევა
11	იღებს	იღებდა	მიიღო	მიიღებს	მიიღოს	მიუღია	მიღება
12	იცავს	იცავდა	დაიცვა	დაიცავს	დაიცვას	დაუცავს	დაცვა
13	კარგავს	კარგავდა	დაკარგა	დაკარგავს	დაკარგოს	დაუკარგავს	დაკარგვა
14	ნიშნავს	ნიშნავდა	დანიშნა	დანიშნავს	დანიშნოს	დაუნიშნავს	დანიშვნა
15	სარგებლობს	სარგებლობდა	ისარგებლა	ისარგებლებს	ისარგებლოს	უსარგებლობია	სარგებლობა
16	ქმნის	ქმნიდა	შექმნა	შექმნის	შექმნას	შეუქმნია	შექმნა

II ტავი

საქართველოს პარლამენტი

I ნაწილი

საქართველოს პარლამენტი და მისი სტრუქტურა

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რისი შენობაა გამოსახული ილუსტრაციაზე? გინახავთ თუ არა იგი?
2. რისი დარბაზია გამოსახული ილუსტრაციაზე?
3. თქვენი აზრით, ვინ მუშაობენ ამ დარბაზში და რას აკეთებენ ისინი?

1.2. ტექსტი:

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო **ხელისუფლებას**, განსაზღვრავს ქვეყნის **საშინაო და საგარეო პოლიტიკას**, აკონტროლებს **ადმინისტრაციული ხელისუფლების** – მთავრობის – საქმიანობას და სხვ.

პირველი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1919 წელს შეიქმნა. მას ეწოდებოდა „საქართველოს დამფუძნებელი კრება“. იგი საქართველოს პარლამენტის მაგივრობას **ეწეოდა**.

ამჟამად საქართველოს პარლამენტი არის **ერთპალატიანი ორგანო**, რომელსაც ირჩევენ ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრისგან. პარლამენტი შეიძლება დაითხოვოს საქართველოს პრეზიდენტმა მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში. პარლამენტს ირჩევენ 4 წლის ვადით. მისი უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით.

პარლამენტის წევრი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლებების **მქონე** საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

პარლამენტის მუშაობას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე. მას ჰყავს მოადგილეები. საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების, პარლამენტის მიერ მთავრობისა და სხვა ორგანოების კონტროლის მიზნით პარლამენტში იქმნება **კომიტეტები**. პარლამენტის წევრებს

შეუძლიათ გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციებში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები. პარლამენტში იქმნება საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები. საქართველოს პარლამენტში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს **უმრავლესობა** და **უმცირესობა**.

მე ვაკონტროლებ მთავრობის მუშაობას.
პარლამენტის წევრებს შეუძლიათ გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციებში.

პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.
პარლამენტმა განსაზღვრა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

1.3. ლექსიკა:

საკანონმდებლო ხელისუფლება — ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შექმნა.

ადმინისტრაციული ხელისუფლება — ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შესრულების კონტროლი.

[მის მაგივრობას] ეწევა — მის ნაცვლად მოქმედებს.

ერთპალატიანი ორგანო — ორგანიზაცია, რომელიც შედგება ერთი პალატისაგან (პალატა — აქ: საკანონმდებლო დაწესებულება).

მქონე — რაიმეს მფლობელი.

კომიტეტი — არჩევითი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე საქმიანობას.


[საპარლამენტო] ფრაქცია — ამა თუ იმ პარტიის ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც იქმნება პარტიის მიერ შემუშავებული გეგმის გასათარებლად.

უმრავლესობა — აქ: პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი, რომელსაც მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

უმცირესობა — აქ: პარლამენტის წევრთა მცირე ნაწილი, რომელსაც მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა სახის ორგანოა საქართველოს პარლამენტი?
2. რა ფუნქცია აქვს საქართველოს პარლამენტს?
3. რა ერქვა პირველ წარმომადგენლობით ორგანოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში?
4. როგორ ირჩევენ საქართველოს პარლამენტს?
5. რამდენი წევრისგან შედგება საქართველოს პარლამენტი?
6. რით არის განსაზღვრული პარლამენტის უფლება-მოვალეობანი?
7. ვინ უძღვება პარლამენტის მუშაობას?
8. რა მიზნით იქმნება პარლამენტში კომიტეტები?
9. რა მიზანი აქვს საპარლამენტო ფრაქციას?



დაიმახსოვრეთ!

კანონმდებლობა	→	საკანონმდებლო ორგანო
გარე[თ]	→	საგარეო პოლიტიკა

1.5. წაიკითხეთ დიალოგი; ხაზი გაუსვით ფრაზებს, რომლებშიც ჩანს ხელისუფლების ფუნქციები!

მოსწავლე: რატომ არის აუცილებელი ქვეყანაში პარლამენტი, თუკი მას ჰყავს მთავრობა?

მასწავლებელი: იმიტომ, რომ მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ.

მოსწავლე: ჩემი აზრით, ქვეყანას მხოლოდ მთავრობა მართავს.


მასწავლებელი: არ გეთანხმები. მთავრობას, ანუ მინისტრთა კაბინეტს, დიდი როლი აქვს ქვეყნის მართვაში. ის აღმასრულებელი ხელისუფლებაა და კანონის აღსრულებას აკონტროლებს. თავადაც ადგენს აქტებს, მაგრამ ქვეყნის ძირითად კანონს პარლამენტი – საკანონმდებლო ხელისუფლება – ქმნის.

მოსწავლე: კიდევ რას აკეთებს პარლამენტი?

მასწავლებელი: განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას.

მოსწავლე: მთავრობასაც სჭირდება კონტროლი?

მასწავლებელი: ისეთი არავინ მეგულება, კონტროლი რომ არ სჭირდებოდეს.



სახ.	არაპინ	არაფერი
მოთხრ.	არაპინ	არაფერმა
მიც.	არაპის	არაფერს
ნათ.	არაპის	არაფერის
მოქმ.	----	არაფერი
პით.	----	არაფერად
წოდ.	----	----

მაგ.,
 არაპინ შეგიშლით ხელს, კარებს დაეხურავ.
 ისე თოვს, წინ ვერაფერს ვხედავ.
 დარბაზში არ ვიყავი და არაფერი დამინახავს.
 ჩემს კაბინეტში ნურაპის შემოუშვებთ!

1.6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

ანდრო, ნანა, გიორგი და მანანა ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. გაარკვიეთ, კონკრეტულად რომელ ხელისუფლებას წარმოადგენს თითოეული მათგანი.

- ა. ანდრო პრემიერ-მინისტრის მრჩეველია, ე.ი. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- ბ. ნანა პარლამენტის თავჯდომარეა. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- გ. გიორგი საქართველოს პარლამენტის წევრია. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- დ. მანანა მინისტრის მოადგილეა. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.

ის წარმოადგენს თავის ქვეყანას.

1.7. წაიკითხეთ დიალოგი; ხაზი გაუსვით საპარლამენტო სტრუქტურისათვის დამახასიათებელ ლექსიკას!

იზო: გავიგე, ლია პარლამენტარი გახდა. მართალია?

გივი: რა, ტელევიზორს არ უყურებ?!

იზო: როგორ არა, მაგრამ საინფორმაციოს – ნაკლებად!

გივი: პარლამენტის თავმჯდომარემ გარემოს დაცვის კომიტეტშიც შეიყვანა. ერთ-ერთი ფრაქციის წევრიცაა.

იზო: პარტიული სიით გავიდა?

გივი: ჰო, რა თქმა უნდა.

იზო: რომელი პარტიიდან?

გივი: ნაციონალებიდან.

იზო: ე.ი. უმრავლესობას წარმოადგენს.

გივი: პირიქით, დღეს ნაციონალები უმცირესობაში არიან.

1.8. წაიკითხეთ შესიტყვებები და ააგეთ წინადადებები!

საკანონმდებლო ხელისუფლება
წარმომადგენლობითი ორგანო
მაჟორიტარული სისტემა
პარლამენტის თავმჯდომარე
საპარლამენტო ფრაქცია

აღმასრულებელი ხელისუფლება
პროპორციული სისტემა
საქართველოს მოქალაქე
საპარლამენტო კომიტეტი
საგამოძიებო კომისია

1.9. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განახორციელა	ახორციელებს	განახორციელებს
2	გააკონტროლა	აკონტროლებს	გააკონტროლებს
3	მოითხოვა	ითხოვს	მოითხოვს
4	გაერთიანდა	ერთიანდება	გაერთიანდება



1. 10. მოსმენა

ინტერვიუ ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტართან

არა უშავს – იგივეა, რაც არაფერია; ისეთი არაფერი დაშავებულა [//გაფუჭებულა]. მაგ., არა უშავს, ნუ ნერვიულობ, დავალებას ახლიდან დავწერ.

1. 11. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები!

რამდენი წლიდან შეიძლება პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

ა. 18 წლიდან.

ბ. 21 წლიდან.

გ. 35 წლიდან.

არის თუ არა საჭირო პარლამენტში მოსახვედრად გქონდეს სპეციალური უმაღლესი განათლება?

- ა. აუცილებელია, იყო იურისტი.
- ბ. აუცილებელია, „საერთაშორისო ურთიერთობების“ ფაკულტეტი გქონდეს დამთავრებული.
- გ. უმაღლესი განათლება არ არის აუცილებელი.

რა არის პარლამენტის მოვალეობა?

- ა. განახორციელოს საკანონმდებლო ხელისუფლება.
- ბ. განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.
- გ. აკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მთავრობის, საქმიანობა.
- დ. ყველა პასუხი სწორია.

მინიმუმ რამდენი წევრისგან უნდა შედგებოდეს საპარლამენტო ფრაქცია?

- ა. 6 წევრისგან.
- ბ. 9 წევრისგან.
- გ. 10 წევრისგან.


1.12. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

1. ვახო, შენ წინა მოწვევის პარლამენტში შეხვედი ძალიან ახალგაზრდა, მას შემდეგ, რაც 21 წელი _____.
2. ისეთ საქმეებს, როგორებიცაა საშინაო და საგარეო პოლიტიკა ან თუნდაც მთავრობის კონტროლი, თავს ართმევენ მხოლოდ პარლამენტართა გაერთიანებები, მაგალითად, _____, რომლებშიც, სულ ცოტა, 6 წევრი მაინც უნდა შედიოდეს.
3. ინგა, შენ თუ არ დაგავიწყდა, მე ერთ-ერთი ვიყავი იმ _____ ხალხმა ამირჩია.
4. არა უშავს, _____ დიდი გამოცდილება მომცა. ასე რომ, მომავალში პოლიტიკურ ფრონტზე ვაპირებ ბრძოლის გაგრძელებას.

1.13. საპრეზენტაციო თემა

შეცვლილით თუ არა კანონის იმ მუხლს, რომელიც საქართველოს მოქალაქეს 21 წლიდან საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს?

ა.



ალ- და **ა-** მიუთითებს მიმართულებას ქვემოდან ზემოთ

რას იზამს?	რა?
ალ ნიშნავს – რაიმეს იტყვის ან ჩაინიშნავს [მაგ., რვეულში]	→ ალ ნიშვნა
ალადგენს – თავიდან გააკეთებს	→ ალდგენა
ალწერს – ჩამოთვლის, სიას შეადგენს	→ ალწერა
ალბრდის – გაბრდის, კარგ ქცევას ასწავლის	→ ალბრდა
ალრიცხავს – დათვლის, იანგარიშებს, რაოდენობას დაითვლის	→ ალრიცხვა
ალძრავს – საქმეს წამოიწყებს, საჩივარს შეიტანს სასამართლოში	→ ალძვრა

რას იზამს?	რა?
აკრძალავს → აკრძალვა	
მაგ., ვფიქრობ, დირექტორი ამ წესს აკრძალავს. ეს აკრძალვა მე არ მეხება. ექიმები სპორტზე სიარულს მიკრძალავენ.	

1.14. წერა

იმჯელეთ საკითხზე - **მე რომ პარლამენტარი ვიყო...**

1. 15. წაიკითხეთ ტექსტი:

ბუნებამ ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მიხედვით თანასწორნი შექმნა. მართალია, რომ ზოგჯერ ერთი ადამიანი მეორეზე უფრო ღონიერი და ჭკვიანია, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ მათ შორის ისეთი განსხვავება არ არის, რომ რომელიმეს პრივილეგია მიენიჭოს

/თომას ჰობსი/.

უპასუხეთ კითხვებს!

- რომელ პრინციპს უნდა ემყარებოდეს დემოკრატიული საზოგადოების განვითარება?
- ტექსტში იპოვეთ სიტყვა, რომელიც ამ პრინციპს გამოხატავს!
- ეთანხმებით თუ არა თომას ჰობსის მოსაზრებას და რატომ?

II ნაწილი საკანონმდებლო პროცესი

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. ვინ სხედან პარლამენტის დარბაზში?
3. თქვენი აზრით, როგორ იღებენ კანონებს?

2.2. ტექსტი:

საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა **საკანონმდებლო საქმიანობა**. საქართველოს პარლამენტი კანონებს წინასწარ **დადგენილი** წესებით იღებს. საკანონმდებლო პროცესი 4 ეტაპისგან შედგება. ეს ეტაპებია: საკანონმდებლო **ინიციატივა**, **კანონპროექტის** განხილვა, **კანონის მიღება** და კანონის გამოქვეყნება.

საკანონმდებლო ინიციატივა საკანონმდებლო პროცესის საწყისი ეტაპია. პარლამენტში მისი წარმოდგენის უფლება აქვს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, **ამომრჩევლებს** (არანაკლებ 30 000-ისა). საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს პარლამენტში კანონპროექტის ტექსტის წარდგენას. წინასწარი მოსმენის შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა შესაბამის კომისიას. კომისიას შეუძლია მასში შესწორებების შეტანა.

საკანონმდებლო პროცესის შემდეგი ეტაპია კანონპროექტის განხილვა, რისთვისაც ინიშნება საპარლამენტო მოსმენები. პირველი მოსმენის დროს პარლამენტი განიხილავს კანონპროექტის ძირითად **დებულებებს** და იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს განხილვა მეორე მოსმენისას თუ **უარყოს** იგი. მეორე მოსმენის დროს კანონპროექტი განიხილება თავებისა და მუხლების მიხედვით. მესამე მოსმენის დროს კენჭისყრის საფუძველზე კანონი მიიღება.

საკანონმდებლო პროცესის ბოლო ეტაპია კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება. პარლამენტის მიერ კანონის მიღების შემდეგ იგი გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს კანონპროექტს 10 დღის ვადაში და აქვეყნებს მას. პრეზიდენტს შეუძლია დაუბრუნოს კანონპროექტი პარლამენტს შენიშვნებით. ამ შემთხვევაში ის იყენებს ვეტოს უფლებას. პარლამენტი იხილავს პრეზიდენტის შენიშვნებს და კენჭს უყრის კანონპროექტს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა **ვეტო გადალახა**, კანონპროექტი ისევ პრეზიდენტს გადაეცემა ხელმოსაწერად. თუ პრეზიდენტმა მაინც არ მოაწერა ხელი კანონპროექტს, მაშინ მას ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე და თვითონვე აქვეყნებს.

საქართველოს პარლამენტის მუშაობის ასეთი სისტემა თავისი შინაარსით **დემოკრატიულია** და ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

პრეზიდენტმა დაადო ვეტო
პრეზიდენტმა მოხსნა ვეტო
პარლამენტმა ვეტო გადალახა

ვეტოს დადება
ვეტოს მოხსნა
ვეტოს გადალახვა

იხილავს – 1. ნახავს; 2. განიხილავს, იმსჯელებს.
მაგ., ის თავისი თვალთ იხილავს ჩვენს დედაქალაქს.
პარლამენტი [გან]იხილავს პრეზიდენტის შენიშვნებს.

2.3. ლექსიკა:

საკანონმდებლო საქმიანობა – კანონების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები, მოქმედებები.

დადგენილი – დაწესებული, დადგენილების მიხედვით განსაზღვრული.

ინიციატივა – წამოწყება, რაიმე წინადადების შეთავაზება.

კანონპროექტი – კანონის პროექტი, რომელიც კანონად იქცევა მისი მიღება-გამოქვეყნების შემდეგ.

კანონის მიღება – დაკანონება.

ამომრჩეველი – ის, ვინც იღებს არჩევნებში მონაწილეობას.

დებულება – აქ: წერილობით ჩამოყალიბებული აზრი, წესი.

უარყოს – უარი თქვას (მასზე).

ვეტოს გადალახვა – იმ მიზეზების დაძლევა, რომელთა გამოც იყო ვეტო დადებული.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. როგორ იღებენ პარლამენტში კანონებს?
2. რამდენი ეტაპისაგან შედგება საკანონმდებლო პროცესი? (ჩამოთვალეთ ეტაპები!)
3. რას აკეთებენ საკანონმდებლო პროცესის საწყის ეტაპზე?
4. ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?
5. რამდენი ეტაპისაგან შედგება კანონპროექტის განხილვა?
6. რა კეთდება საკანონმდებლო პროცესის ბოლო ეტაპზე?
7. რისი უფლება აქვს პრეზიდენტს საკანონმდებლო პროცესის ბოლო ეტაპზე?

სინონიმები	ანტონიმები
ეტაპი – საფეხური გულისხმობს – ნიშნავს შესწორება – კორექტირება წარდგენა – პრეზენტაცია	ბოლო – პირველი



ეტაპი საფეხური

მაგ., უცხო ენის შესწავლა რამდენ ეტაპადაა დაყოფილი?
ქართული ენის შესწავლის რომელ საფეხურზე ხარ?

რა?	როგორი?
დემოკრატია	→ დემოკრატიული
კონსტიტუცია	→ კონსტიტუციური

2.5. საკანონმდებლო პროცესის რომელ ეტაპს ასახავს მოცემული დიალოგი? თქვენი აზრი დაასაბუთეთ!

პარლამენტარი: ჩვენმა ფრაქციამ პარლამენტში წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც კომისიას გადაეცა განსახილველად.

პარლამენტის თავმჯდომარე: დიახ, კომისიამ მასში ცვლილებები შეიტანა. დღეს სწორედ თქვენს კანონპროექტს განვიხილავთ.

პარლამენტარი: სანამ მეორე მოსმენაზე გადავიდოდეთ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ განვმარტო ამ კანონპროექტის მნიშვნელობა.

პარლამენტის თავმჯდომარე: თქვენ ერთხელ უკვე განმარტეთ, მაგრამ თუ გსურთ, კი ბატონო. გთხოვთ, ჩართოთ პირველი მიკროფონი!

სახ.	თქვენი	კანონპროექტი
მოთხრ.	თქვენმა	კანონპროექტმა
მიც.	თქვენს	კანონპროექტს და სხვ.

ნება მიბოძეთ – იგივეა, რაც ნება, ანუ უფლება, მომეცით.
მაგ., ნება მიბოძეთ, თქვენ მიერ შედგენილი ხელშეკრულება იურიდიულად გავაფორმო.

2.6. უპასუხეთ კითხვას:

- თქვენი აზრით, რატომ დაიწუნეს კანონპროექტი პარლამენტარებმა?

საპარლამენტო ფრაქციამ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი სიკვდილით დასჯის შესახებ. ფრაქციის წევრები ფიქრობდნენ, რომ არსებობს ისეთი სახის დანაშაული, რომლის ჩადენის შემთხვევაში ადამიანი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. მათ მოჰყავდათ მაგალითებიც. პირველივე მოსმენაზე საპარლამენტო უმრავლესობამ კანონპროექტი უარყო.

2.7. საკანონმდებლო პროცესის რომელ ეტაპს ასახავს მოცემული დიალოგი? თქვენი აზრი დაასაბუთეთ!

პრეზიდენტი: პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი მიიღო და ხელმოსაწერად გადმომეცა.

მრჩეველი: ათი დღის ვადაში ხელი უნდა მოაწეროთ, ან....

პრეზიდენტი: არავითარი „ან“! ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები გვავალდებულებს ამ კანონის მიღებას.

მრჩეველი: ვისი მომზადებულია კანონპროექტი?

პრეზიდენტი: იუსტიციის სამინისტრომ იმუშავა და მთავრობას წარუდგინა, მთავრობამ პარლამენტს გაუგზავნა.

მრჩეველი: გატყობთ, ვეტოს დადებას არ აპირებთ.

პრეზიდენტი: არავითარ შემთხვევაში. ყოველმხრივ ვეთანხმები. ჩემი ხელმოწერის შემდეგ კანონი ოფიციალურად შევა ძალაში.

ძალაში შევა – იგივეა, რაც ამოქმედდება, იურიდიული ძალა ექნება. მაგ., ეს კანონი ორ დღეში ძალაში შევა.

2.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გადასცა	გადასცემს	გადასცემს
2	დაინიშნა	ინიშნება	დაინიშნება
3	გააგრძელა	აგრძელებს	გააგრძელებს
4	მოაწერა	აწერს	მოაწერს

[ის] შევიდა [ისინი] შევიდნენ



დაიმახსოვრეთ!



მინისტრ^ი თავის კაბინეტში გვიან დაბრუნდა.
ახალი კანონპროექტ^ი პარლამენტში დღეს შევიდა განსახილველად.



2.9. მოსმენა

საპარლამენტო არჩევნები (პირდაპირი ეთერი)

დავხვეწით – გავაუმჯობესოთ, უკეთესი გავხადოთ

2.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

უმრავლესობის მიერ წარდგენილმა კანონპროექტებმა გაიარა საკანონმდებლო პროცესის სამი ეტაპი.	
პრეზიდენტს არ დაუდია ვეტო უმრავლესობის მიერ წარდგენილ პროექტებზე.	
საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი ევროკავშირში შესვლის თაობაზე.	
ბატონი დავითის აზრით, უმრავლესობის საქმიანობა წარმატებული იყო.	

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- რა გააკეთა ყოფილი პარლამენტის (წინა მოწვევის) უმრავლესობამ ქვეყნის წინსვლისთვის?
- გულისხმობს თუ არა პრეზიდენტის მიერ ვეტოს არდადება კანონპროექტის მხარდაჭერას?
- რა საკითხზე ჩატარდა რეფერენდუმი და რა გადაწყვეტილება მიიღო ხალხმა?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ რეფერენდუმის გადაწყვეტილება მომავალში შესრულდეს?

2.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.13. საპრეზენტაციო თემა

რა თვისებები სჭირდება მაჟორიტარობის კანდიდატს, საპარლამენტო არჩევნებში რომ გაიმარჯვოს?

ა.

ბარდა – გამოვიყენოთ მაშინ, როცა რაიმეს გამოვრიცხავთ.

მაგ., ამ კანონპროექტის გარდა ახალ ინიციატივასაც წარვუდგენთ პარლამენტს.

ნაცვლად – გამოვიყენოთ მაშინ, როცა რაიმე უნდა შეიცვალოს (იგივეა, რაც: მაგივრად).

მაგ., ამ კანონის ნაცვლად უფრო დემოკრატიულ კანონს მივიღებთ.

ბ.

როცა აჯამებთ ნათქვამს, აზრს ან ტექსტს, გამოიყენეთ სიტყვები:

ამრიგად ან **მაშასადამე**.

წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით!

მაგ., ამრიგად, საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა.

მაშასადამე, საქართველოში მმართველობის

დემოკრატიული ფორმებია.

გ.

თუ, **მაშინ**

მაშინ, **თუ**

2.14. წერა:

იმჯელეთ საკითხზე – **რა საკანონმდებლო ინიციატივას წამოვაყენებდი, ეს რომ შემეძლოს?**

III ნაწილი

პარლამენტის არჩევნები და მისი დათხოვნა.
იმპიჩმენტი, რეფერენდუმი

3.1. ტექსტი:

საქართველოს პარლამენტს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს სამოცი დღისა. ახლად არჩეული პარლამენტი მუშაობას იწყებს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პარლამენტის **ამოქმედებისათვის** საჭიროა, დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედი იყოს არჩეული.

პარლამენტის **დათხოვნა** შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში: 1. თუ პარლამენტი ვერ აირჩევს მთავრობას დადგენილი წესით (კენჭისყრით); 2. თუ პარლამენტი **უნდობლობას** გამოუცხადებს მთავრობას და დადგენილი წესით ვერ შეარჩევს მთავრობის სხვა შემადგენლობას; 3. თუ პარლამენტი ორი თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას. ამ შემთხვევაში ის უნდობლობას უცხადებს ძველ მთავრობას და ირჩევს ახალს. თუ ასე არ მოხდა, საქართველოს პრეზიდენტი სამი დღის ვადაში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს **რიგგარეშე** არჩევნებს. პრეზიდენტის მიერ დათხოვილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ ერთ შემთხვევაში – პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას. პარლამენტი ამტკიცებს ამ მდგომარეობას. გადაწყვეტილების მიღებისთანავე იგი წყვეტს საქმიანობას.

პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს: 1. არჩევნებიდან 6 თვის განმავლობაში; 2. **იმპიჩმენტის** პროცედურის დროს; 3. პრეზიდენტის **უფლებამოსილების** ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

იმპიჩმენტი არის კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურა, რომლის დროსაც დგება თანამდებობის პირთა **იურიდიული პასუხისმგებლობის** საკითხი. იმპიჩმენტის წესით შეიძლება თანამდებობიდან გადააყენონ პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მთავრობის წევრი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. პრეზიდენტის გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო **დაადასტურებს** პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევას ან დანაშაულის ნიშნებს იპოვის მის ქმედებაში, 15 დღის განმავლობაში კენჭი უნდა უყაროს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს. პრეზიდენტი **გადაყენებულად** ჩაივლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტართა არანაკლებ ორი მესამედისა (100 დეპუტატისა).

რეფერენდუმი არის საერთო სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად. რეფერენდუმში მონაწილეობა თავისუფალია. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ახალი რეფერენდუმით. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, პარლამენტის, მთავრობის ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 დღისა. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა.

გადაყენება

მაგ., პრეზიდენტი თანამდებობიდან გადააყენეს [აქ: იგივეა, რაც მოხსნეს, გაათავისუფლეს].

კომპიუტერში „ვინდოუსის“ პროგრამა გადავაყენე [აქ: იგივეა, რაც შევცვალე].

3.2. ლექსიკა:

ამოქმედება – მოქმედების დაწყება, ამუშავება.

[პარლამენტის] დათხოვნა – გათავისუფლება, მისი ფუნქციონირების შეწყვეტა.

უნდობლობა – ნდობის უქონლობა.

რიგგარეშე – აქ: იგივეა, რაც დადგენილი წესის გარეშე, საერთო წესიდან ამოვარდნით.

იმპიჩმენტი – პარლამენტში სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი, რომლის შედეგია პირის თანამდებობიდან გადაყენება.

უფლებამოსილება – უფლებისა და მოვალეობის ქონა.


იურიდიული პასუხისმგებლობა – სამართალდამრღვევის მიმართ იურიდიული ზომების მიღება (მაგ., თავისუფლების აღკვეთა).

დაადასტურებს – დაეთანხმება.

გადაყენება – ძალით განთავისუფლება.

3.3. ტექსტის გააზრება:

1. ვინ ნიშნავს საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს?
2. რა შემთხვევაში შეუძლია საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა?
3. რა შემთხვევაში იკრიბება პრეზიდენტის მიერ დათხოვილი პარლამენტი?
4. რა და რა შემთხვევაში ვერ დაითხოვს პრეზიდენტი პარლამენტს?
5. რა არის იმპიჩმენტი?
6. რას ითვალისწინებს იმპიჩმენტის პროცედურა?
7. რა არის რეფერენდუმი და როდის ინიშნება იგი?





დაიმახსოვრეთ!

ქალაქი	→	მოქალაქე
ვინც მხარს უჭერს	→	მომხრე

გვიან	→	უგვიანეს	→	არაუგვიანეს
ადრე	→	უადრეს	→	არაუადრეს
დიდი	→	უდიდესი	→	არაუდიდესი
მცირე	→	უმცირესი	→	არაუმცირესი
მეტი	→	უმეტესი	→	არაუმეტესი
ნაკლები	→			არანაკლები

მაგ., ფრაქციის სხდომას უნდა დაესწროს
არაუმცირეს ოცი დეპუტატისა.

3.4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები შესაბამისი ბრუნვის ფორმით!

იმპიჩმენტი	რეფერენდუმი
------------	-------------

- _____ არის საყოველთაო გამოკითხვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად.
- _____ შეიძლება თანამდებობიდან გადააყენონ პრეზიდენტი.
- _____ დროს დგება თანამდებობის პირის იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი.
- _____ მონაწილე შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა.
- პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს, _____ პროცედურის დროს.
- _____ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ახალი _____ .



გაიხსენეთ!

ამ შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს.
ჩემს გადაწყვეტილებაზე მე ვაგებ პასუხს.

3.5. წაიკითხეთ ტექსტი და გააგრძელეთ ჩამოთვლა!

უფალმა გააჩინა ადამიანი, მისცა მას სიცოცხლის უფლება და ნების თავისუფლება. დროთა განმავლობაში ადამიანი დაეუფლა სხვადასხვა ხელობას, იგრძნო ძალაუფლება, მოვიდა ქვეყნის ხელისუფლებაში და გახდა უფლებამოსილი ხალხის წინამძღოლობისა.

1. უფალი → 2. უფლება, 3. თავისუფლება, 4., 5., 6.

ნება – იგივეა, რაც სურვილი, რაიმეს ნდობა
უფლებამოსილი – უფლების მქონე

3.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გამოუცხადა	უცხადებს	გამოუცხადებს
2	შეარჩია	არჩევს	შეარჩევს
3	დაითხოვა	ითხოვს	დაითხოვს
4	დაამტკიცა	ამტკიცებს	დაამტკიცებს



3.7. მოსმენა

ინტერვიუ წინა მოწვევის პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენელთან (პირდაპირი ეთერი)

3.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

პარლამენტმა დადგენილი წესით მთავრობა ვერ აირჩია.	
შეიძლება როგორც პარლამენტის დათხოვნა, ასევე პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებაც.	
პრეზიდენტის გადაყენებას პარლამენტართა ერთი მესამედი სჭირდება.	
პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა პარლამენტის დათხოვნის შესახებ.	

3.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენი კაცია საჭირო პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის?
2. რითია უკმაყოფილო ბატონი გიორგის პარტია და ხალხი?
3. ბატონი გიორგის აზრით, რატომ არ დაითხოვა პრეზიდენტმა პარლამენტი?
4. რასაერთო აქვს პრეზიდენტსა და პარლამენტს? (უპასუხეთ, ბატონი დავითის სიტყვების მიხედვით).

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.11. საპრეზენტაციო თემა

ყველა შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ თუ არა პრეზიდენტმა და მთავრობამ მოქალაქეთა აზრი და რატომ?

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და მოცემული ნიმუშის მიხედვით ააგეთ დიალოგი!

ა. დაიმახსოვრეთ!

ჩემ წინააღმდეგ	ჩვენ წინააღმდეგ
შენ წინააღმდეგ	თქვენ წინააღმდეგ
[ი]მის წინააღმდეგ	[ი]მათ წინააღმდეგ

მაგრამ: ჩემი სურვილის წინააღმდეგ
ქვეყნის წინააღმდეგ

ბ. **ხელს აფარებს** – იცავს, მათ დანაშაულს მაღავს.

ხელი დააფარა – ვიღაცის დანაშაული დამალა, დაიცვა.
ხელი დაადო – დააბრალა რაიმე, დამნაშავედ გამოაცხადა.
ხელი მოჰკიდა – საქმე დაიწყო, საქმეს შეუდგა.
ხელი დაიბანა – საქმეში არ ჩაერია, განზე გადგა.

3.13. წერა:

იმსჯელებს საკითხზე - რატომ არის საჭირო, პარლამენტში იყოს როგორც უმრავლესობა, ისე – უმცირესობა?

3.14. ნამდვილი ამბავი:

ბრაზილიის პრეზიდენტის — დილმა რუსეფის — იმპიჩმენტის საკითხზე ბრაზილიის სენატმა გადაწყვეტილება მიიღო. იმპიჩმენტს მხარი 55-მა სენატორმა დაუჭირა, 22 სენატორი კი წინააღმდეგ წავიდა. რუსეფს სასამართლოს წინაშე მოუწია წარდგომა. მისი ადგილი დროებით ქვეყნის ვიცეპრეზიდენტმა — მიშელ ტემერმა — დაიკავა. დილმა რუსეფმა იმპიჩმენტის პროცესის წინააღმდეგ აპელაცია უზენაეს სასამართლოში შეიტანა, თუმცა მისი თხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი მას შემდეგ დადგა, რაც ის 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მითვისებაში დაადანაშაულეს.

უპასუხეთ კითხვას!

- თქვენი აზრით, რატომ არის ბიუჯეტიდან თანხების მითვისება დანაშაული?

ლექსიკა

ამომრჩეველი — ის, ვინც იღებს არჩევნებში მონაწილეობას.

ამოქმედება — მოქმედების დაწყება, ამუშავება.

ადმინისტრაციული ხელისუფლება — ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შესრულების კონტროლი.

გადაყენება — ძალით განთავისუფლება.

დადასტურება — დათანხმება.

დადგენილი — დაწესებული, დადგენილების მიხედვით განსაზღვრული.

დებულება — აქ: წერილობით ჩამოყალიბებული აზრი, წესი.

ერთპალატიანი ორგანო — ორგანიზაცია, რომელიც შედგება ერთი პალატისაგან (პალატა — აქ: საკანონმდებლო დაწესებულება).

ვეტოს გადალახვა — იმ მიზეზების დაძლევა, რომელთა გამოც იყო ვეტო დადებული.

იმპიჩმენტი — პარლამენტში სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი, რომლის შედეგია პირის თანამდებობიდან გადაყენება.

ინიციატივა — წამოწყება, რაიმე წინადადების შეთავაზება.

იურიდიული პასუხისმგებლობა — სამართალდამრღვევის მიმართ იურიდიული ზომების მიღება (მაგ., თავისუფლების აღკვეთა).

კანონის მიღება — დაკანონება.

კანონპროექტი — კანონის პროექტი, რომელიც კანონად იქცევა მისი მიღება-გამოქვეყნების შემდეგ.

კომიტეტი — არჩევითი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე საქმიანობას.

მაგივრობის გაწევა — ვინმეს ნაცვლად მოქმედება.

მქონე — რაიმეს მფლობელი.

[პარლამენტის] დათხოვნა — გათავისუფლება, მისი ფუნქციონირების შეწყვეტა.

რიგგარეშე — აქ: იგივეა, რაც დადგენილი წესის გარეშე, საერთო წესიდან ამოვარდნით.

საკანონმდებლო საქმიანობა – კანონების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები, მოქმედებები.

საკანონმდებლო ხელისუფლება – ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შექმნა.

[საპარლამენტო] ფრაქცია – ამა თუ იმ პარტიის ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც იქმნება პარტიის მიერ შემუშავებული გეგმის გასატარებლად.

უარყოფა – უარის თქმა (მასზე).

უმრავლესობა – აქ: პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი, რომელსაც მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

უმცირესობა – აქ: პარლამენტის წევრთა მცირე ნაწილი, რომელსაც მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

უნდობლობა – ნდობის უქონლობა.

უფლებამოსილება – უფლებისა და მოვალეობის ქონა.

ზმნები

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აგრძელებს	აგრძელებდა	გააგრძელა	გააგრძელებს	გააგრძელოს	გაუგრძელებია	გაგრძელება
2	ადასტურებს	ადასტურებდა	დაადასტურა	დაადასტურებს	დაადასტუროს	დაუდასტურებია	დადასტურება
3	აკონტროლებს	აკონტროლებდა	გააკონტროლა	გააკონტროლებს	გააკონტროლოს	გაუკონტროლებია	გაკონტროლება
4	ამტკიცებს	ამტკიცებდა	დაამტკიცა	დაამტკიცებს	დაამტკიცოს	დაუმტკიცებია	დამტკიცება
5	არჩევს	არჩევდა	შეარჩია	შეარჩევს	შეარჩიოს	შეურჩევია	შერჩევა
6	აწერს	აწერდა	მოაწერა	მოაწერს	მოაწეროს	მოუწერია	მოწერა
7	ახორციელებს	ახორციელებდა	განახორციელა	განახორციელებს	განახორციელოს	განუხორციელებია	განხორციელება
8	გადასცემს	გადასცემდა	გადასცა	გადასცემს	გადასცეს	გადაუცია	გადაცემა
9	ერთიანდება	ერთიანდებოდა	გაერთიანდა	გაერთიანდება	გაერთიანდეს	გაერთიანებულა	გაერთიანება
10	ითხოვს	ითხოვდა	დაითხოვა	დაითხოვს	დაითხოვოს	დაუთხოვია	დათხოვნა
11	ითხოვს	ითხოვდა	მოითხოვა	მოითხოვს	მოითხოვოს	მოუთხოვია	მოთხოვნა
12	ინიშნება	ინიშნებოდა	დაინიშნა	დაინიშნება	დაინიშნოს	დაუნიშნავს	დანიშვნა
13	იყენებს	იყენებდა	გამოიყენა	გამოიყენებს	გამოიყენოს	გამოუყენებია	გამოყენება
14	უცხადებს	უცხადებდა	გამოუცხადა	გამოუცხადებს	გამოუცხადოს	გამოუცხადებია	გამოცხადება
15	[მხარს] უჭერს	[მხარს] უჭერდა	[მხარი] დაუჭირა	[მხარს] დაუჭერს	[მხარი] დაუჭიროს	[მხარი] დაუჭერია	[მხარის] დაჭერა

III ტავი

საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა,
ადგილობრივი თვითმმართველობა

I ნაწილი

საქართველოს პრეზიდენტი

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



1991-1992

1995-2003

2004-2013

2013-2018...

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. ვის ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. ვინ არის დღეს საქართველოს პრეზიდენტი?

1.2. ტექსტი:

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და **შეიარაღებული ძალების** უმაღლესი **მთავარსარდალი**. 1991 წელს საქართველოს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩიეს. ძირითადი კანონის მიხედვით, საპრეზიდენტო ვადა 5 წლითაა განსაზღვრული.

საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების თარიღს ნიშნავს არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა. ამ მაღალ თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი **ზედიზედ** მხოლოდ ორჯერ შეიძლება აირჩიეს, ხოლო არჩეულად ჩაითვლება ის **კანდიდატი**, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა ბარიერი, იმართება არჩევნების მეორე **ტური**.

პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა, ქვეყანაში 5 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო სამი წელი საქართველოში იმყოფებოდა.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ, თუ პარლამენტი დათხოვილია, მაშინ – პრემიერ-მინისტრი.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობა მრავალი უფლებამოსილებიდან შედგება. მის ძირითად ფუნქციებში შედის: მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან; წელიწადში ერთხელ **მოხსენებით** გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით; პრეზიდენტი ნიშნავს **ეროვნული უშიშროების საბჭოს** და თავად ხელმძღვანელობს; შეიარაღებული თავდასხმის, ეკოლოგიური კატასტროფის ან ეპიდემიის შემთხვევაში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას; იწყებს **მსჯავრდებულებს**; ასევე, შეუძლია გადაწყვიტოს მოქალაქეობის, ჯილდოებისა და **წოდებების მინიჭების** საკითხები. პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს; ნიშნავს არჩევნებსა და რეფერენდუმს.

საქართველოს პრეზიდენტი ჩემი მოქალაქეობის საკითხს გადაწყვეტს.

1.3. ლექსიკა:

შეიარაღებული ძალები — სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაცია, რომელიც შედგება სხვადასხვა ტიპის (ქვეითი, საზღვაო...) ჯარებისაგან.

მთავარსარდალი — ჯარების მეთაური, უმაღლესი პირი.

ზედიზედ — ერთმანეთის მიყოლებით.

კანდიდატი — პირი, რომელიც შეიძლება რომელიმე თანამდებობაზე აირჩიონ ან დანიშნონ.

ტური — არჩევნების ერთ-ერთი ეტაპი, საფეხური.

მოსხენება — საჯარო გამოსვლა, რომელიც რაიმე საკითხის ანალიზს ან მსჯელობას მოიცავს.

ეროვნული უშიშროების საბჭო — პრეზიდენტის სათაბირო ორგანო, რომელიც ქვეყნის თავდაცვისათვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს იღებს.

მსჯავრდებული — პირი, რომელსაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

წოდება — კანონით დადგენილი სახელწოდება, რომელიც მოქალაქის დამსახურებას ან კვალიფიკაციას ასახავს (მაგ.: ოფიცერი, გენერალი...).

მინიჭება — რაიმეს ბოძება, მიცემა.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რა ფუნქციები აქვს პრეზიდენტს?
2. როდის აირჩიეს საქართველოში პირველი პრეზიდენტი?
3. რამდენი წლით ირჩევენ საქართველოში პრეზიდენტს?
4. ვინ და როდის აცხადებს საქართველოში პრეზიდენტის არჩევნების თარიღს?
5. ვინ შეიძლება აირჩეს პრეზიდენტად?
6. რამდენჯერ შეიძლება აირჩეს ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად?
7. პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ვინ ასრულებს მის მოვალეობას?
8. რა უფლება-მოვალეობები აქვს პრეზიდენტს?

სინონიმები	ანტონიმები
ცხოვრობს — ბინადრობს წელი — წელიწადი შეწყვეტა — შეჩერება თავად — თვითონ შეუდგა — დაიწყო მდგომარეობა — ვითარება მსჯავრდებული — პატიმარი	პირველად — საბოლოოდ თავდასხმა — თავდაცვა



ცხოვრობს

ბინადრობს

მაგ., ჩვენს ქვეყანაში არაერთი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს.

საქართველოს ტყეებში კავკასიური ჯიშის მურა დათვი ბინადრობს.

ა.

საქმე → საქმიანი → საქმიანობა.

საქმიანი – საქმის მქონე; **საქმიანობა** – საქმის კეთება, საქმიანი ქცევა, საქმიანი მოქმედება.

უსაქმო // უსაქმური – საქმის არმქონე, არაფრის გამკეთებელი.

ბ.

სქემა 1



თვით // თავად // თვითონ

სქემა 2



ყველა



ყოველი, თითოეული

1.5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვას:

- რატომ არ შეუძლია ლეილას, იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი?

ლეილა კარგი პოლიტიკოსია, ეთნიკურად ქართველი არ არის, თუმცა საქართველოში დაიბადა და ამ ქვეყნის მოქალაქეა. ის განათლებული ადამიანია, იცის რამდენიმე უცხო ენა და საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობს. ლეილა 10 წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მუშაობდა და სწავლობდა, ხოლო იქიდან საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა, სადაც ცოტა ხანს პარლამენტის აპარატში იმუშავა. ბოლო ორი წელია, რაც საქართველოში დაბრუნდა და სურს პოლიტიკური ცხოვრება გააგრძელოს.

პოპულარობით სარგებლობს – იგივეა, რაც: პოპულარულია, ცნობილია

1.6. შეარჩიეთ გვერდით მითითებული ერთ-ერთი სიტყვა და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას!

1. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს შეიარაღებული _____ უმაღლესი მთავარსარდალია [დაჯგუფებების, ძალების].
2. პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე _____ წლის ასაკიდან [ოცდაათოთხმეტი, ოცდათექვსმეტი].
3. პრეზიდენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს თავად _____ [პარლამენტი, პრეზიდენტი].
4. პრეზიდენტის _____ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე [უფლების, უფლებამოსილების].
5. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ნახევარზე მეტი ხმა, ტარდება არჩევნების მეორე _____ [რაუნდი, ტური].
6. პრეზიდენტი იწყალებს _____ [მოქალაქეებს, მსჯავრდებულებს].
7. საქართველოს პრეზიდენტს 40-მდე _____ აქვს [უფლებამოსილება, უფლება].
8. პრეზიდენტი ხელმძღვანელობს და ნიშნავს _____ უშიშროების საბჭოს [სოციალური, ეროვნული].
9. ეპიდემიის დროს პრეზიდენტი აცხადებს _____ მდგომარეობას [საგანგებო, განსაკუთრებულ].

1.7. მოცემული გზნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გამოვიდა	გამოდის	გამოვა
2	უხელმძღვანელა	ხელმძღვანელობს	უხელმძღვანელებს
3	შეიწყალა	იწყალებს	შეიწყალებს
4	შეწყვიტა	წყვეტს	შეწყვეტს

1.8. ა) შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ფორმები:

იწყალებს	აქვეყნებს	ნიშნავს	მართავს
წყვეტს	ხელმძღვანელობს	აცხადებს	ხელს აწერს

ბ) გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში!

პრეზიდენტი _____ მოლაპარაკებებს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან;
 _____ უშიშროების საბჭოს, _____ არჩევნების თარიღს, _____
 საგანგებო სიტუაციას, _____ მსჯავრდებულებს, _____ მოქალაქეობის
 მინიჭების საკითხს, _____ კანონებს და _____ მათ.



1.9. მოსმენა

ნაწყვეტი საყმაწვილო რადიოგადაცემიდან: „ჩემი სამოქალაქო არჩევანი“

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

საქართველოს პირველი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.	
პარლამენტის თავმჯდომარეს შეუძლია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება.	
პრემიერ-მინისტრს არ შეუძლია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება.	
პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ საპარლამენტო სხომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოდის.	

1. 11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. ვინ არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი?
2. რა პროფესიის მოქალაქეს შეუძლია გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი?
3. რა შემთხვევაში ასრულებს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის მოვალეობას?
4. რა უფლება-მოვალეობები აკისრია პრეზიდენტს?


1. 12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა

რას შეცვლიდით ჭკეყანაში, თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ?

რას შვრება?	აცხადებს	
რა იზამს?	გამოაცხადებს	განაცხადებს
რა?	გამოცხადება	განცხადება
მაგ.,	პრეზიდენტი განაცხადებს — იგივეა, რაც: პრეზიდენტი იტყვის.	
	ეგ ხმამაღალი განცხადებაა — იგივეა, რაც ეგ ხმამაღალი ნათქვამია.	
მაგრამ:	პრეზიდენტის აპარატში სამსახურის დაწყება მინდა, განცხადება უკვე შევიტანე.	
	ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხვალ ბრიუსელში მიემგზავრება.	
	ყველაფრის ხმამაღლა გამოცხადება საჭირო არ იყო, საქმე ქვეყნის უშიშროებას ეხება.	



გან- და **გა-** მიუთითებს მიმართულებას შიგნიდან გარეთ.

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - როგორი უნდა იყოს პრეზიდენტი?

II ნაწილი

საქართველოს მთავრობა

2.1. ტექსტი:

საქართველოს მთავრობა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. პარლამენტი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, ხოლო მთავრობა ახორციელებს მას; ამიტომაც ეწოდება მთავრობას აღმასრულებელი ხელისუფლება. ის პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან შედგება. სამინისტროები სხვადასხვა სფეროს მიხედვითაა შექმნილი. მთავრობის **სტრუქტურა**, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განსაზღვრულია კანონით. მთავრობის შესახებ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის უფლება მხოლოდ მთავრობას აქვს. მისი მეთაურია პრემიერ-მინისტრი, რომლის **გადადგომაც** მთავრობის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს.

საქართველოს **ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში** აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია **გუბერნატორი**. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა.

საქართველოს მთავრობა **ანგარიშვალდებულია** პარლამენტის წინაშე. მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი **ნდობას გამოუცხადებს** მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს მინისტრებს. პარლამენტი აკონტროლებს მთავრობას. თუ პარლამენტი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას, მაშინ მისი უფლებამოსილება წყდება. მთავრობა უფლებამოსილია მანამ, ვიდრე ფუნქციონირებს პარლამენტი. ახალი პარლამენტის არჩევისთანავე მთავრობას **უფლებამოსილება ეხსნება**, მაგრამ, რადგან არ შეიძლება, რომ ქვეყანა მთავრობის გარეშე დარჩეს, ამიტომ საქართველოს პრეზიდენტი ახალი მთავრობის **დაკომპლექტებამდე** მოვალეობის შესრულებას ძველ მთავრობას **აკისრებს**.

ახალ არჩევნებში გამარჯვებული საარჩევნო სუბიექტი საკუთარი შეხვედრებისამებრ 5 დღის ვადაში წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. თანხმობის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და პარლამენტს გადასცემს განსახილველად; ბოლოს კი პარლამენტი კენჭს უყრის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

- პრემიერ-მინისტრის გადადგომამ მთავრობის უფლება-მოვალეობის შეწყვეტა გამოიწვია.
- ახალი პარლამენტის არჩევისთანავე მთავრობას უფლებამოსილება მოესხნება.
- პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პრეზიდენტს 5 დღის ვადაში წარუდგენენ.

2.2. ლექსიკა:

სტრუქტურა — რაიმეს აგებულება, ფორმა.

გადადგომა — უფლებამოსილების შეწყვეტა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული — ქვეყნის ტერიტორიული და ადმინისტრაციული მმართველობის ერთი ნაწილი. მასში ავტონომიური რესპუბლიკა ან მუნიციპალიტეტი იგულისხმება.

ანგარიშვალდებულება — აქ: კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა, ვალდებულება.

გუბერნატორი — უმაღლესი თანამდებობის პირი გუბერნიაში, გუბერნიის უფროსი.

ნდობის გამოცხადება — ვინმეს მიმართ რწმენა, მისი დაჯერება, იმედის ქონა.

უფლებამოსილების მოხსნა — მოქმედების უფლების შეწყვეტა იურიდიულად.

დაკომპლექტება — აქ: თანამდებობრივ პოზიციებზე თანამშრომელთა აყვანა.

მოვალეობის დაკისრება — რაიმეს დავალება.

საარჩევნო სუბიექტი — პირი, პარტია ან პარტიული ბლოკი, რომელებიც კენჭს იყრიან არჩევნებზე.

2.3. ტექსტის გააზრება:

1. რა ფუნქცია აქვს მთავრობას?
2. ვინ არის მთავრობის მეთაური?
3. რა შედეგი მოჰყვება პრემიერ-მინისტრის გადადგომას?
4. ვინ არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი?
5. ვის წინაშე აგებს პასუხს მთავრობა?
6. რა ვადითაა უფლებამოსილი მთავრობა?
7. როგორ აირჩევა მთავრობა?

სინონიმები	ანტონიმები
სფერო — დარგი წესი — რიგი	განსაზღვრული — განუსაზღვრელი ნიშნავს — ათავისუფლებს ნდობა — უნდობლობა

ა.

დაიმახსოვრეთ!

შეხედულებისა**მებრ** – იგივეა, რაც: შეხედულების მიხედვით, შეხედულების მსგავსად.

ბ.

სახ. საარჩევნო სუბიექტ**ი**
 მოთხრ. საარჩევნო სუბიექტ**მა**
 მიც. საარჩევნო სუბიექტ**ს** და სხვ.
 მაგ., ამ საარჩევნო სუბიექტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დასახელების უფლება არ ჰქონდა.

გ.

რას შვრება?**რას შვრებიან?**ის ახორციელ**ებს**ისინი ახორციელ**ებენ**რა? განხორცილ**ება**

მაგრამ:

რა მიქნია?**რა გვიქნია?****რა გიქნია?****რა გიქნიათ?****რა უქნია?****რა უქნიათ?**[მე] განმხორციელ**ებია**[ჩვენ] განგვიხორციელ**ებია**[შენ] განგიხორციელ**ებია**[თქვენ] განგიხორციელ**ებიათ**[მას] განუხორციელ**ებია**[მათ] განუხორციელ**ებიათ****დაიმახსოვრეთ!****რას შვრება?****რა უქნია?**ათავისუფლებ**ებს**გაუთავისუფლებ**ია**ხელმძღვანელ**ობს**უხელმძღვანელ**ია**ხსნ**ის**მოუხსნ**ია****2.4. რომელი წინადადებით უპასუხებთ კითხვას:**

- რას აკეთებს პრემიერ-მინისტრი, როდესაც პრემიერ-მინისტრი მთავრობას დაითხოვს?

1. საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე; 2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს; 3. თუ პარლამენტი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას, მაშინ მისი უფლებამოსილება წყდება; 4. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ახალი მთავრობის დაკომპლექტებამდე მოვალეობის შესრულებას ძველ მთავრობას აკისრებს.

2.5. წიკითხეთ ტექსტი და ჩასვით შესაბამის ადგილას ზმნები:

აკისრია	ახორციელებს	შედგება
წყვეტს	განსაზღვრავს	იქმნება

პარლამენტი _____ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მთავრობა კი _____ მათ. მთავრობა _____ პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. სამინისტროები _____ განსაზღვრულ სფეროებში. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა _____, ხოლო ფინანსთა სამინისტრო ქვეყნის ფინანსურ საკითხებს _____.

2.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეწყდა	წყდება	შეწყდება
2	მოესხნა	ესხნება	მოესხნება
3	დააკისრა	აკისრებს	დააკისრებს
4	[კენჭი] უყარა	[კენჭს] უყრის	[კენჭს] უყრის



2.7. მოსმენა

ნაწყვეტი საყმაწვილო რადიოგადაცემიდან: „ჩემი სამოქალაქო არჩევანი“

ორგანიზებას უწევს – ორგანიზაციას უკეთებს, ორგანიზატორობს.

2.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

პარლამენტი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს.	
პირველად პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მთავრობის თავმჯდომარე ეწოდებოდა.	
მოქმედი პრემიერ-მინისტრი ნოე რამიშვილია.	
როდესაც საქართველო გახდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.	

2.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენი წლით ინიშნება თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრი?
2. რა თანამდებობა ეკავათ ნოე რამიშვილსა და ნოე ჟორდანიას?
3. რის გამო გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 1995 წელს?
4. რა მოხდა 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილების თანახმად?

2.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.11. საპრეზენტაციო თემა

თქვენ რომ პრემიერ-მინისტრი იყოთ, რომელ მინისტრს შეცვლიდით ქვეყანაში და რატომ?



დაიმახსოვრეთ სიტყვები!

რა თქმა უნდა

რასაკვირველია

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა ეთანხმებით ვინმეს ან რამეს, ან როცა აზრი ბევრი ადამიანისთვის მისაღებია.

რა თქმა უნდა და რასაკვირველია წინადადებაში მძიმეებით გამოიყენება.

2.12. წერა

იმჯელეთ საკითხზე – რას შევცვლიდი ქვეყანაში, მთავრობის წევრი რომ ვიყო?!

2.13. თემატურ და სახალისო გამონათქვამებს [1–5] მიუსადაგეთ მათი გააზრებები [ა–ე]!

1. მხოლოდ ის არის საუკეთესო მთავრობა, რომელიც გვასწავლის ჩვენი თავის მართვას /იოჰან ვოლფგანგ გოეთე/. _____
2. ყველაზე საშინელი სიტყვებია: მე აქ მთავრობიდან ვარ! მე აქ თქვენს დასახმარებლად ვარ! /რონალდ რეიგანი/. _____
3. მთავრობაში ახალშემოსულთ მინდა ვუთხრა: მე ვერაფერს შემოგთავაზებთ, გარდა – სისხლისა, შრომისა, ცრემლებისა და ოფლისა /უინსტონ ჩერჩილი/. _____

4. მთავრობის მიერ ბიზნესის დახმარება ისევე დამლუპველია, როგორც მთავრობის მიერ ბიზნესის დევნა /აინ რაიდი/. _____

5. მთავრობა ვერ გადაგიწყვეტთ პრობლემებს, მთავრობა თვითონაა პრობლემა /რონალდ რეიგანი/. _____

ა. მთავრობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ბიზნესს.

ბ. მთავრობაში მუშაობა დიდი შრომა, ბრძოლა და ნერვიულობაა.

გ. მთავრობა საერთოდ არ ეხმარება მოქალაქეებს.

დ. გაუმართლებელია, როდესაც მთავრობა ხალხს ზემოდან უყურებს.

ე. საუკეთესო მთავრობა გასწავლის კანონით ცხოვრებას.

ისა[ვე] მუშაობდა,
როგორც

როგორც....., ისა [ვე]
მუშაობდა.

მაგ., ისე მოიქცა, როგორც პატარა ბავშვი.
როგორც პატარა ბავშვი, ისე მოიქცა.

III ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობა

3.1. ტექსტი:

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება **მუნიციპალიტეტებში**. მუნიციპალიტეტი შეიძლება იყოს ორი სახის: ქალაქისა და თემისა. ქალაქი არის მხოლოდ ერთი დასახლება. თემი მოიცავს რამდენიმე დასახლებას. დასახლების ნიშნებია: საკუთარი სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და **რეგისტრირებული** მოსახლეობა. დასახლების **კატეგორიებია**: ქალაქი, დაბა, სოფელი.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა **საკრებულო**. მას 4 წლის ვადით ირჩევენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს საკრებულოს თავმჯდომარე. ამას საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა უნდა დაუჭიროს მხარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის **უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურიდან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებას** მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირები იღებენ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის **შეუთავსებელია**: იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, **ეკავოს** საჯარო სამსახურში თანამდებობის პირის **ადგილი**; ეკავოს ისეთი თანამდებობა, რომელზეც პირს ნიშნავს ან ამტკიცებს პარლამენტი, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი; იმუშაოს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში; იყოს საქართველოს საარჩევნო **ადმინისტრაციაში** და ა.შ.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის **გამგეობა** თვითმმართველ თემში და **მერია** – თვითმმართველ ქალაქში. გამგეობა და მერია უზრუნველყოფს გამგებლისა და მერის უფლებამოსილების განხორციელებას. უმაღლესი თანამდებობის პირია გამგებელი (თემში) და მერი (ქალაქში). მათ ირჩევენ 4 წლის ვადით. გამგებლად ან მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 25 წელი შეუსრულდა და საქართველოში უცხოვრია ხუთ წელს მაინც. გამგებელი და მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე არიან ანგარიშვალდებული.

- ჩვენი თემი რამდენიმე დასახლებას მოიცავს.
- შენ ანგარიშვალდებული ხარ ხალხის წინაშე.

3.2. ლექსიკა:

ადგილობრივი თვითმმართველობა – ტერიტორიული ერთეულის დამოუკიდებელი მმართველობა, რომელსაც არჩევნების გზით უყრიან კენჭს.

მუნიციპალიტეტი – ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის არჩევითი ორგანო (მას ირჩევენ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა).

რეგისტრირებული – იურიდიულად დაფიქსირებული, საჯარო რეესტრში გატარებული.

კატეგორია – რაიმე საერთო ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი.

საკრებულო – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევენ შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა 4 წლის ვადით.

უფლებამოსილების განხორციელება – თანამდებობის პირის მიერ იურიდიული უფლების გამოყენება.

სამსახურიდან მოუწყვეტლად – სამსახურთან ერთად, მასთან მოწყვეტის გარეშე.

უსასყიდლოდ – ხელფასის, ანაზღაურების გარეშე.

ანაზღაურება – ხელფასი, საფასური, გასამრჯელო.

შეუთავსებელი – არათავსებადი, სხვა საგანთან ერთად არსებობის უნარის არმქონე.

ადგილის დაკავება (ეკავოს ადგილი) – აქ: კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობა.

ადმინისტრაცია – მმართველთა ერთობლიობა.

გამგეობა – სოფლის, თემის, დაბის, ქალაქისა და რაიონის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანო.

მერია – იმ ქალაქის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში.

3.3. ტექსტის გააზრება:

1. რა არის მუნიციპალიტეტი?
2. რა და რა სახის შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტი?
3. რა ნიშნები აქვს დასახლებას?
4. ჩამოთვალეთ დასახლების კატეგორიები!
5. რა არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო და რამდენი წლით ირჩევენ მას?
6. ვის შეუძლია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობა?
7. რა არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და რამდენი წლით ირჩევენ მას?
8. ვის შეუძლია კენჭი იყაროს გამგებლის ან მერის თანამდებობაზე?

სინონიმები	ანტონიმები
ადმინისტრირება – მართვა ხორციელება – სრულდება ადგილი – თანამდებობა ანგარიშვალდებული – პასუხისმგებელი	სრული – ნაწილობრივი მოუწყვეტლად – მოწყვეტილად საჯარო – კერძო

ვინ არის ის, ვინც განაგებს ადმინისტრაციულ ერთეულს? **გამგებელი**.
 ასეთივე სიტყვებია: **მშენებელი, შემსრულებელი** და სხვ.

3.4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით შემდეგი წყვილები:

ადგილი ეკავოს	რეგისტრირებული მოსახლეობა
აღმასრულებელი ორგანო	წარმომადგენლობითი ორგანო
ადგილობრივი თვითმმართველობა	უფლებამოსილებას ახორციელებს

1. საკრებულოს წევრი თავის _____ ანაზღაურების გარეშე.
2. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს საჯარო სამსახურში თანამდებობის პირის _____.
3. _____ მუნიციპალიტეტებში ხორციელდება.
4. დასახლებებში ცხოვრობს _____.
5. მუნიციპალიტეტის _____ არის მუნიციპალიტეტის გამგეობა / მერია.
6. მუნიციპალიტეტის _____ არის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3.5. აარჩიეთ წყვილები და დაასრულეთ წინადადებები აზრობრივად!

თვითმმართველ ქალაქში	საკრებულოს წინაშე
საკრებულოს წევრისთვის	თვითმმართველ თემში
უცხოვრია საქართველოში	უსასყიდლოდ ახორციელებს

1. ნინო საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას _____
2. პროკურატურის ორგანოებში მუშაობა შეუთავსებელია _____
3. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის მერია _____
4. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის გამგეობა _____
5. გამგებლად ან მერად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი და ხუთ წელს მაინც _____
6. გამგებელი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის _____

3.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოიცვა	მოიცავს	მოიცავს
2	შეუსრულდა	უსრულდება	შეუსრულდება
3	[ადგილი] ეკავა	[ადგილი] უკავია	[ადგილს] დაიკავებს
4	იცხოვრა	ცხოვრობს	იცხოვრებს



3.7. მოსმენა

ნაწყვეტი საყმაწვილო რადიოგადაცემიდან: „ჩემი სამოქალაქო არჩევანი“

კეთილსინდისიერი – სუფთა, გულწრფელი, სინდისიერი
სხაპასხუპით – შეუჩერებლად, სწრაფად

3.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

გამგებელს / მერს აქვს კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობები, რომლებიც შეიძლება შეიზღუდოს საკრებულოს მიერ.	
მერის / გამგებლის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაწყვეტა და თვითმმართველი ერთეულის განვითარება.	
მუნიციპალიტეტის სხვა მიმართულებაა მოქალაქის შესაძლებლობების განვითარება, რაც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: კულტურა, განათლება, დასაქმება და ა.შ.	
მერია თვითმმართველი ორგანოა თემში, ხოლო გამგეობა – ქალაქში.	

3.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რა არის მერის / გამგებლის მიზანი?
2. რით შეიძლება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება?
3. რა იურიდიული განსხვავებაა მერიასა და გამგეობას შორის?

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.11. საპრეზენტაციო თემა

როგორ გააუმჯობესებდით სოფლის ცხოვრებას, გამგებელი რომ იყოთ?

ა.

ჩემ მიმართ	ჩვენ მიმართ
შენ მიმართ	თქვენ მიმართ
[ი]მის მიმართ	[ი]მათ მიმართ

მაგრამ:

პარლამენტის მიმართ; სახელმწიფოს მიმართ...

მაგ., საქართველოს პარლამენტის მიმართ თქვენს დამოკიდებულებას ვერ დავეთანხმები.

ბ.

ენა დაება – ენა აუბოროძიკდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა.



ენა დაიმოკლა – ნაკლები, ცოტა ილაპარაკა, [შესაძლებელია: სულ გაჩუმდა].

ენას კბილი დააჭირა – ხმა აღარ ამოიღო, ხმა გაკმინდა.

ენა მუცელში ჩაუვარდა – ხმა ვეღარ ამოიღო [შიშის ან სხვა განცდის გამო].

3.12. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **მე რომ დედაქალაქის მერი ვიყო...**

3.13. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვას!

- ვინ იყო კონცერტის ორგანიზატორი და რა მიზანი ჰქონდა მას?

ქალაქ ზუგდიდში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, 1-ლ მაისს, საზეიმო კონცერტი გაიმართა. კონცერტის ორგანიზატორი ადგილობრივი თვითმმართველობა იყო. ბავშვთა სახლის დირექტორმა შესავალი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და თავისი აღსაზრდელები წარუდგინა. კონცერტის ბოლოს არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებმა სოციალურად დაუცველ ბავშვებს საკვები პროდუქტები და სათამაშოები გადასცეს.

ლექსიკა

ადგილის დაკავება (ეკავოს ადგილი) – აქ: კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობა.

ადმინისტრაცია – მმართველთა ერთობლიობა.

ადგილობრივი თვითმმართველობა – ტერიტორიული ერთეულის დამოუკიდებელი მმართველობა, რომელსაც არჩევნების გზით უყრიან კენჭს.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – ქვეყნის ტერიტორიული და ადმინისტრაციული მმართველობის ერთი ნაწილი. მასში ავტონომიური რესპუბლიკა ან მუნიციპალიტეტი იგულისხმება.

ანაზღაურება – ხელფასი, საფასური, გასამრჯელო.

ანგარიშვალდებულება – აქ: კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა, ვალდებულება.

გადადგომა – უფლებამოსილების შეწყვეტა.

გამგეობა – სოფლის, თემის, დაბის, ქალაქისა და რაიონის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანო.

გუბერნატორი – უმაღლესი თანამდებობის პირი გუბერნიაში, გუბერნიის უფროსი.

დაკომპლექტება – აქ: თანამდებობრივ პოზიციებზე თანამშრომელთა აყვანა.

ეროვნული უშიშროების საბჭო – პრეზიდენტის სათაბირო ორგანო, რომელიც ქვეყნის თავდაცვისათვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს იღებს.

ზედიზედ – ერთმანეთის მიყოლებით.

კანდიდატი – პირი, რომელიც შეიძლება რომელიმე თანამდებობაზე აირჩიონ ან დანიშნონ.

კატეგორია – რაიმე საერთო ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი.

მერია – იმ ქალაქის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში.

მთავარსარდალი – ჯარების მეთაური, უმაღლესი პირი.

მინიჭება – რაიმეს ბოძება, მიცემა.

მოვალეობის დაკისრება – რაიმეს დავალება.

მოსხენება – საჯარო გამოსვლა, რომელიც რაიმე საკითხის ანალიზს ან მსჯელობას მოიცავს.

მსჯავრდებული – პირი, რომელსაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

მუნიციპალიტეტი – ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის არჩევითი ორგანო (მას ირჩევს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა).

ნდობის გამოცხადება – ვინმეს მიმართ რწმენა, მისი დაჯერება, იმედის ქონა.

რეგისტრირებული – იურიდიულად დაფიქსირებული, საჯარო რეესტრში გატარებული.

საარჩევნო სუბიექტი – პირი, პარტია ან პარტიული ბლოკი, რომელებიც კენჭს იყრიან არჩევნებზე.

საკრებულო – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა 4 წლის ვადით.

სამსახურიდან მოუწყვეტლად – სამსახურთან ერთად, მასთან მოწყვეტის გარეშე.

სტრუქტურა – რაიმეს აგებულება, ფორმა.

ტური – არჩევნების ერთ-ერთი ეტაპი, საფეხური.

უსასყიდლოდ – ხელფასის, ანაზღაურების გარეშე.

უფლებამოსილების განხორციელება – თანამდებობის პირის მიერ იურიდიული უფლების გამოყენება.

უფლებამოსილების მოხსნა – მოქმედების უფლების შეწყვეტა იურიდიულად.

შეიარაღებული ძალები – სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაცია, რომელიც შედგება სხვადასხვა ტიპის (ქვეითი, საზღვაო...) ჯარებისაგან.

შეუთავსებელი – არათავსებადი, სხვა საგანთან ერთად არსებობის უნარის არმქონე.

წოდება – კანონით დადგენილი სახელწოდება, რომელიც მოქალაქის დამსახურებას ან კვალიფიკაციას ასახავს (მაგ., ოფიცერი, გენერალი...).

ზმნები

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აკისრებს	აკისრებდა	დააკისრა	დააკისრებს	დააკისროს	დაუკისრებია	დაკისრება
2	გამოდის	გამოდებოდა	გამოვიდა	გამოვა	გამოვიდეს	გამოსულა	გამოსვლა
3	ეხსნება	ეხსნებოდა	მოეხსნა	მოეხსნება	მოეხსნას	მოხსნია	მოხსნა
4	იწყალებს	იწყალებდა	შეიწყალა	შეიწყალებს	შეიწყალოს	შეუწყალებია	შეწყალება
5	მოიცავს	მოიცავდა	მოიცვა	მოიცავს	მოიცვას	მოუცავს	მოცვა
6	[ადგილი] უკავია	[ადგილს] იკავებდა	[ადგილი] ეკავა	[ადგილს] დაიკავებს	[ადგილი] ეკავოს	[ადგილი] დაუკავებია	[ადგილის] დაკავება
7	უსრულდება	უსრულდებოდა	შეუსრულდა	შეუსრულდება	შეუსრულდეს	შესრულებია	შესრულება
8	[კენჭს] უყრის	[კენჭს] უყრიდა	[კენჭი] უყარა	[კენჭს] უყრის	[კენჭი] უყაროს	[კენჭი] უყრია	[კენჭის] ყრა
9	ცხოვრობს	ცხოვრობდა	იცხოვრა	იცხოვრებს	იცხოვროს	უცხოვრია	ცხოვრება
10	წყდება	წყდებოდა	შეწყდა	შეწყდება	შეწყდეს	შეწყვეტილა	შეწყვეტა
11	წყვეტს	წყვეტდა	შეწყვიტა	შეწყვეტს	შეწყვიტოს	შეუწყვეტია	შეწყვეტა
12	ხელმძღვანელობს	ხელმძღვანელობდა	უხელმძღვანელა	უხელმძღვანელებს	უხელმძღვანელოს	უხელმძღვანელია	ხელმძღვანელობა

IV თავი

ხელისუფლების წარმომადგენლობითი და
აღმასრულებელი ორგანოები

I ნაწილი

შემაჯავებელი გაკვეთილი

1.1. ტექსტი:

1991 წელს რეფერენდუმის საფუძველზე საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, საბჭოთა კავშირიდან გამოვიდა და 1995 წელს ახალი კონსტიტუცია მიიღო. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ის განსაზღვრავს ქვეყნის სახელწოდებას, მმართველობის ფორმას, პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის, ასევე – ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს; იცავს ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს.

პარლამენტი და საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოებია. საქართველოს პარლამენტი იღებს კანონებს, ირჩევს მთავრობას და აკონტროლებს მის საქმიანობას. საკრებულოც იღებს კანონებს, ოღონდ – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში. საკრებულოც აკონტროლებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას ან მერიას. პარლამენტსაც და საკრებულოსაც 4 წლის ვადით ირჩევენ. ორივე შემთხვევაში წევრობა შეუძლია საარჩევნო უფლებების მქონე საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან. პარლამენტის წევრი გაწეული მუშაობისთვის იღებს ანაზღაურებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ და ისე, რომ არ სწყდება ძირითად სამსახურს. თავიანთი საქმიანობისათვის ანაზღაურებას მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირები იღებენ: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და სხვ. როგორც პარლამენტში, ასევე საკრებულოში, იქმნება კომიტეტები და საპარლამენტო ფრაქციები.

საქართველოს მთავრობა და მუნიციპალიტეტის გამგეობა ან მერია აღმასრულებელი ორგანოებია. მთავრობა არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ის შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. თვითმმართველ თემში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოა გამგეობა და თვითმმართველ ქალაქში – მერია. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია გუბერნატორიც. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა. საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, გამგებელი და მერი – მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე.

ფარგლებში – იგივეა, რაც: შიგნით.

მაგ., თქვენი მიწის ნაკვეთი სოფლის ტერიტორიის ფარგლებში შემოდის.

არ სწყდება – არ შორდება; მასთან ერთად არის.

მაგ., – ვერ ხედავ, რომ თავის საქმეს არ სწყდება?!

– მომწყდი თავიდან, ძალიან დამღალე!

- 1995 წელს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო.
- კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია.
- მთავრობა საქართველოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა.

1.2. ტექსტის გააზრება:

1. რა და რა სახისაა სახელმწიფო ხელისუფლება?
2. რა საერთო ფუნქცია აქვს პარლამენტსა და საკრებულოს?
3. რა განსხვავებაა მათ შორის?
4. რა საერთო ფუნქცია აქვს საქართველოს მთავრობასა და მუნიციპალიტეტის გამგეობას ან მერიას?
5. რა განსხვავებაა მათ შორის?
6. ვის წინაშეა ანგარიშვალდებული საქართველოს მთავრობა?
7. ვის წინაშეა ანგარიშვალდებული მუნიციპალიტეტის გამგეობა ან მერია?

1.3. წაიკითხეთ დიალოგი. ააგეთ ასეთივე დიალოგი სათაურით:

- „ვითომ საკრებულოში“

ნინო: წარმოვიდგინოთ, რომ პარლამენტის სხდომაზე ვართ, სცენა გავითამაშოთ.

ზაზა: ეს როგორ?

ნინო: როგორ და ... მე პარლამენტის თავმჯდომარე ვიქნები, შენ — პრეზიდენტი, ნიკო და რეზო პარლამენტარები იყვნენ.

ზაზა: მერე?

ნინო: ნიკო საკანონმდებლო ორგანოში ინიციატივას შემოიტანს.

ზაზა: შემდეგ თქვენ განიხილავთ და დასამტკიცებლად გადმოიმომიგზავნით.

ნინო: კარგი, ასე ვიზამთ.

ზაზა: ნეტავ, რომელი კანონის დაწერას აპირებთ?

ნინო: ჯერ არ ვიცი. შეიძლება, ეს იყოს კანონი „მეგობრობის შესახებ“.

ზაზა: ჰოდა, თუ არ მომეწონა, ხელს არ მოვაწერ, ვეტოს უფლებას გამოვიყენებ.

ნინო: არ მოაწერ და ნუ მოაწერ!.. ხომ არ გავიწყდება, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვარ?! მე მოვაწერ და სკოლის გაზეთში გამოვაქვეყნებ!

ზაზა: მგონი, კარგი თამაში გამოგვივა.

1.4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

უზენაესი კანონი	რეფერენდუმის საფუძველზე
აღმასრულებელი ორგანო	საკანონმდებლო ორგანო
საქართველოს მთავრობა	თბილისის მერია
თბილისის მუნიციპალიტეტი	წარმომადგენლობითი ორგანოები

1. 1991 წელს _____ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

2. საქართველოს კონსტიტუცია არის სახელმწიფოს _____.

3. საქართველოს პარლამენტი და მუნიციპალიტეტის საკრებულო არის _____.

4. ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არის ქალაქ _____.
5. თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებია: თბილისის საკრებულო და _____.
6. თბილისის მერია არის _____.
7. საქართველოს პარლამენტი არის საქართველოს უმაღლესი _____.
8. საქართველოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის _____.

1.5. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ! უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ კანონშია ცვლილება შესატანი?
- სად უნდა განიხილოს ეს საკითხი?

ქალი: ვის მოვთხოვო პასუხი, ასეთი ცოტა პენსია რომ მაქვს?

იურისტი: ვის და... ხელისუფლებას!

ქალი: პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის შეტანა მე არ შემიძლია, რიგითი მოქალაქე ვარ და რა ვქნა?

იურისტი: თქვენს მაჟორიტარ პარლამენტარს სთხოვეთ.

ქალი: ის მეტყვის, რომ ამისათვის ამომრჩევლების თანხმობა მჭირდება. 30 000 ხელმოწერა როგორ მოვაგროვო, პენსიონერი ვარ.

იურისტი: პარლამენტარს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ხომ აქვს, ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი კი, თუ არ ვცდები, ფრაქციის წევრიცაა.

ქალი: უი, მართლა, ფრაქციასაც ხომ შეუძლია საკანონმდებლო ინიციატივის შეტანა?

იურისტი: რა თქმა უნდა, შეუძლია. მაგის უფლება საპარლამენტო ფრაქციასაც აქვს და კომიტეტსაც.

ქალი: რა კარგად მირჩიეთ. ჩვენს მაჟორიტარს უნდა მივმართო, რომ _____.

მხოლოდობითი რიცხვი

სახ. ჩვენი პარლამენტარი
მოთხრ. ჩვენმა პარლამენტარმა
მიც. ჩვენს პარლამენტარს
და სხვ.



მრავლობითი რიცხვი

სახ. ჩვენი პარლამენტარები
მოთხრ. ჩვენმა პარლამენტარებმა
მიც. ჩვენს პარლამენტარებს
და სხვ.

1.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

წარმომადგენლობითი

აღმასრულებელი

- ა. საქართველოს მთავრობა არის საქართველოს უმაღლესი _____ ორგანო.
- ბ. გუბერნატორი არის _____ ხელისუფლების წარმომადგენელი.

გ. მუნიციპალიტეტის გამგეობა _____ ხელისუფლების ორგანოა.

დ. ზუგდიდის მერია _____ ორგანოა, რადგან ის ზუგდიდის მერის უფლებამოსილებას ახორციელებს.

ე. ქალაქ გორის საკრებულო _____ ხელისუფლების ორგანოა. მას გორის მოსახლეობა 4 წელიწადში ერთხელ ირჩევს.

1.7. შეადგინეთ წინადადებები შემდეგი ზმნების გამოყენებით:

აირჩიოს	დანიშნოს	დაამტკიცოს
მიიღოს	გაათავისუფლოს	განახორციელოს



1.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: მშობლის დღე სკოლაში

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

გიას მამა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეა.	
საკანონმდებლო პროცესი 4 ეტაპისგან შედგება: საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის განხილვა, კანონის მიღება და კანონის გამოქვეყნება.	
პარლამენტის დათხოვნა შეუძლია მხოლოდ პრეზიდენტს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.	
პარლამენტის თავმჯდომარე ხელს აწერს კანონპროექტს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტმა პარლამენტარების აზრი არ გაითვალისწინა და ვეტო არ მოხსნა.	

1.10. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები!

საკანონმდებლო პროცესის რომელი ეტაპია ყველაზე მნიშვნელოვანი ზურაბისათვის?

ა. პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის შეტანა.

ბ. კანონპროექტის განხილვა.

გ. კანონის მიღება და გამოქვეყნება.

რა მოხდა 1919 წელს?

ა. აირჩიეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

ბ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პირველი წარმომადგენლობითი ორგანო შეიქმნა.

გ. რეფერენდუმის საფუძველზე საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდა.

ზურაბის აზრით, ყველაზე ცუდი რა შეიძლება მოხდეს პარლამენტის პრაქტიკაში?

- ა. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება.
- ბ. პარლამენტის დათხოვნა.
- გ. მთავრობის დათხოვნა.

1.11. საპრეზენტაციო თემა

**რა კითხვებს დაუსვამდით პარლამენტის
თავმჯდომარეს? რატომ?**

1.12. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

- ა. პარლამენტის თავმჯდომარე _____ მუშაობას უძღვება. მე მყავს მოადგილეებიც, მაგრამ ეს _____ არ ამცირებს.
- ბ. საკანონმდებლო პროცესი 4 ეტაპისგან შედგება: საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის განხილვა, კანონის _____ და _____.
- გ. პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ _____ და ისიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს მოხდება მაშინ, თუ პარლამენტი ვერ აირჩევს მთავრობას ან _____.
- დ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პირველი წარმომადგენლობითი ორგანო შეიქმნა 1919 წელს. ეს იყო „საქართველოს დამფუძნებელი კრება“. იგი საქართველოს _____ ფუნქციას ასრულებდა.

1.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი!**1.14. წერა:**

იმსჯელეთ საკითხზე – კანონის შექმნა სჯობს თუ კანონის
აღსრულება? რომელია უფრო რთული პროცესი?

V თავი

დემოკრატია. მოქალაქის როლი ქვეყნის
დემოკრატიის განვითარებაში

I ნაწილი

დემოკრატია

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



1. რას ხედავთ პირველ ილუსტრაციაზე?
2. რას ხედავთ მეორე ილუსტრაციაზე?
3. რა საერთო პროცესია გამოხატული ამ ილუსტრაციებზე?

1.2. ტექსტი:

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომელშიც ხალხი თავის ძალაუფლებას დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე ახორციელებს. არსებობს დემოკრატიის 4 ძირითადი პრინციპი: I. სახალხო **სუვერენიტეტის** პრინციპი, როდესაც ძალაუფლების **წყარო** თვით ხალხია; II. სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი ორგანოების არჩევითობის პრინციპი; III. უფლებათა თანასწორობის პრინციპი, რომელიც ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას გულისხმობს, და IV. უმრავლესობის პრინციპი, რომლის დროსაც უმცირესობა უმრავლესობას ემორჩილება.

4 ძირითადი პრინციპის გარდა, დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია სხვა პრინციპებიც, მათ შორის: ხელისუფლების **დანაწილების** პრინციპი. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ძალაუფლება სხვადასხვა ორგანოზეა გადანაწილებული; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების **ხელშეუვალობის** პრინციპი, რომელიც პოლიტიკურ უფლებებთან ერთად სხვადასხვა **სამოქალაქო და სოციალური უფლების** არსებობას გულისხმობს, მაგალითად, ენის, რასის, სქესის, რელიგიის ან შრომის და სხვ. დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანია ასევე პოლიტიკური პლურალიზმი და ხელისუფლების **საჯაროობა**.

პრაქტიკაში ხალხის მმართველობა პირდაპირ და წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით ხორციელდება. ამის მიხედვით, გვაქვს პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია. პირდაპირი დემოკრატიის ფორმებია: პლემისციტი, რეფერენდუმი და სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა.

პლემისციტი დემოკრატიის ის ფორმაა, რომელიც მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, ხმის მიცემით მოიწონოს ან უარყოს ესა თუ ის პროექტი. როგორც წესი, პლემისციტი რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს ეხება; რეფერენდუმით კი ხალხი პირდაპირი ხმის მიცემის წესით იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. სახალხო ინიციატივა

განსაზღვრული ოდენობის ამომრჩეველთა მიერ პარლამენტში კანონპროექტის წარდგენას გულისხმობს.

წარმომადგენლობით დემოკრატიას ორი ფორმა აქვს: I. ხალხი ირჩევს პარლამენტს, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს აღმასრულებელ ხელისუფლებას და აკონტროლებს მას; II. ხალხი ირჩევს პარლამენტსაც და სახელმწიფოს მეთაურსაც.

მე უარვყოფ	ჩვენ უარვყოფთ
შენ უარყოფ	თქვენ უარყოფთ
ის უარყოფს	ისინი უარყოფენ

დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური პლურალიზმი და ხელისუფლების საქმიანობის საჯაროობა.

1.3. ლექსიკა:

სუვერენიტეტი – სრული დამოუკიდებლობა.

წყარო – აქ: ის, საიდანაც რაიმე გამომდინარეობს, რაიმეს საფუძველია.

დანაწილება – ნაწილებად დაყოფა.

ხელშეუვალობა – ხელშეუხებლობა, ანუ ის, რასაც ვერ შეეხები.

სამოქალაქო უფლებები – უფლებები, რომლებიც ადამიანს ქვეყნის მოქალაქეობიდან გამომდინარე ენიჭება (მაგ., სინდისისა და რწმენის, თანასწორობისა და თავისუფლების და ა.შ. უფლებები).

სოციალური უფლებები – უფლებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას უზრუნველყოფს (მაგ., განათლების, ოჯახის შექმნის, ჯანმრთელობის და ა.შ. უფლებები).

საჯაროობა – საყოველთაოობა, დაუფარაობა.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა ძირითადი პრინციპები აქვს დემოკრატიას?
2. რას ნიშნავს სახალხო სუვერენიტეტი?
3. რას ნიშნავს უმრავლესობის პრინციპი?
4. რისთვის არის მნიშვნელოვანი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი?
5. როგორ გესმით პოლიტიკური პლურალიზმი და ხელისუფლების საჯაროობა?
6. რას ნიშნავს პირდაპირი დემოკრატია? ჩამოთვალეთ მისი ფორმები!
7. რას ნიშნავს წარმომადგენლობითი დემოკრატია? ჩამოთვალეთ მისი ფორმები!

სინონიმები	ანტონიმები
წყარო – საფუძველი პლურალიზმი – მრავალფეროვნება ხელშეუვალობა – ხელშეუხებლობა მემკვიდრეობით – საშუალებით ინიციატივა – წინადადება ოდენობა – რაოდენობა სოციალური – საზოგადოებრივი ანიჭებს – აძლევს	მაქსიმალურად – მინიმალურად თანასწორობა – უთანასწორობა საჯაროობა – კონფიდენციალურობა მოიწონა – დაიწუნა უარყოფს – ეთანხმება



მთის წყარო	ისტორიული წყარო
მაგ., მთაში წყარო ვიპოვეთ, რომლიდანაც ცივი წყალი გადმოედინებოდა.	ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ძველად კოლხეთსაც უწოდებდნენ.
პარლამენტის ინიციატივა	პრეზიდენტის წინადადება
მაგ., პარლამენტის ახალ ინიციატივას ჯერ კენჭი უნდა ვუყაროთ.	პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას არასამთავრობო ორგანიზაციები დადებითად გამოეხმაურნენ.
ანიჭებს	აძლევს
მაგ., საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის მოქალაქეებს არაერთ უფლებას ანიჭებს.	ქართული ენის მასწავლებელი საინტერესო დავალებებს მაძლევს.

ა.

დემოკრატიული – არადემოკრატიული

არადემოკრატიული – დემოკრატიის არმქონე

მაგ., საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას ადგას.

არადემოკრატიულ ქვეყნებში ადამიანის უფლებები დაუცველია.

ბ.

სახ.	ეს	წესი	ეგ	ფორმა	ის	პროექტი
მოთხრ.	ამ	წესა	მაგ	ფორმაშ	იმ	პროექტა
მიც.	ამ	წესს	მაგ	ფორმას	იმ	პროექტს

და სხვ.

1.5. გამოთვებულ ადგილას ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვები:

წარმომადგენლობითი	პირდაპირი
-------------------	-----------

_____ დემოკრატიის შემთხვევაში ხელისუფლებას ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოები. მათ ხალხი ირჩევს და ისინიც გადაწყვეტილებას იღებენ მთელი ხალხის სახელით. წარმომადგენლობით ორგანოს ხალხი აძლევს უფლებამოსილებას ეფექტური მუშაობის მიზნით, რადგან ის ყოველდღიურად ვერ მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

_____ დემოკრატიის მაგალითს წარმოადგენს რეფერენდუმი. რეფერენდუმით ხალხი იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

1.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ხელისუფლების დანაწილების	პოლიტიკური პლურალიზმის
სახალხო სუვერენიტეტის	ხელისუფლების საჯაროობის
პირდაპირი დემოკრატია	თავისუფლებების ხელშეუვალობის

1. ადამიანს პოლიტიკურ უფლებებთან ერთად აქვს სოციალური უფლებებიც. მაგალითად, მას აქვს ოჯახის შექმნის უფლება, რაც გამომდინარეობს ადამიანის უფლებებისა და _____ პრინციპიდან.
2. საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლება აქვს პარლამენტსაც და მთავრობასაც, მერიასაც და საკრებულოსაც. ეს დაფუძნებულია _____ პრინციპზე.
3. მე სოციალისტურ პარტიას ვუჭერ მხარს, ჩემი მეზობელი კი — ნაციონალურს. ამის გამო ჩვენ არავინ გვჩაგვრავს, რადგან ქვეყანაში _____ პრინციპი მოქმედებს.
4. საქართველოს მოქალაქეები თანასწორად ვმონაწილეობთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგალითად, არჩევნებში. ეს იმიტომ, რომ ქვეყანაში _____ პრინციპი მოქმედებს.
5. ტელევიზიის მეორე არხზე აჩვენებენ პარლამენტის სხდომებს, რათა დაცული იყოს _____ პრინციპი.
6. პლებისციტით, რეფერენდუმითა თუ სახალხო საკანონმდებლო ინიციატივით _____ წარმოიჩნდება.

1.7. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ!

ვანო: „სამოქალაქო განათლებაში“ ახალი რა ახსნა ლექტორმა?

აკაკი: დემოკრატიაზე ილაპარაკა.

ვანო: ეგ ადვილია.

აკაკი: ადვილი სულაც არ არის. უნდა იცოდეს დემოკრატიის პრინციპები და ფორმები, შეიძლება ერთმანეთში აგერიოს.

ვანო: თუ იცი, რამდენი პრინციპი აქვს დემოკრატია?

აკაკი: როგორც გამიგია, ოთხი მთავარი და დანარჩენიც მნიშვნელოვანი.

ვანო: გახსოვს, რომელი პრინციპებია?

აკაკი: მოიცა, გავისხენებ! _____

1.8. მოცემული გზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	უარყო	უარყოფს	უარყოფს
2	მიანიჭა	ანიჭებს	მიანიჭებს
3	შეეხო	ეხება	შეეხება
4	იგულისხმა	გულისხმობს	იგულისხმებს



გაიხსენეთ!

რა უნდა ქნას?

მან უნდა შეწყვიტოს ადამიანების ჩაგვრა და დემოკრატიის პრინციპები დაიცვას!



1.9. მოსმენა

დიალოგი თემაზე: მეზობლების შეხვედრა

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

რეფერენდუმზე პარლამენტის ბედი წყდება.	
რეფერენდუმი არადემოკრატიული პროცესია.	
რეფერენდუმის დროს ხალხი პირდაპირ იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.	
ნიკას დემოკრატიის ბოლომდე არ სჯერა და ამიტომაც არ მიდის რეფერენდუმზე.	

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. სად მიდის სანდრო?
2. რა საკითხი წყდება რეფერენდუმზე?
3. რატომ არ უნდა ნიკას რეფერენდუმზე წასვლა?
4. რომელ საათამდეა კენჭისყრა?
5. რა უნდა ჰქონდეს ნიკას თან რეფერენდუმში მონაწილეობისთვის?

1.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა

რაბომ არის რეფერენდუმში მონაწილეობა
სამოქალაქო ვალდებულება?




დაიმახსოვრეთ!

ყველგან – იგივეა, რაც ყველა ადგილას.

ასეთივე სიტყვებია: **ზოგან**, **ერთგან**, **ბევრგან**, **მრავალგან**, **ორგან** და სხვ.

ა.



ბ.

რას შვრება? წყდება

რას შვრებოდა? წყდებოდა

მაგ., ეს საკითხი რეფერენდუმზე წყდება.

შარშანდელ რეფერენდუმზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური
ორიენტაციის საკითხი წყდებოდა.

1.14. წერა

იმჯელეთ საკითხზე – მე დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვცხოვრობ

1.15. ეს საინტერესოა!



დემოკრატია ბერძნული სიტყვაა. „დემოს“ ნიშნავს ხალხს, ხოლო „კრატოს“ – ძალაუფლებას, ე.ი. დემოკრატია განიმარტება, როგორც ხალხის მმართველობა. დემოკრატიის დროს ყველა თანასწორუფლებიანია და კანონის წინაშე პრივილეგია არავის აქვს.

1.16. თემატური გამონათქვამი:

ადამიანი თავისუფალ ქმნილებად დაბადებული, მაგრამ მას მთელი ცხოვრება ბორკილები ადევს

/ჟან-ჟაკ რუსო/.

უპასუხეთ კითხვას!

- თქვენი აზრით, რა იგულისხმა ჟან-ჟაკ რუსომ „ბორკილებში“?

II ნაწილი აქტიური მოქალაქე – დემოკრატიის გარანტი

2.1. ტექსტი:

მოქალაქე არის პირი, რომლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს იცავს სახელმწიფო, იმის მიუხედავად, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფება ის; ხოლო აქტიური მოქალაქეა ის პირი, რომელიც იცავს თავის უფლებებს, ასრულებს მოვალეობებს და საკუთარი **წვლილი შეაქვს** ქვეყნის განვითარებაში. მას აინტერესებს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები, ხმამაღლა სვამს კითხვებს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს. ასეთი მოქალაქე მორალურად მართალია თანამოქალაქეების წინაშე და საზოგადოების **სრულუფლებიანი** წევრია.

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ადამიანები აქტიურად არ არიან **ჩართული** საზოგადოებრივ პროცესებში. მათი აქტივობა ძირითადად არჩევნების დროს ხმის მიცემაში **გამოიხატება**. ეს მნიშვნელოვანი პროცესია, თუმცა მოქალაქეები ზოგჯერ ამასაც არ აკეთებენ, ასეთი დამოკიდებულება კი **აფერხებს** დემოკრატიის განვითარებას. აქტიური მოქალაქეებისაგან შემდგარი **სოციალური** ჯგუფი სამოქალაქო საზოგადოებას ქმნის. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, შეზღუდოს მისი საზოგადოებრივი როლი და საქმიანობა, რადგან ეს კანონითაა დაცული.

აქტიური მოქალაქისთვის დამახასიათებელია როგორც თავისი, ასევე – სხვისი უფლებების დაცვა, მოქალაქის უფლებები კი სხვადასხვაგვარია: სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებია: სიცოცხლის, პირადი ხელშეუხებლობის, **წამების** აკრძალვის, სიტყვის თავისუფლების, რელიგიური **მრწამსის**, **სინდისის** თავისუფლების, გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის, სამართლიანი სასამართლოს, არჩევნებში მონაწილეობის, გაერთიანების, შეკრებისა და **მანიფესტაციების** და სხვა.

კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებთან ერთად მოქალაქეს აქვს მოვალეობებიც სახელმწიფოს წინაშე; ესენია: მოქმედი კანონების დაცვა, სავალდებულო სამხედრო სამსახური, **გადასახადების** გადახდა, ბუნებრივი **რესურსებით რაციონალური** სარგებლობა და ა.შ. სწორედ ამ მოვალეობებით განსხვავდება მოქალაქე ვალდებულებების არმქონე ადამიანისგან. აქტიური მოქალაქე ამ ვალდებულებებსაც ასრულებს და ფიქრობს, რომ მისი პირადი პასუხისმგებლობა თანამოქალაქეების დაცვა უსამართლობისაგან.

მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ
შენ შენს მოვალეობას ასრულებ
ის თავის მოვალეობას ასრულებს

მე ვიცავ სიტყვის თავისუფლებას
შენ იცავ სიტყვის თავისუფლებას
ის იცავს სიტყვის თავისუფლებას

2.2. ლექსიკა:

წვლილი შეაქვს – აქ თავის ნაწილ საქმეს აკეთებს.

სრულუფლებიანი – თანასწორი უფლების მქონე.

ჩართული – აქ: რაიმე პროცესის მონაწილე.

გამოიხატება – გამოისახება, აისახება, ჩანს.

შეფერხება – რომელიმე მოქმედების დაბრკოლება, ხელის შეშლა.

სოციალური – საზოგადოებრივი, ანუ ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი.

წამება – ტანჯვა, სასტიკი მოქცევა.

მრწამსი – ის, რისიც სწამთ; იგივეა, რაც რწმენა.

სინდისი – შინაგანი ხმა, რომელიც ადამიანს საკუთარ საქციელში კარგსა და ცუდს განარჩევინებს.

გადაადგილება – ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, ადგილის შეცვლა.

მანიფესტაცია – მოქალაქეთა საჯარო გამოსვლა სოლიდარობის ან პროტესტის ნიშნად.


გადასახადი – ის, რასაც ვალდებულების სახით ვიხდით, მაგ., ელექტროენერგიის საფასური.

რესურსი – რაიმეს მარაგი, წყარო.

რაციონალური – გონივრული, მიზანშეწონილი.

2.3. ტექსტის გააზრება:

1. ვინ არის მოქალაქე?
2. ვინ არის აქტიური მოქალაქე?
3. რა აფერხებს დემოკრატიის განვითარებას?
4. რა არის დამახასიათებელი აქტიური მოქალაქისთვის?
5. რა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები აქვს მოქალაქეს?
6. რა მოვალეობები აქვს მოქალაქეს სახელმწიფოს წინაშე?



ა.

დაიმახსოვრეთ!



-**ოვან** ბოლოსართი სახელებს დაერთვის და რაიმეს ქონას აღნიშნავს.
მაგ., **მნიშვნელოვანი** – იგივეა, რაც: მნიშვნელობის მქონე.

ბ.

დაიმახსოვრეთ!



რას შვრება? იცავს იცვამს
რა უქნია? დაუცავს ჩაუცვამს

მაგ., მას თავისი უფლება დაუცავს.
ეგ ფეხსაცმელი ჯერ არ ჩაუცვამს.

რა მიქნია?	რა გვიქნია?
რა გიქნია?	რა გიქნიათ?
რა უქნია?	რა უქნიათ?



[მე]	დამიცავს	[ჩვენ]	დაგვიცავს
[შენ]	დაგიცავს	[თქვენ]	დაგიცავთ
[მას]	დაუცავს	[მათ]	დაუცავთ

2.4. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვას!

- როგორი მოქალაქეა ნინო? (პასუხი დაასაბუთეთ!)

ნინო აცნობიერებს თავის როლს საზოგადოებაში. მისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. მან იცის თავისი უფლებების შესახებ და იცავს მათ; ამავე დროს პატივს სცემს სხვათა უფლებებს, ასრულებს კანონის მოთხოვნებს, ანუ იჩენს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

2.5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვას!

- როგორ იცავს დათო სახელმწიფოს? (პასუხი დაასაბუთეთ!)

დათო ყოველთვის იცავს თანამოქალაქეების უფლებებს. როცა ხედავს, რომ სხვისი უფლებები ირღვევა, მშვიდად ყოფნა არ შეუძლია. ის ფიქრობს: თუ დაუშვებს თანამოქალაქეთა უფლებების დარღვევას, ე.ი. მომავალში საკუთარსაც ვეღარ დაიცავს. ასე რომ, სხვისი უფლებების დაცვით მოქალაქე თავის, თანამოქალაქეებისა და სახელმწიფოს ინტერესებს იცავს.

2.6. მოცემული გზნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეასრულა	ასრულებს	შეასრულებს
2	გამოიხატა	[გამო]იხატება	გამოიხატება
3	შეაფერხა	აფერხებს	შეაფერხებს



2.7. მოსმენა

ტექსტი თემაზე: მოქალაქე საარჩევნო უბანში

2.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

მოქალაქე აღელვებულია, რადგან არჩევნებზე ხმას ვერ აძლევს.	
მოქალაქე ხმას ვერ აძლევს, რადგან პირადობის მოწმობა სახლში დარჩა.	
მოქალაქე ყოველთვის აქტიურად გამოხატავს თავის სამოქალაქო პოზიციას.	
მოქალაქე ამ არჩევნებზე ხმას ვეღარ მისცემს.	

2.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- რატომ არ არის მოქალაქე სიაში?
- აქტიურია თუ არა მოქალაქე?
- რამდენი წელია მოქალაქე ამ უბანში ცხოვრობს?
- მერამდენე არჩევნებია მოქალაქისთვის?
- რა მოსთხოვა საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა მოქალაქეს?

2.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.11. საპრეზენტაციო თემა

ფიქრობთ თუ არა, რომ არჩევნებში მონაწილეობა თქვენი სამოქალაქო ვალდებულებაა და რატომ?

ა. დაიმახსოვრეთ ფრაზა!



სხვათა შორის

მითითება: ძირითადად გამოიყენეთ მაშინ, როცა რაიმეს ასახულებთ, თქვენს აზრს გამოთქვამთ და გსურთ, ეს აზრი სხვასაც გააგებინოთ.

მაგ., სხვათა შორის, თქვენი საქციელი არავის მოსწონებია; ან: სხვათა შორის, მეც საქართველოს მოქალაქე ვარ და იგივე უფლებები მაქვს.

ბ. დაიმახსოვრეთ!



ნაცვალსახელები – **ერთმანეთი და ერთიმეორე** – სინონიმებია და ორ პირს შორის ურთიერთობას გამოხატავს.

მაგ., **ერთმანეთს** უნდა დავეხმაროთ.

ისინი **ერთიმეორეს** გვერდით დაუდგნენ.

სახ.	ერთმანეთ ი	ერთიმეორე
მოთხრ.	[ერთმანეთ მა]	[ერთიმეორე მ]
მიც.	ერთმანეთ ს	ერთიმეორე ს
ნათ.	ერთმანეთ ის	ერთიმეორე ის
მოქმ.	ერთმანეთ ით	ერთიმეორე ით
ვით.	----	----
წოდ.	----	----

მითითება! მოთხრობითის ფორმები – ერთმანეთმა და ერთიმეორემ – იშვიათად გამოიყენება.

მაგ., დაე, ერთმანეთმა [//ერთიმეორემ] გაგაძლიეროთ!

სახ.	ერთმანეთ ის	აზრ ი	ერთიმეორ ის	ფიქრ ი
მოთხრ.	ერთმანეთ ის	აზრ მა	ერთიმეორ ის	ფიქრ მა
მის.	ერთმანეთ ის	აზრ ს	ერთიმეორ ის	ფიქრ ს
				და სხვ.

გ.

ისეთი მოქალაქე,
როგორიც

ისეთი მოქალაქეები,
როგორ**ებიც**...

2.12. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - ვარ თუ არა აქტიური მოქალაქე?!

2.13. თემატური ტექსტი:

უცოლო კაცი ვერ იტყვის, ნამდვილი მოქალაქე ვარო იმიტომ, რომ ვერ ასრულებს მოვალეობას, ვერ უზრდის ხალხს შვილს. იქნებ ეშინია ცხოვრებისა?! თუ ასეა, მშიშარა რა ვაჟკაცია, რა მოქალაქე?! /ვასილ ბარნოვი/.

უპასუხეთ კითხვებს!

- როგორ გესმით მოცემული ტექსტის აზრი?
- არ შეიძლება, რომ უცოლო კაცი იყოს ნამდვილი მოქალაქე?

3.1. ტექსტი

პოლიტიკური კულტურის სამ ტიპს გამოყოფენ: I. **პატრიარქალურს**, ანუ ტრადიციულს; II. **მორჩილებითს**, ანუ **ქვეშევრდომულს**; და III. **აქტივისტურს**, ანუ **თანამონაწილეობითს**.

პატრიარქალური კულტურა საზოგადოების წევრთა პოლიტიკური ინტერესების **უქონლობით** ხასიათდება და ის დაბალი განვითარების საზოგადოებაში გვხვდება. პატრიარქალურ კულტურაში ადამიანებს **პოლიტიკური ორიენტაცია** და განსაზღვრული სოციალური როლი არა აქვთ. აქ მთავარი ისეთი ვიწრო ინტერესების დაცვაა, როგორებიცაა: **კლანური**, გვაროვნული, ტომობრივი და სხვ.

მორჩილებითი კულტურის შემთხვევაში პოლიტიკური სისტემითა და ხელისუფლების საქმიანობით ადამიანები **ნაწილობრივ** ინტერესდებიან. ეს კულტურა მოქალაქეთა პოლიტიკური პასიურობით გამოირჩევა, რადგან ხალხი **ემიჯნება** პოლიტიკას, თუმცა მოქალაქეებმა იციან პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობის შესახებ, მათი მუშაობის შეფასებაც შეუძლიათ, მაგრამ თავად არ მონაწილეობენ ამ საპასუხისმგებლო საქმეში. სახელმწიფოს ფუნქცია იმ კანონებისა და ბრძანებების შექმნაა, რომლებსაც ხალხი უნდა დაემორჩილოს. საზოგადოება ფიქრობს, რომ მისი მოვალეობაა, მიიღოს არსებული სისტემა იმ ფორმით, რომელიც მას აქვს.

აქტივისტური პოლიტიკური კულტურის დროს მოქალაქეები ცდილობენ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ არა მხოლოდ იციან თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ, არამედ რეალურად ახორციელებენ მათ და **პირდაპირ ზემოქმედებენ** პოლიტიკური ცხოვრების წესზე. ისინი ეყრდნობიან ალტერნატიულ პოლიტიკურ **ღირებულებებსაც**. **ტოლერანტობა**, პლურალიზმი და პოლიტიკისადმი **შემოქმედებითი მიდგომა** – ამ კულტურის მთავარი ნიშნებია.

მე ვინტერესდები ამ საქმით
მე დავინტერესდები ამ საქმით
მე დავინტერესდი ამ საქმით

მონაწილეობს – მონაწილეობას იღებს
მე ვმონაწილეობ მე ვიღებ მონაწილეობას
შენ მონაწილეობ შენ იღებ მონაწილეობას
ის მონაწილეობს ის იღებს მონაწილეობას

3.2. ლექსიკა:

პატრიარქალური – ძველი, ტრადიციული.

ქვეშევრდომი – ხელქვეითი, ვინმეს დაქვემდებარებაში მყოფი.

თანამონაწილე – ვინმესთან ერთად მონაწილე, ვინმესთან ერთად მოქმედი.

უქონლობა – რაიმეს არქონა.

პოლიტიკური ორიენტაცია – პოლიტიკური შეხედულების, პოლიტიკური მიმართულების ქონა.

კლანი – საერთო მიზნით (მაგ., ფინანსური, პოლიტიკური და სხვ.) შეკრული ადამიანების ერთობა, რომელსაც ვიწრო ინტერესები აქვს.

ნაწილობრივი – ის, რაც არ არის მთლიანი, არამთლიანი.

ემიჯნება – განზე დგება; აქ: არ მონაწილეობს.

ზემოქმედება – მოქმედება, რომელიც ვინმეზე ან რამეზე ახდენს გავლენას; იგივეა, რაც გეგავლენა.

ღირებულება – ის, რასაც ფასი აქვს, მნიშვნელოვანია.

ტოლერანტობა – განსხვავებული ქცევებისა და შეხედულებების შეწყნარება; შემწყნარებლობა.

შემოქმედებითი მიდგომა – რაიმე საკითხის მიმართ საინტერესო, ინდივიდუალური, [ინოვაციური] დამოკიდებულება.

3.3. ტექსტის გააზრება:

1. პოლიტიკური კულტურის რა და რა ტიპი არსებობს?
2. როგორ ხასიათდება პატრიარქალური კულტურა?
3. როგორი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი პატრიარქალური კულტურა?
4. როგორი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი მორჩილების კულტურა?
5. რა არის აქტივისტური პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელი ნიშნები?

სინონიმები	ანტონიმები
ქვეშევრდომი – ხელქვეითი ორიენტაცია – გეზი ზემოქმედება – გეგავლენა ღირებულება – ფასი, ფასეულობა	აქტიურობა – პასიურობა დაბალი – მაღალი ვიწრო – ფართო ნაწილობრივი – მთლიანი მიიღოს – უარყოს

ა.

რას შვრება? ემორჩილება **რა? მორჩილება**
რას იზამს? დამორჩილება **რა? დამორჩილება**
 მაგ., არავის ვემორჩილები, მე თავისუფალი ადამიანი ვარ.
 მას ჩემი დამორჩილების სურვილი ჰქონდა.



დაიმახსოვრეთ!

ბ.

პირდაპირ – საწინააღმდეგო, მოპირდაპირე მხარეს; ან: დაუფარავად, გარკვევით.

პირისპირ – იგივეა, რაც: პირდაპირ, ანუ საწინააღმდეგო მხარეს.

მაგ., ჩემ პირდაპირ მაღალი კაცი იდგა.

გთხოვ, პირდაპირ მიპასუხო!

უსამართლობის პირისპირ აღმოვჩნდი..

ა. **პირისპირ** → **დააპირისპირებს** (რას იზამს?) → **დაპირისპირება** (რა?)

ბ. **პირისპირ** → **საპირისპირო** [აზრი]



ჩემ	პირდაპირ	ჩვენ	პირდაპირ
შენ	პირდაპირ	თქვენ	პირდაპირ
[ი]მის	პირდაპირ	[ი]მათ	პირდაპირ
მაგრამ:	ქალაქ თბილისის მერიის პირდაპირ სამართლიანობის პირისპირ		

3.4. წაიკითხეთ დიალოგი და განსაზღვრეთ პოლიტიკური კულტურის ტიპი!

მამა: უნდა ვეომოთ მეზობელ ტომს!

შვილი: ისინი ხომ არაფერს გვიშევენ?!

მამა: ასე უნდა ტომის ბელადს და შენ ვინ გკითხავს?!

შვილი: მე მომწონს ჩვენი მეზობლები. იმათ სოფელშიც ვყოფილვარ. ყოველთვის კარგად მხედებიან.

მამა: ეს მეორედ არ გაიმეორო! მეზობლებს თავი დაანებე! იქ აღარ მიხვიდე, ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ!

3.5. წაიკითხეთ დიალოგი და განსაზღვრეთ პოლიტიკური კულტურის ტიპი!

მამა: მე არ მომწონს, შეკრებებზე რომ დადიხარ.

შვილი: ეს უბრალო შეკრებები არ არის. ჩვენ გვინდა ჩამოვაცალიბოთ მუშათა უფლებების დამცველი ჯგუფი.

მამა: გაგიჟდით?! ყველას სამსახურიდან დაგიტოვებენ.

შვილი: ჩვენ მზად ვართ ამისთვის.

მამა: შენ ასე გგონია, მაგრამ სამსახურიდან რომ გამოგიშვებენ, ამდენ გადასახადს როგორ გადავიხდით?

შვილი: აბა, უარი ვთქვა ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე?

მამა: უარი უნდა თქვა. ჩვენ უნდა მივიღოთ ხელმძღვანელობა ისეთი, როგორიც არის.

3.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გამოყო	ყოფს	გამოყოფს
2	დახასიათდა	ხასიათდება	დახასიათდება
3	გამოირჩა	გამოირჩევა	გამოირჩევა
4	გაემიჯნა	ემიჯნება	გაემიჯნება



3.7. მოსმენა

დიალოგი თემაზე: ახალი ორგანიზაციის შექმნა

3.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ორგანიზაციის მიზანია პოლიტიკური კულტურის ამაღლება საზოგადოებაში.	
ბატონი დავითის ორგანიზაცია ძირითადად ახალგაზრდებისთვის არის შექმნილი.	
მოსახლეობამ კარგად იცის თავისი პოლიტიკური უფლებების შესახებ.	
ორგანიზაცია აპირებს ქუჩაში შეხვედრას ხალხს.	

3.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. გამოკითხვის შედეგად მოსახლეობის რამდენმა პროცენტმა არ იცის თავისი უფლებები?
2. რამდენი წევრია ბატონი დავითის ორგანიზაციაში?
3. სად გეგმავენ ორგანიზაციის წევრები ახალგაზრდებთან შეხვედრას?
4. ამომრჩეველთა რა ნაწილმა მიიღო ბოლო არჩევნებში მონაწილეობა?
5. რაზე მეტყველებს ამომრჩეველთა პასიურობა?

3. 10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.11. საპრეზენტაციო თემა

რა კავშირია მოქალაქეთა აქტიურობასა და პოლიტიკურ კულტურას შორის?

ხმა მისცა – ვიღაც ან რაღაც აირჩია.

მაგ., ჩვენი უბნის ამომრჩეველებმა ხმა ბ-ნ დავითს მისცეს.



ხმა გაკმინდა – სულ გაჩუმდა, მისი ხმა შეწყდა.

სიტყვა პირზე შეაშრა – უცერად ველარაფერი თქვა (რაიმე განცდის გამო, მაგ., შიშით, გაოცებით...).

პირში წყალი დაიგუბა – გაჩუმდა, აღარაფერი თქვა.

3.12. წერა

იმჯელეთ საკითხზე - ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური კულტურა

3. 13. თემატური გამონათქვამი:

„თუ თქვენ არ მიხვალთ პოლიტიკასთან, პოლიტიკა მოვა თქვენთან“
/მარლ დეგოლი/.

უპასუხეთ კითხვას!

- როგორ გესმით მოცემული გამონათქვამი?

ლექსიკა

გადაადგილება — ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, ადგილის შეცვლა.

გადასახადი — ის, რასაც ვალდებულების სახით ვიხდით, მაგ., ელექტროენერგიის საფასური.

გამიჯვნა — განზე გადგომა; ერთმანეთისგან გამოყოფა, დაცალკელება.

გამოიხატება — გამოისახება, აისახება, ჩანს.

დანაწილება — ნაწილებად დაყოფა.

ზემოქმედება — მოქმედება, რომელიც ვინმეზე ან რამეზე ახდენს გავლენას; იგივეა, რაც ზეგავლენა.

თანამონაწილე — ვინმესთან ერთად მონაწილე, ვინმესთან ერთად მოქმედი.

კლანი — საერთო მიზნით (მაგ., ფინანსური, პოლიტიკური და სხვ.) შეკრული ადამიანების ერთობა, რომელსაც ვიწრო ინტერესები აქვს.

მანიფესტაცია — მოქალაქეთა საჯარო გამოსვლა სოლიდარობის ან პროტესტის ნიშნად.

მრწამსი — ის, რისიც სწამთ; იგივეა, რაც რწმენა.

ნაწილობრივი — ის, რაც არ არის მთლიანი, არამთლიანი.

პატრიარქალური — ძველი, ტრადიციული.

პოლიტიკური ორიენტაცია — პოლიტიკური შეხედულების, პოლიტიკური მიმართულების ქონა.

რაციონალური — გონივრული, მიზანშეწონილი.

რესურსი — რაიმეს მარაგი, წყარო.

სამოქალაქო უფლებები — უფლებები, რომლებიც ადამიანს ქვეყნის მოქალაქეობიდან გამომდინარე ენიჭება (მაგ., სინდისისა და რწმენის, თანასწორობისა და თავისუფლების და ა.შ. უფლებები).

საჯაროობა — საყოველთაოობა, დაუფარაობა.

სინდისი — შინაგანი ხმა, რომელიც ადამიანს საკუთარ საქციელში კარგსა და ცუდს განარჩევინებს.

სოციალური — საზოგადოებრივი, ანუ ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი.

სოციალური უფლებები — უფლებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას უზრუნველყოფს (მაგ., განათლების, ოჯახის შექმნის, ჯანმრთელობის და ა.შ. უფლებები).

სრულუფლებიანი — თანასწორი უფლების მქონე.

სუვერენიტეტი — სრული დამოუკიდებლობა.

ტოლერანტობა — განსხვავებული ქცევებისა და შეხედულებების შეწყნარება; შემწყნარებლობა.

უქონლობა — რაიმეს არქონა.

ქვეშევრდომი — ხელქვეითი, ვინმეს დაქვემდებარებაში მყოფი.

ღირებულება — ის, რასაც ფასი აქვს, მნიშვნელოვანია.

შემოქმედებითი მიდგომა — რაიმე საკითხის მიმართ საინტერესო, ინდივიდუალური, [ინოვაციური] დამოკიდებულება.

შეფერხება — რომელიმე მოქმედების დაბრკოლება, ხელის შეშლა.

ჩართული — აქ: რაიმე პროცესის მონაწილე.

წამება — ტანჯვა, სასტიკი მოქცევა.

წყარო — აქ: ის, საიდანაც რაიმე გამომდინარეობს, რაიმეს საფუძველია.

ხელშეუვალობა — ხელშეუხებლობა, ანუ ის, რასაც ვერ შეეხები.

ზმნები:

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი+ უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	ანიჭებს	ანიჭებდა	მიანიჭა	მიანიჭებს	მიანიჭოს	მიუნიჭებია	მიანიჭება
2	ასრულებს	ასრულებდა	შეასრულა	შეასრულებს	შეასრულოს	შეუასრულებია	შეასრულება
3	აფერხებს	აფერხებდა	შეაფერხა	შეაფერხებს	შეაფერხოს	შეუაფერხებია	შეაფერხება
4	[გამო]ირჩევა	[გამო]ირჩეოდა	გამოირჩა	გამოირჩევა	გამოირჩეს	გამოირჩეულა	გამოირჩევა
5	[გამო]იხატება	[გამო]იხატებოდა	გამოიხატა	გამოიხატება	გამოიხატოს	გამოიხატულა	გამოიხატვა
6	გულისხმობს	გულისხმობდა	იგულისხმა	იგულისხმებს	იგულისხმოს	უგულისხმია	-----
7	ემიჯნება	ემიჯნებოდა	გაემიჯნა	გაემიჯნება	გაემიჯნოს	გამიჯვნია	გამიჯვნა
8	ეხება	ეხებოდა	შეეხო	შეეხება	შეეხოს	შეეხებია	შეეხება
9	ზღუდავს	ზღუდავდა	შეზღუდა	შეზღუდავს	შეზღუდოს	შეუზღუდავს	შეზღუდვა
10	უარყოფს	უარყოფდა	უარყო	უარყოფს	უარყოფოს	უარუყოფია	უარყოფა
11	ყოფს	ყოფდა	გამოყო	გამოყოფს	გამოყოფოს	გამოუყოფია	გამოყოფა
12	ცდილობს	ცდილობდა	ეცადა	ეცდება	ეცადოს	უცდია	მცდელობა
13	ხასიათდება	ხასიათდებოდა	დახასიათდა	დახასიათდება	დახასიათდეს	დახასიათებულა	დახასიათება

VI ტაპი

ადამიანის ძირითადი უფლებები და
თავისუფლებები

I ნაწილი

სამართლებრივი უფლებები

1.1. ტექსტი:

საქართველოს კონსტიტუციით ყველა ადამიანი **დაბადებით** თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორი. სიცოცხლე ადამიანის **ხელშეუვალი** უფლებაა და მას იცავს კანონი. პიროვნების უფლებებია: სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, **ღირსების შეუვალობის** უფლება. დაუშვებელია ადამიანის **დევნა** სიტყვის, აზრის ან რწმენის გამო, თუ მათი გამოვლენა არ **ლახავს** სხვათა უფლებებს.

თავისუფლების აღკვეთა ან **შეზღუდვა** დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. კონსტიტუციის თანახმად, **დაკავებული** პირი უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე არაუგვიანეს 48 საათისა; მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ აღნიშნულ ვადაში ასე არ მოხდა, **თავისუფლებაშეზღუდული** პირი **დაუყოვნებლივ** უნდა გათავისუფლდეს. **ამგვარი მიდგომა** ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს, რომლის მიხედვით, არ შეიძლება დამნაშავე ეწოდოს იმას, ვისი ბრალიც სასამართლოს მიერ არ დამტკიცდება.

პირადი თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვის დროს ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია, რატომ დააკავეს. თუ პირი **ბრალდებულია**, მაშინ მას უნდა ეცნობოს წაყენებული ბრალის შესახებ. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეუძლია მაშინვე მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

- მე დამცველის დახმარება მოვითხოვე.
- მას წაყენებული ბრალის შესახებ უნდა ეცნობოს.

1.2. ლექსიკა:

დაბადებით – დაბადებიდანვე.

ხელშეუვალი უფლებები – ხელშეუხებელი უფლებები.

ღირსება – ადამიანის შინაგან ღირებულებათა ერთიანობა.

შეუვალობა – იგივეა, რაც ხელშეუვალობა, ხელშეუხებლობა.

დევნა – აქ: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილობრივი დარღვევა; მიზანმიმართული შევიწროება.

შელახვა – დარღვევა; შეურაცხყოფის მიყენება.

თავისუფლების აღკვეთა – დაპატიმრება, თავისუფლების წართმევა.

თავისუფლების შეზღუდვა – სასჯელის სახე: საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე ადამიანის კონტროლი.

შეზღუდვა – რაიმეს აკრძალვა მთლიანად ან ნაწილობრივ.

დაკავებული – აქ: დროებით დაპატიმრებული.

დაუყოვნებლივ – სწრაფად, შეყოვნების გარეშე.

პრეზუმფცია – სავარაუდო მოსაზრება, დასკვნა.

ბრალდებული – სასამართლოს მიერ დამნაშავედ აღიარებული.

1.3. ტექსტის გააზრება:

1. რა უფლება ენიჭება ადამიანს დაბადებიდანვე?
2. ადამიანის რა ძირითადი უფლებები არსებობს?
3. რა შემთხვევაშია შესაძლებელი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა?
4. რამდენ ხანს შეუძლიათ სამართალდამცავ ორგანოებს პირის დაკავება?
5. რა შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს დაკავებულ პირს დამნაშავე?
6. რას ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმფიცია?

სინონიმები	ანტონიმები
დაპატიმრებული – მსჯავრდებული დამცველი – აქ: ადვოკატი დაუყოვნებლივ – საჩქაროდ დაკმაყოფილება – შესრულება	დააკავეს – გაათავისუფლეს

ა.

რას იზამს?

კანონი ყველა იმ პირს შეზღუდავს, რომელიც რაიმეს დააშავეს.

როგორი?

შეზღუდული შესაძლებლობის პირებს სახელმწიფო სპეციალურ დახმარებას უწევს. ის **თავისუფლებაშეზღუდული** პირია, ამიტომ ქვეყნის დატოვების უფლება არა აქვს.

ბ.

დაიმახსოვრეთ!



ამნაირი, **ამგვარი** და **ამისთანა** სინონიმებია. ისინი მიგვითითებს მსგავს საგნებზე და დაესმის კითხვა: როგორი? მაგ., მოქალაქეთა მიმართ ამგვარი მიდგომა დაუშვებელია. მაგნაირი შარვალი მეც მაქვს.



ამ - უჩვენებს, რომ საგანი I პირთან არის ახლოს; **მაგ** - გამოხატავს II პირთან სიახლოვეს; ხოლო **იმ** - III პირთან მდგომ საგნებს აღნიშნავს.



1.4. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას!

- ადამიანის რომელ უფლებებზეა საუბარი მოცემულ დიალოგში?

ადვოკატი: კარგია, რომ შენი უფლებები იცოდი და მაშინვე მოითხოვე ადვოკატი.

დაკავებული: დუმილის უფლებაც შევინარჩუნე თქვენს მოსვლამდე.

ადვოკატი: ესეც კარგია. ახლა უნდა ამიხსნა, რა მოხდა! 48 საათში სასამართლო უნდა დაინიშნოს.

დაკავებული: მანამდე აქ დამტოვებენ?

ადვოკატი: უფლება აქვთ. სასამართლოც გადაწყვეტილებას 24 საათის განმავლობაში იღებს.

დაკავებული: არაფერი მომხდარა, ქუჩაში ვიჩხუბე და დამაკავეს.

ადვოკატი: ვინმე გიჩივის?

დაკავებული: არა მგონია, ღირსება შემილახა, ჩემს სარწმუნოებას შეურაცხყოფდა, ამიტომაც ვცემე.

ადვოკატი: საქართველოში რწმენის თავისუფლება და ღირსების შეუვალობა დაცულია. ის აუცილებლად დაისჯება, მაგრამ შენც ჩხუბი არ უნდა დაგეწყო. ამ დროს სასამართლოს უნდა მიმართო!

1.5. წაიკითხეთ დიალოგი!

ზაზა: რატომ არ თქვი შენი აზრი შინაგან საქმეთა მინისტრის შესახებ?!

ზურა: შემეშინდა, არ დავეპატიმრებინეთ.

ზაზა: რატომ უნდა დავეპატიმრებინეთ?

ზურა: იმიტომ, რომ მართალი სიტყვის თქმა არავის სიამოვნებს.

ზაზა: კი, მაგრამ სიმართლე არ უნდა გეთქვა?!

ზურა: რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც შემეშინდა.

უპასუხეთ კითხვას:

- რომელი უფლება არ გამოიყენა ზურამ?

1.6. მოცემული გზნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შელახა	ლახავს	შელახავს
2	წარდგა	[წარ]დგება	წარდგება
3	გათავისუფლდა	თავისუფლდება	გათავისუფლდება
4	გაეცნო	ეცნობა	გაეცნობა



1.7. მოსმენა

ტექსტი თემაზე: ადვოკატი ტელეფონზე

ა.

გაიხსენეთ!



რა დროიდან რა დრომდე? // როდიდან როდემდე?
სამიდან ცხრამდე – იგივეა, რაც: სამი საათიდან ცხრა საათამდე.
რა ადგილიდან რა ადგილამდე? // საიდან სადამდე?
ჩემი სოფლიდან შენ სახლამდე 12 კილომეტრია.

ბ.



დაიმახსოვრეთ!

წინაშე – იგივეა, რაც: პირდაპირ ან წინ.
მიერ – დაერთვის მოქმედ პირს, საგანს.

ჩემ წინაშე **ჩვენ** წინაშე
შენ წინაშე **თქვენ** წინაშე
[ი]მის წინაშე [ი]მათ წინაშე

მაგრამ: კანონის წინაშე ყველა თანასწორია!

ჩემ მიერ **ჩვენ** მიერ
შენ მიერ **თქვენ** მიერ
[ი]მის მიერ [ი]მათ მიერ

მაგრამ: მერის მიერ გამოქვეყნებულ
ბრძანებას ყურადღებით გავეცანი.

გ.

მე შემოიძლია მოვიგო ჩვენ შეგვიძლია მოვიგოთ
შენ შეგიძლია მოიგო თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ
მას შეუძლია მოიგოს მათ შეუძლიათ მოიგონ
მაგ., ჩვენ შეგვიძლია სასამართლო პროცესი მოვიგოთ.

მე შემოიძლია მოგება ჩვენ შეგვიძლია მოგება
შენ შეგიძლია მოგება თქვენ შეგიძლიათ მოგება
მას შეუძლია მოგება მათ შეუძლიათ მოგება
მაგ., მათ სასამართლო პროცესის მოგება შეუძლიათ.

1.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

მოქალაქე თავს დამნაშავედ ცნობს.	
მოქალაქეს ბრალდებული მაშინ შეიძლება ეწოდოს, როცა სასამართლო მის ბრალეულობას დაამტკიცებს.	
ადვოკატი და განსასჯელი სასამართლოს არ ენდობიან.	
სასამართლომ ადამიანის უფლებები უნდა დაიცვას.	

1.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. როდის დააკავეს მოქალაქე?
2. დაკავების შემდეგ რამდენ ხანში უნდა წაუყენონ ბრალი მოქალაქეს?
3. ყველაზე გვიან როდის გაიმართება სასამართლო?
4. რამდენი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს ადვოკატს?
5. რას საქმიანობს მოქალაქე ბერიძე?

1.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.11. საპრეზენტაციო თემა

ენდობით თუ არა სასამართლოს და რატომ?

1.12. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **რა უნდა ქნას მოქალაქემ, თუ დააკავეს?**

1. 13. გამონათქვამი:

ჩვენ გვაქვს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ არ გვაქვს თავისუფლების გარანტია ამ სიტყვის შემდეგ.

უპასუხეთ კითხვას!

- როგორ გესმით მოცემული გამონათქვამი?

2.1. ტექსტი:

სიტყვის, აზრის, რწმენისა და **აღმსარებლობის** თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების მთავარი საყრდენებია. ეს უფლებები ხელს უწყობს კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებას. როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა ამ თავისუფლებათა დაცვას.

სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებით არა მარტო **მასობრივი საინფორმაციო საშუალებები** (ტელევიზიები და ჟურნალ-გაზეთები) სარგებლობენ, არამედ – ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვა სურს. თითოეულს შეუძლია თავისი აზრი ხმამაღლა გამოთქვას, ეს კი პიროვნულ თავისუფლებას უწყობს ხელს. ამ უფლებიდან გამომდინარე, თავისუფალია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ხოლო **ცენზურა** – დაუშვებელი. გამოხატვის თავისუფლების მხრივ, არსებობს შეზღუდვებიც. მაგალითად, კანონი კრძალავს მუქარას, პირისპირ შეურაცხყოფას, პირადი საიდუმლოს გამხელას და სხვა. სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება მოქალაქეს იმის საშუალებას აძლევს, რომ ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელზეც სურს, ან გააკრიტიკოს ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც თანამდებობის პირი.

საქართველოს სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და რელიგიის სრულ თავისუფლებას. კონსტიტუცია იცავს ადამიანის უფლებებს – სწამდეს ღმერთი, აირჩიოს და აღიაროს ნებისმიერი რელიგია, რწმენა თუ მრწამსი, ჰქონდეს თავისი რელიგიური შეხედულებები და სხვებსაც **გაუზიაროს**, იცხოვროს და იმოქმედოს მათ შესაბამისად. მოქალაქეს შეუძლია შეიცვალოს რწმენაც, ასევე შეუძლია საჯაროდ გამოხატოს თავისი რწმენა სხვადასხვა ფორმით: სწავლებით, **ქადაგებით**, წესებისა და **რიტუალების** შესრულებით. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ერთი მიზეზით – „სხვათა უფლებების“ დასაცავად.

- დიდ ყურადღებას მივაქცევ თავისუფლების დაცვას.
- საქართველოს სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და რელიგიის სრულ თავისუფლებას.

2.2. ლექსიკა:

აღმსარებლობა – ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრობა.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები – მასმედია.

ცენზურა – აქ: ინფორმაციის საშუალებების კონტროლი.

გაზიარება – სხვისთვის რაიმეს თქმა, საკუთარი შეხედულების გაცნობა.

ქადაგება – აქ: ადამიანთა დარიგება კონკრეტული რელიგიური შეხედულებების მიხედვით.

რიტუალი – აქ: რომელიმე რელიგიის სიმბოლური წესი.

2.3. ტექსტის გააზრება:

1. რა განაპირობებს ქვეყანაში პლურალიზმის დამკვიდრებას?
2. კანონის მიხედვით, კონტროლდება თუ არა მასმედია საქართველოში?
3. რომელი უფლებიდან გამომდინარეობს ცენზურის აკრძალვა?
4. როგორ გამოხატავს მოქალაქე რწმენის თავისუფლებას?
5. რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს რწმენის თავისუფლება?

სინონიმები	ანტონიმები
საყრდენი – საფუძველი ხანდახან – ზოგჯერ	ხანდახან – ყოველთვის აკრძალული – დაშვებული გართულება – გაიოლება

როგორ?

კარგი → კარგად	მტკიცე → მტკიცედ
შესაბამისი → შესაბამისად	საჯარო → საჯაროდ

მაგ., ადამიანის უფლებების საკითხებში კარგად ვერკვევი.
სტუდენტებმა თავიანთი აზრი საჯაროდ გამოხატეს.

2.4. წაიკითხეთ დიალოგი! იმსჯელეთ:

- ვინ არის მართალი და რატომ?

რედაქტორი: სამწუხაროდ, ამ სტატიას ვერ დავბეჭდავთ.

ჟურნალისტი: რატომ? რაშია საქმე? მთავრობის გეშინიათ?

რედაქტორი: არა, არ მომწონს, პრემიერ-მინისტრს რომ ლანძღავთ.

ჟურნალისტი: ეს ლანძღვა კი არა, კრიტიკაა, სამართლიანი კრიტიკა.

რედაქტორი: ე.ი. თქვენი აზრით, კრიტიკა ლანძღვა ყოფილა. ის თუ იცით, ყველანაირ კრიტიკას თავისი საზღვრები რომ აქვს.

ჟურნალისტი: ასეთი საქციელით თქვენ სიტყვის თავისუფლებას ზღუდავთ!

რედაქტორი: კონსტიტუციით სიტყვის თავისუფლება კი გვაქვს, მაგრამ გაზეთი რომ დამიხურონ?



დაიმახსოვრეთ!

რას შვრება?

იხატება
არის

რა უქნია?

დახატულა
ყოფილა

[მე]	ყოფილვარ	[ჩვენ]	ყოფილვართ
[შენ]	ყოფილხარ	[თქვენ]	ყოფილხართ
[ის]	ყოფილა	[ისინი]	ყოფილან

მაგ., არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ მე ვინმე დამეჩაგროს.
სანდრო აბაშიძე 1992 წელს დაბადებულია.

2.5. წაიკითხეთ დიალოგი! იმსჯელეთ: ვინ არის მართალი და რატომ?

ქეთევანი: ქუჩაში იელოვას მოწმეები შემხვდნენ და ერთი საათი გამაჩერეს.

თამარი: რატომ მოუსმინე?

ქეთევანი: არაფერი დაუშავებიათ, მესაუბრებოდნენ.

თამარი: კი არ გესაუბრებოდნენ, გიქადაგებდნენ.

ქეთევანი: რა არის ამაში ცუდი? ქადაგება კანონით დაშვებულია.

თამარი: ამით შენი უფლებები ირღვევა.

ქეთევანი: ეგ ჩემი საქმეა, მინდა მოვუსმენ, მინდა — არა.

2.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	ხელი შეუწყო	ხელს უწყობს	ხელს შეუწყობს
2	[ყურადღება] მიაქცია	[ყურადღებას] აქცევს	[ყურადღებას] მიაქცევს
3	გაუზიარა	უზიარებს	გაუზიარებს
4	იმოქმედა	მოქმედებს	იმოქმედებს



2.7. მოსმენა

ტექსტი თემაზე: მეგობრები აქციაზე

მაუწყებლობა — მასობრივი ინფორმაციის საშუალება, მაგ., რადიო, ტელევიზია.

2.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

აქციის მონაწილეებს უნდათ, რომ ტელევიზიებს სახელმწიფო დაეხმაროს.	
პლურალიზმი და სიტყვის თავისუფლება არ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის.	
ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა.	
პარლამენტი ტელევიზიების დახმარებას არ აპირებს.	

2.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რა მიზანი აქვს მოქალაქეთა აქციას?
2. როდის და სად იკრიბებიან აქციის მონაწილეები?
3. ვინ ჰპირდება ტელევიზიებს დახმარებას?
4. რამდენი ხანია პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს მაუწყებლობის შესახებ?
5. როდიდან შედის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ძალაში?

2.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

ა.

მე მინდა დავეხმარო ჩვენ გვინდა დავეხმაროთ
შენ გინდა დავეხმარო თქვენ გინდათ დავეხმაროთ
მას უნდა დავეხმაროს მათ უნდათ დავეხმარონ
მაგ., ჩვენ გვინდა ტელევიზიებს ფინანსურად დავეხმაროთ.

მე უნდა დავეხმარო ჩვენ უნდა დავეხმაროთ
შენ უნდა დავეხმარო თქვენ უნდა დავეხმაროთ
ის უნდა დავეხმაროს ისინი უნდა დავეხმარონ
მაგ., მათ კეთილი საქმის განხორციელებაში უნდა დავეხმარო.

ბ.

საბ. იგივე აზრ*ი*
მოთ. იმავე აზრ*მა*
მიც. იმავე აზრ*ს* და სხვ.
მაგ., მასაც იმავე აზრის დაფიქსირება სურდა.

2.11. საპრეზენტაციო თემა

**გამოჭმედავს თუ არა აქციები და
მანიფესტაციები ხალისუფლებაზე და რატომ?**

2.12. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - დაქორწინდებით თუ არა სხვა აღმსარებლობის მიმდევარზე? რატომ მოიქცევდით ასე?

2.13. თემატური გამონათქვამი:

ცოდნა არის ის, რაც ყოველთვის ფხიზლად დგას
სახელმწიფოს სადარაჯოზე

/პლატონი/.

უპასუხეთ კითხვას!

- თქვენი აზრით, რა წვლილი შეაქვს ცოდნას, ანუ განათლებასა და განათლებულ ადამიანს, სახელმწიფოს მშენებლობაში?

III ნაწილი

საკუთრება და საკუთრების უფლება

3. 1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ პირველ ილუსტრაციაზე?
2. რას ვხედავთ მეორე ილუსტრაციაზე?
3. რა აქვს საერთო ამ ილუსტრაციებს?

3.2. ტექსტი:

საკუთრება შეიძლება იყოს ნივთი, ფული და ფასიანი ქაღალდი. ნივთი არის მოძრავი და უძრავი. უძრავი ნივთია მიწის ნაკვეთი თავისი მცენარეებითა და შენობა-ნაგებობით, დანარჩენი ნივთები მოძრავია. განსხვავებულია **საკუთრების წარმოშობა** უძრავ და მოძრავ ნივთებზე. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მარტივად, საბუთის გარეშე, მაგალითად, შევიძინე ბაზარში პროდუქტი, მაღაზიაში – ავეჯი ან **საყოფაცხოვრებო** ნივთი. მე უკვე ვარ მესაკუთრე, მაგრამ ამისთვის აუცილებელი არ არის **ხელშეკრულების** გაფორმება ან **რეგისტრაცია**.

რაც შეეხება უძრავ ნივთებს, მათზე საკუთრების უფლება აუცილებლად უნდა გაფორმდეს საჯარო რეესტრში. ნივთზე საკუთრების უფლება გულისხმობს მის **ფლობას**, **ნივთით სარგებლობას** (მის გამოყენებას, მისგან სარგებლის მიღებას) და **განკარგვას** (გასხვისებას, დაგირავებას).

საკუთრების უფლება **ბუნებითი** უფლებაა. მის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. ის უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებას, ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას. საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებას. მოქალაქისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვა ან საკუთრების უფლების **ჩამორთმევა** დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

- ჩემს საკუთრებას საჯარო რეესტრში გავაფორმებ.
- საქართველოს კონსტიტუცია საკუთრების უფლებას განამტკიცებს.

3.3.ლექსიკა:

საკუთრება – კერძო, პირადი ქონება.

საკუთრების წარმოშობა – იურიდიული ტერმინი, აღნიშნავს ქონების საკუთრებად ქცევის ფაქტს.

საყოფაცხოვრებო – ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი.

ხელშეკრულება – ორ მხარეს შორის წერილობით გაფორმებული ვალდებულებები.

რეგისტრაცია – აღრიცხვა, ხელშეკრულების რეესტრში გაფორმება.

ფლობა – ნივთის საკუთრებაში ქონა: ხელში ჭერა, ჯიბეში ჩადება და ა.შ.

[ნივთით] სარგებლობა – ნივთის გამოყენება; ნივთით შემოსავლის მიღება.


განკარგვა – ნივთის ბედის გადაწყვეტა, მისი გაყიდვა, გაჩუქება და ა.შ.

ბუნებითი – თანდაყოლილი, ბუნებით ბოძებული.

ჩამორთმევა – ქონებრივი უფლების სახელმწიფოსთვის გადაცემა.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა შეიძლება იყოს საკუთრება?
2. რა და რა სახის ნივთები არსებობს?
3. როგორ წარმოიშობა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება?
4. რას ნიშნავს ნივთის განკარგვა?
5. რაში ეხმარება ადამიანს საკუთრების უფლება?
6. შეიძლება თუ არა საკუთრების ჩამორთმევა?



3.5. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას!

- რა შემთხვევაში შეიძლება საკუთრების ჩამორთმევა?

მოსამართლე: ქონება მემკვიდრეობით გადმოგეცათ?

ბრალდებული: არა, მე შევიძინე.

მოსამართლე: იმ ფულით, რომელიც უკანონოდ მიითვისეთ?

ბრალდებული: ქონება ჩემია. მას საკუთრების უფლება იცავს.

მოსამართლე: იმ შემთხვევაში, თუკი ის უკანონოდ, ე.ი. მითვისებული ფულით, არ არის შეძენილი.

ბრალდებული: არც ფული მიმითვისებია და არც კანონი დამირღვევია.

მოსამართლე: როგორ არა, ჩვენ მოწმეები გყავს.

3.6. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას!

- დაიცავს თუ არა სახელმწიფო კერძო მესაკუთრის ინტერესებს, თუ ის ბრალდებულია?

მოქალაქე: სავარაუდოდ, ბრალს წამიყენებენ. მაინტერესებს, შეუძლიათ თუ არა, ჩამომართვან ქონება?

ადვოკატი: თუ სახელმწიფო ქონება არ გაგიფლანგავთ, მაშინ თქვენი ქონება ხელშეუხებელია. საკუთრების უფლება კონსტიტუციის 21-ე მუხლითაა დაცული.

მოქალაქე: მგონი, სამსახურებრივ გულგრილობაში მდებენ ბრალს, მშენებლობის დროს ჩემი ორი მუშა მძიმედ დაშავდა. მათი მკურნალობა დიდ თანხას მოითხოვს.

ადვოკატი: თქვენი ბრალდება ქონების უკანონოდ მითვისებას არ შეეხება.

მოქალაქე: სხვისი ნამდვილად არ მიმითვისებია. რაც მაქვს, ყველაფერი მამაჩემისგან დამრჩა მემკვიდრეობით.

ადვოკატი: თქვენი ბრალდება თქვენს ქონებას არ შეეხება. სახელმწიფო კერძო მესაკუთრის ინტერესებს არ შელახავს.

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	წარმოიშვა	წარმოიშობა	წარმოიშობა
2	შევიძინე	ვიძენ	შევიძენ
3	გაფორმდა	ფორმდება	გაფორმდება
4	განამტკიცა	[გან]ამტკიცებს	განამტკიცებს



3.8. მოსმენა

ტექსტი თემაზე: საკუთრების უფლება ძველ საბერძნეთში

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ათენური დემოკრატია თანამედროვე დემოკრატიაზე ჰგავდა.	
წინა მმართველობით უკმაყოფილო ხალხმა ათენში დემოკრატია დაამყარა.	
ათენის მოქალაქე მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, ვისაც კერძო საკუთრება ჰქონდა.	
ომის დროს სახელმწიფო მოქალაქეებს იარაღს აძლევდა.	

3.10. მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენ ხანს გრძელდებოდა დემოკრატია ათენში?
2. დემოკრატიაზე ვინ მართავდა ათენს?
3. საკუთარი იარაღის გარდა, კიდევ რა უნდა ჰქონოდა ათენის მოქალაქეს?
4. ათენური დემოკრატიის შემდეგ რამდენ ხანს აღარ არსებობდა დემოკრატიული მმართველობა?
5. სად არის დღეს დემოკრატია გავრცელებული?

3.11. მოსმენილი ტექსტის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.12. საპრეზენტაციო თემა

არის თუ არა ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება
ყოველთვის სწორი და რატომ?



დაიმახსოვრეთ!

ზოგიერთ შემთხვევაში **ჯერ** სინონიმია სიტყვებისა
– **პირველად, თავდაპირველად;**
ჯერჯერობით კი ნიშნავს აქამდე, ან: **ჯერ კიდევ,**
ახლაც, ამ მომენტშიც.

ჯერ _____, **მერე/შემდეგ/შემდგომ** _____
მაგ., **ჯერ** დახმარება უნდა მოითხოვოთ და **მერე** განვიხილავთ ამ საკითხს.
თავდაპირველად განცხადება დაწერეთ და **შემდეგ** შებრძანდით დირექტორთან!
ჯერჯერობით _____
მაგ., **ჯერჯერობით** სახლში ვარ.

3.13. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს!

- რომელი უფლება დააღვია გიგო პაპამ?
- რატომ გაუწოდა დახმარების ხელი ნიკომ გიგო პაპას?

– რას შერები, გიგო პაპა, ეს ხომ ჩემი ნაკვეთია?! – შესძახა ნიკომ მეზობელ ბერიკაცს, რომელიც მის ეზოში მაღალი კაკლის ხეს მისდგომოდა და გამხმარ ტოტებს ხერხით აჭრიდა.

– რა ვქნა, შვილო, შეშა გამომელია, სიცივითა ვკვდები... ჩემები ქალაქიდან აქ ჩამოსვლას აღარ აპირებენ და...

– კარგი, კარგი, პაპაჩემო, – სიტყვა შეაწყვეტინა ნიკომ, – ეგ ამბავი, ნეტავ, აქამდე გეთქვა, მე თვითონ მოგიხერხავდი და ზურგით გადმოგიტანდი.

– შენ გენაცვალე, შენა! უპატრონოდ დარჩენილი კაცის საქმე ასე ყოფილა..., – ჩაილაპარაკა გიგომ და ნიკას იმედის თვალით შეაყურა.

სიტყვა შეაწყვეტინა – საუბრის, ლაპარაკის დროს გააჩერა.



სიტყვა ჩამოართვა – საუბრის დროს გააჩერა და ლაპარაკი თვითონ გააგრძელა.

სიტყვა მოუჭრა – საუბარი სხარტი, მოქნილი პასუხით შეაწყვეტინა.

სიტყვა შეუბრუნა – შეეპასუხა; პასუხით წინააღმდეგობა გაუწია [მაგ., თავხედურად, უზრდელად და სხვა].

3.15. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **როგორ მოვიქცევი, თუ უკანონოდ ჩამოართვეს საკუთრება?**

3.16. თემატური გამონათქვამი:

„მაშინაც კი, როცა მთავარი ვინმეს სიკვდილით დასჯას აპირებს, მას შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი ..., მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისაგან“

/ნიკოლო მაკიაველი/.

უპასუხეთ კითხვას!

- ნ. მაკიაველის აზრით, საკუთრების უფლება უფრო მნიშვნელოვანია თუ სიცოცხლის უფლება?

ლექსიკა

აღმსარებლობა — ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრობა.

ბრალდებული — სასამართლოს მიერ დამნაშავედ აღიარებული.

ბუნებითი — თანდაყოლილი, ბუნებით ბოძებული.

გაზიარება — სხვისთვის რაიმეს თქმა, საკუთარი შეხედულების გაცნობა.

განკარგვა — ნივთის ბედის გადაწყვეტა, მისი გაყიდვა, გაჩუქება და ა.შ.

დაბადებით — დაბადებიდანვე.

დაკავებული — აქ: დროებით დაპატიმრებული.

დაუყოვნებლივ — სწრაფად, შეყოვნების გარეშე.

დევნა — აქ: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილობრივი დარღვევა; მიზანმიმართული შევიწროება.

თავისუფლების აღკვეთა — დაპატიმრება, თავისუფლების წართმევა.

თავისუფლების შეზღუდვა — სასჯელის სახე: საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე ადამიანის კონტროლი.

ლახავს — არღვევს; შეურაცხყოფას აყენებს.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები — მასმედია.

პრეზუმფცია — სავარაუდო მოსაზრება, დასკვნა.

რეგისტრაცია — აღრიცხვა, ხელშეკრულების რეესტრში გაფორმება.

რიტუალი — აქ: რომელიმე რელიგიის სიმბოლური წესი.

საკუთრება — კერძო, პირადი ქონება.

საკუთრების წარმოშობა — იურიდიული ტერმინი, აღნიშნავს ქონების საკუთრებად ქცევის ფაქტს.

სარგებლობა — რაიმეს გამოყენება; რაიმეთი შემოსავლის მიღება.

საყოფაცხოვრებო — ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი.

ფლობა — ნივთის საკუთრებაში ქონა: ხელში ჭერა, ჯიბეში ჩადება და ა.შ.

ქადაგება — აქ: ადამიანთა დარიგება კონკრეტული რელიგიური შეხედულებების მიხედვით.

ღირსება — ადამიანის შინაგან ღირებულებათა ერთიანობა.

შეზღუდვა — აქ: ჩარჩოებში მოქცევა.

შეუვალობა — იგივეა, რაც ხელშეუვალობა, ხელშეუხებლობა.

ჩამორთმევა — ქონებრივი უფლების სახელმწიფოსთვის გადაცემა.

ცენზურა — აქ: ინფორმაციის საშუალებების კონტროლი.

ხელშეკრულება — ორ მხარეს შორის წერილობით გაფორმებული ვალდებულებები.

ხელშეუვალი უფლებები — ხელშეუხებელი უფლებები.

ზმნები

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი+ უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შერება?	რას შერებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	[გან]ამტკიცებს	[გან]ამტკიცებდა	განამტკიცა	განამტკიცებს	განამტკიცოს	განუშტკიცებია	განმტკიცება
2	ეცნობა	ეცნობოდა	გაეცნო	გაეცნობა	გაეცნოს	გაცნობია	გაცნობა
3	თავისუფლდება	თავისუფლდებოდა	გათავისუფლდა	გათავისუფლდება	გათავისუფლდეს	გათავისუფლებულა	გათავისუფლება
4	იძენს	იძენდა	შეიძინა	შეიძენს	შეიძინოს	შეუძენია	შეძენა
5	კმაყოფილდება	კმაყოფილდებოდა	დაკმაყოფილდა	დაკმაყოფილდება	დაკმაყოფილდეს	დაკმაყოფილებულა	დაკმაყოფილება
6	ლახავს	ლახავდა	შელახა	შელახავს	შელახოს	შეულახავს	შელახვა
7	მოქმედებს	მოქმედებდა	იმოქმედა	იმოქმედებს	იმოქმედოს	უმოქმედია	მოქმედება
8	უზიარებს	უზიარებდა	გაუზიარა	გაუზიარებს	გაუზიაროს	გაუზიარებია	გაზიარება
9	ფორმდება	ფორმდებოდა	გაფორმდა	გაფორმდება	გაფორმდეს	გაფორმებულა	გაფორმება
10	[წარ]დგება	[წარ]დგებოდა	წარდგა	წარდგება	წარდგეს	წარმდგარა	წარდგომა
11	წარმოიშობა	წარმოიშობოდა	წარმოიშვა	წარმოიშობა	წარმოიშვას	წარმოშობილა	წარმოშობა
12	ხელს უწყობს	ხელს უწყობდა	ხელი შეუწყო	ხელს შეუწყობს	ხელი შეუწყოს	ხელი შეუწყვია	ხელის შეწყობა
13	[ყურად]ღებას აქცევს	[ყურად]ღებას აქცევდა	[ყურად]ღება მიაქცია	[ყურად]ღებას მიაქცევს	[ყურად]ღება მიაქცეოს	[ყურად]ღება მიუქცევია	[ყურად]ღების მიქცევა

VII ტავი

ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო
და არასასამართლო მექანიზმები

I ნაწილი

სასამართლო ხელისუფლება

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. ვინ იღებს სასამართლოში გადაწყვეტილებას?
3. თქვენი აზრით, რამდენად აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება?

1.2. ტექსტი:

ადამიანის უფლებებს იცავს სასამართლო ხელისუფლება, რომელიც მოიცავს საკონსტიტუციო კონტროლსა და მართლმსაჯულებას. მართლმსაჯულებას ახორციელებს საერთო სასამართლოების სამი **ინსტანცია**, საკონსტიტუციო კონტროლს კი – საკონსტიტუციო სასამართლო.

მართლმსაჯულება ნიშნავს სამართლის დამყარებას. ის განიხილავს **სამოქალაქო დავებსა** და **სისხლის სამართლის საქმეებს**. სასამართლო სისტემა შედგება სამი ინსტანციისგან. პირველ ინსტანციაში შედის საქალაქო და რაიონული სასამართლოები. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება **გასაჩივრდეს** სააპელაციო, ანუ საოლქო, სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილება კი – უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღარ გასაჩივრდება. საქართველოში მართლმსაჯულების აღსრულება მხოლოდ სასამართლოებს შეუძლია. **სამართალწარმოება** ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, ენიშნება თარჯიმანი.

საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს, რამდენად შეესაბამება ქვეყანაში მიღებული კანონები, **ნორმატიული აქტები** და ბრძანებები საქართველოს კონსტიტუციას.

სასამართლო სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანია მოსამართლის თანამდებობა. ის იღებს გადაწყვეტილებას, გამოაქვს **მსჯავრი**. სააპელაციო და რაიონულ სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე პირს ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, შესაბამისი იურიდიული განათლებითა და მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის წესი განსხვავდება სხვა სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის წესისგან. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა

და სასამართლოს თავმჯდომარეს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი. მათ 10 წლის ვადით ირჩევენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისგან შედგება. მოსამართლეების დანიშვნაში თანაბრად მონაწილეობს **ხელისუფლების სამივე შტო**: სამ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, სამს — პარლამენტი, სამს — უზენაესი სასამართლოს პლენუმი. მათაც 10 წლის ვადით ირჩევენ.



დაიმახსოვრეთ!

მსაჯული — იგივეა, რაც მოსამართლე.

მართლმსაჯულება — კანონიერება, სასამართლოს წესით მიღებული სამართალი.

1.3. ლექსიკა:

ინსტანცია — აქ: სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი საფეხური.

სამოქალაქო დავები — კონფლიქტები მოქალაქეთა შორის.

სისხლის სამართალი — სამართლის ერთ-ერთი დარგი, რომელიც მძიმე დანაშაულს განიხილავს (მაგალითად, მკვლელობას).

სისხლის სამართლის საქმე — საქმე, რომელიც აღძრულია მძიმე დანაშაულზე.

გასაჩივრება — საჩივრის შეტანა.

სამართალწარმოება — სასამართლო საქმიანობის პროცესი.

ნორმატიული აქტი — კანონის შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც იღებს მმართველობის ორგანო ან თანამდებობის პირი.

მსჯავრი — განაჩენი, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა.

ხელისუფლების სამი შტო — ხელისუფლება არის საკანონმდებლო (პარლამენტი), აღმასრულებელი (მთავრობა) და სასამართლო.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რას მოიცავს სასამართლო ხელისუფლება?
2. რა და რა ინსტანციისგან შედგება სასამართლო სისტემა?
3. რას ნიშნავს მართლმსაჯულება?
4. საქართველოში რა ენაზე ხორციელდება სამართალწარმოება?
5. რა უნდა ქნას სასამართლოში პირმა, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა?
6. რომელი ორგანო აკონტროლებს, შეესაბამება თუ არა ნორმატიული აქტები საქართველოს კონსტიტუციას?
7. ვინ შეიძლება იყოს მოსამართლე?

სინონიმები	ანტონიმები
კონტროლი – ზედამხედველობა მართლმსაჯულება – სასამართლო დავა – კონფლიქტი აპელაცია – გასაჩივრება თარჯიმანი – მთარგმნელი ნორმატიული – საკანონმდებლო უზენაესი – უმაღლესი მსჯავრი – განაჩენი შტო – ნაწილი, განაყოფი	უფლებების დაცვა – უფლებების დარღვევა საერთო – კერძო მიღებული – მიუღებელი მნიშვნელოვანი – უმნიშვნელო დანიშნა – განთავისუფლება, მოხსნა

ა.

როგორი? მართალი **რა?** სამართალი **რა?** სიმართლე
მაგ., მართლმსაჯულებას სიმართლის დადგენა ევალება.
სისხლის სამართლის საქმეებს სასამართლო განიხილავს.

ბ.

- შენი უფლებების დასაცავად ჯერ რაიონულ სასამართლოს მიმართე!
- შენი უფლებების დასაცავად ჯერ რაიონულ სასამართლოს უნდა მიმართო!

სასამართლოს მიმართე!
სასამართლოს არ მიმართო!
ან:
თარჯიმანი დაუნიშნეთ!
თარჯიმანი არ დაუნიშნოთ!

1.5. ტექსტის მიხედვით განსაზღვრეთ, სად უნდა იჩივლოს ზაზამ?

ზაზა: ვაი, ეს რა დღეში ვარ!

ზურა: რა მოხდა?! რა დაგემართა?!

ზაზა: რაღა რა დამემართა, მეზობელი დათვრა და მთელი ვენახი გამიჩეხა. აღარ ვიცი, რა ვქნა?!

ზურა: სასამართლოს მიმართე!

ზაზა: ველარ გავიგე, რომელ სასამართლოს უნდა მივმართო? ეს საკონსტიტუციო სასამართლო, ეს უზენაესი; კიდევ სააპელაციოც ყოფილა. იმდენია, ველარ დავიმახსოვრე.

ზურა: იცი თუ არა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არაფერ შუაშია?

ზაზა: რატომ?

ზურა: იმიტომ, რომ კონსტიტუციის კონტროლი ევალება, მაგალითად, რომელიმე ბრძანება რამდენად შეესაბამება კონსტიტუციას. შენ საერთო სასამართლოებს უნდა მიმართო.

ზაზა: ეს რას ნიშნავს?

ზურა: ასე ჰქვია სასამართლოების სისტემას, რომელიც სამი ინსტანციისგან შედგება.

ზაზა: მე რომელ ინსტანციას უნდა მივმართო?

ზურა: ჯერ

ა.

რამდენი? ამდენი, მაგდენი, იმდენი.

მითითება: ისინი გამოხატავენ ზომასა და ოდენობას.

მაგ., ამდენი საქმე არასდროს მქონია.

იმდენი კილოგრამი ამიწონეთ, რამდენიც ქალაქის პარკში ჩაეტევა.



სახ. ამდენი საქმე

მომ. ამდენმა საქმემ

მიც. ამდენ საქმეს

და სხვ.

მაგ., სამსახურში იმდენ საქმეს ვაკეთებ, რომ
სამუშაო დრო აღარ მყოფნის.

ბ.

..... თუ არა

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა დადებით მოქმედებას
უპირისპირებთ უარყოფით მოქმედებას.

მაგ., იცით თუ არა რაიმე თქვენი უფლებების შესახებ?

იგივეა, რაც: იცით თუ არ იცით რაიმე თქვენი უფლებების შესახებ?

**1.6. შეადგინეთ დიალოგი მოცემული პასუხების გამოყენებით! ტექსტის მიხედვით
განსაზღვრეთ, რა და რა რჩევა უნდა მისცეს ზაზამ ზურას?**

ზურა: _____

ზაზა: სასამართლო დაინიშნა და ის გაამართლეს.

ზურა: _____

ზაზა: მოწმეები არ მყავდა.

ზურა: _____

ზაზა: იქაც რომ გაამართლონ, რაღა ვქნა?

ზურა: _____

1.7. წაკითხეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

თამარი, დავითი, ინგა და თემური ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. გაარკვეით, კონკრეტულად რომელ ხელისუფლებას წარმოადგენს თითოეული მათგანი.

- ა. თამარი პრემიერ-მინისტრია, ე.ი. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- ბ. დავითი მოსამართლეა უზენაეს სასამართლოში. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- გ. ინგა პარლამენტის თავმჯდომარეა. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- დ. თემური პარლამენტის სპიკერია. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.

1.8. მოცემული გზნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განიხილა	[გან]იხილავს	განიხილავს
2	გაასაჩივრა	ასაჩივრებს	გაასაჩივრებს
3	გამოიტანა	გამოაქვს	გამოიტანს
4	წარუდგინა	[წარ]უდგენს	წარუდგენს



1.9. მოსმენა

დიალოგი თემაზე: სატელეფონო კონსულტაცია იურისტთან

პრობლემას გადავაწყდით – პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

მიწის ნაკვეთი დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ იყო დატოვებული და მას მეზობელი დაეპატრონა.	
მოქალაქეს საბუთები არ აქვს წესრიგში და თავის სიმართლეს ვერ ამტკიცებს.	
სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია.	
იურისტი ფიქრობს, რომ მოქალაქე დავას ადვილად მოიგებს სასამართლოში.	

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- ვის ედავება მოქალაქე?
- რამდენი ხანია მიწის ნაკვეთი მოქალაქეს ეკუთვნის?

3. თავდაპირველად რომელი სასამართლო განიხილავს საქმეს?
4. სად (რომელ სასამართლოში) შეიძლება სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილების გასაჩივრება?
5. რამდენი ხანი შეიძლება დასჭირდეს მოქალაქის სიმაართლის დამტკიცებას?

1.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა

**აპატივდით თუ არა ახლობელ ადამიანს
კერძო საკუთრების ხელყოფას და რატომ?**

1.14. წერა

**იმსჯელეთ საკითხზე - რა შემთხვევაში მიმართავდით საერთო
სასამართლოებს?**

1.15. სახალისო ეპიზოდი სასამართლოდან:

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მოწმეს აუხსნა მისი უფლებები და უთხრა: დაიფიცეთ, რომ იტყვით სიმაართლეს და არაფერს, სიმაართლის გარდაო.

მოწმე ხუთი წუთის განმავლობაში იფიცებდა: დედაჩემის საფლავს გეფიცები, ყველა ამომიწყდეს, ჩემი შვილების სიცოცხლეს ვფიცავ, სახლში ცოცხალი არ მივიდე, ხვალინდელი დილა არ გამითენდეს და ა.შ. მთელი დარბაზი ხმამაღლა იცინოდა.

უპასუხეთ კითხვას!

- თქვენი აზრით, რატომ იცინოდა ხალხი სასამართლო დარბაზში?

მითითება: კითხვები **რატომ?** **რის გამო?** გამოიყენეთ მაშინ, როცა მოქმედების მიზეზი გაინტერესებთ.

მათ უპასუხეთ სიტყვებით: **იმიტომ, რომ**

იმის გამო, რომ

ან:

ამიტომ // მაგისტომ.

მაგ., **რატომ** დააგვიანეთ? **იმიტომ**, რომ ჯერ სასამართლო პროცესზე ვიყავი.



დაიმახსოვრეთ ფრაზა!

ჩემი აზრით

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა თქვენს აზრს, შეხედულებას გამოთქვამთ.

ჩემი აზრით წინადადებაში მძიმეებით გამოიყონა.

მაგ., ჩემი აზრით, ის თავის უფლებებს იცავს.

II ნაწილი იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2.1. ტექსტი:

სასამართლო ხელისუფლებას მიეკუთვნება საქართველოს **იუსტიციის უმაღლესი საბჭოც**. მისი მთავარი ფუნქციაა მოსამართლეების დანიშვნა-განთავისუფლება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 **წევრისგან**, რომლებსაც ნიშნავს ხელისუფლების სამივე შტო: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი და სასამართლო ხელისუფლება (საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობა). საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი მოსამართლეები არიან. მას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.

საქართველოს პარლამენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია 4 წევრით. ამათგან 3 წევრს ირჩევს პარლამენტი, მეოთხე კი საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა. ის, თანამდებობიდან გამომდინარე, შედის საბჭოს შემადგენლობაში. საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ნიშნავს 2 წევრს. სასამართლო ხელისუფლება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია 8 წევრითა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარით, რომელიც თანამდებობრივად შედის საბჭოში. სასამართლო ხელისუფლების 8 წევრიდან ირჩევენ საბჭოს **მდივანს**. იუსტიციის საბჭოს წევრებს ირჩევენ 4 წლის ვადით. **თანამდებობრივი წევრები** – პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე – თანამდებობებზე რჩებიან მანამ, ვიდრე ისინი შესაბამის **თანამდებობებს იკავებენ**.

2.2. ლექსიკა:

იუსტიციის უმაღლესი საბჭო – დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს სასამართლო სისტემას.

წევრი – პიროვნება, რომელიც რაიმე ჯგუფშია გაერთიანებული.

მდივანი – თანამდებობა, რომელსაც აქვს სხვადასხვა მოვალეობა; აქ: პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი – ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობას.

თანამდებობრივი წევრი – წევრი, რომელიც ინიშნება თავისი თანამდებობიდან გამომდინარე და წევრად რჩება მანამ, სანამ არის შესაბამის თანამდებობაზე.

თანამდებობის დაკავება – თანამდებობრივ საფეხურზე დანიშვნა.

2.3. ტექსტის გააზრება:

1. რომელ ხელისუფლებას მიეკუთვნება იუსტიციის უმაღლესი საბჭო?
2. რამდენი წევრია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში? ვინ ნიშნავს მათ?
3. ვინ ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს?
4. რამდენი წევრი ჰყავს საქართველოს პარლამენტს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში?
5. რამდენ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში?
6. რამდენი წევრით არის წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლო ხელისუფლება?
7. რომელი წევრები შედიან თანამდებობრივად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში?

სინონიმები	ანტონიმები
ხელმძღვანელობს – მეთაურობს შესაბამისი – შესაფერისი, შესატყვისი განთავისუფლება – მოხსნა	ნახევარი – მთელი

ა.

რა? თანამდებობა	როგორი? თანამდებობრივი
მაგ., იუსტიციის საბჭოს თანამდებობრივი წევრები არიან პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.	

ბ. დაიმახსოვრეთ!



მანამ, სანამ//ვიდრე

ასეთი წინადადებები მიუთითებენ დროზე. მანამ ნიშნავს რაღაც დრომდე.

მაგ., სახლში მანამ დამელოდე, სანამ 7 საათი არ გახდება.

სახლში დამელოდე, სანამ [//ვიდრე] 7 საათი არ გახდება.

მანამ დავიცდი, ვიდრე შენ არ დაბრუნდები.

2.4. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- ვინ არიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები?

გადმოეცით მოცემული დიალოგის მოკლე შინაარსი!

მამა: იუსტიციის საბჭოს თხუთმეტივე წევრი აირჩიეს.

შვილი: საბჭოს წევრებს ირჩევენ თუ ნიშნავენ?

მამა: კიდევ ირჩევენ და კიდევ ნიშნავენ.

შვილი: ეს როგორ?

მამა: სამ წევრს პარლამენტი ირჩევს პარლამენტართაგან. მეოთხე პირდაპირ ინიშნება. ის აუცილებლად უნდა იყოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

შვილი: პრეზიდენტიც ხომ ნიშნავს?

მამა: მხოლოდ ორ წევრს.

შვილი: დანარჩენი წევრები?

მამა: დანარჩენი მოსამართლეები არიან. მათ საერთო სასამართლოების თვითმმართველობა ირჩევს.

შვილი: გამოდის, რომ ნახევარზე მეტი მოსამართლეა?

მამა: რა თქმა უნდა.


შვილი: საბჭოს მდივანსაც ირჩევენ?

მამა: ირჩევენ, ოღონდ სასამართლოს ხელისუფლების 8 წევრიდან. მე ვიცნობ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ჩემი კლასელია.

მხოლოდობითი					
ვიცნობ	მე	მდივანს	მე	მდივანს	მე
იცნობ	შენ	მდივანს	ვიცნობ	მდივანს	შენ
იცნობს	ის	მდივანს	იცნობს	მდივანს	მას
მრავლობითი					
ვიცნობთ	ჩვენ	მდივანს	გვიცნობს	მდივანი	ჩვენ
იცნობთ	თქვენ	მდივანს	გვიცნობთ	მდივანი	თქვენ
იცნობენ	ისინი	მდივანს	იცნობს	მდივანი	მათ

მაგ., არ ვიცი, თვითონ საიდან მიცნობს.

2.5. დააკავშირეთ!



ბ. თანამდებობრივი	წევრები
თანამდებობებს	ნიშნავენ
თანამდებობაზე	იკავებენ
გ. 2 წევრს (ნიშნავს)	სასამართლო
4 წევრს	პრეზიდენტი
8 წევრს	პარლამენტი

2.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეადგინა	[შე]ადგენს	შეადგენს
2	შედგა	[შე]დგება	შედგება
3	შევიდა	შედის	შევა
4	დაიკავა	იკავებს	დაიკავებს



2.7. მოსმენა

ნაწყვეტი საინფორმაციო გადაცემიდან: დაპირისპირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

2.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

გათავისუფლებული მოსამართლე ჯერ ჟურნალისტებს ხვდება, შემდგომ კი – არასამთავრობო ორგანიზაციებს.	
მოსამართლე ფიქრობს, რომ მისი გათავისუფლება კანონიერად მოხდა.	
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ახალი მოსამართლეების დანიშვნას აპირებს.	
სხვა მოსამართლეები მხარს არ უჭერენ გათავისუფლებულ მოსამართლეს.	

2.9. მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. სად გაასაჩივრებს მოსამართლე გადაწყვეტილებას გათავისუფლების შესახებ?
2. რა ვადით ირჩევენ მოსამართლეებს?
3. ვინ ნიშნავს მოსამართლეებს?
4. რა ვადით არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არჩეული?
5. რას გეგმავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე?

2.10. მოსმენილი ტექსტის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.11. საპრეზენტაციო თემა

ენდობით თუ არა ქართულ სასამართლო სისტემას და რატომ? რას შეცვლიდით?

2.12. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – რომელ საზოგადოებრივ პრობლემას გაასაჯაროებდით ტელევიზიით?

2.13. ეს საინტერესოა!



ძველ საქართველოში მდივანი ასრულებდა საკანცელარიო სამუშაოს – ადგენდა საბუთებსა და მიმოწერის ქაღალდებს, მონაწილეობდა სასამართლო პროცესში. მდივანს ევალებოდა სამეფოს აღწერაც და საფინანსო საქმეებიც. სამეფოში ერთდროულად რამდენიმე მდივანი იყო: სამეფო „კარის მდივანი“, „მეფის მდივანი“, „დედოფლის მდივანი“.

III ნაწილი

ადამიანის უფლებათა დაცვის არასასამართლო მექანიზმები

3.1. ტექსტი:

საქართველოში ადამიანის უფლებებს იცავს როგორც სასამართლო, ასევე – არასასამართლო მექანიზმები, რომლებშიც შედიან **სახალხო დამცველი** და **მედიატორი**. ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით შეიქმნა საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი. მისი მოვალეობაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა და დარღვეული უფლებების აღდგენა. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს სახალხო დამცველი, ანუ ომბუდსმენი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი 5 წლის ვადით ირჩევს. სახალხო დამცველის ინსტიტუტის ფუნქციაა ასევე **საგანმანათლებლო საქმიანობა** ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, სასწავლო-საინფორმაციო **ღონისძიებების** ჩატარება როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე – სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლებისა და თანამდებობის პირებისთვის. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. ომბუდსმენს გამოაქვს დასკვნები, რომლებსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის. სახალხო დამცველის ოფისები არის თბილისში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, ბათუმში, ახალქალაქსა და მარნეულში.

ბოლო დროს საქართველოში პოპულარული ხდება **მედიაციის** ცენტრები, რომლებიც ეხმარება მოქალაქეებს როგორც უფლებების დაცვაში, ასევე – დავების მოგვარებაში. დავები სხვადასხვა სახისაა: მეზობელთა შორის, უწყებებს შორის, ფირმის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის, ოჯახის წევრებს შორისაც. მედიატორი ორივე მხარეს ზუსტად უხსნის საქმის ვითარებას, განუმარტავს პრობლემას, ეხმარება საერთო ენის გამონახვასა და შეთანხმებაში. მედიატორი **კვალიფიციური სპეციალისტია**. ის ნეიტრალურია და მიუკერძოებელი. მედიატორი **მხარეების** თანხმობით და კონფიდენციალურობის დაცვით ეხმარება მათ, დამოუკიდებლად მოაგვარონ კონფლიქტი, მიაღწიონ შეთანხმებას. სასამართლოსაგან განსხვავებით, მედიაციაში მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას.

საერთო ენის გამონახვა – იგივეა, რაც: შეთანხმება, საუბრის ან დავის დროს საერთო აზრამდე მისვლა.

3.2. ლექსიკა:

მექანიზმი – ერთიანი მოქმედებების სისტემა.

სახალხო დამცველი – ოფიციალური პირი, რომელსაც ევალება ხალხის დაცვა.

მედიატორი – შუამავალი.

თავისუფლება – პიროვნების შესაძლებლობა, გამოიყენოს საკუთარი უფლება კანონის ფარგლებში.

უფლებების აღდგენა – ადამიანის უფლებების ხელისშემშლელი მიზეზის მოსპობა.

საგანმანათლებლო საქმიანობა – სწავლება.

ღონისძიება – რაიმე მიზნით დაგეგმილი მოქმედება.

თანამშრომელი – რომელიმე ორგანიზაციაში მომუშავე პირი.

თანამდებობის პირი – პირი, რომელიც მაღალ თანამდებობაზე მუშაობს (დირექტორი, მოსამართლე, თავმჯდომარე და ა.შ.).

მედიაცია – სასამართლოს გარეშე დავის მოგვარება.

კვალიფიციური – კვალიფიკაციის, დარგობრივი ცოდნის, მქონე.

სპეციალისტი – რაიმე სპეციალობის მქონე; კონკრეტულ დარგში განსწავლული.

მხარე – აქ: მოწინააღმდეგე, საპირისპირო პოზიციაზე მდგომი.

3.3. ტექსტის გააზრება:

1. რა სახის მექანიზმები იცავს ადამიანის უფლებებს?
2. რომელი თანამდებობები მიეკუთვნება არასასამართლო მექანიზმებს?
3. რა ევალუა სახალხო დამცველს?
4. სად მდებარეობს სახალხო დამცველის ოფისები?
5. რა ევალუა მედიატორს?

სინონიმები	ანტონიმები
მედიატორი – შუამავალი	სასამართლო – არასასამართლო
თანამშრომელი – კოლეგა	დასჯა – წახალისება
დაწესებულება – ორგანიზაცია – უწყება	პოპულარული – არაპოპულარული
უხსნის – განუმარტავს	კვალიფიციური – არაკვალიფიციური
კონფიდენციალობა – ფარულობა	მიკერძოებული – მიუკერძოებელი
მიუკერძოებელი – ობიექტური	თანხმობა – უარი



დაიმახსოვრეთ!

თანა აღნიშნავს თანხლებას, ვილაცასთან ერთად ყოფნას ან ვინმესთან ერთად რაიმეს ქონას.

მაგ., **თანამშრომელი** აღნიშნავს პირს, რომელიც
რომელიმე ორგანიზაციაში სხვებთან ერთად შრომობს.
ასევეა მიღებული სიტყვა **თანამდებობა**.



დაიმახსოვრეთ!

რას იზამს? მოაგვარებს
რა? მოგვარება
როგორი? მოუგვარებელი

მაგ., არ მგონია, რომ ეს საკითხი მოუგვარებელი იყოს.

3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ლონისძიების ჩატარება	თანამდებობის პირი
უფლებების აღდგენა	მიუკერძოებელი ადამიანი
კვალიფიციური სპეციალისტი	

1. მედიატორის ვაკანსია თავისუფალი დარჩა, რადგან არ მოიძებნა _____.
2. საბეიმო _____ დაევალა თბილისის მერიას.
3. მოსამართლე _____ უნდა იყოს, რათა შეძლოს სამართლიანობის დაცვა.
4. ცალკეული _____ ბოროტად იყენებენ თავიანთ უფლებამოვალეობებს.
5. სასამართლოს მოვალეობა ადამიანის დარღვეული _____.

3.5. დააკავშირეთ!

მართავს	უფლებებს
ისჯება	დასკვნები
სახალხო	გამოვლენა
თანამდებობის	საქმიანობა
სარეკომენდაციო	ხელისუფლება
საკანონმდებლო	ხასიათი
საგანმანათლებლო	პირი
ფაქტების	დამცველი
გამოაქვს	კანონით
იცავს	ლონისძიებას

3.6. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ მათი სინონიმებით:

ობიექტური	თანამშრომლები
ორგანიზაცია	პერიოდი
	შუამავალი

1. მენეჯერმა მედიატორის როლი იკისრა დირექტორისა და თანამშრომლების დავაში.
2. პროფესორმა ლონისძიებაზე მიიწვია კოლეგები.
3. პატიმარს გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადა მისცეს.
4. საქართველოს ომბუდსმენი მიუკერძოებელი ადამიანია.
5. ყველა დაჩქარებულბას აქვს სამუშაო გეგმა.

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	წარმოადგინა	წარმოადგენს	წარმოადგენს
2	დაისაჯა	ისჯება	დაისჯება
3	დაეხმარა	ეხმარება	დაეხმარება
4	აუხსნა	უხსნის	აუხსნის



3.8. მოსმენა

დიალოგი: ინტერვიუ სახალხო დამცველთან

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

სახალხო დამცველს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს.	
სახალხო დამცველს დიდი ნდობა აქვს ხალხში.	
ხალხს სახალხო დამცველთან დაკავშირება მხოლოდ რეგიონულ ოფისებში შეუძლია.	
მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის გარეშე სახალხო დამცველი ეფექტურად ვერ იმუშავებს.	

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენი ხანია ბატონი გიორგი სახალხო დამცველის თანამდებობაზე?
2. რა ვადით ირჩევენ სახალხო დამცველს?
3. ვინ ნიშნავს სახალხო დამცველს?
4. სად აქვს ოფისები სახალხო დამცველს?
5. ვინ არის სახალხო დამცველის უფროსი / ხელმძღვანელი?

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3. 12. საპრეზენტაციო თემა

უნდა არსებობდეს თუ არა დემოკრატიულ სახელმწიფოში ომბუდსმენის ინსტიტუტი და რატომ?



დაიმასსოვრეთ!

მიხედვით – ვინმეს ან რაიმეს გათვალისწინებით, შესაბამისად.

მიუხედავად – ყურადღების მიქცევის გარეშე, ანგარიშის გაუწევლად.

მაგ., თქვენი შეხედულებ**ის** მიხედვით ნათელია, რომ...

დადლილობ**ის** მიუხედავად, მაინც ბევრი საქმე გავაკეთე.

ამ**ის**და მიხედვით; ან: ამ**ის**და მიუხედავად...

ან: მიუხედავად ამ**ისა**, მე სრულიად დამოუკიდებელი ადამიანი ვარ.

ზურგს შემეტყვევნ – უარმყოფენ; აქ: აღარ დამიჯერებენ.



ზურგი შეაქცია – უარყო, მიატოვა ვინმე ან რამე.

ენა წაიგრძელა – ზედმეტს, ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს; იგივეა, რაც: გრძელი ენა აქვს, ენაგრძელია.

ენა წინ უსწრებს – უადგილოდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს.

ენა მუცელში ჩაუვარდა – გაჩუმდა; ლაპარაკი, საუბარი შეწყვიტა.

3.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **ვის მივმართო, როცა ჩემი უფლებები ირღვევა?**



3.14. ეს უნდა იცოდეთ!

2015 წლის ნოემბრიდან სახალხო დამცველის აპარატში მუშაობს ცხელი ხაზი სატელეფონო ნომრით – 1481. იგი 24 საათის განმავლობაში იღებს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დარღვევებზე (მათ შორის, ოჯახურ ძალადობაზე).

ნებისმიერ პირს, რომელიც ფიქრობს, რომ ირღვევა მისი უფლებები ან არის ძალადობის თვითმხილველი, შეუძლია (გალდებულია) დარეკოს ცხელ ხაზზე. ინფორმაციის მიღების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატი რეაგირებას მოახდენს და მივა ადგილზე.

ცხელ ხაზზე დარეკვა შესაძლებელია როგორც სახლის, ასევე – მობილური ტელეფონიდან.

ცხელი ხაზი – სატელეფონო ნომერი, რომელიც უნდა გამოიყენოთ დახმარების სურვილის შემთხვევაში.

ძალადობა – იძულება, ძალის გამოყენება.

თვითმხილველი – იგივეა, რაც მოწმე.

ლექსიკა

გასაჩივრება – საჩივრის შეტანა.

თავისუფლება – პიროვნების შესაძლებლობა, გამოიყენოს საკუთარი უფლება კანონის ფარგლებში.

თანამდებობის დაკავება – თანამდებობრივ საფეხურზე დანიშვნა.

თანამდებობის პირი – პირი, რომელიც მაღალ თანამდებობაზე მუშაობს (დირექტორი, მოსამართლე, თავმჯდომარე და ა.შ.).

თანამდებობრივი წევრი – წევრი, რომელიც ინიშნება თავისი თანამდებობიდან გამომდინარე და წევრად რჩება მანამ, სანამ არის შესაბამის თანამდებობაზე.

თანამშრომელი – რომელიმე ორგანიზაციაში მომუშავე პირი.

ინსტანცია – აქ: სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი საფეხური.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო – დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს სასამართლო სისტემას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი – ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობას.

კვალიფიციური – კვალიფიკაციის, დარგობრივი ცოდნის, მქონე.

მდივანი – თანამდებობა, რომელსაც აქვს სხვადასხვა მოვალეობა; აქ: პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

მედიატორი – შუამავალი.

მედიაცია – სასამართლოს გარეშე დავის მოგვარება.

მექანიზმი – ერთიანი მოქმედებების სისტემა.

მსჯავრი – განაჩენი, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა.

მხარე – აქ: მოწინააღმდეგე, საპირისპირო პოზიციაზე მდგომი.

ნორმატიული აქტი – კანონის შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც იღებს მმართველობის ორგანო ან თანამდებობის პირი.

საგანმანათლებლო საქმიანობა – სწავლება.

სამართალწარმოება – სასამართლო საქმიანობის პროცესი.

სამოქალაქო დავები – კონფლიქტები მოქალაქეთა შორის.

სახალხო დამცველი – ოფიციალური პირი, რომელსაც ევალება ხალხის დაცვა.

სისხლის სამართალი – სამართლის ერთ-ერთი დარგი, რომელიც მძიმე დანაშაულის განიხილავს (მაგალითად, მკვლელობას).

სისხლის სამართლის საქმე – საქმე, რომელიც აღძრულია მძიმე დანაშაულზე.

სპეციალისტი – რაიმე სპეციალობის მქონე; კონკრეტულ დარგში განსწავლული.

უფლებების აღდგენა – ადამიანის უფლებების ხელისშემშლელი მიზეზის მოსპობა.

ლონისძიება – რაიმე მიზნით დაგეგმილი მოქმედება.

წევრი – პიროვნება, რომელიც რაიმე ჯგუფშია გაერთიანებული.

ხელისუფლების სამი შტო – საკანონმდებლო (პარლამენტი), აღმასრულებელი (მთავრობა) და სასამართლო ხელისუფლება.

ზმნები

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი+ უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აგვარებს	აგვარებდა	მოაგვარა	მოაგვარებს	მოაგვაროს	მოუგვარებია	მოგვარება
2	ადგენს	ადგენდა	შეადგინა	შეადგენს	შეადგინოს	შეუდგენია	შედგენა
3	ასაჩივრებს	ასაჩივრებდა	გასაჩივრა	გასაჩივრებს	გასაჩივროს	გაუსაჩივრებია	გასაჩივრება
4	გამოაქვს	გამოჰქონდა	გამოიტანა	გამოიტანს	გამოიტანოს	გამოუტანია	გამოტანა
5	[გან]იხილავს	[გან]იხილავდა	განიხილა	განიხილავს	განიხილოს	განუხილავს	განიხილვა
6	[გან]უმართავს	[გან]უმართავდა	განუმართა	განუმართავს	განუმართოს	განუმართავს	განმართება
7	ეხმარება	ეხმარებოდა	დაეხმარა	დაეხმარება	დაეხმაროს	დახმარებია	დახმარება
8	იკავებს	იკავებდა	დაიკავა	დაიკავებს	დაიკავოს	დაუკავებია	დაკავება
9	ისჯება	ისჯებოდა	დაისჯა	დაისჯება	დაისჯოს	დასჯილა	დასჯა
10	რჩება	რჩებოდა	დარჩა	დარჩება	დარჩეს	დარჩენილა	დარჩენა
11	უხსნის	უხსნიდა	აუხსნა	აუხსნის	აუხსნას	აუხსნია	ახსნა
12	[შე]დგება	[შე]დგებოდა	შედგა	შედგება	შედგეს	შემდგარა	შედგომა
13	შედის	შედიოდა	შევიდა	შევა	შევიდეს	შესულა	შესვლა
14	წარმოადგენს	წარმოადგენდა	წარმოადგინა	წარმოადგენს	წარმოადგინოს	წარმოუდგენია	წარმოდგენა
15	[წარ]უდგენს	[წარ]უდგენდა	წარუდგინა	წარუდგენს	წარუდგინოს	წარუდგენია	წარდგენა

VIII ტაპი

ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში.
ქართული ენა და სამოქალაქო განათლება

I ნაწილი

შემაჯავებელი გაკვეთილი

1.1. ტექსტი:

საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა, ე.ი. ქვეყანას მართავს ხალხი როგორც პირდაპირ, ასევე – წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით. ხალხის პირდაპირი მმართველობა აისახება რეფერენდუმსა და პლებისციტში. ორივე პროცესი ეფუძნება საყოველთაო-სახალხო გამოკითხვასა და კენჭისყრას განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე. რეფერენდუმი იმართება არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით. მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული ძალა და საბოლოოა. სახალხო მმართველობის ფორმაა ასევე სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა, განსაზღვრული რაოდენობის ამომრჩეველთა მიერ პარლამენტში კანონპროექტის წარდგენა.

არაპირდაპირი გზით ხალხი მართავს სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების – პარლამენტისა და საკრებულოს – მეშვეობით. ყველა მოქალაქე ერთნაირად არ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში. აქტიურია მოქალაქე, თუ ის ჩართულია საზოგადოებრივ პროცესებში: არჩევნებში, რეფერენდუმში; იცავს როგორც თავის, ასევე გვერით მყოფი ადამიანების უფლებებს; არ უშვებს წამებისა და ძალადობის ფაქტებს, რწმენის შეურაცხყოფას, ჩაგვრას. სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეს აქვს ვალდებულებებიც – დაიცვას კანონები და გადაიხადოს გადასახადები. საქართველოს მოქალაქე აქტივისტური კულტურის ტიპს მიეკუთვნება. ის მუდმივად იბრძვის თავისუფლებისათვის, რომლის აღკვეთა ან შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ღირსების, საკუთრების, განათლების უფლებების ხელშეუვალობა საქართველოს მოქალაქის პრიორიტეტებია.

ქვეყანაში თავისუფალია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც. ცენზურა დაუშვებელია. თუ მაინც ირღვევა სიტყვის თავისუფლება, ეს მოქალაქის პასიურობის ბრალია.

ძალაში შედის – ამოქმედებას იწყებს

ჩაგვრა – ვინმეს მიმართ უსამართლოდ მოქცევა

1.2. ტექსტის გააზრება:

1. რომელი მმართველობის ფორმაა საქართველოში?
2. რა ფორმით გამოიხატება ხალხის პირდაპირი მმართველობა?
3. როგორ მოქალაქეს ეწოდება აქტიური?
4. რა არის საქართველოს მოქალაქის პრიორიტეტები?



ბაიხსენეთ!

1. ჩამოთვალეთ დემოკრატიის 4 ძირითადი პრინციპი!
2. რით განსხვავდება ერთმანეთისგან რეფერენდუმი და პლებისციტი?
3. რას ნიშნავს სახალხო ინიციატივა და როგორ ხორციელდება იგი?
4. როდის შეიძლება იქცეს სახალხო ინიციატივა კანონად?
5. რა საფეხურების გავლაა საჭირო?
6. რატომ არის პარლამენტი და საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოები?
7. რა და რა კულტურის ტიპები იცით?
8. კულტურის რომელ ტიპს მიეკუთვნება საქართველოს მოქალაქე?
9. რამდენ ხანში უნდა გათავისუფლდეს დაკავებული პირი, თუ მას სასამართლოს ბრალდება არ წაუყენეს?

1.3. ა) დიალოგის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელია მართალი – დაკავებული თუ პოლიციელი?

ბ) ხაზი გაუსვით წინადადებებს, რომლებშიც ჩანს ადამიანის სამართლებრივი უფლებები!

დაკავებული: როდემდე უნდა ვიყო ამ საკანში გამოკეტილი?

პოლიციელი: კონსტიტუციის თანახმად, ორი-სამი დღე მოგიწევს ყოფნა.

დაკავებული: სამი დღე კი არა, 48 საათში სასამართლო უნდა დაინიშნოს.

პოლიციელი: დაინიშნება და ბრალსაც წაგიყენებენ.

დაკავებული: ან წამიყენებენ ან გამათავისუფლებენ, თუ სასამართლომ 24 საათში გადაწყვეტილება კიდევ ვერ მიიღო.

პოლიციელი: კანონი კარგად გცოდნია. ის რატომ არ იცი, დანაშაული რომ არ უნდა ჩაიდინო?

დაკავებული: სამწუხაროა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მე, დაკავებულმა პირმა, უნდა შეგახსენოთ.

პოლიციელი: მაგის შესენება არ მჭირდება, უდანაშაულობის პრეზუმფციას კანონი იცავს!

საკანი – სპეციალური ოთახი დაკავებული პირებისათვის.

1.4. ა) დიალოგის მიხედვით განსაზღვრეთ, უნდა ჩაერიოთ თუ არა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში?

ბ) ხაზი გაუსვით წინადადებას, რომელშიც იკვეთება მოქალაქის პასიურობის მიზეზი!

მოქალაქე: სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე ვრეკავ.

მორიგე: მორიგე თამარ აბაშიძე გისმენთ. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თქვენი საუბარი იწერება.

მოქალაქე: დიდხანს ვფიქრობდი, დამერეკა თუ არა. ჩემი მეზობლის ბინიდან ყვირილი და

ლანძღვა-გინების ხმა გამოდის, ნივთებს ისვრიან და ამტვრევენ.

მორიგე: როგორ გგონიათ, ოჯახური ძალადობაა თუ ყაჩაღობა ან თავდასხმა?

მოქალაქე: რა თქმა უნდა, ოჯახური ძალადობა.

მორიგე: საიდან იცით?

მოქალაქე: ხმების მიხედვით. ქმარი შეურაცხყოფას აყენებს ცოლს.

მორიგე: ეს პირველად ხდება მათ ოჯახში?

მოქალაქე: არა, სისტემატურად.

მორიგე: რატომ აქამდე არ დაგვირეკეთ?

მოქალაქე: არ მინდოდა სხვის ოჯახურ საქმეში ჩარევა, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს, მოკვლით ემუქრება.

1.5. თქვენი სიტყვებით განმარტეთ წყვილები:

- | | |
|-----------------------------|--------------------------|
| 1. დემოკრატიული რესპუბლიკა | 6. იურიდიული ძალა |
| 2. წარმომადგენლობითი ორგანო | 7. აქტიური მოქალაქე |
| 3. პირდაპირი მმართველობა | 8. ძალადობის ფაქტი |
| 4. საყოველთაო გამოკითხვა | 9. აქტივისტური კულტურა |
| 5. საკანონმდებლო ინიციატივა | 10. თავისუფლების აღკვეთა |

1.6. უპასუხეთ კითხვებს საპირისპირო სიტყვების გამოყენებით!

ნიმუში: — თქვენი საქციელი **კანონიერია**?

— არა, **უკანონო**.

— ნინო **გამყიდველია**?

— არა, **მყიდველი**.

ა. — ღამით ზღვაში ბანაობა კანონით **დაშვებულია**?

— არა, _____

ბ. — ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის დროს ყოველთვის **სრული** მობილიზაცია ცხადდება?

— არა, ზოგჯერ _____

გ. — დემოკრატიის დროს გადაწყვეტილებას **უმცირესობა** იღებს?

— არა, _____

დ. — თქვენს ქვეყანაში სასამართლო სისტემა **მიკერძოებულია**?

— არა, _____

ე. — საქართველოში პრეზიდენტს **განუსაზღვრელი** ვადით ირჩევენ?

— არა, _____

ვ. — არჩევნების დროს ყველა მოქალაქე **აქტიურია**?

— არა, მოქალაქეთა ნაწილი _____

8. – მონარქია ადამიანის უფლებებს **აფართოებს**?
– არა მგონია, _____
- თ. – პლებისციტი გადაწყვეტილების მიღების **არაპირდაპირი** ფორმაა?
– არა, _____
- ი. – ეს მოსამართლე თანამდებობაზე კვლავ **დანიშნეს**?
– დანიშნეს, მაგრამ მალევე _____
- კ. – სახალხო დამცველისა და მედიატორის ინსტიტუტი ზემოქმედების **სასამართლო** მექანიზმებია?
– არა, _____

1.7. აარჩიეთ ის ორი სიტყვა, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება გამოყოფილ ზმნებს! მიღებული წყვილებით შეადგინეთ წინადადებები!

- იცავს _____ (ზიანს, უფლებებს, ტკივილს, სამშობლოს, სირბილს).
შედის _____ (ეზოში, ქარში, ზარალში, ძალაში, მოსამართლეში).
მართავს _____ (სახელმწიფოს, წიგნს, შეურაცხყოფას, რეფერენდუმს, აღკვეთას).
არღვევს _____ (მონაწილეობას, მოქალაქეს, კანონს, ზრუნვას, სამართალს).
გამოჰკითხავს _____ (კანონპროექტს, მოსახლეობას, სასამართლოს, მოსწავლეს, პლებისციტს).



1.8. მოსმენა

დიალოგი: ოპოზიციური პარტიის ლიდერის პრესკონფერენცია

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

ოპოზიციური პარტიის ლიდერი პრესკონფერენციას იწვევს, რათა საპროსტესტო აქციების დაწყების შესახებ განაცხადოს.	
ოპოზიციურ პარტიას კონსტიტუციის ცვლილება სურს.	
ოპოზიციური პარტია პარლამენტშია.	
რეფერენდუმის ჩასატარებლად მთავარია ხალხის მხარდაჭერა.	

1.10. მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- რამდენი ამომრჩევლის ხელმოწერაა საჭირო რეფერენდუმის დასანიშნად?
- როდიდან იწყებს ოპოზიციური პარტია რეფერენდუმისთვის საჭირო ხელმოწერების შეგროვებას?
- როდემდე სურს ოპოზიციური პარტიის ლიდერს საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვება?
- სად უნდა მივიდეს რეფერენდუმის მხარდამჭერი მოქალაქე ხელის მოსაწერად?

1.11. მოსმენილი ტექსტის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.12. საპრეზენტაციო თემა

**მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ქვეყანაში
გამართულ რეფერენდუმში და რატომ?**


1.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **დემოკრატიული პროცესები საქართველოში**

1.14. ეს უნდა იცოდეთ!

XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, რომელიც 1989 წლის გაზაფხულზე გააქტიურდა. ქართველმა ხალხმა მშვიდობიანი დემონსტრაციის ფორმას მიმართა და მოითხოვა რეფერენდუმის ჩატარება – უნდა გამოსულიყო თუ არა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. დემონსტრაციამ სახალხო მღელვარების ფორმა მიიღო. თბილისელებს საქართველოს ყველა კუთხიდან ჩასული მოქალაქეები შეუერთდნენ. 9 აპრილს საბჭოთა არმიამ მშვიდობიანი დემონსტრაცია სასტიკად დაარბია. დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით კი დაიჭრა და მოიწამლა.

მიუხედავად ასეთი მსხვერპლისა, იმ დღეს ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა. რეფერენდუმი 1991 წლის 31 მარტს მაინც ჩატარდა, მისი შედეგები კი ამავე წლის 9 აპრილს საკანონმდებლო აქტით გაფორმდა, რომელსაც **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი** ეწოდა. აქედან გამომდინარე, 9 აპრილი ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმბოლოდ იქცა.



ნაწყვეტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიდან:

1. „საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება“.

2. „საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები“.

1991 წელი, 9 აპრილი, 12.30 სთ.,
თბილისი, მთავრობის სასახლე.

უპასუხეთ კითხვას:

- რატომ ითვლება 9 აპრილი დამოუკიდებლობის სიმბოლოდ?

დეკლარაცია, პაქტი, კონვენცია – სხვადასხვა სახის იურიდიული დოკუმენტები.

1.1. ტექსტი:

სახელმწიფო სამსახური სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას ნიშნავს, ამიტომ სახელმწიფო მოსამსახურე ხელფასს ქვეყნის ბიუჯეტიდან იღებს. ხელისუფლებას აღასრულებს სამი შტო. საკანონმდებლო ხელისუფლება ახორციელებს კანონშემოქმედებას (ქმნის კანონებს), აღმასრულებელი ხელისუფლება – საჯარო მმართველობას, სასამართლო ხელისუფლება – მართლმსაჯულებას.

საჯარო სამსახური სახელმწიფო სამსახურში – მუნიციპალიტეტის ორგანოებში, ანუ დაწესებულებებში, და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (სსიპ) – საქმიანობაა. სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო და რელიგიური დაწესებულებები საჯარო სამსახურებს არ განეკუთვნება.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირები – მოსამართლეები, პროკურორები, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრები, სახალხო დამცველი და მისი მოადგილეები და სხვ. არ იწოდებიან საჯარო მოსამსახურეებად. კანონი საჯარო სამსახურის შესახებ მიჯნავს ხელისუფლების პოლიტიკურ და მმართველობით მხარეებს. საჯარო მმართველობა არ ხორციელდება ხელისუფლების მიერ, თუმცა ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს ადმინისტრაციაში საქმიანობა საჯარო სამსახურია.

საჯარო მოსამსახურეს სამი სახის სტატუსი შეიძლება ჰქონდეს:

1. **პროფესიული საჯარო მოხელე** ინიშნება საჯარო სამსახურის **საშტატო** თანამდებობაზე. დამსაქმებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა, მუნიციპალიტეტი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პროფესიული საქმიანობის შესრულების სანაცვლოდ მოხელე ანაზღაურებასა და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს იღებს.
2. **შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი** ხელშეკრულების საფუძველზე საქმიანობს. მას აქვს დამხმარე ფუნქციები და არამუდმივი ამოცანები.
3. **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი** დაკავშირებულია პოლიტიკური თანამდებობის პირთან, რომელსაც უფლებამოსილების განხორციელებაში ეხმარება – აძლევს რჩევებს, უწევს ინტელექტუალურ-ტექნიკურ დახმარებას, ასრულებს ორგანიზაციულ-მენეჯერულ ფუნქციებს. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს არ შეიძლება ეკავოს საჯარო მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობები.

საჯარო სამსახური სახელმწიფო სამსახურში საქმიანობას ნიშნავს.

მაგ., – საჯარო სამსახურში მუშაობთ?

– დიახ, მუნიციპალურ გამგეობაში უფროსი სპეციალისტი ვარ.

ვფიქრობ, რომ შრომითი ხელშეკრულებით ორ თანამშრომელს ავიყვანო.

1.2. ლექსიკა:

ხელისუფლების განხორციელება – მექანიზმი, რომლის საშუალებით მიიღება სახელმწიფო გადაწყვეტილებები და აღსრულებს ისინი.

მოსამსახურე – ის, ვინც მუშაობს, სამსახურში მომუშავე.

სახელმწიფო მოსამსახურე – მოსამსახურე, რომელიც ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს.

კანონშემოქმედება – კანონების შექმნა და მიღება.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი – პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, პრემიერ-მინისტრი და მთავრობის სხვა წევრები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსა და მთავრობის წევრები.

სტატუსი – აქ: კონკრეტული თანამდებობრივი პოზიცია, რომელიც ანიჭებს განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს.

მოხელე – რაიმე მოვალეობის შემსრულებელი, სამსახურებრივ პოზიციაზე მყოფი.

პროფესიული საჯარო მოხელე – პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახელმწიფო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე.

შტატი – ტერმინი, რომელიც დადგენილ, განსაზღვრულ სამუშაო ადგილს აღნიშნავს.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე აპყავთ სამუშაოზე (განსაზღვრული დროით).

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც ეხმარება პოლიტიკური თანამდებობის პირს. მას არა აქვს შტატი და არც შრომითი ხელშეკრულებითაა დასაქმებული.

1.3. ტექსტის გააზრება:

1. რას ნიშნავს სახელმწიფო სამსახური?
2. როგორ ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება?
3. რომელი დაწესებულებები განეკუთვნება საჯარო სამსახურს?
4. ვინ ახორციელებს საჯარო სამსახურს?
5. რას ნიშნავს პროფესიული საჯარო მოხელე?
6. ვის ეწოდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი?
7. ვის ეწოდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი?

სინონიმები	ანტონიმები
მოსამსახურე – მოხელე ხელფასი – ანაზღაურება – გასამრჯელო საჯარო – სახელმწიფო ორგანო – დაწესებულება ხელმძღვანელი – მმართველი მიჯნავს – ყოფს ავტონომიური – დამოუკიდებელი რჩევა – დარიგება ხელშეკრულება – კონტრაქტი	დასაქმებული – დაუსაქმებელი ძირითადი – დამხმარე

რა? სამსახური რა? მოსამსახურე
 მაგ., სახელმწიფო მოსამსახურეს ანაზღაურება
 სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენიშნება.

1.4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგი სიტყვებით:

საკრებულოს წევრი	პრეზიდენტი
სახალხო დამცველი	პროფესორი
აპარატის თანამშრომელი	მოსამართლე

1. _____ არ არის საჯარო მოხელე, რადგან ის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირია.
2. _____ არ არის საჯარო მოხელე, რადგან საგანმანათლებლო-სამეცნიერო მუშაობას ეწევა.
3. _____ არ არის საჯარო მოხელე, რადგან ის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელია.
4. _____ არ არის საჯარო მოხელე, რადგან ის პოლიტიკური თანამდებობის პირია.
5. სახალხო დამცველის _____ საჯარო მოხელეა, რადგან მუშაობს სახალხო დამცველის ადმინისტრაციაში.
6. _____ არ არის საჯარო მოხელე, რადგან ის სათათბირო-წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობს.

1.5. წაიკითხეთ დიალოგი და განსაზღვრეთ ნიკოს სამსახურებრივი სტატუსი!

რემო: გამარჯობა, ნიკო! როგორ ხარ? რამდენი ხანია, არ მინახიხარ, მთელი ოცი წელი გავიდა!

ნიკო: აბა, რა სწრაფად გადის დრო! შენ რას შვრები, რას საქმიანობ?

რემო: ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში ვმუშაობ. მთავარი სპეციალისტი ვარ.

ნიკო: ე.ი. პროფესიული საჯარო მოხელე ყოფილხარ!

რემო: დიახ, სამტატო თანამდებობაზე ვარ. შენ რას საქმიანობ?

ნიკო: მე, ბატონო, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ამიყვანეს. პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ვარ. მგონი, თინიკოც რესურსცენტრში მუშაობს, არა?!

რემო: კი. ერთად ვმუშაობთ. ის შტატგარეშე თანამშრომელია.

ნიკო: კარგია, რომ ერთად ხართ. სკოლაშიც მეგობრობდით.

1.6. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

ანა, შოთა, ნელი და გიორგი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. გაარკვეით, კონკრეტულად რომელ ხელისუფლებას წარმოადგენს თითოეული მათგანი.

- ა. ქ-ნი ანა განათლებისა და მეცნიერების მინისტრია, ე.ი. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- ბ. შოთა ნიკოლაძე მოსამართლის თანაშემწეა უზენაეს სასამართლოში. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- გ. ნელი აბულაძე პარლამენტის ვიცესპიკერია. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- დ. გიორგი გოგიტიძე ბათუმის მერის მოადგილეა. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განხორციელდა	ხორციელდება	განხორციელდება
2	აიღო	იღებს	აიღებს



1.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: სამსახურის არჩევა

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ირაკლის არ აქვს სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დაწყების შესაძლებლობა.	
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი დაკავშირებულია ხალხის განსაზღვრულ ჯგუფთან და მის ინტერესებს იცავს.	
ნებისმიერი ბიზნესი სარისკოა.	
ირაკლის ურჩევნია გახდეს საჯარო მოხელე.	


1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

1.11. უპასუხეთ კითხვებს!

- 1. რატომ მუშაობდა ირაკლი არდადეგების დროს?
- 2. რატომ არ ესმის დედას ირაკლის მიერ ჩამოთვლილი სამსახურების მნიშვნელობა?
- 3. რატომ არ სურს ირაკლის შრომითი ხელშეკრულებით მუშაობა?
- 4. რომელი სამსახური აირჩია ირაკლიმ?

1.12. საპრეზენტაციო თემა



1.13. წერა

იმჯელეთ საკითხზე – სად და რა სტატუსით იმუშავებდით?

1.14. ეს საინტერესოა!



მოხელე წარმოდგება სიტყვისგან „ხელი“, რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა ძალაუფლებას, სახელო – თანამდებობას, ხოლო მოხელე – თანამდებობის პირს, შემსრულებელს. მოხელე, რომელიც ბრძანებას გასცემდა, იყო „ხელისუფალი“, ხოლო იმას, ვინც ბრძანებას აღასრულებდა, „საქმის მოქმედი“ ეწოდებოდა. სამეფო კარის მოხელეები ვეზირები იყვნენ, ეს უმაღლესი თანამდებობები კი დიდებულებს ეკავათ.


უპასუხეთ კითხვას!

- თქვენი აზრით, რატომ ეკავათ უმაღლესი თანამდებობები დიდებულებს?

[საქმეს] აღასრულებს – შეასრულებს, გააკეთებს.

მაგ., ვინც თავის საქმეს კარგად აღასრულებს, ის ფულადი პრემიით დაჯილდოვდება.

ა.



აღ- და **-ა** მიუთითებს მიმართულებას ქვემოდან ზემოთ

ბ.

რას იზამს?

რა?

აღ ადგენს – თავიდან გააკეთებს	→ აღ დგენა
აღწერს – ჩამოთვლის, სიას შეადგენს	→ აღწერა
აღზრდის – გაზრდის, კარგ ქცევას ასწავლის	→ აღზრდა
აღნიშნავს – რაიმეს იტყვის ან ჩაინიშნავს [მაგ., რვეულში]	→ აღნიშვნა
აღრიცხავს – დათვლის, იანგარიშებს, რაოდენობას დაითვლის	→ აღრიცხვა
აღძრავს – საქმეს წამოიწყებს, საჩივარს შეიტანს სასამართლოში	→ აღძვრა

II ნაწილი

მოხელის თანამდებობაზე მიღება

2.1. ტექსტი:

პროფესიული საჯარო მოხელე სამსახურში წინასწარ დადგენილი მოთხოვნების დაცვით მიიღება. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნები სამ ნაწილად იყოფა. ესენია: I. ძირითადი მოთხოვნები; II. სპეციალური და III. დამატებითი **საკვალიფიკაციო** მოთხოვნები.

მოხელედ მიიღება საქართველოს **ქმედუნარიანი მოქალაქე**, რომელმაც: ა) იცის სახელმწიფო ენა; ბ) უკვე 18 წლისაა; გ) აქვს კანონით გათვალისწინებული მოხელის **სერტიფიკატი**.

საჯარო მოხელის თითოეული **იერარქიული რანგისათვის** არსებობს სპეციალური მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება ამ **რანგისათვის** აუცილებელ ცოდნას, კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.

მოხელის თანამდებობისათვის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი. ის ითვალისწინებს თითოეული თანამდებობის სპეციფიკას.

პროფესიულ საჯარო სამსახურში მოქალაქეები მიიღებიან კონკურსის საფუძველზე. კონკურსი სამი ეტაპისაგან შედგება: ა) **დგინდება** ძირითად მოთხოვნებთან **შესაბამისობა**; ბ) **ფასდება** კანდიდატი; გ) ცხადდება კონკურსის შედეგები.

მოხელის სტატუსის არმქონე პირი **ვაკანტურ თანამდებობაზე** მიიღება **გამოსაცდელი ვადით** – 12 თვით. ამ დროს მოხელე სარგებლობს სრული უფლებებითა და **ვალდებულებებით**. გამოსაცდელი ვადა შედის სამსახურის **სტაჟში**.

2.2. ლექსიკა:

კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნის დონე.

ქმედუნარიანი მოქალაქე – სრულწლოვანი პირი (18 წლიდან), რომელსაც თავისი უფლება-მოვალეობების შესრულება შეუძლია.

სერტიფიკატი – კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

იერარქიული რანგი – კარიერული საფეხურები.

შესაბამისობის დადგენა – განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად შეესაბამება ერთი საგანი მეორეს.

შეფასება – კრიტერიუმის მიხედვით განსაზღვრა, რაიმეს მოწონება-არმოწონება.

ვაკანტური თანამდებობა – თავისუფალი, დაუკავებელი თანამდებობა.

გამოსაცდელი ვადა – პერიოდი, რომელიც პირს ეძლევა იმისთვის, რომ ის გამოცადონ, შეაფასონ.

ვალდებულება – მოვალეობა ვინმეს ან რაიმეს მიმართ, რომელიც უნდა შესრულდეს.

სტაჟი – განსაზღვრულ სფეროში მუშაობის გამოცდილება.

2.3. ტექსტის გააზრება:

1. რა აუცილებელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოქალაქე, რომ ის მოხელის თანამდებობაზე მიიღონ?
2. ვინ ადგენს მოხელისათვის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს?
3. რა უნდა გაითვალისწინოს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას?
4. რის საფუძველზე მიიღებიან მოქალაქეები საჯარო სამსახურში?
5. რა და რა ეტაპისგან შედგება კონკურსი?

6. თუ მოქალაქეს არა აქვს მოხელის სტატუსი, მიიღებენ თუ არა მას თანამდებობაზე და რა პირობით?
7. რა დროით განისაზღვრება გამოსაცდელი ვადა და ითვლება თუ არა ის სამუშაო სტაჟში?

სინონიმები	ანტონიმები
სპეციფიკა – თავისებურება	ძირითადი – დამატებითი სრული – არასრული

- ა. **რა? პროფესია რომორი? პროფესიული**
მაგ., საჯარო სამსახური დიდ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს.

- ბ. **–თვის გამოიყენება დანიშნულების საჩვენებლად.**
მაგ., ამ რანგისთვის სპეციალური ცოდნა მჭირდება;
ან: ამ რანგისათვის სპეციალური ცოდნა მჭირდება.

2.4. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ!

შვილი: მამა, სამსახური მინდა დავიწყო.

მამა: მერე ხელს რა გიშლის? თუ გინდა, მშეებნლობაზე დაგასაქმებ.

შვილი: ფიზიკური სამუშაო არ მინდა, საჯარო მოხელე უნდა გავხდე. ინტერნეტში ვაკანტური ადგილიც მოვძებნე.

მამა: რატომაც არა, 18 წლის უკვე ხარ, სახელმწიფო ენა კარგად იცი, სამოქალაქო განათლების კურსი გაიარე, სერტიფიკატიც გაქვს.

შვილი: კი მაქვს, მაგრამ დამატებით რომ მომთხოვონ რამე?

მამა: დამატებით მაშინ მოგთხოვენ, როცა უფრო მაღალ თანამდებობაზე მოინდომებ მუშაობას.

შვილი: გამოუცდელი რომ ვარ, მაინც ამიყვანენ?

მამა: შესაძლოა, ოღონდ

2.5. დააკავშირეთ!

- | | |
|-------------------|-------------|
| ა. საკვალიფიკაციო | წიგნი |
| საჯარო | მოხელე |
| სამაგიდო | მომხივნი |
| ბ. კანდიდატის | მიღება |
| შესაბამისობის | შერჩევა |
| მონაწილეობის | დადგენა |
| გ. ქმედუნარიანი | რანგი |
| იერარქიული | ვადა |
| გამოსაცდელი | მოქალაქე |
| ვაკანტური | თანამდებობა |

2.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	იარსება	არსებობს	იარსებებს
2	გაითვალისწინა	ითვალისწინებს	გაითვალისწინებს



2.7. მოსმენა

დიალოგი თემაზე: გასაუბრება

2.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

საბუთების მიხედვით, რუსლანი სრულყოფილად ფლობს ქართულ, გერმანულ და ესპანურ ენებს.	
რუსლანს მოსწონს ვაკანტური თანამდებობა, რადგან საჯარო მოხელე ინიშნება ნ-წლიანი ვადით და აქვს წინსვლის პერსპექტივა.	
რუსლანს აქვს სხვადასხვა სამსახურში მუშაობის გამოცდილება.	
რუსლანმა გერმანიაში აიღო საჯარო მოხელის სერტიფიკატი.	

2.9. უპასუხეთ კითხვებს!

1. საბუთების გაცნობის შემდეგ რა საკითხით დაინტერესდა ქალბატონი ლიანა?
2. რატომ ჰქონდა რუსლანს სერტიფიკატი გერმანულ ენაზე?
3. როგორ დაახასიათა რუსლანმა საკუთარი თავი?

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.11. საპრეზენტაციო თემა

რა თვისებებია საჭირო საჯარო სამსახურში
დასაქმებისთვის?

2.12. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – როგორ დაახასიათებდით თქვენს თავს
გასაუბრებაზე?

2.13.

ეს საინტერესოა!



ლათინურად კანდიდატი ნიშნავს ადამიანს, რომელსაც თეთრი ტანსაცმელი აცვია. ძველ რომში სახელმწიფო თანამდებობის მაძიებელი თეთრ სამოსში, ანუ ტოგაში, იყო გამოწყობილი. აქედან გამომდინარე, თანამდებობის ან სამეცნიერო ხარისხის მაძიებელს კანდიდატი ეწოდება.

III ნაწილი

მოხელის შრომითი უფლებები

3.1. ტექსტი:

საჯარო მოხელე **სოციალურად დაცულია** და შესრულებული სამუშაოსათვის იღებს ანაზღაურებას. მას სამსახურის დაწყების დღიდან გათავისუფლების დღემდე ეკუთვნის შრომითი გასამრჯელო, რომელიც მოიცავს **თანამდებობრივ სარგოსა** და **დანამატს**. თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონით, ხოლო სახელფასო დანამატი – შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა) მოხელის **კლასის** გათვალისწინებით; ბ) შესრულებული **ზეგანაკვეთური სამუშაოს** შესაბამისად; გ) დამატებითი ფუნქციების დაკისრების გამო, რაც გულისხმობს საქმიანობას ღამის საათებში, დასვენების დღეს, მძიმე სამუშაო პირობებში და ა.შ.

მოხელის წახალისების ფორმებია: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფულადი ჯილდო და გ) ფასიანი საჩუქარი.

მოხელისთვის დადგენილია 5-დღიანი სამუშაო კვირა. სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს. დასვენების დრო და **უქმე დღეები** განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსით.

მოხელეს ეკუთვნის ყოველწლიური **ანაზღაურებადი შვებულება** 24 სამუშაო დღის ოდენობით. მას შვებულების მოთხოვნა შეუძლია დანიშნუიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. სამუშაოზე დანიშნის მეორე წლიდან შვებულება წლის ნებისმიერ დროს მიეცემა. მოხელეს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებითაც, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება არა უმეტეს ერთი წლის ვადით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საჯარო დაწესებულების ინტერესებს.

3.2. ლექსიკა:

სოციალური დაცვა – გარანტიათა სისტემა, რომელიც დასაქმებულ მოსახლეობას ცხოვრების თანაბარ პირობებს უქმნის.

სარგო – ის, რაც გერგება, გეკუთვნის.

თანამდებობრივი სარგო – ხელფასის ძირითადი ნაწილი, რომელიც მოსამსახურეს თანამდებობის მიხედვით ეძლევა.

დანამატი – ის, რაც დამატებით მოგეცემა.

კლასი – აქ: განათლება, სამუშაო გამოცდილება.

ზეგანაკვეთური სამუშაო – სამუშაო, რომელსაც მოსამსახურე პირი დამატებით ასრულებს.

უქმე დღე – სახელმწიფოს მიერ დადგენილი დასვენების დღეები.

ანაზღაურებადი შვებულება – დასვენების ის პერიოდი, რომლის დროსაც მოხელე ანაზღაურებას იღებს.

3.3. ტექსტის გააზრება:

1. რა დადებითი მხარე აქვს საჯარო მოხელის თანამდებობას?
2. რა კომპონენტებისგან შედგება საჯარო მოხელის ხელფასი?
3. რის გამო ეძლევა საჯარო მოხელეს სახელფასო დანამატი?
4. საჯარო მოხელის წახალისების რა ფორმები არსებობს?
5. რა არის საჯარო მოხელის სამუშაო ნორმა?
6. როდიდან ეკუთვნის საჯარო მოხელეს ანაზღაურებადი შვებულება?
7. შეუძლია თუ არა მოხელეს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით და რამდენი ხნის განმავლობაში?

სინონიმები	ანტონიმები
გასამრჯელო – ხელფასი ხანგრძლივობა – პერიოდი შესრულებული – გაკეთებული დადგენილი – დაწესებული	დაცული – დაუცველი შესრულებული – შეუსრულებელი ღამე – დღე სამსახურიდან გათავისუფლება – სამსახურში მიღება ანაზღაურებადი – არაანაზღაურებადი

ა.

დაიმახსოვრეთ!



რა? დამატება

როგორი? დამატებითი

მაგ., თქვენს ხელმძღვანელს სამსახურიდან ათავისუფლებენ, ამიტომ დამატებითი ფუნქციების შესრულება დაგეგვალათ.

ბ.

სახ. დასვენების დღე
მოთხრ. დასვენების დღე^მ
მიც. დასვენების დღეს და სხვ.
მაგ., დასვენების დღეს სამსახურობრივ საკითხებზე ნულარ დამირეკავთ!
9 აპრილი დასვენების დღედ არის გამოცხადებული.

3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

გეგანაკვეთური სამუშაო	თანამდებობრივი სარგოსა
ანაზღაურებადი შვებულებით	სოციალურად დაცულს
შესრულებული სამუშაო	

1. სამსახურში მოწყობა ადამიანს _____ ხდის.
2. მოხელის მიერ _____ ფასდება მისი ხელფასით.
3. მოხელის ხელფასი შედგება _____ და დანამატისგან.
4. _____ ფასდება დამატებითი ანაზღაურებით.
5. ადამიანს უფლება აქვს წელიწადში ერთხელ ისარგებლოს _____.

3.5. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ მათი სინონიმებით ან ანტონიმებით!

დაუცველი	ანაზღაურებადი
შესრულებელი	გასამრჯელო
სამსახურში მიიღეს	

1. საჯარო მოხელის გასამრჯელო დამოკიდებულია სამსახურში მის იერარქიულ რანგზე.
2. ნინო ჩვენთან უკვე 11 თვეა, რაც მუშაობს და ეკუთვნის არაანაზღაურებადი შვებულება.
3. ლია შესრულებული სამუშაოს გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან.
4. პოლიტიკატიმარი თავის ქვეყანაში სოციალურად დაცული იყო.
5. როცა გიორგი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ძალიან ახალგაზრდა იყო.

3.6. დააკავშირეთ!

იღებს	ხანგრძლივობა
უქმე	კოდექსი
დროის	დაწესებულება
შრომის	ანაზღაურებას
საჯარო	კანონი
საქართველოს	საჩუქარი
ანაზღაურებადი	ჯილდო
ფასიანი	სარგო
ფულადი	დღე
თანამდებობრივი	შვებულება

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	აღმატა	აღმატება	აღმატება
2	ეკუთვნოდა	ეკუთვნის	-----



3.8. მოსმენა

სიუჟეტი თემაზე: რეორგანიზაცია

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓სიმბოლოთი!

ქალბატონი ქეთევანი ორგანიზაციაში მივიდა თანამშრომლებისათვის კონსულტაციის ჩასატარებლად.	
დამსაქმებელი ვალდებულია 1 თვით ადრე აცნობოს მოხელეს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.	
რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლება არ შეიძლება.	
თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.	

3.10. უპასუხეთ კითხვებს!

1. რატომ სჭირდებათ ორგანიზაციის თანამშრომლებს თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა?
2. რა ვალდებულება აქვს ორგანიზაციას მოხელის მიმართ თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში?
3. რა ვალდებულება აქვს ორგანიზაციას მოხელის მიმართ მისი არასწორად გათავისუფლების შემთხვევაში?
4. გულისხმობს თუ არა რეორგანიზაცია კადრების აუცილებელ შემცირებას?

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.12. საპრეზენტაციო თემა

**როგორ უნდა მოვიქცეთ თანამდებობიდან
შემთხვევით გათავისუფლების შემთხვევაში?**



გაიხსენეთ!

რა დროიდან რა დრომდე? // როდიდან როდემდე?
პირველიდან ორამდე – იგივეა, რაც: პირველი საათიდან ორ საათამდე.
რა ადგილიდან რა ადგილამდე? // საიდან სადამდე?
მაგ., ჩემი ქალაქიდან შენ სოფლამდე ოცდაერთი კილომეტრია.



დაიმახსოვრეთ!

ერთი მხრივ,, მეორე მხრივ,
მითითება: ისინი წინადადებაში მაშინ გამოიყენება, როცა ორი აზრი ან ორი საგანი ერთმანეთს უპირისპირდება.
ერთი მხრივ და მეორე მხრივ წინადადებაში მძიმეებით გამოიყენება.
მაგ., ერთი მხრივ, ჩვენი ღირეუტორის და, მეორე მხრივ, შენი პრეტენზიები უნდა მომესმინა.

3.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – ვარ თუ არა ჩემს ქვეყანაში სოციალურად დაცული?

3.14.

ეს საინტერესოა!



საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სოციალურ რისკებად აღიარებულია:

- შრომისუუნარობა (დროებითი ან მუდმივი);
- სიბერე;
- მარჩენალის დაკარგვა;
- ავადმყოფობა;

- უმუშევრობა;
- საწარმოო ტრავმები / პროფესიული დაავადებები;
- შვილების გაზრდის ხარჯები;
- გაჭირვება (საარსებო მინიმუმის არარსებობა).

დღევანდელ საქართველოში სოციალური დაცვა აერთიანებს:

- სოციალურ დაზღვევას;
- სოციალურ დახმარებას;
- შემწეობას;
- შეღავათებს;
- მრავალშვილიან ოჯახთა დახმარებას.

ლექსიკა

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც ეხმარება პოლიტიკური თანამდებობის პირს. მას არა აქვს შტატი და არც შრომითი ხელშეკრულებითაა დასაქმებული.

ანაზღაურებადი შვებულება – დასვენების ის პერიოდი, რომლის დროსაც მოხელე ანაზღაურებას იღებს.

გამოსაცდელი ვადა – პერიოდი, რომელიც პირს ეძლევა იმისთვის, რომ ის გამოცადონ, შეაფასონ.

დანამატი – ის, რაც დამატებით მოგეცემა.

ვაკანტური თანამდებობა – თავისუფალი, დაუკავებელი თანამდებობა.

ვალდებულება – მოვალეობა ვინმეს ან რაიმეს მიმართ, რომელიც უნდა შესრულდეს.

ბეგანაკვეთური სამუშაო – სამუშაო, რომელსაც მოსამსახურე პირი დამატებით ასრულებს.

თანამდებობრივი სარგო – ხელფასი, რომელიც მოსამსახურეს თანამდებობის მიხედვით ეძლევა.

იერარქიული რანგი – კარიერული საფეხურები.

კანონშემოქმედება – კანონების შექმნა და მიღება.

კვალიფიკაცა – პროფესიული ცოდნის დონე.

კლასი – აქ: განათლება, სამუშაო გამოცდილება.

მოსამსახურე – ის, ვინც მუშაობს, სამსახურში მომუშავე.

მოხელე – რაიმე მოვალეობის შემსრულებელი, სამსახურებრივ პოზიციაზე მყოფი.

პროფესიული საჯარო მოხელე – პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახელმწიფო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე.

სარგო – ის, რაც გერგება, გეკუთვნის.

სახელმწიფო მოსამსახურე – მოსამსახურე, რომელიც ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი – პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი,

პრემიერ-მინისტრი და მთავრობის სხვა წევრები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსა და მთავრობის წევრები.

სერტიფიკატი – კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სოციალური დაცვა – გარანტიათა სისტემა, რომელიც დასაქმებულ მოსახლეობას ცხოვრების თანაბარ პირობებს უქმნის.

სტაჟი – განსაზღვრულ სფეროში მუშაობის გამოცდილება.

სტატუსი – აქ: კონკრეტული თანამდებობრივი პოზიცია, რომელიც ანიჭებს განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს.

უქმე დღე – სახელმწიფოს მიერ დადგენილი დასვენების დღეები.

ქმედუნარიანი მოქალაქე – სრულწლოვანი პირი (18 წლიდან), რომელსაც თავისი უფლება-მოვალეობების შესრულება შეუძლია.

შესაბამისობის დადგენა – განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად შეესაბამება ერთი საგანი მეორეს.

შეფასება – კრიტერიუმის მიხედვით განსაზღვრა, რაიმეს მოწონება-არმოწონება.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე აპყავთ სამუშაოზე (განსაზღვრული დროით).

შტატი – ტერმინი, რომელიც დადგენილ, განსაზღვრულ სამუშაო ადგილს აღნიშნავს.

ხელისუფლების განხორციელება – მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მიიღება სახელმწიფო გადაწყვეტილებები და აღსრულდება ისინი.

ზმნები

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი+უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	არსებობს	არსებობდა	იარსება	იარსებებს	იარსებოს	უარსებია	არსებობა
2	აღმატება	აღმატებოდა	აღმატა	აღმატებს	აღმატოს	აღმატებია	აღმატება
3	აღიარებს	აღიარებდა	აღიარა	აღიარებს	აღიაროს	უღიარებია	აღიარება
4	განსხვავდება	[გან]სხვავდებოდა	განსხვავდა	განსხვავდება	განსხვავდეს	განსხვავებულა	განსხვავება
5	ეკუთვნის	ეკუთვნოდა	[მი]ეკუთვნა	[მი]ეკუთვნებს	[მი]ეკუთვნოს	მიჰკუთვნებია	მიკუთვნება
6	ითვალისწინებს	ითვალისწინებდა	გაითვალისწინა	გაითვალისწინებს	გაითვალისწინოს	გაუთვალისწინებია	გათვალისწინება
7	იღებს	იღებდა	აიღო	აიღებს	აიღოს	აუღია	აღება
8	ხორციელდება	ხორციელდებოდა	განხორციელდა	განხორციელდება	განხორციელდეს	განხორციელებულა	განხორციელება

X თავი

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა

I ნაწილი

ნატო – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების
ორგანიზაციაეუთო – ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის
ორგანიზაცია

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. გინახავთ თუ არა ეს სიმბოლოები?
2. რომელი ორგანიზაციის სიმბოლოა გამოსახული პირველ ილუსტრაციაზე? რა იცით ამ ორგანიზაციის შესახებ?
3. რომელი ორგანიზაციის სიმბოლოა გამოსახული მეორე ილუსტრაციაზე? იცით თუ არა რაზე ამ ორგანიზაციის შესახებ?

1.2. ტექსტი:

ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფომ შექმნა სამხედრო-პოლიტიკური **ალიანსი** – ნატო. მისი ძირითადი ამოცანაა გაერთიანების წევრი ქვეყნების **უსაფრთხოების** დაცვა. ნატო ამ ქვეყნებში დემოკრატიის პრინციპებს, პიროვნების თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას, აგრეთვე, **კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას** უზრუნველყოფს. ნატოში **მოკავშირეები** განიხილავენ უსაფრთხოების საკითხებს და ადგენენ ერთობლივი მოქმედების გეგმას. ალიანსის ერთ წევრ ქვეყანაზე თავდასხმა ყველა წევრზე თავდასხმას ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში ნატო ეხმარება **საფრთხეში** მყოფ მხარეს. ალიანსში ყველა საკითხი **კონსენსუსის** საფუძველზე წყდება. მთავარ გადაწყვეტილებას იღებს ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომლის სხდომებს ნატოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.

ეუთო ევროპის **უშიშროებისა** და თანამშრომლობის ორგანიზაციაა, რომელშიც 56 სახელმწიფო შედის. მისი მუშაობის მთავარი მიზანი არის ევროპაში **შეიარაღების** კონტროლი, კონფლიქტების თავიდან აცილება, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოება. ორგანიზაციის უმთავრესი პრინციპია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, რაც საერთაშორისო მშვიდო-

ბისა და უშიშროების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიუხედავად ამისა, ეუთოს არა აქვს **საერთაშორისო სამართლის სუბიექტის** სტატუსი. იგი უმთავრესად პოლიტიკური ორგანიზაციაა.

1990 წლამდე ეუთო წარმოდგენდა შეხვედრებისა და კონფერენციების **ფორუმს**, ხოლო 1995 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც მშვიდობის დამცველი ორგანიზაცია. მისი მთავარი ორგანოა სათათბირო, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ იკრიბება. მასში შედიან სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები. სათათბირო განსაზღვრავს ეუთოს პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს.

1.3. ლექსიკა:

ალიანსი – კავშირი, გაერთიანება.

უსაფრთხოება – საფრთხის, საშიშროების თავიდან აცილება.

კონფლიქტი – იგივეა, რაც დაპირისპირება.

მშვიდობიანი მოგვარება – საკითხის გადაწყვეტა ძალის გამოყენების გარეშე.

მოკავშირე – პარტნიორი.

საფრთხე – იგივეა, რაც საშიშროება.

კონსენსუსი – შეთანხმება მთავარ საკითხებსა და პრინციპებზე.

უშიშროება – საფრთხის, საშიშროების თავიდან აცილება.

შეიარაღება – იარაღით მომარაგება, აღჭურვა.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტი – საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე მხარე, რომელსაც იურიდიული სტატუსი აქვს.

ფორუმი – ფართო წარმომადგენლობითი კრება.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა სახის ორგანიზაციაა ნატო?
2. რა ძირითადი ამოცანები აქვს ნატოს?
3. რატომ ნიშნავს ნატოს ერთ წევრ ქვეყანაზე თავდასხმა ნატოს ყველა წევრზე თავდასხმას?
4. რის საფუძველზე წყდება ნატოში საკითხები და ვინ იღებს მთავარ გადაწყვეტილებას?
5. რა სახის ორგანიზაციაა ეუთო?
6. რა არის ეუთოს მუშაობის მთავარი მიზანი?
7. რომელია ეუთოს მთავარი ორგანო და რა ფუნქციები აქვს მას?

სინონიმები	ანტონიმები
ალიანსი – კავშირი	ძირითადი – მეორეხარისხოვანი
უსაფრთხოება – უშიშროება	მშვიდობიანი – ძალისმიერი
საფრთხე – საშიშროება	საფრთხე – უსაფრთხოება
კონსენსუსი – შეთანხმება	მოკავშირე – მოწინააღმდეგე
სტატუსი – მდგომარეობა	დამცველი – დამრღვევი
ფუნქციონირებს – მოქმედებს	
პრიორიტეტი – უპირატესობა	

რას იზამს?	დაიცავს
ვინ არის ის, ვინც დაიცავს? მაგ., სახალხო დამცველი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა.	დამცველი

1.5. წაიკითხეთ დიალოგი; შეაფასეთ ილარიონის არგუმენტები!

ილიკო: როგორ გგონია, საქართველოს ნატოში მიიღებენ?

ილარიონი: რა თქმა უნდა, აბა, რისთვის შეიქმნა ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისია?

ილიკო: 2005 წლიდანაც ხომ იყო ინდივიდუალური პარტნიორობის კომისია, მაგრამ რა გამოვიდა აქედან?! ისევ არ მიგვიღეს.

ილარიონი: სამაგიეროდ, თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადავედით.

ილიკო: კი გადავედით, მაგრამ არ მესმის, ისეთი რა უნდა შეიცვალოს, რომ ნატოში მიგვიღონ?

ილარიონი: ჩვენ ავიღეთ ვალდებულებები და უნდა შევასრულოთ კიდევ.

ილიკო: მაინც რა უნდა გავაკეთოთ?

ილარიონი: უპირველესად კონფლიქტურ ზონებში უნდა მოვაგვაროთ პრობლემები.

ილიკო: ეს საკმაოდ რთული იქნება.

ილარიონი: სამწუხაროდ, სანამ ქვეყანაში კონფლიქტური ზონები გვექნება, ნატოში შესვლა გაგვიჭირდება.

1.6. წაიკითხეთ დიალოგი და გახაზეთ ფრაზა, რომელშიც ჩანს ეუთოს მისია!

ილიკო: რა კავშირი აქვს ჩვენს ქვეყანას ეუთოსთან?

ილარიონი: როგორ თუ რა კავშირი?! ეუთოს მისია საქართველოში 1992 წელს დაარსდა.

ილიკო: რა მიზნით?

ილარიონი: კონფლიქტების მოსაგვარებლად.

ილიკო: მერე მოაგვარა?

ილარიონი: არა, სამწუხაროდ. ეუთომ საქართველოში თავისი მისია შეაჩერა.

ილიკო: რატომ? ომის გამო?

ილარიონი: რა თქმა უნდა, სწორედ ომის შემდეგ დაბლოკა რუსეთმა.

ილარიონი: და რა მიზეზით?

ილიკო: სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვა.

ილარიონი: მოკლედ, ეს პოლიტიკა სამშვიდობო ორგანიზაციების საქმიანობაშიც კი ერევა.

ილიკო: აბა, აბა!



დაიმახსოვრეთ!

შემდეგ – უკან, შემდგომ, მერე.

მაგ., რიგში ჩემ შემდეგ დადებიო!

ამ გადაწყვეტილების შემდგომ სამსახურში აღარ მივსულვარ.

ჩემ შემდეგ **ჩვენ** შემდეგ
შენ შემდეგ **თქვენ** შემდეგ
[ი]მის შემდეგ **ი]მათ** შემდეგ
მაგრამ: ომის შემდეგ ეუთომ თავისი მისია შეაჩერა.

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	უზრუნველყო	უზრუნველყოფს	უზრუნველყოფს
2	გადაწყდა	წყდება	გადაწყდება
3	შეიკრიბა	იკრიბება	შეიკრიბება



1.8. მოსმენა

დიალოგი: რეფერენდუმი საქართველოში

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ნიკას რეფერენდუმზე წასვლა უნდა, თუმცა თავისუფალი დრო არ აქვს.	
რეფერენდუმზე მოსახლეობა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის შესახებ გამოხატავს აზრს.	
ნატოს თითოეული წევრი დაცულია.	
საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას ნატოში გაწევრიანება არ უნდა.	

1.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- როდის არის რეფერენდუმი?
- ვინ გამოხატავს თავის აზრს რეფერენდუმზე?
- რამდენი წევრი ქვეყნისგან შედგება ნატო?
- როგორი გაერთიანებაა ნატო?
- საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილი უჭერს მხარს ნატოში გაწევრიანებას?

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

1.12. საპრეზენტაციო თემა

**რისთვის სჭირდება ჩვენს ქვეყანას ნატოში
განუხრება?**



გაიხსენეთ!

ხალხი სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვაა და გმნას მხოლოდით
რიცხვში მოითხოვს.

მაგ., ხალხი არის; ან: ხალხია.

ახალგაზრდობა ფიქრობს.

1.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **რა უშლის ხელს ნატოსა და ეუთოს მისიების
განხორციელებას საქართველოში?! დაასახელეთ რამდენიმე ძირითადი მიზეზი!**

1.14.

ეს საინტერესოა!



2008 წელს საქართველოში ჩატარდა პლემბისციტი. ანკეტაში
შევიდა ორი კითხვა: 1. უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს
გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების
ორგანიზაციაში (ნატოში)? 2. თანახმა ხართ თუ არა, რომ
საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008
წლის გაზაფხულზე? საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ
მხარი დაუჭირა ნატოში გაწევრიანებას.

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. გინახავთ თუ არა ეს სიმბოლოები?
2. რომელი ორგანიზაციის სიმბოლოა გამოსახული პირველ ილუსტრაციაზე? რა იცით ამ ორგანიზაციის შესახებ?
3. რომელი ორგანიზაციის სიმბოლოა გამოსახული მეორე ილუსტრაციაზე? იცით თუ არა რაზე ამ ორგანიზაციის შესახებ?

2.2. ტექსტი:

ბაერო, ანუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე შეიქმნა. მისი მთავარი მიზანი **საყოველთაო მშვიდობის დამყარება და სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაძლიერებაა**. გაეროს **წესდებას** 50-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. ამ ორგანიზაციის შექმნას საფუძვლად ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაედო.

გაერო ყველა სახელმწიფოს **სუვერენული** თანასწორობის პრინციპზეა დამყარებული. მისი წესდების მიხედვით, ქვეყნებს შორის დავა მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს. გაერო არ ერევა სახელმწიფოთა საქმეებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის იძულებულია, მიიღოს **ზომები** მშვიდობის დასაცავად ან მის აღსადგენად. გაეროს მთავარი **სათათბირო** ორგანოა **გენერალური ასამბლეა**, რომელშიც თითოეულ წევრ სახელმწიფოს აქვს 1 ხმა აქვს. გენერალურ ასამბლეას იწვევენ ყოველწლიურად. გაეროს აღმასრულებელი ორგანოა სამდივნო. მას **ადმინისტრაციული თანამდებობის პირი** – გენერალური მდივანი – ხელმძღვანელობს. გაეროს შტაბბინა ნიუ-იორკში მდებარეობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამხმარე ორგანოებია: მსოფლიო **სასურსათო** საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი და ა.შ. ამ ორგანიზაციის **სპეციალიზებული** დაწესებულებებია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, იუნესკო, იუნიდო და სხვები.

იუნესკო გაერთიანებული ერების ერთ-ერთი ორგანიზაციაა. მისი მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობის ხელშეწყობა განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროში. იუნესკოს ძირითადი პრინციპია, დაიცვას და პატივი სცეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მიუხედავად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა.

იუნესკო 1945 წლის 16 ნოემბერს დაარსდა. მისი შტაბბინა მდებარეობს ქალაქ პარიზში, საფრანგე-

თმ. ის 195 ქვეყანას აერთიანებს, აქვს 50 წარმომადგენლობითი ოფისი, რამდენიმე **ინსტიტუტი** და ცენტრი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იუნესკოს ხელმძღვანელი ორგანოებია: გენერალური კონფერენცია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება, და აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც გენერალური კონფერენცია ირჩევს. მისი აღმასრულებელი ორგანოა სამდივნო, რომელსაც სათავეში უდგას 4 წლის ვადით არჩეული გენერალური დირექტორი.

2.3. ლექსიკა:

საყოველთაო – ის, რაც ყველას ეხება, საზოგადოა.

წესდება – იურიდიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრული წესებისაგან შედგება.

ნაციზმი – ფაშიზმი (გერმანული ფაშიზმის ერთ-ერთი სახელწოდება).

სუვერენული – დამოუკიდებელი.

ზომა – აქ: საშუალება, რაიმე პრობლემის გადასაჭრელად.

სათათბირო – ადგილი, სადაც თათბირობენ, მოილაპარაკებენ.

ასამბლეა – საერთაშორისო ორგანიზაციების წევრთა საერთო კრება.

გენერალური ასამბლეა – გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელშიც შედის ყველა წევრ-სახელმწიფოს წარმომადგენელი.

ადმინისტრაციული თანამდებობის პირი – ხელმძღვანელი, რომელიც ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

შტაბბინა – ძირითადი ადმინისტრაციული ოფისი.

სურსათი – საკვები პროდუქტი.

სპეციალიზებული – ერთი ტიპის, მიმართულების, განხრისა.

ინსტიტუტი – აქ: რაიმეზე დაქვემდებარებული დაწესებულება.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის გაეროს მთავარი მიზანი?
2. რა იყო გაეროს შექმნის მიზეზი?
3. რა პრინციპებს ემყარება გაეროს წესდება?
4. როგორია გაეროს სტრუქტურა?
5. რა ორგანიზაციაა იუნესკო და როგორია მისი მიზნები?
6. როგორია იუნესკოს სტრუქტურა?

სინონიმები	ანტონიმები
ნაციზმი – ფაშიზმი დაფუძნებულია – დამყარებულია სუვერენული – დამოუკიდებელი	გაერთიანებული – დაშლილი საერთაშორისო – ადგილობრივი აერთიანებს – შლის
რას იზამს? გააერთიანებს რომორი? გაერთიანებული მაგ., გაეროს ბავშვთა ფონდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამხმარე ორგანოა.	

2.5. წაიკითხეთ დიალოგი და გახაზეთ ფრაზა, რომელშიც ჩანს გაეროს მთავარი მიზნები?

ილიკო: საქართველო გაეროს წევრი ქვეყანაა?

ილარიონი: 1992 წლის ივლისში გახდა გაეროს 179-ე წევრი. ჩვენთან გაეროს მრავალი სააგენტო, ფონდი და პროგრამა მუშაობს, როგორ არ გაგიგია?!

ილიკო: გაეროს განვითარების პროგრამის შესახებ გამიგია, მაგრამ არ ვიცი, რა სფეროებს მოიცავს მისი საქმიანობა.

ილარიონი: ბევრ სფეროსა და პრობლემას, ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, ვთქვათ, კლიმატის ცვალებადობა, სიღარიბის აღმოფხვრა, შიდსის გავრცელების შეჩერება, გარემოს დაცვა, დემოკრატიული მმართველობის მხარდაჭერა და ასე შემდეგ. იმდენია, რა ჩამოთვლის!

ილიკო: თითოეული საკითხი როგორი მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის!

ილარიონი: აბა, რა! გაერო უდიდეს საქმეებს აკეთებს არა მარტო ჩვენთან, არამედ – მთელ მსოფლიოში.

ილიკო: ამიტომაც მისი ფასი არაფერია!

მისი ფასი არაფერია – ფასდაუდებელია, ძალიან მნიშვნელოვანია.

2.6. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- კიდევ რა იცით საქართველოში იუნესკოს საქმიანობის შესახებ?

ქეთევანი: იცი, რომ იუნესკომ ქართული ანბანი მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის სიაში შეიტანა?

თამარი: ვიცი და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია ჩვენი ქვეყნისთვის.

ქეთევანი: რა თქმა უნდა.

თამარი: დიდ იმიჯს გვიქმნის საერთაშორისო დონეზე.

ქეთევანი: ჰო, ეს აღიარებაა საქართველოსი, როგორც მაღალი კულტურის ქვეყნისა.

თამარი: იუნესკომ კიდევ ბევრი რამ გააკეთა საქართველოსთვის. ჩვენი ისტორიული ძეგლები იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ქეთევანი: სვეტიცხოველზე ამბობ?!

თამარი: არა მარტო!

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	[ხელი] მოაწერა	[ხელს] აწერს	[ხელს] მოაწერს
2	[სათავეში] ჩაუდგა	[სათავეში] უდგას	[სათავეში] ჩაუდგება



2.8. მოსმენა

ტექსტი: გაეროში საქართველოს ელჩის ინტერვიუ

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

გაეროში ელჩის ძირითადი მიზანი საქართველოს ინტერესების დაცვაა.	
საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად საერთაშორისო მხარდაჭერა სჭირდება.	
პარტნიორებისა და მეგობრების მოძებნა გაეროში ადვილია.	
გაეროში სუსტ სახელმწიფოებს ხმის უფლება არ აქვთ.	

2.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენი სახელმწიფოა გაეროში გაერთიანებული?
2. როდიდან არის საქართველო გაეროს წევრი?
3. რომელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები?
4. რამდენი ხმა აქვს გაეროში თითოეულ სახელმწიფოს?
5. ტექსტში გაეროს რომელი ძლიერი წევრი სახელმწიფოებია ჩამოთვლილი?

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:


1. _____
2. _____
3. _____

2.12. საპრეზენტაციო თემა

სჭირდება თუ არა საქართველოს ძლიერი პარტნიორები საგარეო პოლიტიკაში და რატომ?



დაიმახსოვრეთ!



2.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – რა განსხვავებაა გაეროსა და იუნესკოს ფუნქციებს შორის?

2.14.

ეს საინტერესოა!



იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში 878 ძეგლი შედის, მათ შორისაა სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერი ქალაქ მცხეთაში; კულტურული მემკვიდრეობის სიაში შესატანად კი საქართველოს 15 ისტორიულ და ბუნებრივ ძეგლს კანდიდატის სტატუსი აქვს, მაგალითად, ორი კუთხის – კოლხეთისა და მთათუშეთის – უნიკალურ ბუნებას.

III ნაწილი

ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო



ევროპის საბჭოს დროშა



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

3.1. ტექსტი:

ევროკავშირი ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანებაა. მასში შემავალ 28 სახელმწიფოს აქვს ერთიანი **შიდა ბაზარი**. ორგანიზაცია ხელს უწყობს ადამიანების, **საქონლისა** და **კაპიტალის** თავისუფალ გადაადგილებას, **ერთიან პოლიტიკას** ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში. **შენგენის ზონაში** გაუქმებულია საპასპორტო კონტროლი; **ევროზონაში**, რომლის შემადგენლობაში 19 სახელმწიფოა, მოქმედებს ერთიანი **ვალუტა** – ევრო. ევროკავშირის ძირითადი ორგანოებია: ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი და ევროპის სასამართლო.

ევროპის საბჭო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 47 სახელმწიფოსგან შედგება. დემოკრატიის პრინციპებთან ერთად მისი მიზანია ევროპული კულტურის განვითარება და პოპულარიზაცია, ევროპული საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება. მათ შორისაა: უმცირესობათა დისკრიმინაციის, გარემოს დაცვის, ნარკოპოლიტიკისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ორგანიზაცია შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში ათი სახელმწიფოს მიერ (ბელგია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი). ევროპის საბჭოს აქვს საკანონმდებლო ფუნქციები. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მინისტრთა კომიტეტი, რომელიც შედგება წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებისგან ან მათი წარმომადგენლებისგან. მინისტრთა კომიტეტს ემსახურება **სამდივნოს აპარატი** 1300 თანამშრომლით. მას სათავეში უდგას გენერალური მდივანი.

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა. მის წევრ ყველა ქვეყანას ხელმოწერილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული **კონვენცია**. 1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს **აღმამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**, რომელიც 1959 წელს შეიქმნა. ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა მოქალაქეებს, ფიზიკურ პირებს, შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებები სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის. სასამართლო მდებარეობს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასახლეში.

3.2. ლექსიკა:

შიდა ბაზარი – აქ: პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის.

საქონელი – ღირებულების მქონე საგანი ან მომსახურება.

კაპიტალი – ფინანსები ან ფულადი ღირებულების მქონე ნივთები.

ერთიანი პოლიტიკა – აქ: ერთიანი მიდგომა, ერთიანი წესი.

შენგენის ზონა – საერთაშორისო თავისუფალი ტურისტული ზონა, რომელშიც გაერთიანებულია ევროპის 26 სახელმწიფო.

ევროზონა – იმ ქვეყნების გაერთიანება, რომელთა ვალუტა არის ევრო.

ვალუტა – ფულადი ერთეული.

სამდივნოს აპარატი – დაწესებულება, რომელიც სამდივნოს მუშაობას წარმართავს.

კონვენცია – სახელმწიფოთა შორის სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

3.3. ტექსტის გააზრება:

1. რა ორგანიზაციაა ევროკავშირი? რა არის მისი მიზანი?
2. რა ორგანიზაციაა ევროპის საბჭო და რა არის მისი მიზანი?
3. როგორია ევროსაბჭოს სტრუქტურა?
4. არის თუ არა საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე და რატომ?
5. ვის შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

სინონიმები	ანტონიმები
ერთიანი – მთლიანი ვაჭრობა – კომერცია კონტროლი – შემოწმება გზა – აქ: საშუალება დისკრიმინაცია – ჩაგვრა წამყვანი – ლიდერი, მოწინავე სათავეში უდგას – ხელმძღვანელობს როლს ასრულებს – როლს თამაშობს	ხელს უწყობს – ხელს უშლის გაუქმებულია – ნებადართულია შეიქმნა – დაიშალა ხელმოწერილი – ხელმოუწერელი სავალდებულო – არასავალდებულო

ა.

ეროვნება	ქვეყანა
ფრანგი	→ საფრანგეთი
შვედი	→ შვედეთი
მაგ., ევროსაბჭოს შემადგენლობაში ევროპის 10 სახელმწიფო შედის, მათ შორისაა: საფრანგეთი და შვედეთი.	

ბ.

ჩემ გან	ჩვენ გან
შენ გან	თქვენ გან
[ი] მის გან	[ი]მათ გან
აგრეთვე: ყველას გან , თითოეულის გან .	
მაგ., თქვენგან საბოლოო პასუხს ველოდები.	



–გან გამოიყენეთ მაშინაც, როცა არსებითი სახელი, რომელსაც ის დაერთვის, რაიმე მასალაა.

მაგ., ოქრო → სამკაულებს ოქროს**გან** ამზადებენ.



–გან დაერთვის პროფესიის ან სტატუსის გამომხატველ სიტყვებსაც.

მაგ., იურისტი → იურისტის**გან** კმაყოფილი წამოვედი.

მინისტრი → საგარეო საქმეთა მინისტრის**გან** ახალი დავალება მივიღეთ.

3.4. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- რა შემთხვევაში უნდა მიმართოთ ევროპულ სასამართლოს?

ილიკო: თუ სამართალს ამ ქვეყანაში ვერ მივაღწევ, აუცილებლად სტრასბურგის სასამართლოს მივმართავ.

ილარიონი: ყველაფერზე კი არ შეიძლება სტრასბურგში ჩივილი. მეზობელმა რომ ქათამი მოგპარა, ეს კერძო პირთა დავაა.

ილიკო: მერე რა, ხომ დავბარალდი?

ილარიონი: ევროპული სასამართლო იღებს მხოლოდ იმ საჩივრებს, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული.

ილიკო: კერძო პირს ვერ უჩივლებ?

ილარიონი: ვერა, ვერც – კერძო პირს და ვერც – ორგანიზაციას.

ილიკო: აბა, სახელმწიფოს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, არც – აღმასრულებელ ხელისუფლებას, არც – საკანონმდებლოს და არც – სასამართლოს.

ილარიონი: თუკი სასამართლო პირთა დავის შემთხვევაში შენს უფლებებს დაარღვევს და უკანონოდ მოგექცევა, მაშინ შეგიძლია უჩივლო.

ილიკო: მართლა?

ილარიონი: მართლა, ოღონდ მას შემდეგ, რაც ყველა ინსტანციას მიმართავ, თანაც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საჩივარი 6 თვეში უნდა შეიტანო.

ილიკო: შენ რა ყველაფერი იცი, იურისტი ხომ არა ხარ?

ილარიონი: იურისტობამდე ბევრიც არ მაკლია, იურისტის მამა ვარ.

ბევრი არ მაკლია – თითქმის ისეთივე ვარ

3.5. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- რა უნდა იცოდეთ ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანისას?

ილიკო: აუცილებლად სტრასბურგში უნდა წავიდე. სამართალი ვერცერთ ინსტანციაში ვერ ვიპოვე. აქ ყველაფერი ვცადე, რისი გაკეთებაც შემიძლო.

ილარიონი: სტრასბურგში წასვლა საჭირო არაა, საჩივარი ფოსტით იგზავნება. ელექტრონულადაც შეგიძლია, ოღონდ უნდა დაადასტურო ფოსტის მეშვეობით.

ილიკო: არა, იქ ჩასვლა მირჩევნია, რომ ჩემი ამბავი თავად გუამბო მოსამართლეს.

ილარიონი: იქ შენ არავინ მოგისმენს. საჩივარი მხოლოდ წერილობით მიიღება.

ილიკო: რა ენაზე უნდა დავწერო?

ილარიონი: სასამართლოს ოფიციალური ენები ინგლისური და ფრანგულია.

ილიკო: მასწავლე, კიდევ რა უნდა ვიცოდე.

ილარიონი: სასამართლოს სამდივნო მაშინვე გაცნობებს, რომ შენს სახელზე გაიხსნა საქმე. შესაძლოა დამატებითი დოკუმენტები მოგთხოვოს. თუ სამდივნოს წერილს გამოგზავნიდან ერთი წლის განმავლობაში არ უპასუხებ, საქმე დაიხურება.

ილიკო: რას ჰქვია, არ ვუპასუხებ!

რას ჰქვია, არ ვუპასუხებ – იგივეა, რაც: როგორ არ ვუპასუხებ, ან: აუცილებლად გავცემ პასუხს.

3.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოემსახურა	ემსახურება	მოემსახურება
2	[როლი] შეასრულა	[როლს] ასრულებს	[როლს] შეასრულებს
3	-----	მდებარეობს	-----



3.7. მოსმენა

ტექსტი: სატელევიზიო ინტერვიუ

3.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ევროკავშირში მისაღებად ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ეკონომიკის ზრდაა.	
რეფორმები საჭირო აღარ არის – საქართველომ ყველა რეფორმა უკვე გაატარა.	
საქართველო ევროკავშირის მოკავშირე და მეგობარია.	
საქართველო 3 წელიწადში გახდება ევროკავშირის წევრი.	

3.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. ვინ არის გადაცემის სტუმარი?
2. გადაცემის სტუმრის აზრით, როდიდან შეიძლება იყოს საქართველო ევროკავშირის წევრი?
3. ევროკავშირის რამდენ ქვეყანაში შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ მოგზაურობა?
4. როდიდან მიიღეს საქართველოს მოქალაქეებმა ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლის უფლება?
5. როგორი ქვეყნების გაერთიანებაა ევროკავშირი?

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.11. საპრეზენტაციო თემა

**რისთვის სჭირდება საქართველოს
ევროკავშირში გაერთიანება?**

საბ. საგარეო პოლიტიკა
მოთხ. საგარეო პოლიტიკა^მ
მიც. საგარეო პოლიტიკა^ს და სხვ.
მაგ., საქართველოს საგარეო პოლიტიკა ევროკავშირში
გაერთიანებისაკენაა მიმართული.

3.12. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **რა შემთხვევაში მიმართავდით ევროპულ სასამართლოს?**

3. 13.

ეს საინტერესოა!



ევროპული ინტეგრაციის იდეის ავტორი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი – უინსტონ ჩერჩილი – იყო, თუმცა ეს წამოწყება მაშინვე არ განხორციელებულა. მხოლოდ 1951 წელს შეიქმნა პირველი გაერთიანება, რომელიც ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს განაგებდა. მასში ევროპის 6 სახელმწიფო შედიოდა – ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები. ეს ორგანიზაცია შემდგომ ევროკავშირის შექმნას დაედო საფუძვლად.

ლექსიკა

ადმინისტრაციული თანამდებობის პირი – ხელმძღვანელი, რომელიც ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

ალიანსი – კავშირი, გაერთიანება.

ასამბლეა – საერთაშორისო ორგანიზაციების წევრთა საერთო კრება.

გენერალური ასამბლეა – გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელშიც შედის ყველა წევრ-სახელმწიფოს წარმომადგენელი.

ევროზონა – ევროპის ქვეყანათა ტერიტორია, ვალუტით – ევრო.

ერთიანი პოლიტიკა – აქ: ერთიანი მიდგომა, ერთიანი წესი.

ვალუტა – ფულადი ერთეული.

ზომა – აქ: საშუალება, რაიმე პრობლემის გადასაჭრელად.

ინსტიტუტი – აქ: რაიმეზე დაქვემდებარებული დაწესებულება.

კაპიტალი – ფინანსები ან ფულადი ღირებულების მქონე ნივთები.

კონვენცია – სახელმწიფოთა შორის სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

კონსენსუსი – შეთანხმება მთავარ საკითხებსა და პრინციპებზე.

კონფლიქტი – იგივეა, რაც დაპირისპირება.

მოკავშირე – პარტნიორი.

მშვიდობიანი მოგვარება – საკითხის გადაწყვეტა ძალის გამოყენების გარეშე.

ნაციზმი – გერმანული ფაშიზმის ერთ-ერთი სახელწოდება.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტი – საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე მხარე, რომელსაც იურიდიული სტატუსი აქვს.

სათათბირო – ადგილი, სადაც თათბირობენ, მოილაპარაკებენ.

სამდივნოს აპარატი – დაწესებულება, რომელიც სამდივნოს მუშაობას წარმართავს.

საფრთხე – იგივეა, რაც საშიშროება.

საქონელი – ღირებულების მქონე საგანი ან მომსახურება.

საყოველთაო – ის, რაც ყველას ეხება, საზოგადოა.

სპეციალიზებული – ერთი ტიპის, მიმართულების, განხრისა.

სუვერენული – დამოუკიდებელი.

სურსათი – საკვები პროდუქტი.

უსაფრთხოება – საფრთხის, საშიშროების თავიდან აცილება.

უშიშროება – საფრთხის, საშიშროების თავიდან აცილება.

ფორუმი – ფართო წარმომადგენლობითი კრება.

შეიარაღება – იარაღით მომარაგება, აღჭურვა.

წესდება – იურიდიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრული წესებისაგან შედგება.

შენგენის ზონა – საერთაშორისო თავისუფალი ტურისტული ზონა, რომელშიც გაერთიანებულია ევროპის 26 სახელმწიფო.

შიდა ბაზარი – პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა ერთ სახელმწიფოში ან შეთანხმებულ სახელმწიფოთა შორის.

შტაბბინა – ძირითადი ადმინისტრაციული ოფისი.

ზმნა

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი+ უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	[როლს] ასრულებს	[როლს] ასრულებდა	[როლი] შეასრულა	[როლს] შეასრულებს	[როლი] შეასრულოს	[როლი] შეუსრულებია	[როლის] შესრულება
2	[ხელს] აწერს	[ხელს] აწერდა	[ხელი] მოაწერა	[ხელს] მოაწერს	[ხელი] მოაწეროს	[ხელი] მოუწერია	[ხელის] მოწერა
3	ემსახურება	ემსახურებოდა	მოემსახურა	მოემსახურება	მოემსახუროს	მომსახურებია	მომსახურება
4	იკრიბება	იკრიბებოდა	შეიკრიბა	შეიკრიბება	შეიკრიბოს	შეკრებილა	შეკრება
5	მდებარეობს	მდებარეობდა	_____	_____	_____	_____	მდებარეობა
6	[სათავეში] უდგას	_____	[სათავეში] ჩაუდგა	[სათავეში] ჩაუდგება	[სათავეში] ჩაუდგეს	[სათავეში] ჩასდგომია	[სათავეში] ჩადგომა
7	უზრუნველყოფს	უზრუნველყოფდა	უზრუნველყო	უზრუნველყოფს	უზრუნველყოს	უზრუნველუყვია	უზრუნველყოფა
8	წყდება	წყდებოდა	გადაწყდა	გადაწყდება	გადაწყდეს	გადაწყვეტილა	გადაწყვეტა

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რა პროცესს ხედავთ პირველ და მეორე ფოტოებზე?
2. რა არის გამოსახული მესამე ფოტოზე?
3. იცით თუ არა, ვისთვის არის აშენებული ეს სახლები?
4. გინახავთ საქართველოში ამგვარი დასახლება?

1.2. ტექსტი:

დევილი ეწოდება პირს, რომელიც აიძულებს დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რადგან საფრთხე შეექმნა მას ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას. საფრთხის გამომწვევი მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ესენია: უცხო ქვეყნის აგრესია, **შიდა კონფლიქტი**, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა, დევნა რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების ან რომელიმე **სოციალური ჯგუფისადმი** კუთვნილებისა და პოლიტიკური შეხედულებების გამო. ადამიანი, რომელსაც ასე მოექცნენ, **უფლებამოსილია** მოითხოვოს დევილის სტატუსი და თავშესაფარი საკუთარ ქვეყანაში ან უცხოეთში. ეს პროცედურები ეფუძნება გაეროს 1951 წლის კონვენციას „დევილთა სტატუსის შესახებ“. მისი მუხლების მიხედვით, დევილის სტატუსისა და თავშესაფრის მოთხოვნის უფლება აქვს იმ ადამიანსაც, რომელიც საფუძვლიანად **შიშობს**, რომ დევილის **მსხვერპლი** გახდება. ამგვარ მდგომარეობაში მყოფ პირებს არ შეუძლიათ ან არ სურთ დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. დევილის სტატუსს ვერ მიიღებს ის პირი, რომელიც დამნაშავედაა ცნობილი და **სასჯელს იხდის**.

საქართველო ჩართულია გაეროს კონვენციაში და **ნაკისრი აქვს** ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები, ამიტომ ის არ აძევებს თავისი ტერიტორიიდან იმ ადამიანებს: ა) რომელთაც სხვადასხვა სახის აგრესიის გამო თავიანთ ქვეყანაში საფრთხე ემუქრებათ; ბ) რომლებიც მოსაზღვრე ქვეყნიდან იქ მომხდარი სტიქიური უბედურებების გამო შემოვიდნენ და **ჰუმანიტარულ დახმარებას** საჭიროებენ; გ) რომლებიც აიძულეს გადაადგილებულიყვნენ ქვეყნის ფარგლებში, მაგალითად, საცხოვრებელი ტერიტორიის ოკუპირების გამო. დევნილის სტატუსის მისაღებად ამგვარმა მოქალაქეებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს ლტოლვილთა და **განსახლების** სამინისტროს **ადგილობრივ სამსახურს**, რომელიც ვალდებულია განცხადების მიღებიდან 10 დღეში დაადგინოს განცხადების საფუძვლიანობა და აღძრას **შუამდგომლობა** სამინისტროს წინაშე. ამის შემდგომ დევნილი პირი საქართველოს **სამართლებრივი დაცვის** სუბიექტი ხდება.

1.3. ლექსიკა:

შიდა კონფლიქტი – ერთი ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტი, უთანხმოება.

სოციალური ჯგუფი – ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მსგავსი საზოგადოებრივი მდგომარეობა აქვს.

უფლებამოსილი – უფლების მქონე.

შიშობს – ეშინია, შიშის გრძნობა აქვს.

მსხვერპლი – აქ: დაზარალებული.

სასჯელის მოხდა – საპატიმროში ყოფნა.

ნაკისრი [ვალდებულება] – საკუთარ თავზე აღებული მოვალეობა.

ჰუმანიტარული დახმარება – დაზარალებულ, მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა დახმარება.

განსახლება – სხვა ადგილას საცხოვრებლის მიცემა.

ადგილობრივი სამსახური – საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილობრივი განყოფილება.

შუამდგომლობა – შუამავლობა.

სამართლებრივი დაცვა – იურიდიული უფლებებით უზრუნველყოფა.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. ვის შეიძლება ეწოდოს დევნილი?
2. რა შეიძლება იყოს ადამიანთა დევნის მიზეზი?
3. რისი მოთხოვნის უფლება აქვს იძულებით გადაადგილებულ პირს?
4. ვინ ვერ მიიღებს დევნილის სტატუსს?
5. რატომ ვერ ეტყვის საქართველო უარს უცხო ქვეყნებიდან შემოსულ იძულებით გადაადგილებულ პირებს ლტოლვილის სტატუსსა და თავშესაფარზე?
6. რა შემთხვევაში იღებს საქართველოს მოქალაქე ქვეყნის ფარგლებში დევნილის სტატუსს?
7. რა უნდა გააკეთოს პირმა ლტოლვილის სტატუსის მისაღებად?

სინონიმები	ანტონიმები
დევნილი – ლტოლვილი მასობრივი – საყოველთაო მსხვერპლი – აქ: დაზარალებული საერთაშორისო – ინტერნაციონალური აძევებს – აგდებს მოსაზღვრე – მომიჯნავე ოკუპირება – დაპყრობა	ჯანმრთელობა – ავადმყოფობა თავისუფლება – მონობა დამნაშავე – უდანაშაულო სამშობლო – უცხოეთი უბედურება – ბედნიერება საფუძვლიანი – უსაფუძვლო

თავშესაფარი – ადგილი, სადაც თავს შეაფარებ, თავს დაიცავ.
მაგ., ქალაქ ქუთაისის მოხუცთა თავშესაფარი ორი წლის წინ გაიხსნა.

1.5. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- რის გამო მიიღო გელამ გერმანიაში ლტოლვილის სტატუსი?

გიორგი: გელა, გამარჯობა! სად დაიკარგე?

გელა: გერმანიაში ვიყავი. 5 წელი იქ გავატარე.

გიორგი: რას აკეთებდი, მუშაობდი?

გელა: არა. ლტოლვილის სტატუსი მქონდა.

გიორგი: ნასამართლეობამ ხელი არ შეგიშალა?

გელა: არა. დავამტკიცე, რომ პოლიტიკური დევნის მსხვერპლი ვიყავი.

გიორგი: დაგიჯერეს?

გელა: პრესა ვაჩვენე. მაშინ ხომ ჩემზე ბევრს წერდნენ!

გიორგი: ახლა რატომღა დაბრუნდი?

გელა: საქართველოში სიტუაცია შეიცვალა. საფრთხე აღარ მემუქრება.

როგორი? **ნასამართლები** – უკვე გასამართლებული.

რა? **ნასამართლეობა** – ადრე სასამართლოს მიერ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული.

მაგ., ის ნასამართლეობის გამო დევნილის სტატუსს ვერ მიიღებს.

სახელმწიფო სამსახურის დაწყება ნასამართლეობის გამო გაგიჭირდება.

რა არის ის, რაც გატყდა, რაც [გა]ტყის შედეგია? **ნატყი**

1.6. წაიკითხეთ დიალოგი და გახაზეთ ფრაზა, რომელშიც ჩანს, რა პროცედურებია საჭირო ლტოლვილის სტატუსის მისაღებად!

დათ: გიორგი, შენ ყველაფრის მცოდნე კაცი ხარ და მინდა ერთ საკითხში გამარკვიო.

გიორგი: მოგიკვდეს ჩემი თავი. რაში დაგეხმარო?

დათო: ჩემს მეგობრად სირიიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახი დასახლდა. მგონი, დროებით იქირავებს ბინა.

გიორგი: მერე?

დათო: ლტოლვილის სტატუსის მისაღებად განცხადება დაწერეს და პასუხი ჯერ არ მოსვლიათ. რა უნდა ქნან?

გიორგი: რამდენი ხანია, რაც დაწერეს?

დათო: ხუთი დღეა.

გიორგი: ხუთ დღეში ვინ მისცემს პასუხს? ლტოლვილთა და განსახლების ადგილობრივი განყოფილება 10 დღის განმავლობაში უპასუხებს.

დათო: ყველა საბუთი წესრიგში აქვთ.

გიორგი: რომელიმე მათგანი ნასამართლევია ხომ არ არის?

დათო: არა, რას ამბობ, წესიერი ხალხია.

გიორგი: მაშინ პრობლემა არ ექნებათ. ჯერ შუამდგომლობას აღძრავენ, მერე კი სტატუსსაც მიანიჭებენ.

დათო: შეგიძლია, დააჩქარებინო?

გიორგი: რას ამბობ, ამაში ჩარევა როგორ შეიძლება?!

მოგიკვდეს ჩემი თავი - ეს ფრაზა სიბრაღულს გამოხატავს.

1.7. გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ანტონიმებით:

იძულებით – ნებაყოფლობით	მუდმივი – დროებითი
ბედნიერება – უბედურება	დამნაშავე – უდანაშაულო
უცხოეთში – სამშობლოში	მონობა – თავისუფლება

1. რა _____, როდესაც გიყვარს და უყვარხარ!
2. _____, როცა ადგილსამყოფლის დატოვება იძულებით გიწევს.
3. _____ არ შეიძლება ბედნიერება მოგიტანოს.
4. _____ ბევრი პრობლემა მოაქვს, მაგრამ მას არაფერი შეედრება.
5. ყველაფერში _____ შენა ხარ!
6. _____ ადამიანს ცილს ნუ სწამებ!
7. _____ ცხოვრება ძალზე ძნელია.
8. ადამიანი ნამდვილად ბედნიერი არის მხოლოდ _____.
9. ამ სამყაროში _____ არაფერია. ყველაფერი არის _____.
10. 1950 წელს ქართველებს _____ დაატოვებინეს სამშობლო და ყაზახეთში გადაასახლეს.
11. როდესაც გადასახლებული ჩეჩნები დაბრუნდნენ, ქართველებმა _____ დაუთმეს მათი სახლები.

1.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოითხოვა	[მო]ითხოვს	მოითხოვს
2	დაუბრუნდა	უბრუნდება	დაუბრუნდება
3	დაემუქრა	ემუქრება	დაემუქრება



1.9. მოსმენა

ტექსტი თემაზე: დიალოგი სტუდენტებს შორის

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓სიმბოლოთი!

დათოს სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიის მიღება სჭირდება.	
ევროპაში სწავლა სულ უფრო და უფრო ადვილი ხდება.	
ევროპული სახელმწიფოები ლტოლვილებს არ ეხმარებიან.	
ლტოლვილები ევროპაში გაჭირვებისა და ომის გამო მიდიან.	

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. სად აპირებს დათო წასვლას ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ?
2. როდის ამთავრებს დათო სწავლას?
3. რომელი ქვეყნებიდან ჩადიან ევროპაში ლტოლვილები?
4. რამდენი ლტოლვილი ჩავიდა გასულ წელს ევროპაში?
5. რომელი ქვეყნიდან არის ყველაზე მეტი ლტოლვილი?

1.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა

ლტოლვილების ცხოვრება ევროპასა და საქართველოში

მითითება: კითხვები **რისთვის? რა მიზნით?** გამოიყენეთ მაშინ, როცა მოქმედების მიზანი გაინტერესებთ.

მათ უპასუხეთ სიტყვებით: **იმისთვის, რომ**

იმ მიზნით, რომ

ან: **ამისთვის // მაგისთვის.**

მაგ., აზიელი ლტოლვილები ევროპაში იმისთვის ჩადიან, რომ თავშესაფარი იპოვონ.

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **რა სახის სირთულეების გადალახვა უწევს ლტოლვილს?**

1. 15.

ეს საინტერესოა!



სამოქალაქო ომის გამო სირიის მოსახლეობის უმრავლესობამ თავისი ქვეყანა დატოვა. ლტოლვილთა დიდი ნაწილი თურქეთმა, ლიბანმა და იორდანამ შეიფარა. სირიელი დევნილები საქართველოშიც ჩამოვიდნენ და თავშესაფარი ითხოვეს. მათ საცემებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ინდივიდუალურად განიხილავს. სირიელ დევნილთა ნაწილი თბილისში იმყოფება, ნაწილი კი მარტყოფის ბანაკში ცხოვრობს. მათთვის მარტყოფში მეორე ბანაკიც შენდება ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსებით. საქართველოს მთავრობა იძულებით გადაადგილებულ პირებს მატერიალურად უზრუნველყოფს. ჩვენმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ჟენევის კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ის ვალდებულებები იკისრა, რომელთა შესრულებაც აუცილებელია. საქართველოს არა აქვს უფლება, უარი უთხრას თავშესაფრის მინიჭებაზე ადამიანს, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება და რომელიც საკუთარი ქვეყნიდან დევნილია.

2.1. ტექსტი:

ეროვნული უმცირესობა ეწოდება სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფს, რომელიც ძირითად მოსახლეობასთან შედარებით რიცხობრივად მცირეა და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიითა და ნაციონალიზმით. ეთნიკური უმცირესობის პრობლემა ასახულია ევროპულ **ჩარჩო კონვენციაში** „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“. დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან **ეთნიკური**, რელიგიური და ენობრივი **ჯგუფების** წევრთა უფლებები. ზოგიერთი ევროპული ქვეყანა დღემდე არ მონაწილეობს ჩარჩო კონვენციაში, რადგან თავის ტერიტორიაზე ამგვარი უმცირესობების არსებობას არ **ცნობს**. ასეთი ქვეყანაა, მაგალითად, საფრანგეთი. საქართველო არ არის ამ დოკუმენტის ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის, თუმცა თავის ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა არსებობას აღიარებს.

21-ე საუკუნეში **საერთაშორისო ასპარეზზე** არსებული ქვეყნებიდან უმრავლესობა **მულტი-ეთნიკურია**. მონოეთნიკურად შეიძლება ჩაითვალოს იაპონია, სომხეთი და ისრაელი, თუმცა სხვა ეთნოსის წარმომადგენლები იქაც ცხოვრობენ. საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. მასში მეგობრულად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები: აზერბაიჯანელები, ასირიელები, ბერძნები, ებრაელები, ოსები, რუსები, სომხები, ქურთები და სხვ. ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და, ამასთანავე, იცავენ თავიანთ **ადათ-წესებს**, ენასა და რელიგიას. სახელმწიფო ხელს უწყობს მათ **ინტეგრაციას**. ამავე მიზანს ემსახურება სახალხო დამცველის ინსტიტუტთან არსებული ტოლერანტობის ცენტრიც. შექმნილია სპეციალური ვებსაიტიც, რომლის მიზანია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ საზოგადოების **ინფორმირება**, მათი ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაცია.

2.2. ლექსიკა:

ჩარჩო კონვენცია – კონვენცია, რომლის ფარგლებშიც (ჩარჩოშიც) მოქმედებენ.

ეთნიკური [ჯგუფი] – ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ენით, კულტურითა და ისტორიული ტერიტორიით.

ცნობს – აღიარებს.

საერთაშორისო ასპარეზი – საერთაშორისო სივრცე.

მულტიეთნიკური – მრავალეთნიკური, სხვადასხვა წარმომავლობის მქონე.

ადათ-წესი – ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვეულება, წესი, ქცევა.

ინტეგრაცია – ნებაყოფლობითი გაერთიანება, შერწყმა.

ინფორმირება – გაცნობა, შეტყობინება.

2.3. ტექსტის გააზრება:

1. რას ეწოდება ეროვნული უმცირესობა?
2. რომელ საერთაშორისო დოკუმენტში აისახება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემები?
3. საქართველოში რომელი ეროვნების წარმომადგენლები მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს?
4. როგორ ეხმარება მათ საქართველოს სახელმწიფო?
5. რომელი მონოეთნიკური ქვეყნები არსებობს?
6. რა სტატუსი აქვს საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით?

სინონიმები	ანტონიმები
რიცხოვრივად – რაოდენობრივად ნაციონალობა – ეროვნება ეთნიკური – ეროვნული ცნობს – აღიარებს არსებობა – ყოფნა მულტიეთნიკური – მრავალეროვნული ტოლერანტობა – შეშფოთება	მსგავსება – განსხვავება მცირე – ბევრი მულტიეთნიკური – მონოეთნიკური

მცირე	→ უმცირესი	→ უმცირესობა
მრავალი	→ უმრავლესი	→ უმრავლესობა

მაგ., უმცირესობის ლიდერებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისათვის ქვეყანამ დემოკრატიული პრინციპები უნდა დაიცვას.

2.4. წაიკითხეთ დიალოგი და გახაზეთ ფრაზა, რომელშიც ჩანს, რა არის მთავარი ეთნიკური უმცირესობის სტატუსის მისანიჭებლად?

რუსლანი: კი მაგრამ, ძალიან ბევრი თურქი უკვე საქართველოს მოქალაქეა, რატომ არ წარმოადგენენ ისინი ეროვნულ უმცირესობას?

ვიქტორი: იმიტომ, რომ საქართველოს მოქალაქეობა არ ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობის სტატუსიც გაქვს.

რუსლანი: ეს როგორ გავიგოთ?

ვიქტორი: საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს ვიეტნამელიც, ჩინელიც, ნორვეგიელიც, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა და არ ქმნის ეთნიკურ ერთობას, ჯგუფს.

რუსლანი: რა მინიმალური რაოდენობაა საჭირო, რომ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ერი ეთნიკურ უმცირესობად ჩაითვალოს?

ვიქტორი: ეს საკმაოდ პირობითია. ჩინეთში 40 მილიონი მონღოლი ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს, თურქეთში კი 5 მილიონი ქართველი არ ითვლება ეთნიკურ უმცირესობად.

რუსლანი: ე.ი. ეთნიკური უმცირესობის სტატუსისთვის მარტო ხალხის რაოდენობა არ არის საკმარისი?

ვიქტორი: არა, რა თქმა უნდა. მოქალაქეობასთან ერთად, მთავარია ისინი განსხვავდებოდნენ ეროვნული უმრავლესობისგან, მასობრივად ცხოვრობდნენ სახელმწიფოს ერთ-ერთ რეგიონში და შენარჩუნებული ჰქონდეთ თავიანთი ეთნოკულტურული სპეციფიკა.

რუსლანი: ეთნოკულტურული სპეციფიკა რას ნიშნავს?

ვიქტორი: რას და ენას, ადამიან-წესებს, კულტურასა და ისტორიას.

2.5. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ საუბარი!

ქეთევანი: მე მაინც ვერ გავიგე ზუსტად, რას ნიშნავს ეროვნული უმცირესობა?

თამარი: ამ საკითხზე საერთაშორისო ორგანიზაციებსაც კი არა აქვთ ერთნაირი პასუხი.

ქეთევანი: კი მაგრამ, რატომ?

თამარი: იმიტომ, რომ ერთნი ეროვნულ უმცირესობას უწოდებენ ხალხს, რომელიც ცხოვრობს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, სხვებს ჰგონიათ, რომ, თუ ადამიანთა ჯგუფი დატოვებს თავის სახელმწიფოს სხვაგან დასახლების მიზნით, ეროვნული უმცირესობა აღარ იქნება.

ქეთევანი: მაგალითი მითხარი.

თამარი: აი, მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ეროვნული უმცირესობა, ჩემი აზრით, ყველა არ არის, არამედ ის, ვისაც, საქართველოს გარდა, სამშობლო სხვაგან არა აქვს. მაგალითად, აფხაზებს.

ქეთევანი: აზერბაიჯანელები? სომხები? რუსები?

თამარი: ოფიციალურად ისინი ეროვნულ უმცირესობად იწოდებიან, რადგან თავიანთი ეთნოკულტურა აქვთ და დიდი ხანია, რაც საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ ზოგიერთი ამ პოზიციას არ იზიარებს.

ქეთევანი: შენ რომელი მოსაზრება გგონია უფრო სწორი?

თამარი:

2.6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგი წყვილებით:

ეროვნულ უმცირესობას	უმცირესობათა უფლებები
საპარლამენტო უმრავლესობა	უმრავლესობის აზრს
ხმების უმრავლესობა	

- 1. ქვეყანაში კანონებს იღებს _____.
- 2. დემოკრატიულ ქვეყანაში უპირატესობა ენიჭება _____.
- 3. დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს დაიცვას _____.
- 4. არჩევნების პირველ ტურში საკმარისი არ არის _____.
- 5. ოსები საქართველოში წარმოდგენენ _____.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განსხვავდა	[გან]სხვავდება	განსხვავდება
2	აღიარა	აღიარებს	აღიარებს



2.8. მოსმენა

ტექსტი თემაზე: ახალი პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

საქართველოში მრავალი სხვადასხვა ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს.	
ახალი პროგრამა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეხმარება.	
ქართული ენის ცოდნის გარეშე საქართველოში სამუშაოს მოძებნა რთულია.	
ახალი პროგრამა ეთნიკურ უმცირესობებს მხოლოდ ქართულ ენას ასწავლის.	

2.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. ვისთვის არის განკუთვნილი ახალი პროგრამა?
2. რომელ რეგიონებში მოქმედებს პროგრამა?
3. რამდენ სოფელსა და ქალაქში მოქმედებს პროგრამა?
4. რამდენი ხნის წინ დაიწყო პროგრამამ მუშაობა?
5. როგორ უნდა დაუკავშირდნენ მსურველები პროგრამის ხელმძღვანელობას?

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.12. საპრეზენტაციო თემა

ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობა ეთნიკური უმცირესობებისთვის

ჩვენს ჯგუფებს

თქვენს უფლებებს

მაგ., ჩვენს ჯგუფებს ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის კონტროლს დავავალებთ.
თქვენს უფლებებს კონსტიტუცია იცავს.

2.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – საქართველო პოლიეთნიკური ქვეყანაა

2.14. ნაწყვეტი საგაზეთო ინტერვიუდან:

ჟურნალისტი: – როგორ ფიქრობთ, რა პრობლემებს უქმნის ეთნიკურ უმცირესობებს ქართული ენის არცოდნა?

ამ კითხვაზე ეროვნული უმცირესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ასე უპასუხა: „ეთნიკურ უმცირესობათა ნაწილმა ქართული ენა მართლაც არ იცის, ეს კი სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ისინი ვერ ისმენენ ქართულ საინფორმაციო გადაცემებს, არ იციან, რა ხდება ქვეყანაში, უჭირთ კომუნიკაცია ქართველ თანამოქალაქეებთან. საერთოდ, ენობრივი ბარიერი ზღუდავს ადამიანის პროფესიული და კარიერული ზრდის შესაძლებლობებს, ამიტომ ქართული ენის შესწავლაზე ზრუნვა სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს. მე, როგორც ეთნიკურად არაქართველს, ამისი დიდი იმედი მაქვს“.

ბარიერი – იგივეა, რაც წინააღმდეგობა, წინააღობა.

უპასუხეთ კითხვას!

- ეთანხმებით თუ არა ამ სიტყვების ავტორს და რატომ?

III ნაწილი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. ვინ არიან და რას აკეთებენ სურათზე გამოსახული სპორტსმენები?
3. როგორ ფიქრობთ, აქვთ თუ არა მათ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება?

3.2. ტექსტი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ფიზიკური, ფსიქიკური, **ინტელექტუალური** და **სენსორული** დარღვევები აქვთ, ამიტომაც ისინი სრულფასოვნად ვერ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები დადგენილია 2006 წლის გაეროს კონვენციით. მათ სხვათა მსგავსად უპირველესად სიცოცხლისა და კანონის წინაშე თანასწორობის უფლება აქვთ. მათთვის აგრეთვე **ხელმისაწვდომია** მართლმსაჯულების, პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებები. ყველა ადამიანი ხელშეუხებელია, ამიტომ არ შეიძლება შშმ პირებთან

არაჰუმანური, **დამამცირებელი** მოპყრობა, წამება, **ექსპლუატაცია**, ძალადობა და შეურაცხყოფა. მათ აქვთ მოქალაქეობის უფლება, შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება, დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივი საქმიანობა. შშმ პირები თავისუფალი არიან აზრის გამოხატვაში. მათ არ უნდა შეეზღუდოთ ინფორმაცია. შშმ პირებს აქვთ რწმენის არჩევის თავისუფლება, განათლების, ჯანმრთელობის, შრომის, სოციალური დაცვის უფლებები. შშმ პირთა პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარებისათვის. შშმ პირების სოციალური დახმარება ითვალისწინებს როგორც ფინანსურ, ისე – ტექნიკურ (სავარძელ-ეტლები, პროტეზები და სხვ.) უზრუნველყოფას. მათ ენიშნებათ პენსია. **კერძო სექტორში** დასაქმებულ შშმ პირებს უფლება აქვთ ანაზღაურების პარალელურად მიიღონ პენსია. საჯარო სამსახურის დროს აღნიშნული უფლება არ **წარმოიშობა**, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

შშმ პირებისათვის მოქმედებს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამა. საქართველოს **საგადასახადო კოდექსის** თანახმად, **საშემოსავლო გადასახადით** არ **იბეგრება** ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

შშმ პირის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულმა ადამიანმა უნდა მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს, ასევე – სასამართლოს. ამ დროს შშმ პირი არ იხდის **სახელმწიფო ბაჟს**.

შშმ – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე.

3.3. ლექსიკა:

ინტელექტუალური – აზროვნების უნარის, გონებრივი შესაძლებლობის მქონე.

სენსორული – შეგრძნებაზე დამყარებული, მგრძნობელობითი.

ხელმისაწვდომი – ადვილად მოსაპოვებელი.

დამამცირებელი – ღირსების შემლახავი, შეურაცხმყოფელი.

ექსპლუატაცია – ჩაგვრა, სხვისი შრომის გამოყენება.

კერძო სექტორი – არასახელმწიფო, კერძო სამსახური.

უფლების წარმოშობა – უფლების გაჩენა, მისი გამოყენება.

საგადასახადო კოდექსი – კანონი გადასახადების შესახებ.

საშემოსავლო გადასახადი – მოგებიდან დაწესებული გადასახადი.

დაბეგვრა – გადასახადის დაკისრება.

სახელმწიფო ბაჟი – სახელმწიფო გადასახადი.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა სახის დარღვევები აქვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს?
2. რა უფლებები აქვთ შშმ პირებს?
3. რით ეხმარება სახელმწიფო შშმ პირებს?
4. აქვთ თუ არა საჯარო სამსახურში მომუშავე პირებს ხელფასთან ერთად პენსიის მიღების უფლება?
5. შშმ პირს რა შემთხვევაში შეუძლია მიიღოს ხელფასი და პენსია ერთდროულად?
6. რა სახის შეღავათები აქვთ შშმ პირებს?

სინონიმები	ანტონიმები
სენსორული – მგრძნობელობითი ხელშეუხებელი – დაცული არაჰუმანური – არაადამიანური	არაჰუმანური – ჰუმანური კერძო – სახელმწიფო

რას იზამს? **დაამცირებს** როგორი? **დამამცირებელი**
მაგ., შეზღუდული შესაძლებლობების პირების მიმართ
დამამცირებელი მოპყრობა დაუშვებელია.

რისი? უფლებების **ვისი? პირის / პიროვნების**
უფლებების დარღვევა **პირის დახმარება**
მაგ., შშმ პირის უფლებების დარღვევის შემთხვევაში
უფლებადამცველს უნდა მიმართოთ.

3.5. წაიკითხეთ წერილი და გახაზეთ ის ფრაზები, რომლებშიც ჩანს საზოგადოების დამოკიდებულება შშმ პირებისადმი?

როდესაც გავიგე, რომ ჩემს შვილს შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა, ვფიქრობდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, ვეღარ შევძლებდი გაცივებას, მუშაობას, თუნდაც – ქუჩაში გასვლას. მეგონა, ყველა ჩემს შვილზე ილაპარაკებდა, ხელით მიუთითებდა; თუ თანაგრძნობით მომეპყრობოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ სიბრაღის გამო. ბავშვის დაბადებიდან გავიდა რამდენიმე წელი. ჩემი შვილი დღეს ყველა მეზობლისა და ნათესავის საყვარელი ბავშვია. მას ყველაფერი შეუძლია, უპირველესად კი – თავისი ახლობლების სიყვარული. საზოგადოება გვერდით მიდგას. მე თუ ვერ შევძელი, ნებისმიერი სხვა ადამიანი დაიცავს ჩემი შვილის უფლებებს.

3.6. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- ირღვევა თუ არა შშმ პირის უფლებები?

შშმ პირი: მე შემომთავაზეს ახალი სამსახური, მაგრამ არ ვიცი, შემინარჩუნდება თუ არა პენსია?

სოციალური მუშაკი: გააჩნია, რა სამსახურია?

შშმ პირი: სატრანსპორტო კომპანიაში.

სოციალური მუშაკი: ეს სამსახური კერძოა თუ სახელმწიფო?

შშმ პირი: რა თქმა უნდა, სახელმწიფო.

სოციალური მუშაკი: საჯარო სამსახური ხომ არ არის?

შშმ პირი: დიახ, საჯაროა.

სოციალური მუშაკი: საჯარო სამსახურში პენსიის უფლება არ წარმოიშობა.

შშმ პირი: რას ამბობთ, ეს ხომ ჩემი უფლებების დარღვევაა!

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეგზავნა	გზავნა	შეგზავნა
2	დაეწინა	წინა	დაეწინა
3	დაიბეგრა	იბეგრა	დაიბეგრა



3.8. მოსმენა

ტექსტი თემაზე: მეგობრების საუბარი

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ბილეთებს წინასწარ ყიდულობენ.	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ თავიანთი მანქანით სტადიონამდე მივიდნენ.	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სტადიონზე შესვლისას ხალხთან ერთად რიგში დგებიან.	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სტადიონზე სპეციალური ადგილებია გამოყოფილი.	

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- როდის არის ფეხბურთი?
- ვინ უნდა გააფრთხილონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა თამაშზე მისვლამდე?
- საიდან შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სტადიონზე?
- რამდენი ხნით ადრე უნდათ სტადიონზე მისვლა ლუკასა და სანდროს?
- რა საბუთები სჭირდება ლუკას სტადიონზე შესასვლელად?

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

3.12. საპრეზენტაციო თემა

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების
სხოვრება საქართველოში**



დაიმახსოვრეთ!

შორის და შუა [← შუაში; შუაზე]

გამოხატავს ადგილს ორ საგანს შორის.

მაგ., – გაიწიე, შუაში ნუ დგახარ!

ამ ორ ისტორიულ შენობას შორის ნახევარი კილომეტრია.

3.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – რა უნდა გაკეთდეს შშმ პირთა უფლებების დასაცავად?

3.14.

ეს საინტერესოა!



პარაოლიმპიური თამაშები (თამაშები შშმ პირთათვის) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით 4 წელიწადში ერთხელ იმართება. მათი დაარსების იდეა ინგლისელ ნეიროქირურგს – ლუდვიგ გუტმანს – უკავშირდება. მან მსოფლიო ომის შემდეგ ხერხემლის ტრავმების სამკურნალო ცენტრი დააარსა და სპორტი პირველად გამოიყენა ჯარისკაცთა რეაბილიტაციის საქმეში. 1948 წელს მის ჰოსპიტალში გაიმართა პირველი შეჯიბრება მშვილდოსნობაში შშმ პირებს შორის. მონაწილენი სარბიელზე ეტლებით გამოვიდნენ. ტურნირი დაემთხვა ლონდონის ოლიმპიური თამაშების თარიღს. 1960 წელს გუტმანმა შშმ პირთა საერთაშორისო შეჯიბრება ერთდროულად გამართა სპორტის რამდენიმე სახეობაში. მასში 23 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. 1989 წლიდან ჩამოყალიბდა საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი. მის შემადგენლობაში 163 ქვეყანა შედის.

ლექსიკა

ადათ-წესი – ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვეულება, წესი, ქცევა.

ადგილობრივი სამსახური – საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილობრივი განყოფილება.

განსახლება – სხვა ადგილას საცხოვრებლის მიცემა.

დაბეგვრა – გადასახადის დაკისრება.

დამამცირებელი – ღირსების შემლახავი, შეურაცხმყოფელი.

ეთნიკური [ჯგუფი] – ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ენით, კულტურითა და ისტორიული ტერიტორიით.

ექსპლუატაცია – ჩაგვრა, სხვისი შრომის გამოყენება.

ინტეგრაცია – ნებაყოფლობითი გაერთიანება, შერწყმა.

ინტელექტუალური – აზროვნების უნარის, გონებრივი შესაძლებლობის მქონე.

ინფორმირება – გაცნობა, შეტყობინება.

კერძო სექტორი – არასახელმწიფო, კერძო სამსახური.

მსხვერპლი – აქ: დაზარალებული.

მულტიეთნიკური – მრავალეთნიკური, სხვადასხვა წარმომავლობის მქონე.

ნაკისრი [ვალდებულება] – საკუთარ თავზე აღებული მოვალეობა.

საგადასახადო კოდექსი – კანონი გადასახადების შესახებ.

საერთაშორისო ასპარეზი – საერთაშორისო სივრცე.

სამართლებრივი დაცვა – იურიდიული უფლებებით უზრუნველყოფა, დაცვა.

სასჯელის მოხდა – საპატიმროში ყოფნა.

საშემოსავლო გადასახადი – მოგებიდან დაწესებული გადასახადი.

სახელმწიფო ბაჟი – სახელმწიფო გადასახადი.

სენსორული – შეგრძნებაზე დამყარებული, მგრძნობელობითი.

სოციალური ჯგუფი – ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მსგავსი საზოგადოებრივი მდგომარეობა აქვს.

უფლებამოსილი – უფლების მქონე.

უფლების წარმოშობა – უფლების გაჩენა, მისი გამოყენება.

შიდა კონფლიქტი – ერთი ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტი, უთანხმოება.

შიშობს – ეშინია, შიშის გრძნობა აქვს.

შუამდგომლობა – შუამავლობა.

ჩარჩო კონვენცია – კონვენცია, რომლის ფარგლებშიც (ჩარჩოშიც) მოქმედებენ.

ცნობს – აღიარებს.

ხელმისაწვდომი – ადვილად მოსაპოვებელი.

ჰუმანიტარული დახმარება – დაზარალებულ, მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა დახმარება.

ზმნები

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი+ უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	ეზღუდება	ეზღუდებოდა	შეეზღუდა	შეეზღუდება	შეეზღუდოს	შეეზღუდვია	შეეზღუდა
2	ემუქრება	ემუქრებოდა	დაემუქრა	დაემუქრება	დაემუქროს	დაემუქრებია	დაემუქრება
3	ენიშნება	ენიშნებოდა	დაენიშნა	დაენიშნება	დაენიშნოს	დაენიშნვია	დაენიშნა
4	იბეგრება	იბეგრებოდა	დაიბეგრა	დაიბეგრება	დაიბეგროს	დაიბეგრვია	დაიბეგრა
5	[მო]ითხოვს	[მო]ითხოვდა	მოითხოვა	მოითხოვს	მოითხოვოს	მოითხოვვია	მოითხოვნა
6	უბრუნდება	უბრუნდებოდა	დაუბრუნდა	დაუბრუნდება	დაუბრუნდეს	დაუბრუნებია	დაუბრუნება

XII ტავი

ვიზალიბერალიზაცია

I ნაწილი

შემაჯამებელი გაკვეთილი

უვიზო მიმოსვლა – გზა ევროკავშირისაკენ



1.1. ტექსტი:

ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოსთვის **ვიზალიბერალიზაციის** მინიჭებას. ეს საქართველოს მოქალაქეების შენგენის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობას ნიშნავს. ვიზალიბერალიზაცია ორ ეტაპად დაიგეგმა. პირველ საფეხურზე ქართული კანონმდებლობა ევროკავშირისას დაუახლოვდა. მეორე ფაზაში ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებული ქართული კანონების აღსრულება და მონიტორინგი დაიწყო. ევროკავშირი აკვირდებოდა, შესრულდებოდა თუ არა ის კანონები, რომლებიც საქართველოში მიიღეს. ამის შემდეგ გადაწყდებოდა უვიზო მიმოსვლის საკითხიც. მას შემდეგ, რაც საქართველომ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, ევროკომისიამ საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით დადებითი რეკომენდაცია მისცა. პროცედურის მიხედვით, ევროპარლამენტის გადაწყვეტილება ჯერ ევროპის საბჭომ უნდა დაამტკიცოს, შემდეგ კი გამოქვეყნდეს საკანონმდებლო ჟურნალში. ასეთი პროცედურა გაიარა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხმაც. ევროპარლამენტის გადაწყვეტილება დაამტკიცა ევროპის საბჭომ, შემდეგ გამოქვეყნდა საკანონმდებლო ჟურნალში და გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ უვიზო რეჟიმი ამოქმედდა.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვს ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმიც. თუ კავშირის წევრ სახელმწიფოს 6 თვის განმავლობაში **შექმნება** რაიმე სახის **პრობლემები**, უფლება ექნება მიმართოს ევროპულ კომისიას თხოვნით, დროებით შეაჩეროს **უვიზო რეჟიმის** მოქმედება. თუ ევროკომისია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მაშინ უვიზო რეჟიმი 6 თვის ვადით შეჩერდება.

ვიზალიბერალიზაციის შემდეგ საქართველოს მოქალაქეები თავისუფლად მოგზაურობენ შენგენის ზონაში და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში – რუმინეთში, ბულგარეთში, ხორვატიასა და კვიპროსში, ასევე უვიზო მიმოსვლა შესაძლებელია ევროკავშირის არაწევრ 4 ქვეყანასთან: ისლანდიასთან, ლიხტენშტეინთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან. დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ჩასასვლელად საქართველოს მოქალაქეებს ვიზა კვლავ სჭირდებათ.

1.2. ლექსიკა:

ლიბერალიზაცია – აქ: შეზღუდვების შემცირება ან მოხსნა.

ვიზა – ქვეყანაში შესვლის ნებართვა.

ვიზალიბერალიზაცია – ქვეყანაში შესვლის ნებართვის მოხსნა, ქვეყნებს შორის თავისუფალი მიმოსვლა.

პრობლემის შექმნა – სირთულის გაჩენა.

უვიზო რეჟიმი – მდგომარეობა, როცა ქვეყანაში შესასვლელად ვიზა არ არის საჭირო.

1.3. ტექსტის გააზრება:

1. რას ნიშნავს ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება?
2. რას გულისხმობს ვიზალიბერალიზაციის პირველი და მეორე ეტაპები?
3. როგორია ევროპარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა?
4. ვიზალიბერალიზაციის შეჩერების რა მექანიზმი არსებობს?
5. რა მოჰყვა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციას?
6. რომელი სახელმწიფოებია შენგენის კანდიდატი ქვეყნები?

სინონიმები	ანტონიმები
მხარი დაუჭირა – მიემხრო	ვიზით – უვიზოდ
ეტაპი – პერიოდი	დაახლოებული – დაშორებული
მონიტორინგი – კონტროლი	დროებით – მუდმივად
რეკომენდაცია – დახასიათება	შეჩერება – გაგრძელება
გამოქვეყნება – დაბეჭდვა	შესაძლებელი – შეუძლებელი
მექანიზმი – აქ: საშუალება	ამოქმედდა – შეჩერდა

1.4. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ იგი!

შვილი: რას ნიშნავს ვიზალიბერალიზაცია?

მამა: უვიზო რეჟიმს.

შვილი: უვიზო რეჟიმში რა იგულისხმება?

მამა: თავისუფალი გადაადგილება ქვეყნიდან ქვეყანაში.

შვილი: რომელ ქვეყნებთან ამოქმედდა ვიზალიბერალიზაცია?

მამა: შენგენის ქვეყნებთან. აბა, შენგენის ქვეყნები ჩამოთვალე!

შვილი:

1.5. წაიკითხეთ დიალოგი, გახაზეთ ჩამოთვლილი ქვეყნები და მოძებნეთ რუკაზე!



მამა: კარგად არ გცოდნია. შენგენი მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და 4 კანდიდატ ქვეყანას.

შვილი: რომელია წვერი ქვეყნები?

მამა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი. რომელიმე არ გამომჩეს... ჰო, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი და ჩეხეთი.

შვილი: დიდი ბრიტანეთი?

მამა: ევროკავშირის 2 წვერი ქვეყანა – დიდი ბრიტანეთი და ირლანდია – გამოწვევები. ამ ქვეყნებში ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა საკონსულოს უნდა მიმართონ.

შვილი: არაწვერი ქვეყნებიც მითხარი, რომ ვიცოდე!

მამა: არაწვერი? ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.

შვილი: კანდიდატი ქვეყნები?

მამა: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია.

შვილი: ამდენს როგორ იმახსოვრებ?

მამა: მონახე რუკაზე და შენც დაგამახსოვრდება!

გამონაკლისი – ის, რაც არ მისდევს საერთო წესს, განსხვავებულია.

1.6. თქვენი სიტყვებით განმარტეთ წყვილები:

- | | |
|--------------------------|---------------------------------|
| 1. უვიზო რეჟიმი | 6. წვერი ქვეყანა |
| 2. შენგენის ქვეყნები | 7. კანდიდატი ქვეყანა |
| 3. ევროპის საბჭო | 8. ქართული კანონმდებლობა |
| 4. საკანონმდებლო ჟურნალი | 9. ევროპული კანონმდებლობა |
| 5. ევროპული კომისია | 10. ვიზალიბერალიზაციის შეჩერება |

1.7. უპასუხეთ კითხვებს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების გამოყენებით!

ნიმუში: – თქვენი საქციელი **კანონიერია?**

– არა, **უკანონო**.

– ნინო **გამყიდველია?**

– არა, **მყიდველი**.

ა. – შენგენის ქვეყნებში **ვიზით** გადიხარ?

– არა, _____

ბ. – თქვენი კანონები **დაშორებულია** ევროპულ კანონმდებლობას?

– არა, _____

გ. – თქვენი სტატუსი **მუდმივია?**

– არა, _____

- დ. – რეფერენდუმი **ადგილობრივი** მასშტაბით ტარდება?
– არა, _____.
- ე. – ისრაელში ჩასვლა უვიზოდ **შესაძლებელია**?
– არა, _____.
- ვ. – სატრანსპორტო მოძრაობის ახალი კანონი **ამოქმედდა**?
– არა, დროებით _____.
- ზ. – თქვენი წუხილი ლტოლვილთა მდგომარეობის გამო **უსაფუძვლო** ხომ არ არის?!
– რას ამბობთ, სრულებით _____.
- თ. – ირანი **მონოეთნიკური** სახელმწიფოა?
– არა, _____.
- ი. – ნაციონალები საქართველოში საპარლამენტო **უმრავლესობას** შეადგენენ?
– არა, _____.

1.8. აარჩიეთ ის ორი სიტყვა, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება გამოყოფილ გზებს! მიღებული წყვილებით შეადგინეთ წინადადებები!

- შეჩერდა** _____ (სირბილი, საკვები, ტკივილი, როლი, მოქმედება).
- გადაწყდა** _____ (ძალა, წიგნი, საკითხი, სახელმწიფო, ბედი).
- ამოქმედდა** _____ (მონაწილეობა, კითხვა, სამართალი, კანონი, ქართული).
- დამტკიცდა** _____ (საბჭო, მონოეთნიკური, საავტორო, კანონი, შეჭამა).
- დაიბეგრა** _____ (რეფერენდუმი, მოქალაქე, კანონი, ზრუნვა, ორგანიზაცია).



1.9. მოსმენა

დიალოგი თემაზე: ცნობები იუსტიციის სახლიდან

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ბიომეტრიული პასპორტით შენგენის ქვეყანაში ერთჯერადად შეიძლება შესვლა 180 დღით.	
ბიომეტრიულ პასპორტთან ერთად შეიძლება მაინც დაგჭირდეთ ვიზა.	
საზღვარზე შეიძლება მოგვთხოვონ ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.	
შენგენში ყოფნის ყოველ დღეზე არ უნდა გვექონდეს 50 ევროზე მეტი თანხა.	

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რა უნდა ქნას საქართველოს მოქალაქემ შენგენის ტერიტორიაზე 90 დღის ყოფნის შემდეგ?
2. როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს მოქალაქე, თუ შენგენის ქვეყანაში ხანგრძლივ ვიზიტს გეგმავს?
3. ბიომეტრიული პასპორტის მოქმედების ვადა მინიმუმ რამდენი ხანი უნდა გრძელდებოდეს?
4. რა საბუთები შეიძლება მოითხოვონ საზღვარზე?

1.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა

მე შენგენის ქვეყანაში წასასვლელად ვემზადები (ყურადღება მიაქციეთ იმ საბუთებს, რომლებიც აუცილებლად თან უნდა გქონდეთ)!

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – როგორ ვისარგებლებ ვიზალიბერალიზაციით?!

1.15. ეს უნდა იცოდეთ!

თუ შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე 90 დღეს გადააჭარბებთ, თქვენი ყოფნა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაითვლება არალეგალურად და დაექვემდებარება დებორტს (გამოძევებას). ამასთანავე, მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლით; შესაძლოა, დაეკისროს ადმინისტრაციული ჯარიმაც 3000 ევრომდე. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში აგეკრძალებათ შესვლა შენგენის ტერიტორიაზე.

მოსასმენი დიალოგები

I ტაში

I ნაწილი

დიალოგი: საუბარი თაახში

დედა: ნინო, დღეს რატომ დაგაგვიანდა სკოლიდან მოსვლა?

ნინო: დამრიგებელმა ცოტა ხანს დაგვეტოვა გაკვეთილების მერე. გვითხრა, რომ წელს ჩვენი სკოლიდან აირჩევენ ბავშვებს საყმაწვილო გადაცემისთვის.

დედა: ძალიან კარგი, სასკოლო პროგრამა შენ კარგად იცი.

ნინო: არა, დედა, იქ ზოგადი განათლებიდანაც იქნება კითხვები. სასკოლო მასალის გარდა, დამატებითი საკითხია შემოტანილი – საქართველოს კონსტიტუცია. სად შეიძლება ამის შესახებ ცნობები მივიღო?

დედა: პირველ რიგში, არსებობს წიგნი – „საქართველოს კონსტიტუცია“. ინტერნეტშიც ბევრი მასალაა. შეგიძლია, მამაშენსაც ჰკითხო.

ნინო: მამა, რა არის კონსტიტუცია?

მამა: კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია.

ნინო: საქართველოში ვინ შექმნა პირველად კონსტიტუცია?

მამა: პირველი კონსტიტუცია ერთ ადამიანს არ შეუქმნია, მის მომზადებაზე მუშაობდა სპეციალური ჯგუფი.

ნინო: დღესაც ეს კონსტიტუცია გვაქვს, თუ კიდევ შეიქმნა სხვაც?

მამა: რა თქმა უნდა, შეიქმნა. ამ კონსტიტუციამ მხოლოდ 4 დღე იმოქმედა. ის იმ დროისთვის ერთ-ერთი პროგრესული კონსტიტუცია იყო ევროპაში.

ნინო: თუ ჩვენი კონსტიტუცია ასეთი კარგი იყო, რატომ იარსება ასე ცოტა ხანს?

მამა: იმიტომ, რომ 1921 წლის 15 თებერვალს საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია. რუსეთმა კვლავ დაიპყრო საქართველო.

ნინო: და ახალი კონსტიტუცია როდის მივიღეთ?

მამა: 1991 წელს რეფერენდუმის საფუძველზე საქართველო გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან. 1995 წლის 24 აგვისტოს დამოუკიდებელმა საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო.

ნინო: გმადლობ, მამა, შენ ნამდვილი ენციკლოპედია ხარ. რა კარგია, ამდენი რომ იცი.

მამა: ეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებია, რომ ყველამ უნდა იცოდეს. კონსტიტუცია ჩვენს უფლებებს იცავს.

II ნაწილი

საყმაწვილო გადაცემა „ცოდნა“

წამყვანი: ბავშვებო! დღეს ჩვენი გადაცემის ფინალური ეტაპია. მონაწილეები არიან ნინო და აკაკი. მე დავსვამ შეკითხვას. ეკრანზე დაინახავთ სავარაუდო პასუხებს. სწორი პასუხის შემთხვევაში

თქვენი ეკრანი გამწვანდება, არასწორ პასუხზე კი გაწითლდება. მზად ხართ? ვიწყებთ!

1. მმართველობის რომელი ფორმაა დღეს საქართველოში?

- ა. მონარქიული;
- ბ. რესპუბლიკური.

ორივე მონაწილის ეკრანი გამწვანდა.

აკაკი: ეს ადვილი კითხვა იყო.

წამყვანი: მაშინ გვითხარი, რა და რა სახის მონარქიულ მმართველობას იცნობთ?

აკაკი: კონსტიტუციურს, რომლის დროსაც ძალაუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, და აბსოლუტურს, როცა მონარქის ძალაუფლება შეუზღუდავია.

წამყვანი: ყოჩაღ! ყურადღებით! მეორე შეკითხვა:

ვის შეუძლია ისარგებლოს ვეტოს უფლებით?

- ა. პარლამენტს;
- ბ. პრეზიდენტს.

ყოჩაღ, ბავშვებო. ორივეს პასუხი სწორია!

ნინო: ესეც ადვილი იყო. ვეტოს დადება ხომ რომელიმე კანონის აკრძალვას ან დროებით შეჩერებას ნიშნავს. ეს პრეზიდენტის უფლებაა და არა პარლამენტისა.

წამყვანი: მესამე შეკითხვა:

რა მოხდა 1917 წელს?

- ა. საქართველოში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ;
- ბ. რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ და დაიწყო სამოქალაქო ომი.

ნინოს ეკრანი გამწვანდა.

აკაკი: სამწუხაროდ, დავიბენი, თორემ ვიცოდი. ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში იყო, რომელსაც მერე სამოქალაქო ომი მოჰყვა, ქვეყნის შიგნით ხელისუფლებისთვის ბრძოლა.

წამყვანი: მეოთხე შეკითხვა:

რა გადაწყდა 1991 წლის რეფერენდუმის საფუძველზე?

- ა. საქართველო შეუერთდა საბჭოთა კავშირს;
- ბ. საქართველო გამოეყო საბჭოთა კავშირს.

ორივეს პასუხი სწორია.

ნინო: ეს საკითხი ისტორიაში ახლახან გავიარეთ.

წამყვანი: მეხუთე შეკითხვა:

რა მოხდა საქართველოში 1921 წლის 21 თებერვალს?

- ა. დაჩქარებულად მიიღეს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- ბ. საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია.

ნინო, შენი ეკრანი გამწვანდა.

ნინო: წითელი არმია ამავე წლის 15 თებერვალს შემოვიდა საქართველოში, რის გამოც კონსტიტუციამ სულ 4 დღე იმოქმედა.

წამყვანი: გმადლობ, ნინო, დღევანდელი დღის გამარჯვებულის გამოვლინდა. როგორც ჩანს, კარგად გისწავლია.

ნინო: კი, კარგი მასწავლებელი მყავდა, მადლობა მამას.

III ნაწილი

საუბარი თემაზე: ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

დამრიგებელი: ნინო, გილოცავთ გამარჯვებას! ყველამ ვუყურეთ გადაცემას, დღეს კი შენ და შენს მეგობრებს კლასში გაქვთ პრეზენტაცია. აბა, გისმენთ.

ნინო: დიდი მადლობა! დიახ, დღეს ჩვენ საპრეზენტაციოდ ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თემა ავირჩიეთ. საკითხი ძალზე ფართოა, ამიტომ ჩემს კლასელებს ვთხოვე კონსტიტუციიდან მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები ამოეწერათ. აბა, ეკა, დაიწყე!

ეკა: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორი...“.

გიორგი: მგონი, მე უფრო მნიშვნელოვანი მუხლი ამოვწერე – „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა“.

ეკა: „ადამიანის პატივი და ღირსება, მისი თავისუფლება ხელშეუვალია. აკრძალულია წამება და არაპატივმოყვარეობა“.

გიორგი: „ადამიანი უდანაშაულოა, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება“.

ეკა: „ადამიანის პირადი ცხოვრება, მისი მიმოწერა, სატელეფონო საუბარი და ბევრი სხვა რამ ხელშეუხებელია“.

გიორგი: კონსტიტუცია აცხადებს სიტყვის, აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლებას.

დამრიგებელი: მადლობა, ბავშვებო, თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი მუხლები გისწავლიათ.

ნინო: ახლა ავხსნით, რატომ ავირჩიეთ ეს საკითხები?

ეკა: თანამედროვე მსოფლიო დემოკრატიული განვითარების გზას ადგას და თანასწორუფლებიანობის პრინციპს იცავს.

გიორგი: მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანის უფლებები დღემდე ირღვევა, ამიტომ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია ყველამ უნდა ვიცოდეთ.

ეკა: ჩემთვის პირადად ძალიან მნიშვნელოვანია კონფიდენციალობის საკითხი და მინდა კარგად გაიგოს ჩემ გვერდით მჯდომმა გუგა ქლიბაძემ, რომ სხვისი დღიურების კითხვა არასწორი საქციელია?!

დამრიგებელი: ზარის დროა, დაისვენეთ, ბავშვებო, და შემდეგ გაკვეთილზე განვაგრძოთ. ვხედავ, კონსტიტუციის ცოდნა სამოქალაქო აზროვნებას გიყალიბებთ.

II თავე

I ნაწილი

ინტერვიუ ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტართან

ინგა გრიგალაშვილი: ვახო, შენ წინა მოწვევის პარლამენტში შეხვედი ძალიან ახალგაზრდა, როგორც კი 21 წელი შეგისრულდა.

ვახო ცომაია: კი, გეთანხმები. კანონის მიხედვით, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს

საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა. ასე რომ, კანონი არ დამირღვევია.

ინგა გრიგალაშვილი: ამაში არავინ გდებს ბრალს. მაგრამ საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება....

ვახო ცომაია: ასევე განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის – საქმიანობას. ეს ყველაფერი კარგად ვიცი.

ინგა გრიგალაშვილი: მე იმის თქმა მინდა, რომ შენ იურისტი არ ხარ და კანონების ბევრი არაფერი გაგეგება, მით უმეტეს, მაშინ, წინა მოწვევის პარლამენტში რომ იყავი. როგორც თვითონ აღნიშნე ინტერვიუში, არც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ხარ და საგარეო პოლიტიკაშიც ვერ ერკვეოდი, შენი ასაკიდან გამომდინარე კი ვერც აღმასრულებელი ხელისუფლების გაკონტროლებას შეძლებდი, ამას ხომ დიდი გამოცდილება სჭირდება?!

ვახო ცომაია: ინგა, შენ პარლამენტის თითქმის ყველა მოვალეობა ჩამოთვალე. შესაბამისი განათლებაც რომ მქონოდა, ამ ყველაფერში გარკვევა მაინც გამიჭირდებოდა. ისეთ საქმეებს, როგორებიცაა საშინაო და საგარეო პოლიტიკა ან თუნდაც მთავრობის კონტროლი, თავს ართმევენ მხოლოდ პარლამენტართა გაერთიანებები, მაგალითად, კომიტეტები ან ფრაქციები, რომლებშიც ნ წევრი მაინც უნდა შედიოდეს.

ინგა გრიგალაშვილი: მაშინ ასე გკითხავ, რა მიზნით ხარ პარლამენტში?

ვახო ცომაია: ალბათ გახსოვს, მე ერთ-ერთი ვიყავი 73 მაჟორიტარიდან. ხალხმა ამირჩია. ბევრ მოქალაქეს ვუყვარვარ, მათგან მხარდაჭერას ვგრძნობ, ამიტომ ჩემს უპირველეს მიზნად და მოვალეობად პარლამენტში ხალხის ინტერესების დაცვას მივიჩნევ.

ინგა გრიგალაშვილი: ვახო, შენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ – 24 წლისა, მაინტერესებს, თუ აპირებ ძველ საქმიანობას დაუბრუნდე და ისევ მსოფლიო ჩემპიონი გახდე კრივში?

ვახო ცომაია: ინგა, მე, მართალია, ბევრი გულშემატკივარი მყავს, მაგრამ ეტყობა შენ მათ სიაში არასდროს ყოფილხარ. ფინალში ისეთი მძიმე ტრავმა მივიღე, რომ ექიმები ბრძოლას მიკრძალავენ.

ინგა გრიგალაშვილი: ვწუხვარ, ეს ფაქტი ნამდვილად არ ვიცოდი.

ვახო ცომაია: არა უშავს. ოთხმა წელმა პარლამენტში დიდი გამოცდილება მომცა. ასე რომ, მომავალში პოლიტიკურ ფრონტზე გავაგრძელებ ბრძოლას.

II ნაწილი

საპარლამენტო არჩევნები (პირდაპირი ეთერი)

ინგა გრიგალაშვილი: ჩვენ ვდგავართ ვაკის საარჩევნო უბნის წინ. არჩევნები დასრულდა და ახლა ხმებს ითვლიან. არჩევნებში სულ 21 პარტია მონაწილეობდა. ჩემ გვერდით არიან უმრავლესობისა და უმცირესობის ყოფილი წარმომადგენლები. ბატონო დავით, თქვენ წინა მოწვევის პარლამენტში იყავით უმრავლესობაში, რა შედეგებს ელოდებით დღეისთვის?

ბატონი დავითი: ჩვენ კვლავ გამარჯვებას ველით. 4 წელი ვიყავით პარლამენტში და ჩვენი საქმე წარმატებით შევასრულეთ. გვექნა მრავალი საკანონმდებლო ინიციატივა. ერთის გარდა, ყველა მოიწონეს.

ინგა გრიგალაშვილი: თქვენს კანონპროექტებს პარლამენტი ყოველთვის ამტკიცებდა?

ბატონი დავითი: დიას, ჩვენმა კანონპროექტებმა განხილვის ოთხივე ეტაპი გაიარა და დღესდღეობით გამოქვეყნებულია.

ინგა გრიგალაშვილი: პრეზიდენტს თუ დაუწუნია თქვენი კანონპროექტები? თუ ჰქონია შენიშვნები?

ბატონი დავითი: პრეზიდენტს არ დაუდია ვეტო ჩვენ მიერ წარდგენილ არცერთ კანონპროექტზე. ამრიგად, ჩვენი საქმიანობა წარმატებული იყო, მაგრამ პარლამენტში კიდევ, ბევრი ახალი კანონია მისაღები.

ინგა გრიგალაშვილი: ბატონო დავით, რა სახის კანონპროექტებს გულისხმობთ?

ბატონი დავითი: მოგეხსენებათ, საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი და მოქალაქეთა უმრავლესობამ ნატოში გაერთიანებას დაუჭირა მხარი. თუ ნატოში შესვლა გვინდა, მაშინ ბევრი კანონი უნდა დავხვეწოთ და მივიღოთ, ამიტომ ველოდები ასე მოუთმენლად ახალი პარლამენტის დამტკიცებას.

III ნაწილი

ინტერვიუ წინა მოწვევის პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენელთან (პირდაპირი ეთერი)

ინგა გრიგალაშვილი: ჩვენთან ახლა იმყოფება წინა მოწვევის პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენელი, ბატონი გიორგი ჩუბინიშვილი. ვფიქრობ, მას ყველა იცნობს. ბატონო გიორგი, თქვენ მოუსმინეთ უმრავლესობის წევრის, ბატონი დავით მეგრელიძის, ინტერვიუს. ალბათ, გაქვთ არგუმენტები მის წინააღმდეგ.

ბატონი გიორგი: რა თქმა უნდა, მე მივიჩნევ, რომ ისინი ამ არჩევნებში უმრავლესობას ვეღარ შექმნიან. ჩემი აზრით, პრეზიდენტს უნდობლობა უნდა გამოეცხადებინა წინა მოწვევის პარლამენტისთვის, მაგრამ, ვფიქრობ ხელი დააფარა.

ინგა გრიგალაშვილი: ეს ძალიან სერიოზული განცხადებაა, რის საფუძველზე ამბობთ ამას?

ბატონი გიორგი: მართალია, პარლამენტმა დადგენილი წესით აირჩია მთავრობა, მაგრამ ამ მთავრობით ყველა უკმაყოფილოა. საბოლოოდ, პრეზიდენტიც მიხვდა, რომ უნდობლობის გამოცხადება სჯობდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბოლო 6 თვის განმავლობაში პარლამენტის დათხოვნის უფლება მას უკვე აღარ ჰქონდა.

ბატონი დავითი: რა უფლებით ლაპარაკობთ პრეზიდენტის ნაცვლად, როდესაც მას მსგავსი განცხადებები არასდროს გაუკეთებია.

ბატონი გიორგი: არასდროს გაუკეთებია საჯაროდ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს.

ბატონი დავითი: ხალხის მიერ არის არჩეული როგორც პარლამენტი, ისე — პრეზიდენტი. თუ შეიძლება პარლამენტის დათხოვნა, ასევე შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებაც.

ინგა გრიგალაშვილი: უპრეცედენტო ფაქტი მოხდა ჩვენს ეთერში, ბატონო დავით, თქვენ რა... პრეზიდენტს ემოქვრებით პირდაპირ ეთერში? რაში ადანაშაულებთ მას? მის მოვალეობაში ხომ პარლამენტის გაკონტროლებაც შედის?!

ბატონი გიორგი: პრეზიდენტის გადაყენებას პარლამენტართა ორი მესამედი სჭირდება, ამ არჩევნებში კი ყოფილი უმრავლესობა 100 ხმასაც ვერ მიიღებს.

ინგა გრიგალაშვილი: ბატონებო, მინდა შეგაწყვეტინოთ, ხმები დათვლილია და შედეგების გამოცხადების დროა.

III ტაპი

I ნაწილი

ნაწყვეტი საყმაწვილო რადიოგადაცემიდან „ჩემი სამოქალაქო არჩევანი“

წამყვანი: მოგესალმებით! ეს არის გადაცემა „ჩემი სამოქალაქო არჩევანი“, მე მისი წამყვანი — ეკატერინე ხოშტარია — ვარ. როგორც იცით, ჩვენ არაერთი გადაცემა მიუძღვნით სხვადასხვა პროფესიასა თუ თანამდებობაზე მსჯელობას, დღევანდელი თემა კი იქნება პრეზიდენტი და მისი უფლებამოსილებები. ჩვენი სტუმრები არიან მე-12 კლასის მოსწავლეები: სოფო ჩუბინიძე და სანდრო ცისკარიშვილი. მაღლობას გიხდით მობრძანებისთვის!

პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. როგორ ფიქრობთ, რა პროფესიის ადამიანი შეიძლება გახდეს პრეზიდენტი?

სოფო: პრეზიდენტი შეიძლება ნებისმიერი პროფესიის ადამიანი იყოს. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილს იურიდიული განათლება ჰქონდა.

წამყვანი: მას შემდეგ, რაც საქართველო კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა და პრეზიდენტის ინსტიტუტი შემოვიღეთ, რამდენჯერ ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები?

სანდრო: საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში უკვე არაერთხელ ჩატარდა. მაგალითად, 1991 წელს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩიეს, პროფესიით — ფილოლოგი. საერთოდ, პრეზიდენტს 5 წლის ვადით ირჩევენ და ერთსა და იმავე კანდიდატს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეუძლია ამ თანამდებობაზე კენჭი იყაროს.

წამყვანი: რა მოთხოვნებს უნდა აკამყოფილებდეს კანდიდატი, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა რომ შეძლოს?

სოფო: პრეზიდენტობის კანდიდატი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა, ქვეყანაში 5 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო სამი წელი საქართველოში იმყოფებოდა.

წამყვანი: არჩევნების გარეშე თუ დაუკავებია ვინმეს პრეზიდენტის თანამდებობა?

სანდრო: კონსტიტუციით ეს არ შეიძლება, მისი მოვალეობის შესრულების უფლება კი სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებსაც აქვთ.

წამყვანი: მაინც ვის?

სანდრო: პარლამენტის თავმჯდომარეს, მაგრამ, თუ პარლამენტი დათხოვილია, მაშინ ამ მოვალეობას პრემიერ-მინისტრი ასრულებს.

წამყვანი: კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს თავისი უფლებამოსილება აქვს. დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი მისი უფლება-მოვალეობები!

სოფო: მაგალითად, პრეზიდენტი ხშირად მართავს სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებს, წელიწადში ერთხელ პარლამენტის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოდის. ის ხელმძღვანელობს და ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს. შეიარაღებული თავდასხმის, ეკოლოგიური კატასტროფის ან ეპიდემიის შემთხვევაში პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობას აცხადებს.

სანდრო: პრეზიდენტი იწყალებს მსჯავრდებულებს; შეუძლია გადაწყვიტოს მოქალაქეობის, ჯილდოებისა და წოდებების მინიჭების საკითხები. ის ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს; ნიშნავს არჩევნებსა და რეფერენდუმს.

წამყვანი: ვფიქრობ, რომ დღევანდელმა ჩვენმა მსმენელმა ბევრი მნიშვნელოვანი რამ შეიტყო პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებ. მე ამით კმაყოფილი ვარ, ახლა კი რეკლამის დროა.

II ნაწილი

ნაწყვეტი საყმაწვილო რადიოგადაცემიდან „ჩემი სამოქალაქო არჩევანი“

წამყვანი: მოგესალმებით ყველას, წინა პრეზენტაციისთვის საკმაოდ კარგად იყავით მომზადებულები. დღეს ვისაუბრებთ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შესახებ. მოდი, დავიწყოთ იმით, თუ ვინ ნიშნავს პრემიერ-მინისტრს.

ნიკოლოზი: პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს პარლამენტის შემადგენლობის გათვალისწინებით წარადგენს პრეზიდენტი, პარლამენტი კი ნდობას უცხადებს მას. პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს.

თამარი: პრემიერ-მინისტრი არის საქართველოს მთავრობის მეთაური, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს და, რა თქმა უნდა, ორგანიზებას უწევს მთავრობის მუშაობას.

ნიკოლოზი: თუ პრემიერ-მინისტრი გადადგება, მაშინ უფლებამოსილება უწყდება მთავრობასაც.

წამყვანი: თუ არც პრემიერ-მინისტრი გადადგა და არც მინისტრები გაუთავისუფლებიათ, მაშინ როდემდე შეასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას?

თამარი: მათი უფლება-მოვალეობები ახალი პარლამენტის არჩევამდე გრძელდება, ანუ 4 წელი.

წამყვანი: ეს თანამდებობა პირველად 1918 წელს დაწესდა, მას შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ნიკოლოზი: ოღონდ პირს მაშინ მთავრობის თავმჯდომარე ეწოდებოდა. 1918 წელს ამ თანამდებობაზე ორი კაცი დაინიშნა: ჯერ ნოე რამიშვილი, შემდეგ – ნოე ჟორდანიას.

თამარი: პრემიერ-მინისტრის თანამდებობა საქართველოს სსრ კავშირში შესვლის გამო გაუქმდა, მაგრამ აღდგა 1991 წლის აგვისტოში და მოქმედებდა 1992 წლის თებერვლამდე, სამხედრო საბჭოს მიერ ძალაუფლების ხელში აღებამდე.

ნიკოლოზი: 1995 წლის კონსტიტუციით საქართველო გახდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, შესაბამისად, გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, სახელმწიფო მინისტრს კი სხვა ფუნქციები დაეკისრა.

თამარი: 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოში განხორციელდა საკონსტიტუციო ცვლილებები, შემოიღეს მთავრობის ინსტიტუტი. ხელახლა გაჩნდა მთავრობის თავმჯდომარის პოსტი. მას კვლავ პრემიერ-მინისტრი ეწოდა.

წამყვანი: თემა კარგად შეგისწავლიათ. გემშვიდობებით, მომავალ გადაცემამდე!

III ნაწილი

ნაწყვეტი საყმაწვილო რადიოგადაცემიდან „ჩემი სამოქალაქო არჩევანი“

წამყვანი: გამარჯობა! დღევანდელი პრეზენტაციის თემა მერიასა და გამგეობას შეეხება. დღეს ჩვენი სტუმრები არიან ქეთევანი და შალვა.

ქეთევანი: მოგესალმებით! თუ შეიძლება, მე დავიწყებ.

წამყვანი: რა თქმა უნდა, გისმენთ.

ქეთევანი: გამგეობა და მერია, უპირველესად, გამგებელსა და მერს ექვემდებარება. ისინი მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირები არიან. მათ ხალხი ირჩევს.

შალვა: გამგებელს ან მერს კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობები აქვს, რომლებსაც საკრებულო ვერ შეზღუდავს – ეს მნიშვნელოვანია. ისინი მუნიციპალიტეტებს მართავენ, ასე ვთქვათ, მენეჯერები არიან და თვითმმართველ ორგანოებში მნიშვნელოვან პრობლემებს წყვეტენ.

ქეთევანი: მერები და გამგებლები გრძელვადიან დოკუმენტებს ადგენენ ხოლმე და თავიანთ საკრებულოს წარუდგენენ. ამ დოკუმენტებში თვითმმართველი ერთეულის განვითარების მიზნები, ამოცანები და მათი რეალიზაციის გზები უნდა იყოს ასახული.

შალვა: მე ასე ვიტყვოდი, თვითმმართველობის მიზანი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და მის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა. მთავარია, რომ მოსახლეობას სასიკეთო გარემო შეექმნას. დასუფთავება, საგზაო მოძრაობის დაგეგმვა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები და კიდევ ბევრი რამის მოწესრიგება თვითმმართველობას ევალება.

ქეთევანი: თვითმმართველობას სხვა მიმართულებაც აქვს, ეს მოქალაქის შესაძლებლობების განვითარებაა. აქ ისეთი სფეროები შედის, როგორებიცაა: კულტურა, განათლება, დასაქმება, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, დასვენება და ა.შ.

შალვა: არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ამდენი სფეროს განვითარებას კომპლექსურ დოკუმენტში თუ არ გაწერ, რეალურ შედეგს ვერც მიაღწევ კაცი; ამიტომ თვითმმართველ ორგანოებში სტრატეგიული დოკუმენტები იქმნება და მათ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს.

წამყვანი: ძალიან კარგი, მერიისა და გამგეობის მნიშვნელობა კარგად გაგიგიათ, ახლა მაინტერესებს, იცით თუ არა, რა განსხვავებაა მათ შორის?

შალვა: ორივე თვითმმართველი ორგანოა: მერია – ქალაქში, ხოლო გამგეობა – თემში. მათ შორის იურიდიული განსხვავება არ არის.

წამყვანი: თქვენი სტუმრობით ძალიან კმაყოფილი ვარ, სხაპასხუპით მპასუხობდით. ეს იშვიათია. კამერის წინ ზოგს ენაც კი ებმება. ვფიქრობ, დღევანდელი გადაცემა ბევრი მსმენელისთვის იქნება სასარგებლო.

IV თავი

I ნაწილი

დიალოგი თამაზა: მშობლის დღე სკოლაში

დამრიგებელი: გამარჯობა, ბავშვებო! კარგად იცით, რომ ჩვენი კლასი ხშირად მართავს საინტერესო შეხვედრებს მშობლებთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობის შესახებ გვითხრობენ და გამოცდილებას გვიზიარებენ. დღეს ჩვენი სტუმარი გიას მამა, ბატონი ზურაბია.

ზურაბი: მოგესალმებით ყველას! ასე საჯაროდ ჩემი შვილის თანაკლასელებს პირველად ვხვდები. რაღა დაგიმალოთ, ცოტას ვღელავ.

დამრიგებელი: გამოგიტყდებით და მეც ვწერვიულობ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სტუმრობა საპატიო საქმეა. იქნებ, ორიოდ სიტყვით ჩვენს მოსწავლეებს თქვენი საქმიანობის შესახებ რაიმე უთხრათ.

ზურაბი: მოკლედ იმის თქმა შემიძლია, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობა საპასუხისმგებლო თანამდებობაა. მე საკანონმდებლო პროცესი მბარია, მოადგილეებიც მყავს, მაგრამ ეს პირად პასუხისმგებლობას არ ამცირებს.

დამრიგებელი: ჩემმა მოსწავლეებმა თქვენთვის კითხვები მოამზადეს.

ზურაბი: სიამოვნებით ვუპასუხებ.

მოსწავლე: გვაინტერესებს, როგორ მიიღება კანონი?

ზურაბი: საკანონმდებლო პროცესი 4 ეტაპისგან შედგება: საკანონმდებლო ინიციატივას კანონპროექტის განხილვა მოსდევს, შემდეგ – კანონის მიღება და გამოქვეყნება.

მოსწავლე: რომელი ეტაპია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

ზურაბი: გამიჭირდება ამის თქმა. ალბათ, ყველა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პროცესის ბოლო ეტაპია. კანონპროექტს ხელს საქართველოს პრეზიდენტი აწერს. მას კანონპროექტის პარლამენტში დაბრუნებისა და ვეტოს გამოყენების უფლება აქვს.

მოსწავლე: მაგრამ, თუ პარლამენტმა ვეტო გადალახა?

ზურაბი: მაშინ კანონპროექტი ისევ პრეზიდენტთან იგზავნება ხელმოსაწერად, ხოლო, თუ პრეზიდენტმა პარლამენტარების აზრი არ გაითვალისწინა და ვეტო არ მოხსნა, მაშინ ხელს მე ვაწერ და ვაქვეყნებ. ამის შემდეგ ახალმიღებული კანონი ძალაში შედის.

მოსწავლე: გქონიათ ასეთი შემთხვევა?

ზურაბი: კი, არაერთხელ.

მოსწავლე: დაასახელეთ ყველაზე ცუდი რამ, რაც პარლამენტის პრაქტიკაში შეიძლება მოხდეს?

ზურაბი: ეს პარლამენტის დათხოვნა იქნება. ამის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს და ისიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგალითად, მაშინ, თუ პარლამენტი ვერ აირჩევს ან უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას.

მოსწავლე: თქვენს საყვარელ წიგნს ხომ ვერ დაგვისახელებდით?

ზურაბი: ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ გითხრათ, ეს „საქართველოს კონსტიტუცია“.

II ნაწილი

დიალოგი თემაზე: მზადება გასაუბრებისთვის

ლევანი: გიორგი, მთელი ზაფხული არ გეცალა, რას აკეთებდი?

გიორგი: ვმეცადინეობდი. მუშაობის დაწყება მინდა მერიაში. შენ რას შვრები?

ლევანი: მეც მაგ დღეში ვარ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მინდა მუშაობის დაწყება, გასაუბრება სექტემბერში მაქვს.

გიორგი: წარმატებებს გისურვებ! მე ოქტომბერში მაქვს. ხომ არ გამოგკითხოთ ერთმანეთი?! ორივესთვის კარგი იქნება.

ლევანი: კი ბატონო!

გიორგი: დავიწყეთ?

ლევანი: დავიწყეთ.

გიორგი: რა ფუნქცია აქვს საქართველოს სახალხო დამცველს?

ლევანი: საქართველოში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს იცავს. ახლა შენ მითხარი, როგორ ხდება მერის ან გამგებლის არჩევა?

გიორგი: პირდაპირი კენჭისყრით. როგორ ირჩევენ საქართველოს სახალხო დამცველს?

ლევანი: პარლამენტი ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით. რა არის გამგებლის ან მერის მოვალეობა?

გიორგი: მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაწყვეტა, თვითმმართველი ერთეულის განვითარება... და რა მოვალეობა აქვს საქართველოს სახალხო დამცველს?

ლევანი: სახალხო დამცველი განიხილავს საჩივრებსა და განცხადებებს ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, ადამიანის უფლება-მოვალეობანი კი განსაზღვრულია კონსტიტუციით. რა განსხვავებაა მერიისა და გამგეობას შორის?

გიორგი: ორივე თვითმმართველი ორგანოა: მერია – ქალაქში, გამგეობა – თემში. მათ შორის ოურიდიული განსხვავება არ არის. რა წერია კონსტიტუციაში ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ?

ლევანი: ის, რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, მიმოწერა, სატელეფონო საუბარი თუ სხვა რამ. ბინაში შესვლა და ჩხრეკის ჩატარებაც კი შეუძლებელია მფლობელის ნებართვის გარეშე. სწორია? ახლა შენ მიპასუხე: თვითმმართველობის მიზანია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. როგორ შეიძლება ამის მიღწევა?

გიორგი: საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით, გარემოს დაცვით და ა.შ. თავისუფლების რა სახეებია დემოკრატიულ საზოგადოებაში?

ლევანი: სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. წინა პასუხი ძალიან მოკლედ გამეცი, თუ შეგიძლია, განავრცე.

გიორგი: კარგი. უნდა განვითარდეს მოქალაქის შესაძლებლობები, ხელი შეეწყოს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: კულტურა, განათლება, დასაქმება, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, დასვენება და ა.შ.

ლევანი: ძალიან კარგი. შენ თუ არ შეგაწყვეტინე, მთელი დღე ილაპარაკებ.

გიორგი: მგონი შენც, წარმატება გარანტირებული გვაქვს!

V თავი

I ნაწილი

დიალოგი თამაზა: მეზობლების შეხვედრა

ნიკა: სანდრო, როგორ ხარ? სად მიდიხარ?

სანდრო: საარჩევნო უბანზე. არ იცი, რომ დღეს რეფერენდუმი?

ნიკა: სად არის საარჩევნო უბანი გახსნილი?

სანდრო: ყველგან. მე მე-2 უბანზე მივდივარ.

ნიკა: კარგი რა, არ გეზარება ამ სიცხეში სიარული?

სანდრო: რას ამბობ, შემდეგ წლებში პრეზიდენტს ავირჩევთ თუ არა, ეს საკითხი წყდება რეფერენდუმზე. მთელი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ნიკა: მე კიდევ მეზარება ხოლმე არჩევნებზე წასვლა და დღესაც გადავწყვიტე სახლში დავრჩე.

სანდრო: ჰოდა, ძალიან ცუდი! თუ დემოკრატიული ქვეყანა გვინდა, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები ყველამ ერთად უნდა გადავწყვიტოთ.

ნიკა: მე ეგ რეფერენდუმი სულ არ მაინტერესებს.

სანდრო: ცდები. რეფერენდუმი ერთ-ერთი დემოკრატიული პროცესია. ხალხი პირდაპირ იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ნიკა: როდის ერთხელ შესრულდა რეფერენდუმის გადაწყვეტილება?!

სანდრო: რას ამბობ, 1991 წლის რეფერენდუმით საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო და დამოუკიდებელი გახდა. რა, არ შესრულდა ხალხის გადაწყვეტილება?!

ნიკა: ჰო, კარგი, კარგი, შეეშალა, წამოვალ, რომელ საათამდეა კენჭისყრა?

სანდრო: საღამოს 8-მდე, პირადობის მოწმობა არ დაგავიწყდეს!

II ნაწილი

თამარი თამაზი: მოქალაქე საარჩევნო უბანში

საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი: ასეთი აღელვებული რატომ ხართ, ქალბატონო?

მოქალაქე: დღეს არჩევნებზე მოვედი და მითხრეს, რომ ხმის მიცემა არ შემიძლია.

წარმომადგენელი: რატომ? რა პრობლემა გაქვთ?

მოქალაქე: სიაში არ ვარ. ტექნიკური ხარვეზია. გავგიჟდები, ამის გამო რომ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მივიღო. სხვათა შორის, ეს ჩემი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებაა.

წარმომადგენელი: თუ მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია, მალევე გავასწორებთ. დიდი ხანია, რაც ამ მისამართზე ცხოვრობთ?

მოქალაქე: უკვე 20 წელია, ამ უბანში ვცხოვრობ და ეს ჩემი მეშვიდე არჩევნებია.

წარმომადგენელი: პირადობის მოწმობა ხომ არ გამოგიცვლიათ?

მოქალაქე: არა.

წარმომადგენელი: ე.ი. მართო ტექნიკური ხარვეზი იქნება და ახლავე გამოვასწორებთ.

მოქალაქე: მადლობელი ვიქნები. მგონი, ერთმანეთს კარგად გავუგეთ. საერთოდ, ჩემს მოქალაქეობრივ პოზიციას ღიად და აქტიურად ვაფიქსირებ. არჩევნებშიც ყოველთვის ვიღებ მონაწილეობას. თუ საჭიროა, მანიფესტაციებსა და აქციებსაც არ ვერიდები.

წარმომადგენელი: ისეთი აქტიური მოქალაქე, როგორიც თქვენ ხართ, ვფიქრობ, ტექნიკურ ხარვეზს არ უნდა შეუშინდეს. ახლა პირადობის მოწმობა მაჩვენეთ.

მოქალაქე: აი, იხეხეთ. იმედია, ახლაც მომეცემა არჩევანის გაკეთების საშუალება.

წარმომადგენელი: რა თქმა უნდა, აუცილებლად.

III ნაწილი

დიალოგი თამაზი: ახალი ორგანიზაციის შექმნა

ჟურნალისტი: გამარჯობა! დღეს ჩვენ ძალიან საინტერესო სტუმარი გვყავს – ბატონი დავითი. როგორც ცნობილია, იგი ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ქმნის.

დავითი: მოგესალმებით, მადლობას მოგახსენებთ მოწვევისთვის!

ჟურნალისტი: რას გვეტყვით თქვენი ორგანიზაციის შესახებ? რა მიზნები გაქვთ?

დავითი: ჩვენი ორგანიზაციის მიზანი საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის ამაღლებაა, უპირველესად, ეს მომარდებსა და ახალგაზრდებში უნდა შევძლოთ.

ჟურნალისტი: მიგაჩნიათ, რომ ამ მხრივ პრობლემებია?

დავითი: დიახ, მოსახლეობის დიდ ნაწილს პოლიტიკური ინტერესები არ აქვს, არ ერთვება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობებში. გამოკითხვის შედეგად, მოსახლეობის 70 %-მა თავისი უფლებების შესახებ არაფერი იცის.

ჟურნალისტი: როგორ აპირებთ მუშაობას?

დავითი: ჩვენს ორგანიზაციაში 500-მდე წევრია. ვაპირებთ სკოლებსა და უნივერსიტეტებში შევხვდეთ ახალგაზრდებს და საკუთარი უფლებები გავაცნოთ.

ჟურნალისტი: რა მიზნები გაქვთ უახლოეს მომავალში?

დავითი: წინა არჩევნებში ამომრჩეველთა მხოლოდ ნახევარმა მიიღო მონაწილეობა, ჩვენს მაჟორიტარ დაპუტატს დაახლოებით 2.000-მდე მოქალაქემ მისცა ხმა. გვინდა, რომ შემდეგი საპარლამენტო არჩევნებისათვის, რომელიც ორ წელიწადში გაიმართება, ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

ჟურნალისტი: ვფიქრობ, რომ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. წარმატებებს გისურვებთ!

VI თავი

I ნაწილი

თამარი თამაზა: ადვოკატი თელავთარში

წამყვანი: გუშინ პოლიციამ მოქალაქე ბერიძე დააკავა, დღეს ჩვენ მის ადვოკატს ვესაუბრებით. რას გვეტყვით ბარლდებულის შესახებ?

ადვოკატი: შეგისწორებთ, ბარლდებუელი არ არის, მისთვის ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს. სტუდენტია, სწავლობს და კანონი არასდროს დაურღვევია. ისიც არ ვიცით, ზუსტად რაში ადანაშაულებენ?

წამყვანი: როდის უნდა წაუყენონ ბრალი? იცით, სასამართლო როდის არის დანიშნული?

ადვოკატი: ჯერ ზუსტად არ ვიცით. კანონის თანხმად, სასამართლო მისი დაკავებიდან 48 საათში უნდა გაიმართოს. იგი გუშინ შუადღისას დააკავეს. ჩვენ სასამართლოს სხდომას ხვალ ველოდებით, ყველაზე გვიან – პირველიდან ორამდე.

წამყვანი: თავად დაკავებული რას ამბობს?

ადვოკატი: დარწმუნებულია, რომ თავის სიმართლეს დაამტკიცებს.

წამყვანი: რამდენად ენდობით სასამართლოს?

ადვოკატი: რა თქმა უნდა, ვენდობით. სასამართლომ სამართლიანი განაჩენი უნდა გამოიტანოს. ბერიძის უდანაშაულობა აუცილებლად დამტკიცდება.

წამყვანი: ე.ი. წარმატებაში დარწმუნებული ხართ?

ადვოკატი: უკვე 20 წელია, რაც ადვოკატი ვარ და დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. მოქალაქე ბერიძის წინააღმდეგ საქმეში არცერთი მტკიცებულება არ დევს. კანონის წინაშე ის სრულიად უდანაშაულოა, ამიტომ ამ საქმის მოგება ადვილად შემიძლია.

წამყვანი: კარგად ბრძანდებოდეთ, წარმატებებს გისურვებთ!

II ნაწილი

თემატიკური თემატიკა: მემორიალი აქციაზე

ნიკა: სანდრო, წამოხვალ ხვალ აქციაზე?!

სანდრო: რა ხდება?

ნიკა: კიდევ ერთი ტელევიზია იხურება ფინანსური პრობლემების გამო. ჩვენ აქციას ვმართავთ — გვინდა, რომ ტელევიზიებს სახელმწიფო დაეხმაროს.

სანდრო: კარგია, რომ აპროტესტებთ. პლურალიზმი და სიტყვის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის.

ნიკა: გეთანხები, ტელევიზიების გარეშე კიდევ სიტყვის თავისუფლება და პლურალიზმი ვერ იარსებებს. რაც მეტი ტელევიზია იქნება ჩვენს ქვეყანაში, მით უკეთესი.

სანდრო: თქვენი აქციის მთავარი მოთხოვნა რა არის?

ნიკა: გვინდა, რომ საქართველოს მთავრობას მასობრივი ინფორმაციების საშუალებების, მათ შორის — ტელევიზიების, დახმარება ვთხოვთ.

სანდრო: ეგ კარგად მოგიფიქრებიათ. როგორც ვიცით, ბოლო ორი თვეა, პარლამენტში მაუწყებლობის შესახებ კანონპროექტს განიხილავენ.

ნიკა: ნამდვილად, თუმცა ეგ კანონი ძალაში მხოლოდ მომავალი წლიდან შევა. იქამდე კიდევ აქტიური ნაბიჯები უნდა გადავდგათ.

სანდრო: მეც იმავე ამრზე ვარ, ამიტომ აქციაზე აუცილებლად წამოვალ. როდის იკრიბებით და სად? თუკი ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატიული ქვეყანა გვექონდეს, სიტყვის თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

ნიკა: სამ საათზე ვიკრიბებით პარლამენტთან. პრემიერ-მინისტრიც ჰპირდება ტელევიზიებს დახმარებას და იმედია, ჩვენი აქციის მერე რამე გამოვა.

III ნაწილი

თემატიკური თემატიკა: საკუთრების უფლება ძველ საბერძნეთში

ძველ საბერძნეთში, კერძოდ კი — ათენში, 100 წელიწადზე მეტხანს დემოკრატია იყო დამყარებული. თავდაპირველად ათენს მეფეები მართავდნენ, შემდეგ კი მმართველობით უმრავლესობა ხალხმა თავისი უფლებებისთვის ბრძოლა დაიწყო.

ათენური დემოკრატია თანამედროვე დემოკრატიისგან განსხვავდებოდა. ათენელები იკრიბებოდნენ და კენჭისყრის შემდეგ პირდაპირ იღებდნენ გადაწყვეტილებებს სახელმწიფოს მართვის შესახებ. ამას კარგი და ცუდი მხარეები ჰქონდა. კარგი ის იყო, რომ სახელმწიფოს მმართველობაში ყველა მონაწილეობდა, ცუდი კი — ის, რომ ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხშირად არასწორი იყო.

ათენის მოქალაქე მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, ვისაც საკუთრება ჰქონდა. ომის დროს მოქალაქეები თავიანთი ხარჯით ყიდულობდნენ იარაღს და საომარ აღჭურვილობას. ვისაც იარაღის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა, ის სრულფასოვანი მოქალაქე ვერ იქნებოდა. იარაღის გარდა, ათენის მოქალაქეს საკუთარი მიწის ნაკვეთი უნდა ჰქონოდა, რომელსაც იგი ამუშავებდა.

ამის შემდეგ, მთელი 20 საუკუნე, მსოფლიოში დემოკრატიული მმართველობა აღარ არსებობდა, დღეს კი სახელმწიფოთა საკმაოდ დიდი ნაწილი დემოკრატიულია.

VII თავი

I ნაწილი

დიალოგი თემაზე: საბელაფონო კონსულტაცია იურისტთან

მოქალაქე: გამარჯობა, თქვენი რჩევა მჭირდება.

იურისტი: გისმენთ, რით შემოიძლია დაგეხმაროთ?

მოქალაქე: მინდა, რომ სასამართლოს მივმართო.

იურისტი: სასამართლოსთვის მიმართვა რამ გადაგაწყვეტინათ?

მოქალაქე: მეზობელი მიწის ნაკვეთს მედავება. კანონით ნაკვეთი მე მეკუთვნის, თუმცა დიდი ხანი უყურადღებოდ იყო დატოვებული. ახლა მეზობელი ამტკიცებს, რომ მისია.

იურისტი: რამდენი ხანია, რაც ეს ნაკვეთი თქვენ გეკუთვნით? საბუთები წესრიგში გაქვთ? შეგიძლიათ თუ არა თქვენი სიმართლე დამტკიცოთ?

მოქალაქე: იმდენი წელია, ეს მიწის ნაკვეთი ჩემს ოჯახს ეკუთვნის, რომ ზუსტად აღარ მახსოვს, 20 წელზე მეტი იქნება. რა თქმა უნდა, ყველა საბუთი წესრიგში მაქვს.

იურისტი: მაშინ სარჩელი უნდა შეიტანოთ სასამართლოში. თავდაპირველად რაიონულ სასამართლოს უნდა მიმართოთ.

მოქალაქე: სარჩელს აუცილებლად შევითან. რა პრობლემას შეიძლება გადავაწყდე?

იურისტი: თუ ყველა საბუთი წესრიგში გაქვთ, საქმეს ადვილად მოიგებთ. ერთადერთი – შეიძლება დრო დასჭირდეს თქვენი სიმართლის დამტკიცებას.

მოქალაქე: დრო?! რამდენი ხანი?

იურისტი: ზუსტად ვერ გეტყვით. ჩემი აზრით, დაახლოებით 1 წელი. თქვენი შემთხვევა სამოქალაქო დავაა. თავდაპირველად რაიონული სასამართლო განიხილავს, თუმცა შეიძლება, მერე გადაწყვეტილება სააპელაციო, ანუ საოლქო, სასამართლოში გაასაჩივრონ, ამას კი დრო დასჭირდება.

მოქალაქე: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაც თუ შეიძლება?

იურისტი: დიახ, მისი გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში შეიძლება, თუმცა არა მგონია, რომ თქვენი საქმე აქამდე მივიდეს. სიმართლე ადვილად დადგინდება.

II ნაწილი

ნაწყვეთი საინფორმაციო გადაცემიდან: დაპირისპირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

მოსამართლე გერგედავა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას მისი გათავისუფლების შესახებ სასამართლოში გაასაჩივრებს. ამის შესახებ მან დღეს პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა. ჟურნალისტების გარდა, იგი დღეს საღამოს არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ხვდება, რათა გააცნოს თავისი საქმე.

გერგედავას თქმით, მისი გათავისუფლების ბრძანება უსაფუძვლო და უკანონოა. ამ გადაწყვეტილებამ მისი, როგორც მოსამართლის, უფლებები შელახა.

გერგედავას კოლეგებიც ეთანხმებიან. მათი თქმით, მოსამართლეებს 10 წლის ვადით ირჩევენ და არ შეიძლება მათი იქამდე გათავისუფლება, სანამ ეს ვადა არ გავა.

განსხვავებული მოსაზრება აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. მისი თქმით, მოსამართლეთა დანიშვნა სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმეა. საბჭოს თავმჯდომარე

ამავე დროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც არის. იგი ამბობს, რომ იქამდე, სანამ მისი ვადა ამოიწურება, ის ბევრ ცვლილებას აპირებს და ახალი მოსამართლეების დანიშვნას გეგმავს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 10 წლის ვადით ირჩევენ და მას ვადის გასვლამდე კიდევ ორი წელი აქვს დარჩენილი.

III ნაწილი

დიალოგი: ინტერვიუ სახალხო დამცველთან

ჟურნალისტი: გამარჯობა! როგორ შეაფასებდით თქვენს მუშაობას, ბატონო გიორგი?

სახალხო დამცველი: უკვე სამი წელია, რაც ამ თანამდებობაზე ვარ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უამრავ ადამიანს დავეხმარეთ. ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვა ჩვენი მთავარი საქმეა.

ჟურნალისტი: მოქალაქეები თუ გენდობიან?

სახალხო დამცველი: დიახ, დიდი ნდობა გვაქვს. სახალხო დამცველს პარლამენტი ამტკიცებს, მიუხედავად ამისა, იგი სრულად დამოუკიდებელია და მოქალაქეები ამას გრძნობენ.

ჟურნალისტი: ამით რისი თქმა გინდათ?

სახალხო დამცველი: სახალხო დამცველს უფროსი არ ჰყავს. მე არავისზე დამოკიდებული არ ვარ. მხოლოდ საკუთარი მოსაზრებებით ვმოქმედებ. ხალხმა იცის, რომ მხოლოდ მის ინტერესებს ვიცავ. ასე რომ არ იყოს, მოქალაქეები ზურგს შემამტკიცებდნენ და მათ ნდობას დავკარგავდი.

ჟურნალისტი: რამდენად ადვილია, თქვენამდე ხმის მოწვდენა?

სახალხო დამცველი: ჩვენ ოფისები, თბილისის გარდა, რეგიონებშიც გვაქვს. მოქალაქეებს შეუძლიათ რეგიონულ ოფისებს მიმართონ ან ცხელ ხაზზე დარეკონ.

ჟურნალისტი: რამდენი ხანი რჩებით თქვენს თანამდებობაზე?

სახალხო დამცველი: კიდევ ორი წელი. სახალხო დამცველს პარლამენტი ხუთი წლის ვადით ირჩევს.

ჟურნალისტი: მაღლობა ყურადღებისათვის. რამეს ხომ არ ეტყოდით მაყურებელს?

სახალხო დამცველი: მოვუწოდებ, რომ თუნდაც კანონის უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოგვმართონ – ჩვენ მათ უფლებებს დავიცავთ. მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის გარეშე კარგად ვერ ვიმუშავებთ.

VIII თავი

I ნაწილი

ოპოზიციური პარტიის ლიდერის პრეს-კონფერენცია

– მივესალმები აქ შეკრებილ ჟურნალისტებსა და მაყურებელს. მოკლედ გაგაცნობთ, თუ რა არის დღევანდელი შეკრების მიზეზი. ხვალიდან ჩვენი პარტია იწყებს რეფერენდუმისთვის საჭირო ხელმოწერების შეგროვებას. როგორც იცით, კანონის თანახმად, რეფერენდუმის ჩასატარებლად 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნაა საჭირო და იმედი გვაქვს, ახალ წლამდე, მომდევნო სამი თვის განმავლობაში, ამ რაოდენობის ხელმოწერებს შევაგროვებთ.

გვინდა, რომ სახელმწიფოში კონსტიტუცია შეიცვალოს. გვჯერა, რომ ამ მოსაზრებას

მოსახლეობის უმრავლესობა ეთანხმება. სამწუხაროდ, ჩვენი პარტია არასაპარლამენტოა და არ შეგვიძლია საკანონმდებლო ორგანოდან ვიბრძოლოთ და ისე შევცვალოთ კანონები. სწორედ ამისთვის ვითხოვთ რეფერენდუმის დანიშვნას და ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას.

თბილისში სამ ადგილას და საქართველოს თითოეულ დიდ ქალაქში გავხსნით ჩვენს ოფისებს. ყველას, ვინც ეთანხმება საკონსტიტუციო ცვლილებებს, ვთხოვთ, მოვიდეს ოფისში და ხელმოწერით დაადასტუროს თანხმობა.

საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა და მთავარი ხალხის აზრია. თუკი მოსახლეობა მხარს დაგვიჭერს, შეუძლებელი არაფერია – ჩვენ შევცვლით კონსტიტუციას.

II ნაწილი

თემატიკა : ფართო პროფილის იურისტი

სანდრო: დღეს სამსახურში ადრე მივდივარ და გვიან ღამემდე არ დავბრუნდები.

ცოლი: ამ ბოლო დროს სულ ბევრი საქმე გაქვს.

სანდრო: ადრე მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საქმეები მეხებოდა, ახლა სისხლის სამართალიც დამემატა. ნ საათამდე სამსახური მაქვს, მერე კი კონსულტაციები მეწყება.

ცოლი: არ შეგიძლია კონსულტაციები ადრე გადმოიტანო?

სანდრო: არა, იმიტომ, რომ ნ-ის მერე ის მოქალაქეები მოდიან, რომლებსაც სამსახურის გამო მანამდე არ სცალიათ.

ცოლი: შენი მოვალეობა რა არის?

სანდრო: ვუსმენ მათ, თუკი საქმე სამოქალაქო სამართალს ეხება, მე ვიტოვებ, თუ სისხლის სამართლის საქმეებია, მაშინ სხვა იურისტებს ვუნაწილებ.

ცოლი: ყველა საქმეს შენ წყვეტ?

სანდრო: არა, უბრალოდ, რჩევას ვაძლევ. ზოგიერთი საქმის მოგვარებაში მე თვითონ ვეხმარები, ზოგს კი სახალხო დამცველის ოფისში ვაგზავნი.

ცოლი: შენ გარეშე სასამართლოში საჩივრის შეტანა არ შეუძლიათ?

სანდრო: არა, საჩივრის დაწერაში მე ვეხმარები, იქამდე კი, უბრალოდ, ვურჩევ, ღირს თუ არა ამ საქმეზე სასამართლოში საქმის აღძვრა.

ცოლი: ტელეფონით რომ შეგეძლოს მუშაობა, კარგი იქნებოდა, ბევრ დროს მოიგებდი.

სანდრო: ტელეფონითაც ვმუშაობ. უფრო მარტივ საქმეებზე ტელეფონით მირეკავენ, რთულ საქმეებზე კი ოფისში მოდიან.

IX თავი

I ნაწილი

დიალოგი თემაზე: სამსახურის არჩევა

დედა: ირაკლი, ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მიხარია სახლში შენი დაბრუნება.

ირაკლი: მეც, დედა, ყველანი მომენატრეთ!

დედა: არდადეგების დროსაც კი არ ჩამოდიხარ ჩვენთან. სამსახურს შოულობ და ქალაქში რჩები.

ირაკლი: შენ ხომ იცი, რომ ამას მარტო ხელფასის გამო არ ვაკეთებ. შარშანდელი მუშაობითაც დიდი გამოცდილება მივიღე და ახლა უკვე კარგი სამსახურის იმედი მაქვს. ჩემი „სივი“ ბევრგან გავაგზავნე და გასაუბრებაზე შემდეგ კვირას ვარ დაბარებული.

დედა: სად შეიძლება, რომ მუშაობა დაიწყო?

ირაკლი: ვაკანსიები სახელმწიფო სამსახურებს აქვს, განსხვავებული ანაზღაურებითა და მოვალეობებით. ერთგან სჭირდებათ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, მეორეგან – საჯარო მოხელე და კიდევ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

დედა: ხომ იცი, მე არასდროს მიმუშავია და ამ სამსახურებში ვერ ვერკვევი. მამაშენი ბიზნესმენი იყო და, მგონია, მის გზას რომ გაჰყოლოდი, შენი განათლებით უკეთესი ბიზნესმენი გამოხვიდოდი. ამაზე არ გიფიქრია?

ირაკლი: კი, მაგრამ ყოველი ბიზნესი რისკს მოითხოვს, სახელმწიფო სამსახურში კი მშვიდად ხარ, იცი, რომ ყოველ თვე სტაბილური ხელფასი გექნება.

დედა: შენ რომელი სამსახური გირჩევნია?

ირაკლი: ალბათ, უფრო საჯარო მოხელე მინდა გავხდე.

დედა: რატომ?

ირაკლი: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს მუდმივი მოვალეობები არ აქვს. ასე რომ, ეს სამსახური შეიძლება მოკლევადიანი აღმოჩნდეს.

დედა: ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახური რატომ არ გინდა?

ირაკლი: ერთ წელიწადში არჩევნებია, პოლიტიკური პირები სავარაუდოდ შეიცვლებიან, ამიტომაც არ მინდა.

დედა: ე.ი. სტაბილურ სამუშაოს ეძებ?

ირაკლი: რა თქმა უნდა, შტატში ყოფნა და ჩემი პროფესიით მუშაობა მირჩევნია.

დედა: ძალიან კარგი, ეტყობა, ბევრი გიფიქრია და, მგონი, სწორადაც!

II ნაწილი

დიალოგი თემაზე: გასაუბრება

ქ-ნი ლიანა: რუსლან, თქვენს საბუთებს გადავხედეთ.

რუსლანი: მგონი, ყველა საჭირო საბუთი წარმოვადგინე.

ქ-ნი ლიანა: საბუთების მიხედვით, სრულწლოვანი ხართ, ქართულადაც ლაპარაკობთ. უცხო ენებს რამდენად სრულყოფილად ფლობთ?

რუსლანი: 4 წელი გერმანიაში ვსწავლობდი და გერმანული მშობლიურ ენასავით ვიცი, ინგლისურს საშუალო დონეზე ვფლობ. გერმანიაში საჯარო მოხელის სერტიფიკატიც ავიღე.

ქ-ნი ლიანა: ძალიან კარგი, მაგრამ საბუთებში არ ჩანს ამ სერტიფიკატის თარგმანი.

რუსლანი: კონკურსი ისე სწრაფად გამოცხადდა, რომ თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება ვერ მოვასწარი. ახლა ეს დოკუმენტი თან მაქვს.

ქ-ნი ლიანა: ირაკლი, რატომ გსურთ ამ თანამდებობის დაკავება?

რუსლანი: გულწრფელად რომ ვთქვა, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოხელე ინიშნება ნ-წლიანი ვადით და დაწინაურების პერსპექტივა აქვს.

ქ-ნი ლიანა: კიდევ რას იტყოდით თქვენ შესახებ, რაც ოფიციალურ დოკუმენტებში არ წერია?

რუსლანი: სხვადასხვა სამსახურში მუშაობის გამოცდილება მაქვს, კომუნიკაბელურიც ვარ და კვალიფიკაციის ამაღლების დიდი სურვილი მაქვს. თქვენი სამსახური ამის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

ქ-ნი ლიანა: დიდი მადლობა. თქვენ ერთ-ერთი ღირსეული კანდიდატი ხართ ამ თანამდებობაზე. მალე დაგიკავშირდებიან და გაცნობებენ კონკურსის შედეგებს.

III ნაწილი

სიუჟეტი თემაზე: რეორგანიზაცია

საჯარო მოხელე: გამარჯობა, ქალბატონო ქეთევან! გვითხრეს, რომ დღეს მოხვიდოდით და საჯარო მოხელის უფლებებს გაგვაცნობდით.

ქეთევანი: გამარჯობა! როგორც ჩემთვის ცნობილია, 2 მაისიდან 30 მაისამდე თქვენს დაწესებულებაში რეორგანიზაცია გამოცხადდება, ამიტომ საჭირო ინფორმაციას მოგაწვდით.

საჯარო მოხელე: რეორგანიზაციის დროს საჯარო მოხელის გათავისუფლება შეიძლება?

ქეთევანი: ამ საკითხს კანონი არეგულირებს. ერთი მხრივ, დამსაქმებელი ვალდებულია 1 თვით ადრე აცნობოს მოხელეს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მეორე მხრივ, კი მოხელეს უფლება აქვს კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგო მოითხოვოს.

საჯარო მოხელე: და თუ დაწესებულებამ კომპენსაცია დროულად არ გადაგიხადა?

ქეთევანი: თუ ასე მოხდა, მოხელეს უფლება აქვს, კომპენსაციასთან ერთად დამატებით მოითხოვოს ხელფასი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

საჯარო მოხელე: გათავისუფლების შემთხვევაში მიზეზს აგვისხნიან?

ქეთევანი: თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ ახსნა-განმარტება, ხოლო, თავის მხრივ, დაწესებულება ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

საჯარო მოხელე: თუ საკუთარი განცხადების საფუძველზე დავტოვებთ თანამდებობას, მაშინაც?

ქეთევანი: ასეთ შემთხვევაში – არა, რადგან ეს თქვენს ნებას გამოხატავს.

საჯარო მოხელე: დიდი მადლობა, ქალბატონო ქეთევან, კონსულტაციისათვის.

ქეთევანი: არაფრის, რეორგანიზაცია იწყება, მაგრამ ეს კადრების შემცირებას სულაც არ ნიშნავს. იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა.

X თავი

I ნაწილი

ღიალობი: რეფერენდუმი საქართველოში

გიორგი: ნიკა, 31 მარტს რეფერენდუმი. ხომ მოდიხარ ხმის მისაცემად?

ნიკა: ძალიან მინდა, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ თავისუფალ დროს გამოვინახავ.

გიორგი: ჩემი აზრით, ყველაფერი უნდა გადადო და წამოხვიდე. რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის საგარეო კურსის შესახებ თავის აზრს გამოხატავს.

ნიკა: აქვს რაიმე ძალა რეფერენდუმის შედეგს?

გიორგი: რა თქმა უნდა. ხალხმა უნდა აჩვენოს ხელისუფლებას, თუ როგორ საგარეო პოლიტიკას ირჩევს – რომელი სახელმწიფოები უნდა იყოს ქვეყნის მოკავშირეები და პარტნიორები.

ნიკა: მე როგორც მოვისმინე, ნატოში გაწევრიანება გვინდა თუ არა, ამის შესახებ არის რეფერენდუმი.

გიორგი: ნამდვილად. ნატოში გაწევრიანების საკითხიც საქართველოს საგარეო პოლიტიკას ეხება.

ნიკა: ყველა ამბობს, რომ ნატოში შესვლა ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიზანია. მე პოლიტიკა ნაკლებად მაინტერესებს და შეგიძლია ზუსტად ამიხსნა, რატომ?

გიორგი: ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ. ნატო სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებაა, 28 ქვეყნისგან შედგება და მისი თითოეული წევრი დაცულია. როგორც კი ნატოს წევრ ქვეყანას ვინმე თავს დაესხმება, დანარჩენი წევრებიც დაეხმარებიან.

ნიკა: რეფერენდუმს რა აზრი აქვს, ხომ ყველა მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას?

გიორგი: კი, უმრავლესობა, მაგრამ მნიშვნელოვანია ეს აზრი ხმამაღლა გამოვხატოთ. რეფერენდუმის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც უნდა წამოხვიდე.

II ნაწილი

თაქსტი: გაეროში საქართველოს ელჩის ინტერვიუ

ჟურნალისტი: რა არის გაეროში თქვენი საქმიანობის ძირითადი ამოცანა?

ელჩი: მე საქართველოს ინტერესებს ვიცავ. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს – საკითხია.

ჟურნალისტი: რა შეგიძლიათ გააკეთოთ ამ მიმართულებით?

ელჩი: საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ჩემი საქმეა ვიპოვო მხარდამჭერები და ყველას შევახსენო, რომ ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულია.

ჟურნალისტი: რამდენად რთულია გაეროში მუშაობა?

ელჩი: ძალიან რთული. გაეროში 200-მდე სახელმწიფოა გაერთიანებული და ყველას თავისი ინტერესი აქვს. საქართველო ამ ორგანიზაციაში 1992 წელს შევიდა და შედარებით ახალი წევრია.

ჟურნალისტი: პოლიტიკური მეგობრებისა და პარტნიორების მოძებნა რთულია?

ელჩი: დიახ, რა თქმა უნდა, ამას წლობით მუშაობა სჭირდება. ჩვენ ვცდილობთ მოკავშირეები და მეგობრები ძლიერ სახელმწიფოებს შორის მოვძებნოთ.

ჟურნალისტი: რას გულისხმობთ?

ელჩი: კენჭისყრის დროს თითოეულ ქვეყანას 1 ხმა აქვს, თუმცა ძლიერ სახელმწიფოებს, როგორებიცაა, მაგალითად, აშშ, გერმანია და ჩინეთი, დიდი პოლიტიკური გავლენა აქვთ და, აქედან გამომდინარე, მათ აზრის ყველა ითვალისწინებს.

III ნაწილი

თემატიკა: საბალანსო ინტერვიუ

ჟურნალისტი: დღეს ჩვენი გადაცემის სტუმარია ექსპერტი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ქალბატონი თამარი. მოგესალმებით!

ექსპერტი: გამარჯობა! მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის.

ჟურნალისტი: თქვენი აზრით, როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი?

ექსპერტი: ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. კიდევ ბევრი რეფორმაა გასატარებელი, ყველაზე მთავარი კი ჩვენი ეკონომიკის ზრდაა, რადგან ევროკავშირი უპირველესად პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა.

ჟურნალისტი: საქართველოს დიდი ხანია უნდა ევროკავშირის წევრობა. თუ გვაქვს წარმატებები ამ გზაზე?

ექსპერტი: რა თქმა უნდა. მაგალითისთვის ისიც გამოდგება, რომ 2017 წლიდან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის 28 ქვეყანაში ვიზის გარეშე მოგზაურობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი თავის მოკავშირედ და მეგობრად გვთვლის.

ჟურნალისტი: კიდევ რა უნდა გავაკეთოთ?

ექსპერტი: საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას ადგას, თუმცა ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ მხრივ კიდევ უკეთესი შედეგი გვქონდეს. ევროკავშირი დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებაა.

ჟურნალისტი: მაინც არ გვეუბნებით, როდის გაწევრიანდება საქართველო ევროკავშირში?

ექსპერტი: ხომ გითხარით, ზუსტად ამის თქმა შეუძლებელია, იმედი მაქვს, უახლოეს წლებში.

XI თავი

I ნაწილი

თემატიკა: დიალოგი სტუდენტებს შორის

ანა: რას შვრები, დათო, როდის ამთავრებ ბაკალავრიატს? ისევ აპირებ ევროპაში წასვლას?

დათო: ამ ზაფხულს ვამთავრებ. რომელიმე ევროპულ ქვეყანაში კი მინდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ არ ვიცი, როგორ გამოვა.

ანა: რა გიშლის ხელს?

დათო: სწავლის გასაგრძელებლად საკმაოდ დიდი თანხა მჭირდება. ადრე ევროპაში სტიპენდიის მიღება უფრო ადვილი იყო, მაგრამ ახლა ლტოლვილების გამო კრიზისია და ევროპული ქვეყნები ფულს უმეტესად მათი პრობლემების მოგვარებაში ხარჯავენ.

ანა: ანუ სტიპენდიას აღარ გაძლევენ?

დათო: ჯერ არ ვიცი. უბრალოდ, ბოლო წლებია, უფრო ნაკლებ უცხოელ სტუდენტს აძლევენ აფინანსებენ.

ანა: ლტოლვილთა კრიზისი?! რას ნიშნავს ეს?

დათო: აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ათიათასობით ადამიანი ევროპაში იმისთვის ჩადის, რომ იქ თავშესაფარი იპოვოს. ევროპული ქვეყნებიც ამ ლტოლვილებს ეხმარებიან. მართლაც შარშან მილიონზე მეტი ლტოლვილი მიიღეს.

ანა: ლტოლვილები ევროპაში რატომ მიდიან?

დათო: სხვადასხვა მიზეზის გამო: მათ ქვეყნებში დიდი გაჭირვებაა ან ომი და იძულებული არიან თავიანთი სამშობლო დატოვონ. მაგალითად, ყველაზე მეტი ლტოლვილი სირიიდანაა – იქ უკვე 5 წელია, სამოქალაქო ომია. ხალხი იძულებულია გაიქცეს.

ანა: მადლობა, ახლა გასაგებია ყველაფერი.

II ნაწილი

თემატიკა: ახალი პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის

ჟურნალისტი: როგორც ვიცით, თქვენ ახალ პროგრამას ხელმძღვანელობთ, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის არის განკუთვნილი?

პროექტის მენეჯერი: დიას, ნამდვილად ასეა.

ჟურნალისტი: რა არის თქვენი პროექტის მიზანი? რას აკეთებთ?

მენეჯერი: მოგეხსენებათ, საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. აქ მრავალი სხვადასხვა ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს. ჩვენი მიზანია მათ დავეხმაროთ.

ჟურნალისტი: როგორ აპირებთ დახმარებას?

მენეჯერი: ბევრ მათგანს აქვს პრობლემა, რადგან კარგად ვერ ლაპარაკობს ქართულად, ამის შემდეგ კი მათ უნივერსიტეტში სწავლა და სამუშაოს მოძებნა უჭირთ.

ჟურნალისტი: თქვენ ამ პრობლემებს როგორ აგვარებთ?

მენეჯერი: ვატარებთ გაკვეთილებს, ვასწავლით ქართულს, ასევე – საქართველოს კანონმდებლობას, ვუხსნით მათ უფლებებს. ვინც წარმატებით დაასრულებს ჩვენს პროგრამას, ვეხმარებით სამუშაოს მოძებნაში.

ჟურნალისტი: რომელ რეგიონებში მოქმედებს თქვენი პროგრამა?

მენეჯერი: მთელი საქართველოს მასშტაბით. 100-ზე მეტ სოფელსა და ქალაქში ვმუშაობთ.

ჟურნალისტი: თუ აპირებთ თქვენი მუშაობის გაფართოებას?

მენეჯერი: დიას, რა თქმა უნდა! პროგრამა სულ რაღაც 1 წელია დაიწყო. კიდევ უფრო მეტ სოფელსა და ქალაქში გავხსნით ჩვენს ჯგუფებს. მსურველებს შეუძლიათ დაგვირეკონ ცხელ ხაზზე.

III ნაწილი

თემატიკა: მებობრების საუბარი

სანდრო: ლუკა, წამოხვალ ფეხბურთზე 15 მაისს?

ლუკა: ძალიან მინდა, მაგრამ ჩემს სიტუაციაში, ხომ იცი, გამიჭირდება.

სანდრო: პირიქით, ძალიან ადვილია. ჩვენ ბილეთები ძლივს ვიშოვეთ, მაგრამ შენ ისედაც შეგიშვებენ, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ბილეთი არ სჭირდებათ. მხოლოდ ადმინისტრაცია უნდა გავაფრთხილოთ წინასწარ.

ლუკა: ეგ ძალიან კარგია, ამდენი ხალხს შორის ეტლით როგორ გავივლი?

სანდრო: დავრეკე და გავარკვიე, არც ეგ არის პრობლემა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშვი ეკუთვნით და უფლება აქვთ საკუთარი მანქანით პირდაპირ სტადიონამდე მივიდნენ.

ლუკა: და სტადიონზე როგორღა მოვხვდე?

სანდრო: ეგეც მოგვარებულია. სათადარიგო შესასვლელიდან შეგიყვანენ – არც რიგში მოგიწევს დგომა, არც ლოდინი. სტადიონზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალური ადგილიც არის გამოყოფილი.

ლუკა: ძალიან კარგი, ანუ ღირს, რომ წამოვიდე. ადრე იქ მისვლა დიდი პრობლემა იყო ხოლმე.

სანდრო: სტადიონის რემონტის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხიც გაითვალისწინეს. ერთადერთი, დროზე ჩაიცვი – ბევრი ხალხი იქნება და ჯობია თამაშის დაწყებამდე 2 საათით ადრე მაინც მივიდეთ.

ლუკა: რამე საბუთი მჭირდება?

სანდრო: მხოლოდ ცნობა შენი სტატუსის შესახებ და პირადობის მოწმობა.

XII თავი

I ნაწილი

დიალოგი თემაზე: ცნობები იუსტიციის სახლიდან

ვახო: გამარჯობა! იუსტიციის სახლში ვრეკავ, ხომ?

სალომე: დიახ, იუსტიციის სახლია!

ვახო: ვიზალიზირებულია შემდეგ პირველად გადაწყვიტე, სამოგზაუროდ წავიდე შენგენის რომელიმე ქვეყანაში და მაინტერესებს, რამდენი ხანი შემიძლია იქ დარჩენა? მოგზაურობის დრო შეუზღუდავია?

სალომე: არა, შეზღუდული. ვიზის გარეშე თქვენ შეგიძლიათ მოკლევადიანი ვიზიტი განახორციელოთ, რაც გულისხმობს 90 დღეს 180 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ უნდა დატოვოთ ქვეყანა. შემდეგი ვიზიტის განხორციელებას კი კვლავ 90 დღის გასვლის შემდეგ შეძლებთ.

ვახო: და თუ გრძელვადიან ვიზიტს ვგეგმავ?

სალომე: თუ შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით დარჩენა გსურთ, საქართველოში შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს უნდა მიმართოთ ვიზის მისაღებად.

ვახო: რა საბუთები დამჭირდება შენგენის ქვეყანაში შესასვლელად?

სალომე: უპირველესად – ბიომეტრიული პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები.

ვახო: ბიომეტრიული პასპორტი არ მაქვს. თქვენთან შეიძლება მისი აღება, ხომ?

სალომე: დიახ, იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში.

ვახო: და რა კითხვებს დამისვამენ ან რა საბუთებს მომთხოვენ საზღვარზე?

სალომე: მაგალითად, გაქვთ თუ არა მოგზაურობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი?

ვახო: ეს იოლია, დასათვალისწინებლად მივდივარ, ტურისტი ვარ.

სალომე: მოგზაურობის მიზნის დასადასტურებლად საზღვარზე შეიძლება მოგთხოვონ უკანა გზის ბილეთები, სასტუმროს ჯავშანი, სამოგზაურო დაზღვევა და მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ვახო: არ შეიძლება, ნაღდი ფული ვაჩვენო?

სალომე: დიას, შეგიძლიათ ნაღდი ფულიც აჩვენოთ ან მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები.

ვახო: და რა თანხაა საკმარისი?

სალომე: გააჩნია, თქვენ რამდენი დღით გინდათ ქვეყანაში შესვლა. თუ სასტუმროს ჯავშანი გაქვთ, თითოეულ დღეზე 50 ევრო საკმარისია.

ვახო: დიდი მადლობა, თუ რამე კითხვა მექნება, კვლავ დაგიკავშირდებით.

II ნაწილი

თემატიკა: ბიომეტრიული პასპორტის მიღება

ვახო: გამარჯობა! აი, ჩემი პირადობა და გადახდის დამადასტურებელი საბუთი. აქ წერია, რომ დღეს იქნება მზად ჩემი ბიომეტრიული პასპორტი.

ელენე: დიას, ახლავე მოვძებნი და მოგცემთ.

ვახო: სანამ პასპორტს მომიძებნით, რამდენიმე კითხვას დავისვამთ: რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დავარღვევ ევროკავშირის ტერიტორიაზე ყოფნის წესებს?

ელენე: ქვეყანაში 90-დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად და პირს საქართველოში დააბრუნებენ.

ვახო: მხოლოდ ასეთი მსუბუქი სასჯელი თუ არის დარღვევისთვის, შეიძლება ბევრმა არაფრად ჩააგდოს, დაარღვიოს წესი ან საერთოდ დარჩეს იმ ქვეყანაში, რომელიც მოეწონება.

ელენე: რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არაა. ამასთან, მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით. ალტერნატივის სახით შესაძლოა გამოიყენონ ჯარიმა 3000 ევროს ოდენობით. გადაუხდელობის შემთხვევაში კანონდამრღვევს აეკრძალება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა.

ვახო: ოჰო, ასეთი ჯარიმის მიღება ნამდვილად არ მოუნდება კაცს. ისიც ვიცი, რომ შენგენის ქვეყნებში, ვიზალიბერალიზაციის მიუხედავად, ყველას არ უშვებენ.

ელენე: არ უშვებენ, თუ პირი ნასამართლევა შენგენის ქვეყნებში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ ერთი წლით.

ვახო: კიდევ ვის არ უშვებენ?

ელენე: იმ პირებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს, ქვეყნის უსაფრთხოებას, ან რომელთა დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები არსებობს.

ვახო: დიდი მადლობა, ელენე! თანამშრომლებსაც უნდათ ჩემთან ერთად წამოსვლა. ვფიქრობ, ხელს არაფერი გვიშლის, რომ მთელი კოლექტივი სამოგზაუროდ წავიდეთ.

ელენე: აი, თქვენი ბიომეტრიული პასპორტი.

შუალედური შეფოთების ტესტები

IV ტაში

1. გაიაზრეთ ტექსტი!

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უფლებამოსილებებს, სახელმწიფოს მოწყობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, ახალი კონსტიტუცია კი უნდა დაეფუძნოს 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციას.

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი:

მუხლი 1.

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის საქართველოს ხალხი, ხელისუფლება ხორციელდება ხალხისთვის და ხალხის მიერ.

სუვერენიტეტს ხალხი იცავს როგორც წარმომადგენლობითი ორგანოების საშუალებით, ასევე დამოუკიდებლად.

მუხლი 2.

საქართველოს სახელმწიფო არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც ერთიანი და განუყოფელია.

მუხლი 3.

საქართველოს რესპუბლიკაში უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, ხოლო უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას – საქართველოს სახელმწიფო მეთაური და მინისტრთა კაბინეტი, სასამართლო ხელისუფლებას – სასამართლო.

მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში, ქალაქებში, ქალაქების რაიონებში, დაბებში, თემებში, სოფლებში ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებია: საკრებულოები, გამგეობები, გამგებლები.

უპასუხეთ კითხვებს!

(6 ქულა)

1. რატომ არის ნახსენები კანონში 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია? (რა მოხდა ამ დროს)?
2. პირველი თავის პირველი მუხლის მიხედვით, ვისი დახმარებით იცავს ხალხი სუვერენიტეტს?
3. პირველი თავის მეორე მუხლის მიხედვით, რა არის საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ფორმა?
4. პირველი თავის მესამე მუხლის მიხედვით, რომელი ორგანოა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება?

5. პირველი თავის მესამე მუხლის მიხედვით, რომელი ორგანოა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება?
6. პირველი თავის მეოთხე მუხლის მიხედვით, რომელია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები? რომელია მათგან წარმომადგენლობითი და რომელი – აღმასრულებელი ორგანო?

2. თქვენ გსურთ თქვენი ხალხის უკეთესი მომავალი, ამისათვის კი გინდათ თავად შექმნათ კანონები. რას აკეთებთ? ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ 4 პასუხი! (4 ქულა)

- ა. კენჭს იყრით არჩევნებში მაჟორიტარული სისტემით.
- ბ. მიმართავთ ომბუდსმენს.
- გ. მიმართავთ მოსამართლეს.
- დ. შეეცდებით აკეთოთ ბევრი კარგი საქმე, რათა მომავალში თქვენი კანდიდატურა ხალხისთვის მისაღები იყოს.
- ე. შეხვალთ რომელიმე პარტიაში.
- ვ. დადებთ ხელშეკრულებას მეზობლებთან.
- ზ. მოითხოვთ პრემიენტთან შეხვედრას.
- თ. პარლამენტის თავმჯდომარეს აუხსნით თქვენს სურვილს.
- ი. მიიღებთ საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობას.
- კ. ხელშეკრულებას გაააფორმებთ პარლამენტართან ნოტარიუსში.
- ლ. დაწერეთ კანონპროექტს და ხელს მოაწერინებთ მეზობლებს.
- მ. ხელშეკრულებას გააფორმებთ საჯარო რეესტრში.

3. უპასუხეთ კითხვებს ანტონიმების გამოყენებით! (7 ქულა)

ნიმუში: – ბანკიდან კრედიტის გამიტანა ძნელია? – არა, **ადვილია**.

1. – თქვენი სამინისტრო ქვეყნის საშინაო პოლიტიკას წარმართავს? – არა, _____.
2. – აბსოლუტური მონარქიის დროს მონარქის ძალაუფლება კონსტიტუციით შეზღუდულია? – არა, _____.
3. – დღეს გერმანია არადემოკრატიული რესპუბლიკაა? – პირიქით, _____.
4. – საქართველოში არჩევნებში არასრულწლოვანთა მონაწილეობა დასაშვებია? – არა, _____.
5. – თქვენს ქვეყანაში კენჭისყრის პროცესი ღიაა? – არა, _____.
6. – კანონპროექტს უმიჯრესობამ დაუჭირა მხარი? – არა, _____.
7. – საკანონმდებლო ინიციატივა საკანონმდებლო პროცესის ბოლო ეტაპია? – რა თქმა უნდა, არა, _____.

4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვა „პარლამენტი“ სხვადასხვა ბრუნვაში!

(8 ქულა)

1. პირველი მოსმენის დროს _____ განიხილავს კანონპროექტის ძირითად დებულებებს.
2. საქართველოს _____ ერთ-ერთი ფუნქციაა საკანონმდებლო საქმიანობა.
3. საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია _____ წინაშე.
4. პრეზიდენტს შეუძლია უკან დაუბრუნოს კანონპროექტი _____ შენიშვნებით.
5. ახლად არჩეულმა _____ მუშაობა დაიწყო არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში.
6. პრეზიდენტი ვერ დაითხოვს _____ არჩევნებიდან 6 თვის განმავლობაში.
7. საქართველოს _____ ჩვენ მიერ წარდგენილი კანონპროექტი არ დაამტკიცა.
8. ჩვენი ქვეყნის _____ ახალი კონსტიტუციით ფუნქციები გაეზარდა.

5. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით!

(5 ქულა)

დანიშვნა, გაკონტროლება, განხორციელება, შესრულება, მიღება

ნიმუში: საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნის მმართველობის ფორმას.

1. საქართველოს პარლამენტმა _____ კანონი პენსიის შესახებ.
2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას _____ პარლამენტის თავმჯდომარე.
3. გუბერნატორს თანამდებობაზე _____ მთავრობა.
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას _____ სამსახურიდან მოუწყვეტლად.
5. საკრებულო _____ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, გამგეობას.



6. მოსმენა

დიალოგი თემაზე: მზადება გასაუბრებისთვის

7. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

(8 ქულა)

1. სად უნდა მუშაობის დაწყება გიორგის? _____
2. სად უნდა მუშაობის დაწყება ლევანს? _____
3. რა ფუნქცია აქვს საქართველოს სახალხო დამცველს?

4. როგორ ირჩევენ სახალხო დამცველს? _____
5. რა განსხვავებაა მერიასა და გამგეობას შორის? _____
6. თავისუფლების რა სახეებია დემოკრატიულ საზოგადოებაში?

7. რას გვეუბნება კონსტიტუცია ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ? _____
8. რა არის თვითმმართველობის მიზანი?

8. შემოგახეთ სწორი პასუხი!

(2 ქულა)

1. რა არის მუნიციპალიტეტის მიზანი?
 - ა. სასამართლო სისტემის მოწესრიგება;
 - ბ. ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირება;
 - გ. საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესება;
 - დ. ოჯახური ურთიერთობის რეგულირება.
2. ადამიანი უდანაშაულოა:
 - ა. თუ ის დანაშაულს არ აღიარებს;
 - ბ. თუ მოსახლეობის უმრავლესობა მას უდანაშაულოდ ცნობს;
 - გ. სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება;
 - დ. თუ არ არსებობს დანაშაულის მოწმე.

9. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და იმსჯელეთ, რა ფუნქციები ექნებათ ლევანსა და გიორგის ახალ სამსახურში? (გამოიყენეთ დაახლოებით 40–60 სიტყვა)! (10 ქულა)

10. უპასუხეთ კითხვებს და გამოთვლებულ ადგილას ჩასვით ფრჩხილებში მითითებული ზმნები! (5 ქულა)

1. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატი მრავალ მოთხოვნას უნდა _____.
[აკმაყოფილებს] რას შერებოდეს?
2. კონსტიტუციის ტექსტის შედგენაში ცნობილი ადამიანები _____. [მონაწილეობს]
რას შერებოდნენ?

3. მსგავსი განცხადებები საჯაროდ არასდროს _____, [აკეთებს] რა მიქნია?
4. პრეზიდენტს არასდროს _____ ვეტო ჩვენ მიერ წარდგენილ კანონპროექტებზე. [ადებს] რა უქნია?
5. მსურს, კიდევ ერთხელ _____ ამ კანონპროექტის მნიშვნელობა. [განმარტავს] რა ვქნა?

11. ჩასვით ფორმები: შესახებ, მიმართ, წინააღმდეგ, გამო, გარდა! (5 ქულა)

1. ერთი პარლამენტარის _____ ყველა მხარს უჭერს ახალ ინიციატივას.
2. პრეზიდენტმა საჯაროდ გააკეთა განცხადება პარლამენტის დათხოვნის _____.
3. ახალი კანონპროექტის _____ პარლამენტი დადებითად არის განწყობილი.
4. ამ მოვლენების _____ 1921 წლის 21 თებერვალს დაჩქარებულად მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.
5. ახალი კანონპროექტის _____ ქუთაისში მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა.

12. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით გვერდით მითითებული წყვილები! (5 ქულა)

1. _____ მთავარი დანიშნულებაა კერძო და საჯარო სამართლებრივი ურთიერთობების კონტროლი. [სამართლებრივი აქტი].
2. ამ _____ პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვეს. [საჯარო მოხელეები].
3. _____ ბევრი საინტერესო მოსაზრება აქვს ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით. [ჩვენი საზოგადოება].
4. _____ ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა. [მათი ინიციატივა].
5. სკოლაში დიდი ხანია ვსწავლობთ საქართველოს ისტორიის _____ [მნიშვნელოვანი მოვლენები].

13. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები! (5 ქულა)

ა) თუ , მაშინ ; მაშინ , თუ

ბ) ისე , როგორც ; როგორც , ისე

1. ქვეყანა _____ გახდება დემოკრატიული, _____ ადამიანის უფლებებს დავიცავთ.
2. ის ხალხის წინაშე _____ წარდგა, _____ პრეზიდენტს შეეფერება.
3. _____ ყველა ერთად მიიწევს წინ, _____ წარმატება თავისით მოდის.
4. _____ მინისტრმა სხდომაზე ბრძანა, _____ უნდა ვიმოქმედოთ.
5. _____ დამატებით მუშაობთ, _____ ფულადი პრემიაც გეკუთვნით.

VIII ტაჰი

1. გაიარეთ ტექსტი: (6 ქულა)

არღვევს თუ არა სახალხო დამცველი თანამშრომელთა უფლებებს?

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა – ნანა იმნაძემ და რევაზ ძნელაძემ – პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვეს. ისინი ფიქრობენ, რომ ომბუდსმენი თავს არიდებს სასამართლოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკას და უხეშად არღვევს საკუთარი თანამშრომლების უფლებებს. ამ მოვლენას წინ უძღოდა სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის – მანანა ქაჯაიას – სამსახურიდან დათხოვნა. მანანა ქაჯაიამ ომბუდსმენი პატიმრებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა, რასაც დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლება მოჰყვა.

ნანა იმნაძის აზრით, როცა სახალხო დამცველი თავისი თანამშრომლების უფლებებს არღვევს, მას არც სხვისი უფლებების დაცვა შეუძლია. მისი თქმით, სახალხო დამცველს ხშირად აკითხავდნენ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოქალაქეები. ის არ ინტერესდებოდა მათი პრობლემებით, რევაზ ძნელაძე კი ვარაუდობს, რომ სახალხო დამცველი არ არის დამოუკიდებელი. იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენას განიცდის; არადა, კანონის მიხედვით, ომბუდსმენი მხოლოდ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული.

ომბუდსმენმა უპასუხა თანამშრომელთა კრიტიკას და განაცხადა, რომ ისინი მასთან შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, რაც სახალხო დამცველისა და მისი ინსტიტუტის ერთიან მუშაობას ხელს უშლიდა.

ნანა იმნაძე და რევაზ ძნელაძე სარჩელის შეტანას სასამართლოში აპირებენ. ომბუდსმენს მოუწევს პასუხი გასცეს კითხვას: არღვევს თუ არა ის თანამშრომელთა უფლებებს?

2. უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ დატოვა სამსახური სახალხო დამცველის აპარატის ორმა თანამშრომელმა?
2. რა მიზეზით დაითხოვეს სამსახურიდან მანანა ქაჯაია?
3. რა პრეტენზიები აქვთ თანამშრომლებს ომბუდსმენთან?
4. ვის წინაშე ანგარიშვალდებული ომბუდსმენი?
5. რა უპასუხა ომბუდსმენმა თანამშრომლების კრიტიკას?
6. თქვენი აზრით, არის თუ არა თანამშრომლების პროტესტი სამართლიანი? რატომ?

3. თქვენ შეესწარით დირექტორის მხრიდან თანამშრომლების დაჩაგვრის ფაქტს. რას აკეთებთ? ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ 4 პასუხი! (4 ქულა)

- ა. მიმართავთ სახალხო დამცველს.
- ბ. წერთ განცხადებას სამსახურიდან დათხოვნაზე.
- გ. ამის შესახებ ატყობინებთ დირექტორის ოჯახს.
- დ. ატყობინებთ პოლიციას.
- ე. წერთ მოთხოვნას სასტიკ დირექტორზე.
- ვ. ეძებთ სხვა თანამშრომელს, რომელიც ასევე შეესწრო ამ ფაქტს.
- ზ. ფაქტის შესახებ უყვებით თქვენს მეგობრებსა და მეგობრებს.
- თ. ატყობინებთ ტელევიზიას.

- ი. არ ერევით სხვის საქმეში.
- კ. აწყობთ სამსახურში აურზაურს.
- ლ. გაიფიცებით.
- მ. დამატებით იმუშავებთ.

4. ჩასვით წყვილებიდან ერთ-ერთი:

უკანონო – უკანონოდ, მშვიდობიანი – მშვიდობიანად, განუსაზღვრელი – განუსაზღვრელად, იურიდიული – იურიდიულად, მუდმივი – მუდმივად, შეუთანხმებელი – შეუთანხმებლად, გულგრილი – გულგრილად! (7 ქულა)

1. ა) მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი _____ ექცევა პატიმრებს .
ბ) მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი _____ ადამიანია.
2. ა) დირექტორმა _____ გაათავისუფლა თანამშრომლები.
ბ) თამარის დირექტორი _____ საქციელს არასდროს ჩაიდენს.
3. ა) დირექტორთან მხოლოდ ორი საკითხი დავგვრჩა _____ .
ბ) თანამშრომლები დირექტორთან _____ მოქმედებდნენ.
4. ა) ჯარმა დაარბია _____ დემონსტრაცია.
ბ) ეს არეულ-დარეული საქმე მედიატორმა _____ დაასრულა.
5. ა) იუსტიციის საბჭოს წევრებს _____ ვადით კი არ ირჩევენ, მხოლოდ – 4 წლით.
ბ) _____ დიდია იმპერატორის ძალაუფლება.
6. ა) გამოქვეყნების დღიდან კანონპროექტი იქცევა კანონად, რომელსაც _____ ძალა აქვს.
ბ) შენ შეგიძლია დამნაშავეს ხელი დააფარო, მაგრამ _____ მართალი არ იქნები.
7. ა) ამ ქვეყანაზე _____ არაფერია.
ბ) ადამიანმა _____ უნდა იბრძოლოს საკუთარი თავისუფლებისათვის.

5. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ შემდეგი სინონიმებით: არაპირდაპირი, დაითხოვეს, სასამართლო, მოსამართლე, განუმარტავს, გასაჩივრება, მედიატორი, ომბუდსმენი! (8 ქულა)

1. სახალხო დამცველი იცავს როგორც თავისუფალი მოქალაქეების, ასევე – პატიმრების უფლებებს.
2. ხშირად ირიბი ნათქვამი უფრო ჭრის, ვიდრე – პირდაპირი.
3. არჩილი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლეს.
4. მართლმსაჯულების სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანია ობიექტურობა.
5. მხარეებს შორის ურთიერთობას შუამავალი აწესრიგებს.
6. უკმაყოფილო მოქალაქე აპელაციას მიმართავს.

7. მსაჯულმა ბრალდებულს მკაცრი მსჯავრი გამოუტანა.
8. მედიატორი მხარეებს გასაგებად უხსნის საქმის ვითარებას.

6. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით!

(5 ქულა)

ნიმუში: ნიკა ახალ მანქანასციდულობს..... [ციდვა; რას შვრება?]

1. გაბრაზებულმა ლექტორმა აუდიტორია _____ . [დატოვება; რა ქნა?].
2. მენეჯერი უხეშად _____ თანამშრომელთა უფლებებს. [დარღვევა; რას შვრება?]
3. მან სამსახურიდან უკანონოდ _____ 2 ადამიანი. [გათავისუფლება; რა ქნა?]
4. ადამიანმა არ უნდა _____ სუსტი და დაუცველი. [დაჩაგვრა; რა ქნას?]
5. დაზარალებული სოფლის მოსახლეობა დახმარებას _____. [მოთხოვნა; რას შვრება?]



7. მოსმენა

ტექსტი: ფართო პროფილის იურისტი

დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

(7 ქულა)

1. რა პროფესიის არის სანდრო?
2. როდის ბრუნდება სანდრო სამსახურიდან?
3. როდის ეწყება სანდროს კონსულტაციები?
4. რა ტიპის საქმეებს იტოვებს სანდრო?
5. რა საქმეებს უნაწილებს სანდრო სხვა იურისტებს?
6. ვინ მოდის სანდროსთან კონსულტაციაზე სადამოშობით?
7. როგორ უნდა დაუკავშირდეს სანდროს ის, ვისაც მარტივი პრობლემა აქვს?

8. შემოხაზეთ სწორი პასუხი!

(3 ქულა)

1. სანდრო მუშაობის დროს –

- ა) თავად წყვეტს ყველა საქმეს;
- ბ) ეხმარება კლიენტებს საჩივრის დაწერაში და ურჩევს, რამდენად ღირს სასამართლოში ჩივილი;
- გ) თავად ჩივის სასამართლოში.

2. სანდრო უწინდელზე ბევრს მუშაობს, რადგან –

- ა) ახლა სამოქალაქო სამართალთან ერთად სისხლის სამართლის საქმეებიც დაემატა;
- ბ) სანდრო დაწინაურდა და სამსახურის დირექტორი გახდა;
- გ) სანდრო თავად წერს საჩივრებს და სასამართლოში სიარული უწევს.

3. სანდრო მარტივ საქმეებს –

- ა) ხელს არ ჰკიდებს;
- ბ) სხვა იურისტებთან აგზავნის;
- გ) ტელეფონით წყვეტს.

9. სავარჯიშო:

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და აღწერეთ მოკლედ (გამოიყენეთ 40–60 სიტყვა)

ნიკას სააგენტო და მისი სამუშაო

(10 ქულა)

10. გამოთვებულ ადგილას ჩასვით გვერდით მითითებული ზმნები!

(9 ქულა)

ა)

- ჩემი სამოქალაქო ვალდებულებები ყოველთვის პასუხისმგებლობით _____.
[შესრულება; რა მიქნია?]
- უსამართლოდ დაკავებული პირი სასამართლო დარბაზიდან _____.
[გათავისუფლება; რა უქნიათ?]
- ამ ახალგაზრდას ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილი უკვე _____.
[შეტანა; რა უქნია?]

ბ)

- უზენაეს სასამართლოს _____ მისი საქმე და გაუმართლებია. [განხილვა; რა უქნია?]
- სტუდენტებს აქტიურად _____თავიანთი სამოქალაქო პოზიცია. [გამოხატვა; რა უქნიათ?]
- თქვენი მეგობრისთვის უფრო დიდი ხელფასი _____, ვიდრე სხვა თანამშრომლებისთვის. [დანიშვნა; რა გიქნიათ?]

გ)

- მსგავსი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკაში ჯერ არ _____. [ყოფნა; რა უქნია?]
- არც _____, ისე დაადანაშაულე მეზობელი სხვისი ქონების მითვისებაში. [დაფიქრება; რა გიქნია?]
- ჩემი უფლებები ამ ქვეყანაში არასდროს _____. [შეზღუდვა; რა უქნია?]

11. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: მიერ, წინაშე, მიხედვით, მიუხედავად! (4 ქულა)

- უდანაშაულობის პრეზუმფციის _____, დამნაშავე ეწოდება მხოლოდ იმას, ვის ბრალსაც სასამართლო დაამტკიცებს.
- მოქალაქის უფლებებს იცავს სახელმწიფო, იმის _____, თუ რომელ ქვეყანაში

იმყოფება ის.

3. დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონის _____ ყველა თანასწორუფლებიანია.
4. ძველ ათენში ხალხის _____ მიღებული გადაწყვეტილება ხშირად არასწორი იყო.

12. უპასუხეთ კითხვას: რა შვრება?

(4 ქულა)

1. მე მას უფლებას ვანიჭებ.
ის მე უფლებას _____.
2. მე კოლეგას წარმატებებს ვუსურვებ.
კოლეგა მე წარმატებებს _____.
3. მეგობარს ამ მოვალეობისგან ვათავისუფლებ.
მეგობარი მე ამ მოვალეობისგან _____.
4. მე ნინოს ნდობას ვუსცხადებ.
ნინო მე ნდობას _____.

13. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით: (3 ქულა)

ა) ისეთი , როგორიც

ბ) მანამ, ვიდრე.....

გ) ჯერ, მერე.....

1. მოსამართლე _____ ჟურნალისტებს ხვდება, _____ კი – არასამთავრობო ორგანიზაციებს.
2. _____ პროფესიონალი, _____ თქვენ ხართ, უმუშევარი არ უნდა დარჩეს.
3. მერიაში განაცხადი _____ უნდა შეიტანო, _____ მშენებლობას დაიწყებ.

XII ტაჰი

1. გაიაზრეთ ტექსტი: (6 ქულა)

საქართველოში უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით მთავრობის მეთაური დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა უძველესი ცივილიზაციის დედაქალაქ ათენსა და ევროპის პოლიტიკურ ცენტრ ბრიუსელში. მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ეს ისტორიული დღე იყო. საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის უკეთეს გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ.

დელეგაცია ძირითადად ახალგაზრდებისგან შედგებოდა. აქ იყვნენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები, ასევე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული, შებლდული შესაძლებლობების მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები. დელეგაციაში იმითმ შევიდნენ ცალკეულ ჯგუფთა წარმომადგენლები, რომ ყველასთვის ერთნაირად სასიხარულოა დღე, რომელმაც გზა გაჭრა ევროპისაკენ.

ბრიუსელში ქართული დელეგაცია შეხვდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს – დონალდ ტუსკს. საქართველოს მთავრობის მეთაურმა დიდი მადლობა გადაუხადა მას ვიზალიზერალიზაციის პროცესში

შეტანილი წვლილისათვის.

მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, ისაუბრეს მიღწეულ შედეგებზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ვიზალიბერალიზაციის ამოქმედება კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ საქართველო დემოკრატიის გზით მიდის.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ იყო ქართული დელეგაციის ათენსა და ბრიუსელში გამგზავრების დღე ისტორიული?
2. ვისგან შედგებოდა საქართველოს დელეგაცია?
3. რატომ შედგებოდა საქართველოს დელეგაცია სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებისგან?
4. გაიხსენეთ, ვის ეწოდება შშმ პირი?
5. რატომ გადაუხადა საქართველოს მთავრობის მეთაურმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს მადლობა?
6. რისი ნიშანია საქართველოში ვიზალიბერალიზაციის ამოქმედება?

2. თქვენ შეესწარით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დაჩაგვრის ფაქტს. რას აკეთებთ? ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ 4 პასუხი! (4 ქულა)

- ა. მიმართავთ სახალხო დამცველს.
- ბ. მადლობას უხდით მჩაგვრელს.
- გ. იწვევთ ჟურნალისტებს.
- დ. ეხმარებით მჩაგვრელს.
- ე. რეაგირების გარეშე აგრძელებთ გზას.
- ვ. შენიშვნას აძლევთ შშმ პირს.
- ზ. ფაქტის შესახებ უყვებით თქვენს თანამშრომლებს.
- თ. ინტერვიუს აძლევთ ტელევიზიას.
- ი. მხარეებს შერიგებას სთავაზობთ.
- კ. კონფლიქტს იღებთ ტელეფონით.
- ლ. ძალის გამოყენებით უსწორდებით მჩაგვრელს.
- მ. დგებით გამარჯვებულის მხარეზე.

3. ჩასვით წყვილებიდან ერთ-ერთი: უვიზო – უვიზოდ, დადებითი – დადებითად, პირველი – პირველად, საჯარო – საჯაროდ, ეთნიკური – ეთნიკურად, ინდივიდუალური – ინდივიდუალურად, შეზღუდული – შეზღუდულად! (7 ქულა)

1. ა) საქართველოს დიდი ხანია _____ მიმოსვლა აქვს მოლდავეთთან.
ბ) ბრიტანეთში _____ შესვლა საქართველოს მოქალაქეებს არ შეუძლიათ.
2. ა) _____ მერცხალი გაბაფხულს არ მოიყვანს.
ბ) საქართველოში _____ ჩამოვიდა გაეროს დელეგაცია.
3. ა) ირანთან ვაჭრობაში საქართველოს _____ ბალანსი აქვს.

- ბ) ვიზალიბერალიზაციის საკითხი _____ გადაწყდა.
4. ა) თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა განათლების კანონის _____ განხილვა.
ბ) ამერიკამ _____ განაცხადა უარი კორეის დახმარებაზე .
5. ა) ქალებს ზოგიერთ სახელმწიფოში _____ უფლებები აქვთ.
ბ) ომის პირობებში ქვეყანა თავს _____ გრძნობს.
6. ა) _____ პრობლემები ზოგიერთ ქვეყანაში ხშირად პოლიტიკურში გადადის.
ბ) კორუმპირებული ანალიტიკოსები პოლიტიკურ პრობლემებს _____ წარმოაჩენენ.
7. ა) საკითხისადმი _____ მიდგომა კარგ შედეგს იძლევა.
ბ) ყველა პრობლემას _____ უნდა მივუდგეთ.

4. ხაზგახმული სიტყვები შეცვალეთ შემდეგი სინონიმებით: დახასიათება, დაიბეჭდა, ქვეყანა, ბრალმდებელი, წახალისება, თანახმად, მთავარი, ანაზღაურება! (8 ქულა)

- ევროკავშირის წესდების მიხედვით, ევროპარლამენტის გადაწყვეტილება ევროპის საბჭომ უნდა დაამტკიცოს.
- ევროკავშირმა ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოში დადებითი რეკომენდაცია მისცა.
- კონვენცია ეროვნული უმცირესობის შესახებ ახალი რედაქციით გამოქვეყნდა.
- ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფომ შექმნა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი – ნატო.
- ნატოს ძირითადი ამოცანაა გაერთიანების წევრი ქვეყნების უსაფრთხოება.
- საჯარო მოხელე ხელფასს იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- პროკურორი არ ითვლება საჯარო მოსამსახურედ.
- მოხელის სტიმულირება ხდება ფულადი ჯილდოთი.

5. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით!

(5 ქულა)

ნიმუში: საქართველოში ... შეიქმნა ... შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი. [შექმნა; რა ქნა?]

- ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს _____ მათი სათვისტომოები. [გამოხატვა; რას შვრებიან?].
- ლტოლვილებმა სტატუსის მოსაპოვებლად სახალხო დამცველს _____. [მიმართვა; რა ქნეს?]
- ნატოს წევრი ქვეყნები ყველა საკითხს კვლავ კონსენსუსის საფუძველზე _____. [გადაწყვეტა; რას იზამენ?]
- ზოგიერთი ევროპული ქვეყანა დღემდე არ _____ ჩარჩო კონვენციაში. [მონაწილეობა; რას შვრება?]
- საფრანგეთი თავის ტერიტორიაზე არ _____ ეთნიკური უმცირესობების არსებობას. [ცნობა; რას შვრება?].



6. მოსმენა

ტექსტი: ბიომეტრიული პასპორტის მიღება

მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

(7 ქულა)

1. რა შემთხვევაში ჩაითვლება შენგენის ქვეყანაში ყოფნა არალეგალურად?
2. რამდენი წლით შეეზღუდება პირს შენგენის ქვეყანაში შესვლა, თუ დაარღვევს ევროკავშირის ტერიტორიაზე ყოფნის წესებს?
3. რა სახის ჯარიმა დაეკისრება პირს ამ წესების დარღვევის შემთხვევაში?
4. რა შემთხვევაში არ შეუშვებენ ნასამართლევ პირს შენგენის ტერიტორიაზე?
5. ვახოს აზრით, შენგენის ქვეყანაში ვადის გადაცილებისთვის დაკისრებული სასჯელი მკაცრია თუ არა?
6. კიდევ რა შემთხვევაში არ შეუძლია საქართველოს მოქალაქეს შენგენის ქვეყნებში გამგზავრება?
7. რატომ აინტერესებდა ვახოს საკითხი, ვის არ შეუშვებენ შენგენის ქვეყნებში?

7. შემოზახეთ სწორი პასუხები!

(3 ქულა)

1. **რის ასაღებად მივიდა ვახო იუსტიციის სახლში?**
 - ა. პირადობის მოწმობის;
 - ბ. დაბადების მოწმობის;
 - გ. პასპორტის;
 - დ. ბიომეტრიული პასპორტის.
2. **რა შემთხვევაში გამოცხადდება პირი არალეგალად შენგენის ტერიტორიაზე?**
 - ა. თუ ის სასწავლო კურსებზეა ჩასული;
 - ბ. თუ ის იმყოფება ქვეყანაში 2 თვის განმავლობაში;
 - გ. თუ მას შენგენის ქვეყანაში ნათესავი ჰყავს;
 - დ. თუ ის ქვეყანაში 90 დღეზე მეტ ხანს გაჩერდება.
3. **ვის შეუშვებენ შენგენის ქვეყანაში?**
 - ა. სისხლის სამართლის დამნაშავეს, რომელსაც შენგენის ქვეყანაში 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.
 - ბ. პირს, რომელიც შენგენის ქვეყანაში მოსამართლედ მუშაობდა;
 - გ. შენგენის ქვეყნის უსაფრთხოების დარღვევაში შემჩნეულს;
 - დ. სისხლის სამართლის დამნაშავეს, რომელსაც შენგენის ქვეყანაში 2 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

8. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და ჩამოაყალიბეთ, რა შემთხვევაში არ უშვებენ ზოგიერთ ადამიანს შენგენის ტერიტორიაზე (გამოიყენეთ 40-60 სიტყვა)!

(10 ქულა)

9. უპასუხეთ კითხვებს და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით გვერდით მითითებული ზმნები!

(5 ქულა)

1. ევროპული სასამართლო უმნიშვნელოვანეს როლს _____ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. [შესრულება] რას შვრება?
2. დიდი ხნის წინ _____ ეუთოს პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები. [განსაზღვრა] რა ქნეს?
3. ნატო თავის წევრ ქვეყნებში დემოკრატიის პრინციპებს, პიროვნების თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას ყოველთვის _____. [დაცვა] რას იზამს?
4. ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ლევანს აქამდე არასდროს _____. [მუშაობა] რა უქნია?
5. საზოგადოებაში ქვეყნის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით სპეციალური ვებსაიტიც _____. [შექმნა] რა უქნია?

10. ჩასვით ფორმები: წინააღმდეგ, გამო, შესახებ, გარდა, მიუხედავად!

(5 ქულა)

1. დევნილებმა სტიქიური უბედურების _____ დატოვეს თავიანთი ქვეყანა და ახლა ჰუმანიტარული დახმარება სჭირდებათ.
2. რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის საგარეო კურსის _____ თავის აზრს გამოხატავს.
3. გაეროს შექმნას საფუძვლად ნაციზმის _____ ბრძოლა დაედო.
4. ეუთოს უმთავრესი პრინციპი ადამიანის უფლებათა დაცვაა, მაგრამ, _____ ამისა, ის არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.
5. გაერო არ ერევა სახელმწიფოთა საქმეებში, _____ განსაკუთრებული შემთხვევებისა.

11. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით: ზე, თვის, ვით, ში, გან!

(5 ქულა)

1. პროფესიული საჯარო მოხელე სამსახურ... წინასწარ დადგენილი მოთხოვნების დაცვით მიიღება.
2. მოხელის სტატუსის არმქონე პირი ვაკანტურ თანამდებობა... გამოსაცდელი ვადით აწყავთ.
3. ევროპის საბჭო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 47 სახელმწიფოს... შედგება.
4. ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მისი წევრი ქვეყნების....
5. 4 წელი გერმანიაში ვსწავლობდი და გერმანული მშობლიურ ენასა... ვიცი.

12. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

(5 ქულა)

ა) თუ ... , მაშინ ...

ბ) ისე ... , როგორც ...

გ) ისეთი ... , როგორიც ...

დ) მანამ ... , სანამ / ვიდრე ...

ე) ჯერ ... , შემდეგ ...

1. მთავრობამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა _____ წარმართა, _____ რეფერენდუმზე გადაწყდა.
2. _____ ხელისუფლება შენს უფლებებს არღვევს, _____ შეგიძლია სტრასბურგის სასამართლოში უჩივლო.
3. ნატოში შესვლა _____ გაგვიჭირდება, _____ ქვეყანაში კონფლიქტური ზონები გვექნება.
4. _____ შექმნილ ვითარებას გავეცნოთ და დასკვნები _____ გამოვიტანოთ.
5. შეიქმნა _____ სახელმწიფო სტრუქტურა, _____ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტოა.

გრამატიკა

თავი I

ნაწილი I

- **-ნ/-თა** სუფიქსებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება; **-ებ'**იანის ჩანაცვლება **-თან'**იანი ფორმებით.
- სიტყვათწარმოება: **-ობა, -ება** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- დროის გამოხატევასთან დაკავშირებული გმნიზდები; კითხვები: რამდენ ხანს? რამდენი ხანი? რამდენი ხანია? (დიდხანს, დიდი ხანი, დიდი ხანია...).

ნაწილი II

- თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნება – გამეორება.
- „ყოფ[ს]“ – ფუძიანი რთული გმნები ქართულში.
- გარდამავალი გმნების წყვეტილის ფორმათა წარმოება და ერგატიული (// მოთხრობითის) კონსტრუქცია (მან/ მათ ის).
- **რომელიც** წევრ-კავშირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები.
- ჩართული სიტყვები: **სამწუხაროდ, საბედნიეროდ.**
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შესახებ, გამო.**

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **-ობრივ, -ებრივ** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- მსგავსების გამომხატველი **-ვით** თანდებული თანხმოვანფუძიან სახელებთან – **[ი]-ვით** (კაცივით), ხმოვანფუძიან სახელებთან – **[სა]-ვით** (მოსამართლესავით), პირის ნაცვალსახელებთან – **[სა]-ვით** (ჩემსავით, შენსავით, მასსავით).
- აწმყოს კავშირებითის ფორმათა წარმოება (რას შვრებოდეს?); მათი რეალიზაცია **უნდა** და **შეიძლება** გმნებთან ერთად.
- შესიტყვებები: **ხელი შეუწყო, ხელი გაუმართა, ხელი შეუშალა, ხელში ჩაიგდო**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი II

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **სა—ო** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- უარყოფითი ნაცვალსახელები: **არავინ, არაფერი, ვერავინ...** მათი ბრუნების თავისებურებანი.
- **აღ—** (→ **ა-**) გმნისწინი. **აღ—** გმნისზინიანი საწყისის ფორმები (აღდგენა).
- **-თან, -დან, -ში** და **-ზე** თანდებულები; მათი გააქტიურება მცირე ზომის ტექსტში.
- **-ავ** 'თემისნიშნის' გმნათა საწყისი (აკრძალავს → აკრძალვა).

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-ურ/-ულ** სუფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად (ჩვენს პროექტს).
- გმნების წყვეტილის ფორმები და ნომინატიური (// სახელობითის) კონსტრუქცია (ის გაიყიდა).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **გარდა, ნაცვლად.**
- ჩართული სიტყვები: **ამრიგად, მაშასადამე.**
- სინტაქსური კონსტრუქციები: **თუ, მაშინ / მაშინ, თუ**

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **მო—ე** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- უფრობითი ხარისხის ფორმები (გვიან > უგვიანეს > არაუგვიანეს); სტრუქტურა: **არაუმცირეს** ოცი დეპუტატისა.
- **-ში, -ზე** თანდებულები — გამოვლენა.
- ცალკე მდგომი თანდებული — **წინააღმდეგ.**
- შესიტყვებები: **ხელი დაადო, ხელი დააფარა, ხელი მოჰკიდა, ხელი დაიბანა**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი III

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **-იან, უ—ო, უ—ურ** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: **თვით, თავად, თვითონ; ყველა, ყოველი, თითოეული.**
- **-დან** და **-კენ** თანდებულები, მათი გააქტიურება მცირე ზომის ტექსტში.
- **გან-** (→ **გა-**) ზმნისწინი; **გამო, გან-** ზმნისწინიანი საწყისის ფორმები (განცხადება).

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-მებრ** (//ებრ) თანდებული და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ხმოვანფუძიანი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება — გამეორება.
- **-ია** დაბოლოებიანი I თურმეობითი (მიწარმოებია).
- ჩართული სიტყვები: **რა თქმა უნდა, რასაკვირველია.**
- სინტაქსური კონსტრუქციები: **ისე[ვე], როგორც / როგორც, ისე[ვე].....**

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **მ—ელ** კონფიქსიანი მიმღეობა (გამგებელი).
- ცალკე მდგომი თანდებული **მიმართ** და მისი გამოყენება (ჩემ მიმართ, სახელმწიფოს მიმართ).
- შესიტყვებები: **ენა დაება, ენა დაიმოკლა, ენას კბილი დააჭირა, ენა მუცელში ჩაუვარდა;** მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი IV

- შესწავლილი მასალის განმტკიცება.

თავი V

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **არა** ნაწილაკიანი ლექსიკა ქართულში (არარეგისტრირებული).
- ანტონიმები — გამეორება.

სამოქალაქო განათლება

- ჩვენებითი ნაცვალსახელები (ეს, ეგ, ის) მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი – გამეორება.
- **-გან** თანდებულიანი ადგილის ზმნიზედები (სხვაგან, ყველგან, ზოგან, ერთგან) და მათი გამოყენება.
- **-ზე, -ში, -თვის, -კენ** და **-დან** თანდებულები, მათი გააქტიურება მცირე ზომის ტექსტში.
- უწყვეტლის ფორმათა წარმოება – გამეორება.

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-ოვან** სუფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- **-ავ** და **-ამ'** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის წარმოება (დაუმაღავს, ჩაუცვამს).
- ჩართული – სხვათა შორის.
- ურთიერთობითი ნაცვალსახელები: **ერთმანეთი** და **ერთიმეორე**. მათი ბრუნების თავისებურებანი.
- სინტაქსური კონსტრუქციები: **ისეთი ადვოკატი, როგორიც / ისეთი ადვოკატები, როგორებიც.....**

ნაწილი III

- **ებ'** თემისნიშნიან ზმნათა საწყისები (მორჩლება, დამორჩილება).
- **პირდაპირ** და **პირისპირ** როგორც სინონიმური წყვილი, მათი მნიშვნელობა და გამოყენების თავისებურებანი: ა) პირის ნაცვალსახელებთან; ბ) არსებით სახელებთან.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **წინააღმდეგ, გამო, შესახებ** – გამეორება.
- შესიტყვებები: **ხმა გაკმინდა, ხმა მისცა, პირში წყალი დაიგუბა, სიტყვა პირზე შეაშრა**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი VI

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **-ულ** სუფიქსიანი მიმღეობა.
- სინონიმები – გამეორება.

- ჩვენებითი ნაცვალსახელები (ამნაირი, ამგვარი, ამისთანა) მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი.
- დროისა და ადგილის გამოხატვის სტრუქტურა ქართულში – როდიდან როდემდე? საიდან სადამდე?
- ცალკე მდგომი თანდებულები: **წინაშე, მიერ.**
- **შეუძლია**’ ზმნიანი სტრუქტურა ქართულში (შეუძლია მოიგოს).

ნაწილი II

- ვითარების ზმნიზდები ქართულში: შესაბამისად, საჯაროდ – გამეორება.
- მეშველზმნიანი I თურმეობითის წარმოება (დავსაქმებულვარ).
- **უნდა**’ ზმნიანი სტრუქტურა ქართულში (უნდა დაეხმაროს) – გამეორება.
- ნაცვალსახელი **იგივე** მსაზღვრელად და მისი ბრუნების თავისებურებანი (იგივე პროცესი, იმავე პროცესმა...).

ნაწილი III

- კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავისი** მხოლობითისა და მრავლობითის ფორმით.
- სიტყვათწარმოება: **-ით** სუფიქსიანი ლექსიკა (ბუნებითი).
- ა) სინტაქსური კონსტრუქცია: **ჯერ, მერე / შემდეგ / შემდგომ**
ბ) **ჯერჯერობით.**
- შესიტყვებები: **სიტყვა შეაწყვეტინა, სიტყვა ჩამოართვა, სიტყვა მოუჭრა, სიტყვა შეუბრუნა;** მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი VII

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **სი—ე** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ბრძანებითი წინადადებების უარყოფითი ფორმები.
- ნაცვალსახელები: **ამდენი, მაგდენი, იმდენი** მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი.
- სინტაქსური სტრუქტურა: **..... თუ არა**
- მიზეზის გამოხატვა სინტაქსურ სტრუქტურებში. კითხვები: **რატომ? / რის გამო? – იმიტომ, რომ... / იმის გამო, რომ...**
- ჩართული – **ჩემი აზრით.**

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-ობრივ** აფიქსი და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში – განმტკიცება.
- დროის გამომხატველი სიტყვები წინადადების სტრუქტურაში: **მანამ, სანამ // ვიდრე**
.....
- სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნები (**ვაჯარიმებ — მაჯარიმებს**).

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **თანა** თანდებული რთული სიტყვის პირველ ნაწილად (თანამშრომელი).
- სიტყვათწარმოება: **უ—ელ** კონფიქსიანი მიმღეობა.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **მიხედვით, მიუხედავად**.
- შესიტყვებები: **ენა წაიგრძელა, ენა წინ უსწრებს, ენა მუცელში ჩაუვარდა, ზურგი შეაქცია, მაგარი ზურგი აქვს**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი VIII

- შესწავლილი მასალის განმტკიცება.

თავი IX

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **მო—ე** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში – განმტკიცება
- დროის გამომხატველთან დაკავშირებული ზმნიზებები: **შარშან – წელს – მომავალ წელს...**
კითხვა: **როდინდელი? – შარშანდელი – წლევანდელი ...**
- **აღ-** (→ ა) ზმნისწინი. **აღ-** ზმნისზინიანი საწყისის ფორმები – განმტკიცება.

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-ულ** სუფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში – განმტკიცება.
- **-თვის** თანდებული დანიშნულების ფუნქციით.

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **-ით** სუფიქსიანი ლექსიკა (დამატებითი) – განმტკიცება.
- მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნება (დასვენების დღე) – გამეორება.
- დროისა და ადგილის გამოხატვის სტრუქტურა ქართულში – როდიდან როდემდე? საიდან სადამდე? – განმტკიცება.
- ჩართული სიტყვები: **ერთი მხრივ,, მეორე მხრივ,**

თავი X

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **მ—ელ** კონფიქსიანი მიმღეობა (დამცველი) – განმტკიცება..
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შემდეგ, უკან, შემდგომ, მერე.**
- ზმნის რიცხვი კრებით სახელებთან (ხალხი არის).

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-ულ** სუფიქსიანი მიმღეობა (გაერთიანებული) – განმტკიცება.
- ადგილის ზმნიშედები: კითხვები: **სად? საით? საითკენ? საიდან? აქ, იქ, აქეთ, იქით, აქეთკენ, იქიდან...**

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **სა—ეთ, -ეთ** აფიქსები გეოგრაფიულ სახელებში.
- **-გან** თანდებული: ა) ნაცვალსახელებთან; ბ) მასალის აღმნიშვნელ სახელებთან; გ) პიროვნების (პროფესიის) აღმნიშვნელ სახელებთან.
- ხმოვანფუძიანი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება – განმტკიცება.

თავი XI

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **თავ** ფუძე რთული სიტყვის პირველ ნაწილად (თავშესაფარი).
- სიტყვათწარმოება: **ნა-** პრეფიქსიანი მიმღეობა (ნასამართლები).
- მიზნის გამოხატვა სინტაქსურ სტრუქტურებში. კითხვები: **რისთვის? / რა მიზნით? – იმისთვის, რომ... / იმ მიზნით, რომ...**

ნაწილი II

- უფროობითი ხარისხის ფორმათა წარმოება და **-ობა** აფიქსი (მცირე → უმცირესი → უმცირესობა).
- კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად (თქვენს უფლებებს) – განმტკიცება.

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **მ—ელ** კონფიქსიანი მიმღეობა (დამამცირებელი) – განმტკიცება.
- მართული მსაზღვრელი საწყისთან (უფლებების დარღვევა).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შორის, შუა, შუაში, შუაზე**.

თავი XII

- შესწავლილი მასალის განმტკიცება.

